საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
19 - 25 სექტემბერი, 2012
№35 (173)
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

საპურთალო ირჩევს ნანა დევდარიანს
8

# საქართველოში დემოკრატია მოკვდა!
## გლდანის «აბუ გრეიბში» ზედამხედველები პატიმრებს აუპატიურებენ!

სულთმობრძავმა ქართულმა დემოკრატიამ ერთი ამოიხრიალა და სულიც ამოაყოლა იმ პატიმრის შემზარავ კვნესას, რომელსაც გლდანის ციხეში საშინლად აწამებდნენ და აუპატიურებდნენ.

ჩვენ ეს ყველაფერი ვიცოდით. ვიცოდით, რომ პატიმრებს სცემდნენ, აწამებდნენ, აუპატიურებდნენ... უფლებადამცველები (ხშირად!) და პატიმრები (იშვიათად!) საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ საქართველოს საპატიმრო დაწესებულებებში არაადამიანური მოქცევა ნორმად იყო ქცეული!

ვიცოდით, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა მიზანმიმართულად დაიწყეს ჯალათების გამოზრდა, რათა საზოგადოებაზე ზეწოლის ახალ-ახალი მეთოდებით კიდევ უფრო დაეთრგუნათ ისედაც გაწამებული ადამიანები!

ვიცოდით, მაგრამ ციხის ადმინისტრაციის მიერ ცოცხითა და სხვა საგნებით პატიმრების გაუპატიურების გუშინ გავრცელებული ვიდეოკადრების ნახვამ, საზოგადოებაში სრული შოკი გამოიწვია და მსოფლიოსაც შეძრავს!

პატიმრებს აუპატიურებენ, ამცირებენ, სცემენ, დასცინიან და ამ ყველაფერს ვიდეოისტორიად „უნახავენ შთამომავლობას"! რაც კიდევ უფრო შემზარავია, ვიდეოკადრებში კარგად ჩანს და ისმის, რომ ჯალათები ენითაუწერელ სიამოვნებას ნახულობენ ამ შემზარავი პროცესით!

„ნულოვანი ტოლერანტობა" და „ყველანი ციხეში" — ამ დევიზით მოქმედებს ხელისუფლება და, მიუხედავად სადიზმის უტიფარი დემონსტაციულობისა, ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსები საქართველოში სტუმრობისას ხშირად აღნიშნავენ, რომ ჩვენ „დიდ წარმატებას მივაღწიეთ დემოკრატიის მშენებლობის საქმეში"; რომ საქართველო „დემოკრატიის შუქურაა".

საინტერესოა, რა ნამუსით გაუსწორებენ ეს პერსონები თვალს ქართულ საზოგადოებას, თორემ ჩვენ აქამდეც კარგად ვიცოდით სინამდვილე; ვიცოდით, რომ არავითარი „შუქურა" არ არსებობდა და მთელი 9 წელი სააკაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა ახალი აბუ გრეიბის მშენებლობას მოანდომეს!

ახლა უკვე ყველამ იცის, რომ სააკაშვილისგან დემოკრატი არ გამოიზარდა — აბუ გრეიბის ციხის ჯალათი მართავს ქვეყანას 9 წლის განმავლობაში; ჯალათი, რომელსაც, ნიღბების დიდი კოლექციის მიუხედავად, არასოდეს დაუმალავს თავისი ნამდვილი სახე!

**ბონდო მძინარაშვილი**



# მეუფე ყანდური
2



ეს არ არის რომელიღაც კოლუმბიელი ნარკობარონის აპარტამენტები, ეს ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის, მეუფე გრიგოლის (გურამ ბერბიჭაშვილის) კაბინეტია, რომელშიც, როგორც თავადაც ხედავთ, მდიდრული ინტერიერისა და ფუფუნების საგნების გარდა, არათუ ხატის ჭაჭანება არ არის, ქრისტიანულ ჯვარსაც ვერსად მოჰკრავთ თვალს.

## გიგლა ბერბიჭაშვილმა ილია ჭავჭავაძეს ტყვია დაახალა, ხოლო მეუფე ყანდური (ერისკაცობაში გურამ ბერბიჭაშვილი) ილია მეორეს უთხრის ორმოს!

## ხელისუფლების შეცვლისთანავე, როგორც ზონდერებს — სასამართლო, ისე ყანდურებს ახალი რუის-ურბნისის კრება არ ასცდებათ!

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

არა მგონია, ერისთვის და მრევლისთვის სასიამოვნო იყოს, რომ გუშინდელი, თუნდაც გულწრფელი სინანულით ცოდვამონანიებული, მაგრამ მაინც „ნაბარიგალი“, დღეს ეკლესიის უმაღლესი იერარქი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპარქიის ხელმძღვანელი და წმინდა სინოდის წევრი რომაა! მითუმეტეს მაშინ, თუ ნაპატიმრალი იერარქი არა მხოლოდ ზემოთ ნახსენებ სატელევიზიო კადრებში გამოირჩეოდა, არამედ ადრეც იყო შემჩნეული, რბილად თუ ვიტყვით, უკეთურობაში...

# მეუფე ყანდური

## გიგლა ბერბიჭაშვილმა ილია ჭავჭავაძეს ტყვია დაახალა, ხოლო მეუფე ყანდური (ერისკაცობაში გურამ ბერბიჭაშვილი) ილია მეორეს უთხრის ორმოს!

**დიდი ჭაბუას უკვდავი რომანის პერსონაჟი ყანდური გამახსენდა, როდესაც ის ამაზრზენი კადრები ვიხილე, რომლებშიც ფოთის მიტროპოლიტი, მეუფე გრიგოლი და მისი „კარის მოძღვარი“, მამა აბრამი, ნიღბიანი ზონდერებივით იქცეოდნენ. დიახ, ნიღბიანი, რადგანაც მათი ნიღაბი ანაფორაა — სინანული და სათნოება კი არა, ეპარქიის პრესსამსახურმა მეუფე ყანდურის (ასე მოვიხსენიებ მეუფე გრიგოლს) სახელით უკვე გააკეთა განცხადება, რომლიდანაც გამოდის, რომ მოძალადე ის სუსტი ჟურნალისტი გოგონაა, რომელსაც ფიზიკურადაც შეეხნენ, კამერაც დაუმტვრიეს და რომელიც თურმე ადრეც ყოფილა შემჩნეული ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ვერაფერს იტყვი, მართლაც „ნაციონალების“ საუკეთესო ტრადიციებში ჯდება ეპარქიის პრესცენტრის ეს განცხადება!**

„ადრე ბაზრის ქურდი იყო, ერთთავად მშიერი და ტილიანი დადიოდა, ზოგი ფანდურას ეძახდა, ზოგი — ჩონგურას. როცა მე და ეგ ერთად ვისხედით, მაშინ სამწლიან ვადას იმაზე იხდიდა, რომ საკაბე მოჰპარა თავის საცოლეს.
თავის საცოლესა, კაცო?!“
ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“



**ეს არ არის რომელიღაც კოლუმბიელი ნარკობარონის აპარტამენტები, ეს ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის, მეუფე გრიგოლის (გურამ ბერბიჭაშვილის) კაბინეტია, რომელშიც, როგორც თავადაც ხედავთ, მდიდრული ინტერიერისა და ფუფუნების საგნების გარდა, არათუ ხატის ჭაჭანება არ არის, ქრისტიანულ ჯვარსაც ვერსად მოჰკრავთ თვალს**

ახლა, რაც შეეხება იმას, თუ რატომ ვიხსენიებ ფოთის ეპისკოპოსს ყანდურად: მეუფე გრიგოლი, ერისკაცობაში გურამ ბერბიჭაშვილი, ნამდვილად არ ყოფილა ბაზრის ქურდი, არც საცოლეს საკაბე მოუპარავს და მითუმეტეს „მშიერი და ტილიანი“ არავინ დადიოდა მაშინ.

ისე, „მე და ეგ ერთად ვისხედით“ თბილისის №134-ე (ამჟამად 35-ე საფეხბურთო სკოლა) სკოლაში 5 წელიწადი ერთ კლასში. თუმცა ამ შემთხვევაში „თანაკლასელობა“ ხმამაღლაა ნათქვამი, რადგანაც ვალოდია ჯინჭარაძესავით რადიატორთან უფრო იჯდა — ვერ ვიხსენებ მას სადმე კლასელების შეკრებაზე, მაშინ ძირითადად ერთმანეთის დაბადების დღეებზე დავდიოდით; ვერც იმას, თუ ვინმესთან განსაკუთრებულად ძმაკაცობდა; არც ფეხბურთის თამაშში; არც კოლექტიურ შატალოზე და ა. შ. რა ვიცი კიდევ, თანაკლასელობა სხვა რა არის?!

მოკლედ იყო, რა, ჩუმჩუმელას რომ ეტყვიან, ისე. კაცი ვერ გაიგებდა, რა უყვარდა და რა სძულდა, რა უხაროდა და რა სწყინდა და, ალბათ, მის ოდესღაც არსებობასაც მხოლოდ მესამე კლასში გადაღებული კოლექტიური ფოტოთი თუ გავიხსენებდი, რომ არა გურამ ბერბიჭაშვილის მოულოდნელი თავბრუდამხვევი საეკლესიო კარიერა, მაგრამ ამაზე ქვემოთ...

ისე, არც კლიჩკა ჰქონია (მაგასაც „დამსახურება“ უნდა) და ამიტომ წერილის სათაური მიჩუქებია — ვინძლო ისე მიეკეროს, როგორც თავის დროზე თეა თუთბერიძეს მივაკერე ამავე გაზეთში, „ბუდარიხა“!

**რაც შეეხება მის „კრიმინალურ წარსულს“, ერთხელ და სამუდამოდ მინდა ნათელი მოვფინო — სხვისი მოპარული მანქანები გადაჰყავდა „ჩერეზ“ (მაშინ ჯერ კიდევ ორჯონიკიძე ერქვა) ვლადიკავკაზით და ჰერი, ჰერი იქით, დიდ რუსეთში, სადაც მოიხადა კიდეც რამდენიმეწლიანი სასჯელი!**

ეს ისე, ცნობისთვის. ეგ იყო და ეგ, რადგან ჩასაფრებულ, არამკითხე ჟურნალისტებს იმდენი ჭორი დაუწერიათ თუ უთქვამთ მეუფე ყანდურის ჯეელობაში ჩადენილი კრიმინალის შესახებ, რომ, როგორც ბექარა ჯეირანაშვილი იტყოდა, „თავადაც შამშინებია“. არა, ბატონო ჟურნალისტებო, ბალთაზარ კოსა ნამდვილად ვერ არის ჩვენი მეუფე ყანდური. დიდი, დიდი ნაქურდალის გამსაღებლობა „გაქაჩოს“, ანუ ბარიგობასაც რომ ეტყვიან და რადგან არც „ტაძარი დაუძრავს რუსეთში“, ვერც იმას დაადასტურებს ვინმე, რომ კოსტა დასტურიძესავით „გარგლიტოლა და ჭერმიტოლა“ ბრილიანტებს ყლაპავდა და ასე „უტეხავდა“ ქურდებს წილებს...

**„ის ვადა მოიხადა, ყინწვისის მონასტერში ბერად აღიკვეცა. რამდენიმე წელიწადი იქ იყო, მერე რაღაცნაირად მოახერხა, შავი მანტია გაიხადა, მღვდლად ეკურთხა და იქ სწირავდა, სანამ ეგზარხოსად მთავარეპისკოპოს ალექსი ოპოცკის დანიშნავდნენ“,** — ასეთი ეპიზოდიც არის „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟის, ყანდურის, ბიოგრაფიაში. ჩვენი მეუფე გრიგოლ-ყანდურის უფლისკენ სავალი გზაც შავი ბერობით უნდა დაწყებულიყო ისევე, როგორც ყველა ნაციხარის უმეტესობისა. მისასალმებელია, რომ სინანულში ჩავარდნილ ნაპატიმრალს უფალთან მისასვლელ გზას არ უკეტავს ჩვენი დედაეკლესია, მაგრამ, დალოცვილო, გზაც არის და გზაც — **კრიმინალური წარსულის თუ სხვა მძიმე ცოდვის „ძე შეცთომილნი“, როგორც წესი, მიყრუებულ მონასტრებში აღიკვეცებიან ხოლმე და იქ, ამქვეყნიური ამაოებისგან შორს, შავი ბერის ჩოხაში მარხულობენ, ლიტანიობენ და მარტვილობენ, ეს კიდევ ლამის ყოველ ნაბიჯზე იძახის საქართველოს მომავალი პატრიარქი მე ვარო!...**

ეკლესიური გზა ერთია და კარიერა — მეორე. **არა მგონია, ერისთვის და მრევლისთვის სასიამოვნო იყოს, რომ გუშინდელი, თუნდაც გულწრფელი სინანულით ცოდვამონანიებული, მაგრამ მაინც „ნაბარიგალი“, დღეს ეკლესიის უმაღლესი იერარქი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპარქიის ხელმძღვანელი და წმინდა სინოდის წევრი რომაა! მითუმეტეს მაშინ, თუ ნაპატიმრალი იერარქი არა მხოლოდ ზემოთ ნახსენებ სატელევიზიო კადრებში გამოირჩეოდა, არამედ ადრეც იყო შემჩნეული, რბილად თუ ვიტყვით, უკეთურობაში...**

გახსოვთ, ალბათ, 2009 წელს აზვირთებული საპროტესტო მოძრაობისას, როდესაც მთელი სტადიონი ხალხი მიაყენეს სამების ტაძარს, რათა ერის სულიერი მამისგან მოესმინათ ის, რასაც „ჩუმის ნატვრითა ნატრობდა ქართველი“. ეს არ მოხდა და იქნებ მართებულადაც, რადგანაც პატრიარქის მიერ გაკეთებულ მკვეთრ განცხადებას შეიძლება ფატალური შედეგები მოჰყოლოდა. სამაგიეროდ მეორე დღეს გააკეთა მისმა უწმინდესობამ შედარებით რბილი განცხადება, ვადამდელი და სამართლიანი არჩევნების აუცილებლობის შესახებ!

ჰოდა, მაშინ ისიც გემახსოვრებათ, რომ ხმა გავარდა თბილისში, ილია მეორეს სინოდის სამმა წევრმა ულტიმატუმი წაუყენა გადადგომის და ახალი პატრიარქის არჩევამდე სინოდალური მმართველობის შემოღების თაობაზეო. იმ სამიდან ერთ-ერთად სწორედ მეუფე ყანდური სახელდებოდა!

საპატრიარქომ, რა თქმა უნდა, უარყო ეს ამბავი, მაგრამ „შუბი ხალთაში ვერ დაიმალა“ და დღესაც დარწმუნებულია საზოგადოების უმრავლესობა იმ ინფორმაციის ნამდვილობაში!

ამასთან დაკავშირებით მინდა ერთი „საიდუმლო გაგიმხილოთ“: ჩემი თან- ▶

**პატრიარქის ნების საწინააღმდეგო ამ ცინიკური განჩინების ავტორები სინოდში არსებული იმ დაჯგუფების წევრები არიან, რომლებიც, სამწუხაროდ, უმრავლესობას წარმოადგენენ და რომელთა ერთ-ერთი ლიდერიც უეჭველად მეუფე ყანდურია, რადგანაც სწორედ იგი ბრძანდებოდა ერთ-ერთი იმ „ტროიკიდან“, ვის ფონზეც წაგვიკითხეს იმ სამარცხვინო განჩინების ტექსტი!**

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხელისუფლების შეცვლისთანავე, როგორც ზონდერებს — სასამართლო, ისე ყანდურებს ახალი რუის-ურბნისის კრება არ ასცდებათ!



ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი, მეუფე გრიგოლი (ბერბიჭაშვილი). კადრი სამუშაო კაბინეტიდან



ყანდური
კადრი ფილმიდან „დათა თუთაშხია“

◀ დასწრებით დაურეკა ამით აღშფოთებულმა რეზო ამაშუკელმა მეუფე ყანდურს და პოეტისათვის „შეუფერებელი“ ლექსიკით, რომ იტყვიან, „ტრუბაში გააძვრინა“ მოულოდნელობისგან თუ შიშით ხმაჩაკმენდილი მიტროპოლიტი!

ბარემ აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ბატონ რეზოს ამას წინათაც ვესაუბრე, მითხრა: — ნაცების ხელისუფლებაში დარჩენის შემთხვევაში, გადაწყვეტილია პატრიარქის გადაყენება და ამიტომ ხმამაღლა ვაცხადებ, რომ, ეს თუ გაბედეს, პირადად გავალ ქუჩაში და მთელ საქართველოს ფეხზე დავაყენებო!

ვფიქრობ, დაეჯერება ამ ხელისუფლებასთან უკომპრომისობით ცნობილ პოეტს. მითუმეტეს რომ მსგავსი საუბრები ამ ბოლო ხანს საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილშიც მუსირებს და, რაც ყველაზე მთავარია, ხელისუფლების ასეთი სურვილები არსებული ვითარების ლოგიკურ გაგრძელებად მოჩანს...

მერე იყო და შარშან ზაფხულს, როდესაც პარლამენტში ის კანონი მიიღეს ურა-ვაშათი, რომლითაც ორიათასწლოვანი ქართული ეკლესია იურიდიულ-უფლებრივად არა თუ ე. წ. ტრადიციულ კონფესიებს, არამედ სატანისტურ სექტებსაც კი გაუთანაბრდა, საქართველოს პატრიარქის განცხადების შემდეგ, რომ ეს ამბავი, არც მეტი, არც ნაკლები, მომავალში საქართველოს ეკლესიის ამოგდებას ნიშნავდა, ერი და ბერი ქუჩაში გამოვიდა. სამი დღის მანძილზე, გაგანია სიცხეში, ქაშუეთი-სამების „ტრასაზე“ იქით-აქეთ გვატარეს და შემდეგ წმინდა სინოდის განჩინება აგვაფარეს სახეზე, რომელიც ღაღადებდა, რომ სინოდმა გააკეთა მთავარი — შენარჩუნებულ იქნა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ერთსულოვნება!

პატრიარქის ნების საწინააღმდეგო ამ ცინიკური განჩინების ავტორები სინოდში არსებული იმ დაჯგუფების წევრები არიან, რომლებიც, სამწუხაროდ, უმრავლესობას წარმოადგენენ და რომელთა ერთ-ერთი ლიდერიც უეჭველად მეუფე ყანდურია, რადგანაც სწორედ იგი ბრძანდებოდა ერთ-ერთი იმ „ტროიკიდან“, ვის ფონზეც წაგვიკითხეს იმ სამარცხვინო განჩინების ტექსტი!

ისე, ცნობისათვის: 1917 წელს, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალია აღიდგინა , მაშინვე შეიქმნა წმინდა სინოდის პარალელურად, ე. წ. საკათალიკოსო საბჭო, რომელშიც ისეთი მამულიშვილები შედიოდნენ, როგორებიც იყვნენ: კორნელი კეკელიძე, სიმონ ჯანაშია, ივანე ჯავახიშვილი და ა.შ. სხვა მრავალი ავტორიტეტები.

მაშინდელი წმინდა სინოდი, დღევანდელივით დახურულ, გასაიდუმლოვებულ რეჟიმში კი არ მოღვაწეობდა, არამედ, თვით ლეგენდარული, წმინდა ამბროსი ხელაიას მეუფების ჟამსაც კი წმინდა სინოდი საკათალიკოსო საბჭოსთან კონსულტაციის, ანუ, მათი აზრის გათვალისწინების გარეშე არ იღებდა ერისა და ბერისთვის უმნიშვნელოვანეს განჩინებებს!!!

გვინდა თუ არა, არსებობენ სიკეთით ან ბოროტებით ისტორიულად დაღდასმული გვარ-სახელები. ამიტომ არის, რომ, როდესაც მაია ორჯონიკიძე ლაპარაკობს, მიუხედავად იმისა, რომ ის მამაკაცი არ არის, მაინც სერგო ორჯონიკიძე გახსენდება, ხოლო, როდესაც იმავეს ლევან ჩოლოყაშვილი სჩადის, გული გწყდება, რომ სახელოვანი გვარიშვილია...

**მიმიხვდით არა მინიშნებას? — გიგლა ბერბიჭაშვილმა ილია ჭავჭავაძეს ტყვია დაახალა, ხოლო მეუფე ყანდური (ერისკაცობაში გურამ ბერბიჭაშვილი) ილია მეორეს უთხრის საფლავს! თორემ ვინ მამაძაღლი, ყანდური, რომ რუის-ურბნელი მეუფე იობი იყოს, მისი ბერბიჭაშვილობა ვის გაახსენდებოდა?!**

ეს ისე, მცირე ლირიული გადახვევა, განტვირთვისთვის...

ხუმრობა გაშვებით: სინოდის ხელისუფლებიდან მართულ წევრებს ტროცკისტულ დაჯგუფებადაც უხმობენ, რომელთა მიმართ ნაცების კეთილგანწყობის ხილული სიმბოლო ის ყბადაღებული შავი ჯიპებია. რაც შეეხება უხილავს, „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა“, ანუ მხოლოდ ვარაუდები შეგვიძლია. თუმცა, როგორც ამბობენ, ასეთი მამაოების, რბილად რომ ვთქვათ, კონფორმიზმი ხელისუფლების ხელში მათზე არსებული კომპრომატებითაც არის განპირობებული!

ჰოდა, ისინიც „ტუფლებიდან ხტებიან“ და ზოგი (კალისტრატე) კვირაში ერთხელ აღმაშენებელს უტოლებს სააკაშვილს, ხოლო ზოგიც (მამა შიო შავნაბადელი), ვისაც მიშა არ გიყვართ, აქ არ შემოხვიდეთო! ყველანი ერთად კი, დაწყევლის მუქარით საკუთარ მრევლს მოუწოდებენ, რომ არჩევნებზე ხუთიანი შემოხაზონ, რადგანაც კარგად უწყიან, რომ ხელისუფლების შეცვლისთანავე, როგორც მიშნაცებს — სასამართლო, ისე ყანდურებს ახალი რუისურბნისი არ ასცდებათ!

**და რა არის ეს, თუ არა შეფარული ადმინისტრაციული, ოღონდ ეკლესიური რესურსი? თანაც ისეთი კომუფლირებული, ვერც ერთი სადამკვირვებლო მისია ვერ მოედავებათ — პატრიარქის მოწოდება ბაგრატის ტაძრის კურთხევის დღისთვის ხომ პრაქტიკულად სააკაშვილის პიარაქციად აქცია მეუფე კალისტრატემ — აი, იქ იდგა დავით აღმაშენებელი მეფედ კურთხევის დროსო და, ვით ჭყონდიდელმა, ძვირფასი ჯვარ-ხატი უბოძა „ახალ აღმაშენებელს“.**

**„ქართული ოცნების“ დისკრედიტაციის კარგად დაგეგმილ მცდელობასაც ჰგავდა ეს აშკარა ფარისევლობა! რაც ნაწილობრივ მოხერხდა კიდეც, რადგანაც ბევრი უკმაყოფილო შეფასება მოვისმინე იმ დღეს და კიდევ კარგი, „მეოცნებეებმა“ „არ ჭამეს“ და პურის საჭმელადაც არ დასხდნენ ბანკეტზე, თორემ ვინ იცის, ბახუსი ოხერია და იქნებ სააკაშვილ-ალასანიას ვახტანგურიც გვეხილა...**

შემდეგი ბანკეტი მომავალ კვირას, არჩევნებამდე სულ რაღაც ერთი კვირით ადრე, დაიგეგმა მეუფე ყანდურის ეპარქიაში, სადაც ახალი, აიასოფიად წოდებული ფოთის ტაძარი უნდა აკურთხონ და სადაც ასევე მიიწვია მისმა უწმინდესობამ პოზიციაც და ოპოზიციაც; ტაძარი, რომლის ეზოშიც გამოკრულია სააკაშვილის ვებერთელა სურათები, რაც გახდა კიდეც მიზეზი მეუფე ყანდურის კონფლიქტისა ჟურნალისტებთან!

ვნახოთ, რა იქნება: აიღებენ თუ არა ნაცების ადმინისტრაციულ-ეკლესიური რესურსის აშკარა ნიმუშს? ამჯერადაც მორჩილად მიიღებს პატრიაქის მიპატიჟებას ოპოზიცია და კიდევ ერთხელ გახდება ფარისევლური მასკარადის მონაწილე თუ?.. და ყველაზე მთავარი — „გაქაჩავს“ კი მთელი კვირა პრეზიდენტი თუ ჯოჯოების, მუმიების, მღრღნელების ლექსიკას დაუბრუნდება?!

**დავით მხეიძე**

**„მოპარული მანქანები გადაჰყავდა „ჩერეზ“ (მაშინ ჯერ კიდევ ორჯონიკიძე ერქვა) ვლადიკავკაზით და ჰერი, ჰერი იქით, დიდ რუსეთში, სადაც მოიხადა კიდეც რამდენიმეწლიანი სასჯელი!“**



**P.S. ღმერთია მოწამე, რომ ამ წერილის დაწერა არ მინდოდა, რადგანაც ქართველი ვარ და საკუთარ კლასელზე საუბრისას, თუნდაც მასზე, ვისთანაც საერთო არასოდეს არაფერი მქონია, მაინც გული მეთანაღრება, მაგრამ წერილის თავში ნახსენები ეპიზოდი ბოლო წვეთი აღმოჩნდა, თორემ ყოველივე ზემოთქმულიდან ხომ ჩანს, რომ მსგავსი წერილის შექმნის მიზეზ-საბაბი ადრეც მქონია?!**

**წერილი უკვე თითქმის მზად მქონდა, როდესაც შევიტყვე, რომ ვიღაც გათახსირებულებს ქაშუეთის გალავნის კედელზე წმინდა ნინოს ფემინისტური კარიკატურა მიუჯღაბნიათ წარწერა-მოწოდებით „თავისუფლება Ppussi riot-ს!“, ანუ იმ პანკ-ფემინისტთა ტრიოს, რომელთაც რუსეთში მაცხოვრის ტაძრის წაბილწვისთვის ორ-ორი წელი „მიარჭეს“!**

**ეს საგანგაშო ფაქტი (წმინდა ნინოს შეურაცხყოფა), რომ იტყვიან, „ლაითად“ გაშუქდა — „მაესტრომ“ სულ რაღაც ნახევარწუთიანი სიუჟეტი მიუძღვნა. არადა, ამერიკელებს მუჰამედის შეურაცხმყოფელი ფილმით ამაზე მეტი კი არაფერი გაუკეთებიათ, რის გამოც მუსლიმებმა ლამის მთელი მსოფლიო ააოხრეს და დღესაც ვერ დაწყნარებულან!!!**

**რაც ყველაზე მეტად საწყენია, ქაშუეთის ეზოში გამართულ მცირერიცხოვან საპროტესტო აქციაზე საერთოდ არ ჩანდნენ მაღალი რანგის სასულიერო პირები და საპატრიარქოც ჯერჯერობით დუმს.**

**არადა, სწორედ მათ უნდა დაერისხებინათ განგაშის ზარები და ახლა მეუფე ყანდურზე კი არ უნდა ვწერდე, არამედ მთელი მედია ამით უნდა იყოს გაჯერებული!**

**და ბოლოს, ერთი შეკითხვა, რომელზე ფიქრიც მზარავს, მაგრამ რომელიც აუცილებლად უნდა დაისვას — რა კომპრომატი აქვს ხელისუფლებას ასეთი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქებზე, რომ სასულიერო პირებს, რომლებიც მხოლოდ უფლისა და სჯულის კანონის წინაშე უნდა იყვნენ მორჩილნი, ასე ციბრუტივით ატრიალებს თავის ნებაზე?**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისლამური სამყაროს მიზანმიმართული პროვოცირება ერთადერთ მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს – დაიწყოს დიდი ქაოსი ისლამურ სამყაროში... ისლამურ სამყაროში აზვირთებული ქაოსი კი ძალიან მალე და ძალიან ადვილად შეიძლება გადაიზარდოს ახალ მსოფლიო ომში...**



# იბერია გაბრწყინდება – რა მნიშვნელობა აქვს სადაური პლუტონიუმით

**ექსპერტები ვაშინგტონს „არაბული გაზაფხულის“ გარიჟრაჟზევე აფრთხილებდნენ, რომ არაბულ სივრცეში მყიფე ბალანსის დარღვევას, ამ ქვეყნებში დემოკრატიის ცეცხლითა და მახვილით იმპორტს მოჰყვებოდა სერიოზული რყევები, რაც, საბოლოო ჯამში, მეტ-ნაკლებად სტაბილური სამოქალაქო რეჟიმების რადიკალი ისლამისტებით ჩანაცვლებას გამოიწვევდა. აშშ-მა ეს გაფრთხილება ყურად არ იღო და, არათუ სიფრთხილე არ გამოიჩინა, ტანკებით და ქვემეხებით მოიყვანა ხელისუფლებაში ე.წ. ამბოხებულები, რომელთა უმრავლესობაც ჩვეულებრივი ექსტრემისტები იყვნენ.**

დღეს იგივე ხდება სირიაში — ამერიკელები აღარც მალავენ, რომ ამ ქვეყანაში მათივე ხელშეწყობით იბრძვის 6 ათასზე მეტი დაქირავებული მეომარი. ეს ხალხი, ძირითადად, მუსლიმანური სამყაროდან არიან და მათი დიდი ნაწილი პირდაპირ კავშირშია როგორც „ალ ქაიდასთან“, ასევე სხვა, თეთრი სახლის მიერ ტერორისტულად აღიარებულ ორგანიზაციასთან.

**აშშ, ფაქტობრივად, მხარს უჭერს სირიაში ასადის ხელისუფლების „ალ ქაიდათი“ ჩანაცვლებას, რაც უფრო და უფრო ამყარებს ისევ და ისევ აშშ-ის წრეებში ჩამოყალიბებულ აზრს, რომ „ალ ქაიდას“ სახელით ცნობილი ტერორისტული ორგანიზაცია სინამდვილეში არის ამერიკის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი ინსტრუმენტი თეთრი სახლის პოლიტიკისთვის საჭირო ფონის შექმნაში „შავი სამუშაოს“ შესასრულებლად.**

თუ „ალ ქაიდას“ მოქმედებების პირდაპირ მართვაზე არა, სულ ცოტა, აშშ-სა და „ალ ქაიდას“ ალიანსზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ არც ერთ არაბულ ქვეყანაში, სადაც „არაბული რევოლუციის“ ფარგლებში ხელისუფლების ცვლილება მოხდა, თეთრ სახლს ხელი არ შეუშლია „ალ ქაიდასთან“ დაახლოებული რადიკალი ისლამისტებისთვის, — მეტი და მეტი ძალაუფლება აეღოთ ხელში.

ფილმის „ისლამის უცოდველობა“, რომელიც დღე-დღეზე, შესაძლოა, გლობალური სამხედრო კონფლიქტის მიზეზიც გახდეს, გადაღება 5 მილიონი დოლარი დაჯდა. თუ წინაპირობებს გავითვალისწინებთ და გავიხსენებთ, რა რეაქცია ჰქონდა მუსლიმანურ სამყაროს მუჰამედის კარიკატურების გამოქვეყნებაზე, ცხადი გახდება, რომ გამორიცხულია, ვაშინგტონში არ ცოდნოდათ, თუ რა რეაქცია ექნებოდა ისლამურ სამყაროს ამ ფილმზე.

**მათ ეს იცოდნენ, მაგრამ ფილმი მაინც გაუშვეს, უფრო მეტიც: აშშ-ის ოფიციოზმა უკვე განაცხადა, რომ, მუსლიმანური სამყაროს პროტესტის მიუხედავად, ეს ფილმი არ აიკრძალება. ეს კი ერთადერთ რამეს ნიშნავს — ამერიკელები განგებ ძაბავენ ვითარებას, მიდიან კონფლიქტის ესკალაციაზე და ღიად პროვოცირებენ, რათა ამ ფილმზე მუსლიმანების პროტესტი გაცილებით დიდ და უკიდურესად მძიმე შედეგების მქონე დაპირისპირებაში გადაიზარდოს.**

ეს ფილმი, ფაქტობრივად, იმავე დანიშნულებას ასრულებს, რა დანიშნულებაც ჰქონდა გასროლას სარაევოში, როდესაც გავრილ პრინციპის მიერ პრინც ფერდინანდის მკვლელობა პირველი მსოფლიო ომის დაწყების საბაბი გახდა.

**ისლამური სამყაროს მიზანმიმართული პროვოცირება ერთადერთ მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს – დაიწყოს დიდი ქაოსი ისლამურ სამყაროში... ისლამურ სამყაროში აზვირთებული ქაოსი კი ძალიან მალე და ძალიან ადვილად შეიძლება გადაიზარდოს ახალ მსოფლიო ომში...**

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ, როგორც „არაბული გაზაფხული“, ასევე სირიაში მიმდინარე პროცესები და ის, რისი პროვოცირებაც მოხდა ფილმით „ისლამის უცოდველობა“, არის აშშ-ის სამზადისი ახალი მსოფლიო ომისთვის. თუ ამ ომის თეატრი ისლამურ სამყაროში გაიშლება, იგი მთელი ევრაზიული სივრცის, უპირველესად კი ჩინეთისა და რუსეთისთვის, გახდება დესტაბილიზაციის წყარო.

საგულისხმოა, რომ **ამერიკელებმა უკვე მოახერხეს და არაბული სამყაროს პროტესტი ანტიამერიკული პროტესტიდან წარმატებით გადაიყვანეს ანტიქრისტიანულ პროტესტში. ცნობილია, რომ ამ ფილმის ავტორებიდან ორი არის ქრისტიანი კოპტი.** კოპტების, ანუ ეგვიპტელი ქრისტიანების დიდი ნაწილი კი მართლმადიდებელია. ამ ფილმის ერთ-ერთი როლის შემსრულებელი სულაც ქართველი გახლავთ, მსახიობმა ანა გურჯმა (გიორგობიანი), რომელმაც გახმაურებულ ფილმში „ისლამის უცოდველობა“ ითამაშა, ღია წერილი გამოაქვეყნა. იგი აცხადებს, რომ ფილმის რეჟისორ ნაკულა ბესლის გეგმების შესახებ არაფერი იცოდა.

**„იმ დროის განმავლობაში, რაც მე „ისლამის უცოდველობის“ გადასაღებ მოედანზე გავატარე, არასდროს ყოფილა საუბარი წინასწარმეტყველ მუჰამედსა და რელიგიურ კონტექსტზე. 100%-ით ვარ დარწმუნებული, რომ გადასაღებ მოედანზე არავინ იცოდა, რა იგეგმებოდა „უდაბნოს ბრძოლების“ (ფილმის სამუშაო სათაური) თაობაზე, —** წერს **ანა გურჯი** და ამბობს, რომ საბოლოო პროდუქტმა გააოგნა. — **როდესაც შევიტყვე, რაც მოხდა, ცრემლი ვერ შევიკავე. ნამსხვრევებად ვარ ქცეული... მტკივნეულია იმის გაცნობიერება, რომ რაღაც საზიზღრობის შესაქმნელად გამოგვიყენეს. ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით“.**

ეგვიპტეში უკვე დაიწყო ადგილობრივი ქრისტიანების დარბევა. ასეთი რეაქცია მოსალოდნელიც იყო, რადგან **რელიგიურგრძნობებშეურაცხყოფილი ისლამისტებისთვის ამერიკა და ამერიკელები შორს არიან, ქრისტიანები კი აქვე — ერთი ხელის გაწვდენაზე.**

მხოლოდ დროის საკითხია, თუ როდის გადავა და გავრცელდება აშშ-ის მიერ პროვოცირებული რადიკალი ისლამისტების აგრესია სხვა ქრისტიანული სახელმწიფოებსა და რეგიონებზე.

**დიდი ხანია, ამერიკელი სტრატეგების სამიზნეს ქრისტიანული სამყაროს ისლამთან დაპირისპირება წარმოადგენს.** სადამ ჰუსეინის დროინდელ ერაყში მილიონ რვაასი ათასი ქრისტიანი ცხოვრობდა, დღეს მათი რიცხვი 500 ათასს არ აჭარბებს, დანარჩენი, ანუ მილიონ სამასი ათასი კი ან დახოცეს, ან იძულებული გახადეს, ემიგრაციაში წასულიყო. **იმისათვის, რომ ქრისტიანებისა და რადიკალი ისლამისტების დაპირისპირება გაემწვავებინათ, და ამ ქიშპისათვის მსოფლიო მასშტაბი მიეცათ, ამერიკელებმა მხარი დაუჭირეს ალბანელებს, რომ მათ შუაგულ ევროპაში, სერბეთის ისტორიული ტერიტორიის ხარჯზე, შეექმნათ ისლამური სახელმწიფო. ამ პროცესისა და კოსოვოში ნატოს ჯარის შეჭრის შედეგად დაინგრა 150-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი, ხოლო ალბანელი ბოევიკების მიერ ეკლესიების სამრეკლოებზე ჩამოხრჩობილი ქრისტიანი მღვდელმსახურების ფოტოებმა მსოფლიო შემოიარეს.**

ვფიქრობ, გასაგებია, საით შეიძლება წაგვიყვანოს „პრაგმატული“ ამერიკელების ამ ავანტიურამ; ასევე გასაგებია და ფაქტია, რომ საქართველო მყარად ზის ამერიკელების ამ გეგმაში, როგორც მითითებების ბრმად და უპირობოდ შემსრულებელი ფიგურა. სავარაუდოდ, სწორედ ამ მიზნებს ემსახურება ის გარემოება, რომელიც ლაფანყურის ინციდენტმაც დაადასტურა — **საქართველოს მეშვეობით უნდა მოხდეს ჩრდილოეთ კავკასიელი ბოევიკების წახალისება და რუსეთის სამხრეთ რეგიონებში დესტაბილიზაციის ინიცირება.**

**თუ რა შედეგი შეიძლება მოუტანოს საქართველოს სამხრეთ კავკასიაში მოსკოვის ინტერესების ტორპედირებამ და რუსეთის მიმართულებით დესტაბილიზაციის, არეულობის გამომწვევი ნაბიჯების გადადგმის დავალების ბრმად შესრულებამ, ეს 2008 წლის აგვისტოში ნაწილობრივ უკვე გამოვცადეთ.**

თუ მკითხველს ვარაუდი ახალი გლობალური კონფლიქტის რეალურობაზე უტრირებულად მოეჩვენება, შევახსენებ, რომ, ავტორიტეტული ამერიკული წყაროების მონაცემებით, შეერთებული შტატების ეკონომიკას აღარ ძალუძს, შეინარჩუნოს ქვეყნის შიგნით კეთილდღეობისა და მოხმარების ის დონე, რომელსაც შეჩვეულია საშუალო ამერიკელი ბურგერი და მმართველი კლასი. ფაქტია, რომ ამ კრიზისსა და კეთილდღეობის ვარდნას ვერც მრავალი ტრილიონი დოლარის კუპიურების ბეჭდვა შველის და ვერც სხვა ზომები, რომლებსაც აშშ-ის ადმინისტრაცია მიმართავს. აშშ-ში კეთილდღეობის ვარდნის პარალელურად აზიური ეკონომიკა სწრაფი ტემპით ვითარდება. აშშ იძულებულია, ან შეაჩეროს დანარჩენი მსოფლიოს განვითარება, ან უფრო ღრმად ჩაეფლოს კრიზისში.

ამ მოცემულობიდან გამომდინარე, **აშშ ცდილობს, შეაჩეროს ევრაზიული სივრცის განვითარება და შექმნას ისეთი გარემოება, რომ ნებისმიერ ფასად მოახერხოს კრიზისის დაძლევა. ამ მიზნის მისაღწევად კი საუკეთესო საშუალებაა ომი, რომლის პროვოცირებაც ამჟამად არაბულ სამყაროში მიმდინარეობს.**

მიმდინარე წლის დასაწყისში გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში **პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ** განაცხადა, რომ:

**„არის ერთი აქსიომა, რომელიც აშშ-ისა და ზოგადად დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური კურსის საფუძველში დევს: იმისათვის, რომ „ოქროს მილიარდის“ ქვეყნებში ახლანდელი მოხმარების მაღალი დონე შეინარჩუნონ, დანარჩენი კაცობრიობა სიღატაკეში უნდა ამყოფონ. პლანეტის რესურსები შეზღუდულია, ყველას კარგი ცხოვრებისთვის არ ეყოფა. დასავლეთს მოხმარების შემცირება არ უნდა. სცადეთ, ამერიკელებს შესთავაზოთ, მოიხმარონ იმაზე ნაკლები, ვიდრე ისინი მიეჩვიენ, — ისინი ნებისმიერ მთავრობას წალეკავენ. რა გამოსავალი აქვს ამერიკის მმართველ ელიტას? — ომი, დიდი ომი, რა თქმა უნდა, ამერიკის ფარგლებს გარეთ. ომი, რომელიც მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილს გამოფიტავს, ხოლო შემდეგ იქ მივლენ ამერიკელები თავიანთი დოლარით და ისევ ჩვეულ და ძალიან სარფიან საქმეს მიჰყოფენ ხელს — დოლარების გაყიდვას. ასე გამოვიდნენ ისინი კრიზისიდან მეორე მსოფლიო ომის წყალობით, ასე მოვიდნენ ისინი გამოფიტულ ევროპაში ომის შემდეგ“.**

ზემოთმოყვანილი პროგნოზი უკვე მწარე რეალობად იქცა. უფრო მეტიც, მან გაცილებით მძიმე ელფერი შეიძინა, რადგან არაბულ სამყაროში განვითარებულ სამხედრო კონფლიქტზე მსჯელობისას არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ კონფლიქტის სავარაუდო მონაწილეთაგან ერთ-ერთ უდიდეს მუსლიმანურ სახელმწიფოს, პაკისტანს, აქვს ბირთვული იარაღი. ბირთვულ იარაღს ფლობს ისრაელიც, რომელიც არაბულ სამყაროში ომის დაწყების შემთხვევაში აუცილებლად გახდება ისლამური სამყაროს სამიზნე. აქვე აღსანიშნავია, რომ პაკისტანი და ინდოეთიც ერთმანეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან და, თუ ამას დავუმატებთ, რომ ომი არაბულ სამყაროში უშუალოდ შეეხება ირანს, რომელიც ბირთვული იარაღის შექმნის ზღვარზეა, ცალსახაა, რომ ეს სამხედრო კონფლიქტი მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების გარეშე ვერ ჩაივლის.

ამ ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ **გლობალური დაპირისპირების შემთხვევაში კონფლიქტის მიღმა ვერც რუსეთი დარჩება და მითუმეტეს ვერც ჩინეთი, რომელიც ასევე ბირთვული სახელმწიფოა და რომელსაც სენკაკუს კუნძულების გამო შექმნილი დავის შედეგად იაპონიასთან ლამის საომარი მდგომარეობა აქვს გამოცხადებული.** თუ ჩინეთ-იაპონიის დაპირისპირება საომარ მოქმედებებში გადავა, აშშ იძულებული გახდება, იაპონიასთან თავდაცვითი ხელშეკრულების თანახმად, ტოკიოს მხარეზე ჩაერთოს კონფლიქტში, ხოლო სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ჩინეთისა და აშშ-ის სამხედრო დაპირისპირებამ, ძნელი მისახვედრი არ არის.

**დიდია ალბათობა, რომ ისლამური სამყაროს მიმართ განხორციელებული ახალი ამერიკული პროვოკაცია ადრე თუ გვიან მიგვიყვანს ბირთვულ დაპირისპირებამდე და ამ ყველაფრის დასაწყისი არც ისე შორსაა. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ არაბული კრიზისი სამხედრო ფაზაში ოქტომბრის ბოლომდე, ანუ აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე გადავა, რადგან არჩევნებამდე ორი ან ერთი კვირით ადრე დაწყებული ომის პირობებში, ნაკლებ სავარაუდოა, ამერიკულმა საზოგადოებამ თეთრი სახლის ადმინისტრაცია შეცვალოს და ობამას ნაცვლად პრეზიდენტად რომნის არჩევა ისურვოს.**

ჩვენი ხელისუფლების „გონივრული“ საგარეო პოლიტიკის წყალობით, საქართველო უსათუოდ აღმოჩნდება ამ კონფლიქტში ჩათრეული, თანაც აღმოჩნდება „სტრატეგიული პარტნიორების“, ანუ აშშ-ის მხარეს, რომელიც ჩვენ ირანის ან რუსეთის, სავარაუდოდ კი, ორივეს წინააღმდეგ გამოგვიყენებს, რაც ავტომატურად გვაქცევს საომარი მოქმედებების პლაცდარმად. თანამედროვე ომების პლაცდარმს კი, მით უფრო ახლა, როდესაც, როგორც არასდროს, მაღალია ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე, ერთადერთი პერსპექტივა აქვს – ხრიოკ, გადამწვარ ტერიტორიად გადაიქცეს...

ასე რომ, საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც ლამის დუჟმორეული გვიმტკიცებს, რომ იბერია სააკაშვილის სწორუპოვარი პოლიტიკის დამსახურებით, რახანია, გაბრწყინებულია, კვერიც კი შეგვიძლია დავუკრათ...

**დიახ, სააკაშვილის სწორუპოვრად ბრიყვული, დანაშაულებრივი პოლიტიკის წყალობით, იბერია, შესაძლოა, მართლაც გაბრწყინდეს** (ფუი ეშმაკს!) **და არანაირი მნიშვნელობა არ ექნება, თუ სადაური წარმოების პლუტონიუმით იქნება დამუხტული ქობინი, რომელიც მას გააბრწყინებს...**

**გიორგი მექმარიაშვილი**

**გასაკვირი არაა, რომ სააკაშვილი უკონკურენტო რეალობისკენ ისწრაფვის და მხოლოდ სუფთა (ან თუნდაც, ნაწილობრივ სუფთა) ტექნოლოგიების გამოყენებით ბრძოლა არ შეუძლია. ვერ გამოვრიცხავთ, რომ ის აცნობიერებს თავის მოკრძალებულ შესაძლებლობებს და მიიჩნევს, რომ ნებისმიერ, რამდენადმე გონიერ ოპონენტთან პაექრობაში, საინფორმაციო სივრცეში იქნება თუ სადმე სხვაგან, წარმატების მიღწევის შანსი არ აქვს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სააკაშვილის შემოდგომა

**არჩევნებამდე ათიოდე დღე რჩება. ფინიშის სწორზე განვითარებულ ბრძოლაზე დაკვირვება, ზოგადად, ძალზე საინტერესოა და დღეს საქართველოში ამას ნერვული, მძიმე წინათგრძნობებით სავსე მოლოდინი უკავშირდება. ვერავინ დადებს თავს იმაზე, რომ უახლოეს დღეებში ხელისუფლება გამორჩეულად კლინიკურს არაფერს ჩაიდენს.**

**მთელი კამპანიის განმავლობაში მმართველი პარტია ჯიუტად ავითარებდა ივანიშვილისა და პუტინის საიდუმლო კავშირის თემას, მას შემდეგაც კი, რაც ცხადი გახდა, რომ ეს ბრალდებები არაეფექტურია და აუდიტორია, უბრალოდ, დასცინის დუჟმორეულ სახელისუფლო პროპაგანდისტებს.** თუ დრამატურგიის კანონებს გავიხსენებთ და „ნაციონალური ლოგიკის" ჩანვდომას შევეცდებით, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ მათ, ისევე, როგორც წარსულში, საქმე ისევ „შეთქმულების გახსნამდე" და „გადატრიალების მცდელობის აღკვეთამდე" მიჰყავთ. ალბათ, **არც თუ უსაფუძვლოა ვარაუდი, რომ მალე ჩვენ ამ ძალისხმევის გვირგვინს, „ვანო ფიქჩერსის" (აწ უკვე „ბაჩო ენტერტეიმენტის") მორიგ ნაცოდვილარ შედევრს ვიხილავთ, რომელიც პუტინ-ივანიშვილის შეთქმულების ნეიტრალიზებაზე მოგვითხრობს.**

ნაკლებად სავარაუდოა, მსგავსმა ბრალდებებმა ამომრჩეველზე განმსაზღვრელი ზეგავლენა მოახდინოს. მეტიც, მათი ეფექტი, დიდი ალბათობით, ხელისუფლებისთვის ნეგატიური იქნება, თუმცა საბოლოო მიზანი შეიძლება სხვაგვარი იყოს. **მმართველი ჯგუფისთვის არასაკმარისია, ცესკომ მისთვის სასურველი ციფრები გამოაქვეყნოს. თუ ოპოზიციური კოალიცია ისეთივე ძლიერი დარჩება, როგორც დღეს არის, სააკაშვილის რეჟიმი მუდამ უსერიოზულესი საფრთხის წინაშე იდგება, მიუხედავად იმისა, რამდენი „ნაციონალი" შევა პარლამენტში.**

ამიტომ „ქართული ოცნების" ანიჰილაცია სააკაშვილის ჯგუფს, სავარაუდოდ, ხელისუფლების შენარჩუნების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად მიაჩნია, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე „ენ რაოდენობის" სადეპუტატო მანდატების მისაკუთრება. ამისთვის მან შეიძლება გამოიყენოს „შეთქმულებისა და აღკვეთილი გადატრიალების" თემა: **არჩევნების წინ** იმისთვის, რომ შეეცადოს (ალბათ, ამაოდ) ელექტორატზე ზემოქმედება მოახდინოს, უშუალოდ **არჩევნების შემდეგ** იმისთვის, რომ დამატებითი არგუმენტები ჰქონდეს ხარატიშვილის მიერ გამოცხადებულ შედეგებზე საუბრისას („ხალხმა დაინახა ვისთან აქვს საქმე"-ს სტილში), ხოლო **მოგვიანებით** — რეპრესიების გამართლებისთვის. აქედან გამომდინარე, **იმის ალბათობა, რომ უახლოეს დღეებში ხელისუფლება დიდ ეკრანზე მორიგ ჯაშუშურ ბლოკბასტერს გამოუშვებს, არც ისე მცირეა; არაერთი გარემოება მიანიშნებს იმაზე, რომ, ისევე, როგორც წარსულში, ამ მიმართულებით მიდიან.**

კიდევ ერთ უხეშ გამოხდომა ხელისუფლების მხრიდან არჩევნებამდე დარჩენილ დღეებში, შეიძლება ზუგდიდში, „ქართული ოცნების" 22 სექტემბრის აქციაზე ვიხილოთ. შესაძლო ინციდენტზე ზუგდიდში, უკვე რამდენიმე თვეა, საუბრობენ. ამ პერიოდის განმავლობაში ერთი მეორის მიყოლებით დაიმსხვრა მითები იმის თაობაზე, რომ ესა თუ ის ქალაქი (ქუთაისი, ბათუმი და ა. შ.) „ნაცმოძრაობის" მიმართ განსაკუთრებით ლოიალურია და უკანასკნელ ციტადელად ამ მხრივ ზუგდიდი მოიაზრება. ამ მითების მიზანმიმართული შეთხზვით ხელისუფლებამ თავად მიიყვანა საქმე იქამდე, რომ **ზუგდიდში „ქართული ოცნების" მიერ მასშტაბური აქციის ჩატარება ელექტორატის საკმაოდ მოცულობით ნაწილში აღქმული იქნება, როგორც სააკაშვილისა და ახალაიების ოჯახის დამამცირებელი მარცხი; შესაბამისად, ყველაფერი გაკეთდება ოპოზიციის ტრიუმფის ჩასაშლელად.**

**იმ გარემოებას, რომ არჩევნებამდე ძალიან ცოტა დრო რჩება და უცხოელი დამკვირვებლები ხელისუფლების ნებისმიერ ნაბიჯს გამადიდებელი შუშით აკვირდებიან, მინიმუმამდე დაჰყავს იმის ალბათობა, რომ ოპოზიციონერი დემონსტრანტების წინააღმდეგ რაიმე უმნიშვნელო ან სულაც გამოგონილი საბაბით ოფიციალური სამართალდამცავი სტრუქტურები ამოქმედდებიან. მაგრამ ნამდვილად არაა გამორიცხული, რომ ზონდერ-ბრიგადებს მასირებულად გამოიყენებენ და მეტად საშიშ პროვოკაციებს მოაწყობენ; თანაც ეს ის შემთხვევაა, როდესაც „ინიციატივა ადგილებზე" შეიძლება გონივრულობის ყოველგვარ ჩარჩოს გასცდეს.**

იმედია, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდება, თუმცა იმის საფრთხე, რომ ხელისუფლება 22-ში ზუგდიდში ძალიან ცუდად მოიქცევა, ნამდვილად არსებობს.

საქართველოში ხშირად საუბრობდნენ იმაზე, რომ უშუალოდ არჩევნების წინ სააკაშვილმა შეიძლება დაძაბოს ვითარება კონფლიქტური რეგი-



**ნამდვილად არაა გამორიცხული, რომ ზონდერ-ბრიგადებს მასირებულად გამოიყენებენ და მეტად საშიშ პროვოკაციებს მოაწყობენ; თანაც ეს ის შემთხვევაა, როდესაც «ინიციატივა ადგილებზე« შეიძლება გონივრულობის ყოველგვარ ჩარჩოს გასცდეს**

ონების სიახლოვეს ან რაიმე ისეთი მოიმოქმედოს, რაც ახალ ომს მთავარ, მეტად აქტუალურ თემად გადააქცევს. თუმცა, როდესაც ლოპოტას ხეობაში ტყვია გავარდა და ახალი საფრთხე გამოიკვეთა, საზოგადოების კრიტიკულად დიდი ნაწილი ხელისუფლების გვერდით კი არ დადგა (რაზეც, შესაძლოა, ოცნებობდა სააკაშვილი), არამედ შეუტია მას, პროვოკაციის მოწყობაში დაადანაშაულა და სიცრუეში ამხილა. როდესაც ქვეყანაში ასეთი სიტუაციაა, **ნაკლებად სავარაუდოა, ახალმა საომარმა თამაშმა არჩევნებამდე დარჩენილ ათიოდე დღეში ხელისუფლებას რაიმე სარგებელი მოუტანოს, რაც მისი დაწყების ალბათობას, ასე თუ ისე, ამცირებს.**

ყოველივე თქმული ეხებოდა უხეშ, ისტერიული ხასიათის ნაბიჯებს თამაშის წესებისა და გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინების გარეშე, რომელიც ხელისუფლებამ შეიძლება არჩევნებამდე დარჩენილ დეკადაში გადადგას. სამივე განხილული ვარიანტისთვის ანალოგის მოძებნა უახლოეს წარსულში შეიძლება, თუმცა **მმართველ ჯგუფს არ დარჩა საკმარისი რესურსი ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, რომელიც ყოველივე ამის „გაპრავებას" უზრუნველყოფს.** მიუხედავად ამისა, საკუთარ შიშებსა და ვნებებს აყოლილმა სააკაშვილმა ამის გაკეთება შეიძლება სცადოს.

**სააკაშვილს ჰაერივით სჭირდება არგუმენტები იმისთვის, რომ ნაწილობრივ მაინც დაარწმუნოს ქართული საზოგადოება და უცხოელები იმაში, რომ ციფრები, რომელთაც 2 ოქტომბერს ცესკო გამოაქვეყნებს** (იგულისხმება „ნაციონალებისთვის" სასურველი ვარიანტი), **ლოგიკურია და გაყალბების შედეგი არ არის.** „ენდიაის" რეიტინგებმა ეს როლი ვერ შეასრულა, მათ უნდობლობა საზოგადოების უმრავლესობამ გამოუცხადა (2/3-დან 3/4-მდე სხვადასხვა გამოკითხვის მიხედვით). აგდებული დამოკიდებულება ამ ორგანიზაციის წინასაარჩევნო გამოკითხვების მიმართ სხვადასხვა პოლიტიკოსმა და ექსპერტმა გაამყარეს და ბოლოს, ერთობ ირონიულად წინასაარჩევნო სოციოლოგიის თემაზე, თბილისში გასულ კვირას ჩამოსულმა ევროპელმა მინისტრებმა ისაუბრეს. **ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედგარ რინკევიჩმა** თქვა, რომ რომ **„ზოგჯერ წინასაარჩევნო გამოკითხვის შედეგები დიდად განსხვავდება რეალური შედეგისგან"** („ინტერპრესნიუსი"), **ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარელ შვარცენბერგმა** კი დაამატა: **„დიდი ყურადღება რომ მიმექცია წინასაარჩევნო გამოკითხვებისთვის, ათი წელია, პოლიტიკაში უკვე აღარ ვიქნებოდი".** ევროპელმა სტუმრებმა, შესაძლოა, ვერც კი შეამჩნიეს (ან კიდევ ძალიან კარგად შეამჩნიეს), რომ ამ, ერთი შეხედვით უწყინარი რეპლიკებით, „ენდიაის" რეიტინგების კუბოში უკანასკნელი ლურსმანი ჩააჭედეს. ასეა თუ ისე, **ფრაზა: „არჩევნების შედეგებმა ასახეს ობიექტური რეალობა, რომელიც ადრე „ენდიაის" გამოკითხვებში დაფიქსირდა", პოსტსაარჩევნო საქართველოში არ იმუშავებს.**

„ქართულმა ოცნებამ" აჯობა „ნაციონალურ მოძრობას" იმ თვალსაზრისით, რომ მოსაზრებები „სააკაშვილი აგებს", „ხელისუფლება მარცხდება", „გადარჩენისთვის იბრძვის", „25%-ზე მეტს ვერ აგროვებს" და ა.შ. გაცილებით ფართოდ გავრცელდა, ვიდრე საპირისპირო. **არა მხოლოდ ოპოზიციის მხარდამჭერებმა, არამედ ხელისუფლების მომხრეების დიდმა ნაწილმაც ირწმუნა, რომ „ნაცმოძრაობის" საქმე ძალიან ცუდადაა** (რეალურადაც უჭირს, თუმცა ამჯერად ჩვენ დამოკიდებულებასა და განწყობაზე ვსაუბრობთ). საინფორმაციო ომის ამ, უცხო თვალისთვის შეუმჩნეველ, ეპიზოდს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მასზე მიბმულია საკვანძო მტკიცებულება „გაყალბების გარეშე სააკაშვილს არაფერი გამოუვა". **სტრატეგიული მარცხი სააკაშვილმა მაშინ იწვნია, როდესაც ეს მოსაზრება საზოგადოებაში დომინანტური გახდა.** სწორედ მისგან გამომდინარეობს იმ პრობლემების უდიდესი ნაწილი, რომელიც დღეს აქვს; მანიპულირება „ენდიაის" რეიტინგებით ასეთი ფსიქოლოგიური ფონის პირობებში დადებითს ვერაფერს მოუტანდა.

თუ ცესკოს მიერ გამოცხადებული ციფრები დაახლოებით ისეთი იქნება, როგორც „ენდიაის" რეიტინგებში, ქუჩაში მილიონი ადამიანის გამოსვლა გარანტირებულია და ეს მოხდება არა იმდენად ბიძინა ივანიშვილის მოწოდების გამო, არამედ იმიტომ, რომ დემონსტრანტები შინაგანად დარწმუნებულები იქნებიან იმაში, რომ არჩევნები გაყალბდა. **რა ძალებით შეაჩერებს ხელისუფლება ამ მასას? ან რამდენი ჰყავს ყველაფერზე (!) ხელის მომწერი ზონდერი? ერთი ბატალიონი? ორბატალიონ-ნახევარი?** მაგრამ ყველა ეს პრობლემა, რომელიც სააკაშვილს შეიძლება რეალობაში შეექმნას, გამომდინარეობს იმ შეცდომებიდან, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების უხილავ სივრცეში დაუშვა.

**როდესაც 2004-ში დავწერე, რომ სააკაშვილს საზოგადოებასთან ურთიერთობის არაფერი გაეგება და მალე ნახევარ საქართველოს გადაიმტერებს, ლამის ერეტიკოსად შემრაცხეს.** მაშინ მიჩნეული იყო, რომ „პიარში" სააკაშვილი ისეთივე წარმატებულია, როგორც ბობი ფიშერი ჭადრაკში; თუმცა საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ მან და მისმა ჯგუფმა ვერ მოახერხა იმ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ფუნდამეტის გაჭრა, რომელსაც რეჟიმის ხანგრძლივი, სტაბილური არსებობა დაეფუძნებოდა. დაიწყო ქვეყნის კოშმარული მარში კრიზისიდან კრიზისამდე, რომლის დროსაც **ნათლად გამოჩნდა, რომ სააკაშვილის შესაძლებლობების მაქსიმუმი პრიმიტიული პროპაგანდაა, რომ მის ხელისუფლებას არ შეუძლია საზოგადოების მაღალტექნოლოგიური, ეფექტური საინფორმაციო დამუშავება და მოწინააღმდეგეებს ზებგერითი სიჩქარით იმრავლებს.** აქ საქმე მხოლოდ უგუნურ პოლიტიკაში როდია, ძალიან დიდი მნიშვნელობა მის საინფორმაციო უზრუნველყოფასა და ფსიქოლოგიურ ასპექტსაც აქვს.

ავიღოთ რომელიმე ბოლოდროინდელი ეპიზოდი, თუნდაც ინციდენტი ლოპოტას ხეობაში, რათა ვნახოთ, რომ, საინფორმაციო თვალსაზრისით, ხელისუფლებამ ის პირწმინდად წააგო. იგივე მოხდა არჩევნების შესაძლო გაყალბებასთან დაკავშირებით. ორივე შემთხვევაში ხელისუფლებას თითქოს ბრალდებულთა სკამზე სვამენ, ის კი წამოდგომას ცდილობს. წამოდგება თუ არა, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ის იმ მომენტშივე დამარცხდა, როდესაც პირობითი „სკამის" უშუალო სიახლოვეს აღმოჩნდა.

**გასაკვირი არაა, რომ სააკაშვილი უკონკურენტო რეალობისკენ ისწრაფვის და მხოლოდ სუფთა (ან თუნდაც, ნაწილობრივ სუფთა) ტექნოლოგიების გამოყენებით ბრძოლა არ შეუძლია. ვერ გამოვრიცხავთ, რომ ის აცნობიერებს თავის მოკრძალებულ შესაძლებლობებს და მიიჩნევს, რომ ნებისმიერ, რამდენადმე გონიერ ოპონენტთან პაექრობაში, საინფორმაციო სივრცეში იქნება თუ სადმე სხვაგან, წარმატების მიღწევის შანსი არ აქვს.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საელჩოების დარბევის დროს, ადგილობრივი დიქტატორები, ზია-ულ-ჰაკი პაკისტანში და კადაფი ლიბიაში, ძალიან უცნაურად იქცეოდნენ, ისინი განსაცდელში ჩავარდნილი ამერიკელებისთვის დახმარების აღმოჩენას არ ჩქარობდნენ. გაჩნდა ეჭვი, რომ მათ დემონსტრანტებს „ორთქლის გამოშვების“ შესაძლებლობა მისცეს, მეტიც, არაერთმა ავტორმა ივარაუდა, რომ მათ თავდასხმები განზრახ დაუშვეს ან სულაც დაგეგმეს.**



## საელჩოების დასაცავად აშშ საზღვაო ქვეითებს აგზავნის

**სუდანში აშშ-ის საელჩოს უსაფრთხოებას ამერიკელი საზღვაო ქვეითები უზრუნველყოფენ. ამის შესახებ მედია თეთრ სახლში წყაროზე დაყრდნობით იუწყება.** წყაროს ინფორმაციით, საზღვაო ქვეითების სპეციალური კონტრტერორისტული ქვედანაყოფი სუდანის დედაქალაქ ხარტუმში უახლოეს მომავალში ჩავა. წყაროს განმარტებით, ქვეითების გაგზავნის გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც ადგილობრივმა პოლიციამ დემონსტრანტებს, რომლებიც საელჩოში შეღწევას ცდილობდნენ, ცეცხლი გაუხსნა. საზღვაო ქვეითები ასევე გაიგზავნა ლიბიასა და იემენში, სადაც ანტიამერიკულ გამოსვლებს ოთხი ამერიკელი დიპლომატი და ათამდე დემონსტრანტი შეეწირა.



## Google-მა ამერიკის ხელისუფლებას «ისლამის უცოდველობის» ინტერნეტიდან ამოღებაზე უარი უთხრა

კომპანია Google-მა ამერიკის ხელისუფლებას ინტერნეტვიდეოს **„ისლამის უცოდველობის“** ინტერნეტიდან ამოღებაზე უარი უთხრა. როგორც კომპანიიდან იუწყებიან, აღნიშნული ვიდეოფილმი წინააღმდეგობაში არ მოდის ამერიკის შეერთებული შტატების კანონებთან, ამავე დროს, კომპანიამ აღნიშნა, რომ ჩვენება დაბლოკილია ინდოეთში, ინდონეზიასა და ეგვიპტეში, ამ ქვეყნების კანონმდებლობის გათვალისწინებით.




**გასულ კვირას მსოფლიო მზარდი, პანიკაში გარდამავალი შეშფოთებით ადევნებდა თვალს მოვლენებს მუსლიმანურ ქვეყნებში, რომლებიც საპროტესტო დემონსტრაციების ტალღამ მოიცვა. ეს გამოსვლები მშვიდობიანი ყველგან როდი იყო — ლიბიაში შეერთებული შტატების ელჩი და სამი მისი ხელქვეითი მოკლეს, იემენში, ეგვიპტესა და ტუნისში დემონსტრანტებმა აშშ-ის საელჩოს შტურმით აღება სცადეს, ხოლო სუდანში დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის საელჩოებსაც შეუტიეს; ინციდენტების მთელი სერია სხვა ქვეყნებშიც მოხდა. შეტაკებებში პოლიციელებთან, რომელნიც დასავლური სახელმწიფოების საელჩოებს იცავდნენ, ათზე მეტი ადამიანი დაიღუპა, ხოლო ასობით დაშავდა. რატომ მოხდა და რა პოლიტიკურ შედეგებს მოიტანს ყოველივე ეს?**

### თავსატეხი ობამასთვის

**დეტონატორად ამ მოვლენებისთვის იქცა აშშ-ში გადაღებული ფილმი „მუსლიმთა უცოდველობა“, რომელშიც მუჰამედი მატყუარად და უარყოფითი თვისებების მთელი ბუკეტის მატარებლად არის წარმოჩენილი, ხოლო მისი მიმდევრები — დაუნდობელ მკვლელებად; ამ ფილმის ტრეილერი „იუთუბზე“ ივლისში განათავსეს, სკანდალი კი მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც ის არაბულ ენაზე თარგმნეს და 8 სექტემბერს ორწუთიანი ნაწყვეტი ფილმიდან ეგვიპტურმა ტელეარხმა — „ალ-ნას ტვ“-მ აჩვენა.**

ფილმის რეჟისორია აშშ-ში მცხოვრები ნაკულა ბასელ ნაკულა (იგივე სემ ბეისილი), რომელიც ისლამს „კიბოს“ უწოდებს. ის თავს ეგვიპტელ კოპტად წარმოადგენს, ისევე, როგორც მორის სადეკი, რომელმაც ფილმი არაბულად თარგმნა. ფილმის მომზადებასა და პრომოუშენში მონაწილეობდა სკანდალურად ცნობილი პასტორი ტერი ჯონსი, რომელმაც თავი ყურანის დაწვით გაითქვა.

**ამ ფილმის მხატვრული ღირებულება, საყოველთაო აღიარებით, ნულოვანია, თუმცა აშკარაა, რომ მისი ავტორების მიზანი არა კინემატოგრაფის შედევრის შექმნა, არამედ პროვოკაციის მოწყობა იყო.** ამ მიზნის მიღწევა მათ ნამდვილად მოახერხეს. მთელი კვირის განმავლობაში უამრავი ჟურნალისტი (და კონსპიროლოგი) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ცდილობდა დაედგინა, ყოველივე მომხდარი თვითშემოქმედებით დაკავებული რამდენიმე ექსტრემისტის ძალისხმევის შედეგი იყო თუ დიდი შეთქმულების ნაწილი, რომლის უკან გაცილებით სერიოზული ძალები იდგნენ.

ერთი რამ ფაქტია: **უშუალოდ არჩევნების წინ ბარაკ ობამას საკმაოდ რთული სიტუაციის რეგულირება მოუხდა. მისმა არასწორმა ნაბიჯებმა ისეთი კრიზისის პირობებში, რომლის განვითარებაზე მრავალი, მათ შორის, ძნელად ამოსაცნობი ფაქტორი მოქმედებს, შეიძლება შეიწიროს უპირატესობა, რომლითაც ის მიტ რომნის წინასაარჩევნო რეიტინგებში უსწრებს.**

ობამა 6%-ით ლიდერობს, თუმცა იმ ამომრჩევლებს შორის, რომლებმაც გამოკითხვის დროს თქვეს, რომ ხმის მისაცემად, დიდი ალბათობით, მივლენ, ეს სხვაობა მხოლოდ 1 პროცენტია. ამასთანავე, კომენტატორების დიდი ნაწილი თვლის, რომ რომნი შედარებით მეტ ამომრჩეველს მიიზიდავს მათი რიგებიდან, ვინც ჯერ კიდევ მერყეობს. ამ ორი გარემოების მიუხედავად, ექსპერტები უპირატესობას მაინც ობამას ანიჭებენ, თუმცა აღიარებენ, რომ **წინასაარჩევნო ბრძოლის დასკვნითი ეტაპი საკმაოდ დრამატული იქნება. სწორედ ამ დროს მუსლიმანურ სამყაროში იწყება მოვლენები, რომელთაც შეიძლება სრულმასშტაბიანი კრიზისი და ობამასთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რამდენიმე პროცენტის „დადნობა“ მოჰყვეს.**

არაერთმა კომენტატორმა შენიშნა, რომ დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე, რომელიც 4-6 სექტემბერს ჩარლოტში (ჩრდილოეთ კაროლინა) ჩატარდა, ორგანიზატორები თითქოსდა ცდილობდნენ, „დაემალათ“ აშშ-ის 39-ე პრეზიდენტი ჯიმი კარტერი, ხოლო წინა პლანზე ბილ კლინტონი წამოეწიათ, როგორც „ყველაზე წარმატებული დემოკრატი პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტის შემდეგ“, ობამას პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენის პატივი წილად სწორედ მას ხვდა. გასაკვირი ამაში არაფერია, **ობამას შტაბისთვის ძალზე არასასურველია ნებისმიერი პარალელი მათ ლიდერსა და კარტერს შორის, მითუმეტეს, რომ მათი გავლება ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ხდება. ორივემ შეცვალა პოლიტიკა აღმოსავლეთში და ჯიმი კარტერისთვის ეს საბედისწერო გამოდგა.** იმაში, რომ ის რონალდ რეიგანთან 1980 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა უდიდესი (თუმცა არა ერთადერთი) როლი დიდმა აღმოსავლურმა კრიზისმა შეასრულა, განსაკუთრებით კი მისმა ერთ-ერთმა ეპიზოდმა, ირანში მძევლად ამერიკელი დიპლომატების აყვანამ, მათი გამოხსნის ამაო მცდელობებით.

**ახლა კი პარალელებისთვის გვერდის ავლა ძალიან რთული გახდა, რადგან 33 წლის წინ, ჯიმი კარტერისთვის საბედისწერო 1979-ში, ზუსტად ასე უტევდნენ მუსლიმანურ ქვეყნებში ხალხის უზარმაზარი მასები აშშ-ის საელჩოებს, იწვოდა შენობები, ილუპებოდნენ ადამიანები და მიაპობდნენ ტალღებს აღმოსავლეთით მიმავალი ამერიკული ხომალდები. ყველაფერი ეს უკვე იყო.**

### ქაოსის თეორია და პრაქტიკა

**ისევე, როგორც დღეს, „არაბული გაზაფხულის“ კვალობაზე, 1979-ში მუსლიმანური სამყარო დუღილის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამის მიზეზი ირანის ის-** ►

მოკლედ

## ტიმოშენკოს გიორგი ღონღაძის მკვლელობის თანამონაწილეობაში ადანაშაულებენ

**უკრაინის ექსპრეზიდენტის, ლეონიდ კუჩმას, ყოფილი დაცვის წევრი ნიკოლაი მელნიჩენკო 2000 წელს ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობის თანამონაწილედ ყოფილ პრემიერ-მინისტრს, იულია ტიმოშენკოს, ასახელებს.** ამის შესახებ მელნიჩენკო უკრაინის გენერალურ პროკურორს განცხადებით მიმართავს. მისივე განცხადებით, ამ ფაქტის შესახებ არსებობს აუდიოჩანაწერები, რომლებიც მიუთითებს მკვლელობაში იულია ტიმოშენკოს თანამონაწილეობას.

## ისრაელი სირიასთან საზღვრის გამაგრებას იწყებს

**სირიაში არსებული არასტაბილური ვითარების გამო ისრაელი ჩრდილოეთ საზღვრების გამაგრებას იწყებს.** სასაზღვრო ინფრასტრუქტურის გამაგრება მოიცავს სირიის საზღვრის გასწრივ ათეულობით კილომეტრზე ახალი ღობის მშენებლობას, ქვეითსაწინააღმდეგო სანგრების მოწყობას, დაზვერვის ახალი სისტემების, სწრაფი რეაგირებისა და ადრეული შეტყობინების სიტემების განლაგებას. ისრაელის არმია საზღვრის მშენებლობაზე მხოლოდ საკუთარ სამხედრო-საინჟინრო ძალებს გამოიყენებს. მშენებლობის პერიოდში გამოყენებული იქნება ჯავშნიანი ტექნიკა. მშენებლებს სამხედრო შენაერთი „ეგოზი“ დაიცავს.

**დღეს, როდესაც იწვის საელჩოები და მთელი მსოფლიოს ტელეეკრანებზე საშინელი კადრები ჩნდება, ობამას ადმინისტრაციას ხშირად საყვედურობენ იმის გამო, რომ „არაბული გაზაფხულის" ირიბი მხარდაჭერით, მან ასპარეზი მისცა ისეთ ძალებს და იდეებს, რომლებიც თანამედროვეობასთან შეუსაბამოა, თითქოსდა ვაშინგტონს ბოლომდე უნდა გაემაგრებინა ძველი რეჟიმები, რომლებსაც სიტუაცია არაბულ ქვეყნებში ასე თუ ისე „ეჭირათ".**

პოლიტიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




**პროცესი შეიძლება გაგრძელდეს და საქმე, როგორც 1979-ში, მძევლების აყვანამდე ან მასშტაბურ ტერორისტულ აქტამდე მივიდეს. ერთგვარი პრელუდიის როლი ამისთვის გასული კვირის აქციებმა შეასრულეს**

◀**ლამური რევოლუცია და აშშ-ის მიერ ინიცირებული ისრაელ-ეგვიპტის კემპ-დევიდის სამშვიდობო შეთანხმება გახდა.** ეს უკანასკნელი რადიკალებმა აღიქვეს, როგორც იმ პრინციპების ღალატი, რომლებიც ისრაელის წინააღმდეგ მუდმივი, დაუნდობელი ბრძოლის წარმოებას გულისხმობდა. დაპირისპირებაში საერო, აშშ-ის მოკავშირე რეჟიმებსა და ისლამისტურ ოპოზიციას შორის ახალი ეტაპი დაიწყო.

**1979 წლის 4 ნოემბერს ირანელმა სტუდენტებმა აშშ-ის საელჩო დაიკავეს და მძევლად 66** (ზოგიერთი მათგანი გამოუშვეს და მძევლების რაოდენობა 52-მდე შემცირდა) **ამერიკელი აიყვანეს.** ამჯერად ჩვენ გვერდს ავუვლით ამ ეპიკური კრიზისის აღწერას, რომელიც 444 დღეს გაგრძელდა და უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ ამ აქციის შემდეგ რადიკალებმა მთავარ სამიზნედ რეგიონში აშშ-ის საელჩოების აღქმა დაიწყეს. **20 ნოემბერს შეიარაღებულმა რელიგიურმა ფანატიკოსებმა დაიკავეს ალ-ჰარამის მეჩეთი მექაში, რომელიც მუსლიმებისთვის უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენს.** საუდის არაბეთის ხელისუფლებამ ჯერ (საკმაოდ უნიჭოდ) სცადა ინფორმაციის დამალვა ამ ფაქტის შესახებ, ხოლო შემდეგ ბუნდოვანი, ურთიერთწინააღმდეგობრივი ცნობების გავრცელება დაიწყო. მუსლიმანურ ქვეყნებში ელვისებური სისწრაფით გავრცელდა ხმები, რომ ამ წარმოუდგენელი მკრეხელობის უკან აშშ და ისრაელი დგანან. **21 ნოემბერს პაკისტანში აშშ-ის საელჩოს შენობების კომპლექსი გადაწვეს,** დაიღუპა ორი ამერიკელი, ხოლო საელჩოს სხვა თანამშრომლები სიკვდილს სასწაულებრივად, გარემოებათა ბედნიერი თანხვედრის გამო გადაურჩნენ. **2 დეკემბერს** (ამ მომენტისთვის ალ-ჰარამის მეჩეთი გათავისუფლებული ჯერაც არ იყო) **დაარბიეს აშშ-ის საელჩო ლიბიაში.** აქ თავი გამოიჩინა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რეზიდენტმა ლიბიაში ჯეკ მაკკავიტმა. მან წინასწარ შეიტყო თავდასხმის შესახებ, გონივრულად დაგეგმა საელჩოს თანამშრომელთა ევაკუაცია და, ფაქტობრივად, გადაარჩინა ისინი. აღსანიშნავია, რომ **საელჩოების დარბევის დროს, ადგილობრივი დიქტატორები, ზია-ულ-ჰაკი პაკისტანში და კადაფი ლიბიაში, ძალიან უცნაურად იქცეოდნენ, ისინი განსაცდელში ჩავარდნილი ამერიკელებისთვის დახმარების აღმოჩენას არ ჩქარობდნენ. გაჩნდა ეჭვი, რომ მათ დემონსტრანტებს „ორთქლის გამოშვების" შესაძლებლობა მისცეს, მეტიც, არაერთმა ავტორმა ივარაუდა, რომ მათ თავდასხმები განგებ დაუშვეს ან სულაც დაგეგმეს.**

1979-ში აშშ-მა დაკარგა ირანი (საინტერესოა, რომ რეჟიმის ლიბერალიზაციაზე მაშინ ჯიმი კარტერმა დაიყოლია; ის, აგრეთვე, ეწინააღმდეგებოდა პროტესტების ძალისმიერ ჩახშობას და საბოლოოდ ყოველივე ეს ჰომეინის გამარჯვებით დაგვირგვინდა), ხოლო პაკისტანი და საუდის არაბეთი კოლაფსის ზღვარზე იდგნენ. **ისლამისტი რადიკალების მიერ წაქეზებული „არაბული ქუჩა" აშშ-სა და რეგიონში მისი მოკავშირე რეჟიმების წინააღმდეგ გამოდიოდა.** ამ დროს ბრეჟნევის ხელისუფლებამ საბედისწერო შეცდომა დაუშვა და 1979 წლის დეკემბერში ავღანეთში ჯარები შეიყვანა. ამან კარტერის (შემდგომ კი რეიგანის) ადმინისტრაციას შესაძლებლობა მისცა, აშშ-ისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ მიმართული ენერგია ავღანეთისკენ, სსრკ-თან ბრძოლის კალაპოტში გადაემისამართებინა. თუმცა ის, რაც ტაქტიკური თვალსაზრისით მართებული ჩანდა, სტრატეგიულად მეტად წამგებიანი გამოდგა. **ავღანეთი გახდა ერთგვარი სამჭედლო, სადაც რადიკალი ისლამისტები არა მხოლოდ შეიარაღდნენ, არამედ გლობალური ჯიჰადის იდეა გამოჭედეს.** მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარებმა ავღანეთი დატოვეს, ჯინის შებრუნება ბოთლში შეუძლებელი გახდა, რადიკალი ისლამისტები 1979-ში გადადებულ პარტიას დაუბრუნდნენ და ისევ დაუპირისპირდნენ აშშ-სა და მის მოკავშირე რეჟიმებს მუსლიმანურ ქვეყნებში.

**დღეს, როდესაც იწვის საელჩოები და მთელი მსოფლიოს ტელეეკრანებზე საშინელი კადრები ჩნდება, ობამას ადმინისტრაციას ხშირად საყვედურობენ იმის გამო, რომ „არაბული გაზაფხულის" ირიბი მხარდაჭერით, მან ასპარეზი მისცა ისეთ ძალებს და იდეებს, რომელიც თანამედროვეობასთან შეუსაბამოა; თითქოსდა ვაშინგტონს ბოლომდე უნდა გაემაგრებინა ძველი რეჟიმები, რომლებსაც სიტუაცია არაბულ ქვეყნებში ასე თუ ისე „ეჭირათ".**

თუმცა აქ, ალბათ, ერთმანეთისგან ემოციები და რაციონალური გათვლა უნდა გავმიჯნოთ; ეს სტრატეგია, ალბათ, ისეთივე უპერსპექტივო იქნებოდა, როგორც ვულკანის ამოფრქვევისთვის ხელის შეშლა. თუ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ (განსაკუთრებით ახალგაზრდა) ადამიანებს არ მიეცემოდათ შესაძლებლობა, საკუთარი თავის რეალიზება რევოლუციაში (და მომდევნო პოლიტიკურ ცხოვრებაში) მოეხდინათ, არაერთი მათგანი თავის ენერგიას შეიარაღებული ბრძოლისკენ მიმართავდა, რომელსაც სათავეში ექსტრემისტები ან სულაც ტერორისტები ჩაუდგებოდნენ. ეს ბრძოლა (5-10 წლის პერსპექტივაში), ძალიან დიდი ალბათობით, რეგიონს სრულ ქაოსში ჩაძირავდა, რაც გლობალურ უსაფრთხოებას უსერიოზულეს პრობლემებს შეუქმნიდა. ძველ, ძირგამომპალ რეჟიმებს სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ძალიან გაუჭირდებოდათ. **დღეს ჯერ კიდევ არსებობს შანსი იმისა, რომ ზომიერი ძალები ნელ-ნელა მოათვინიერებენ და საბოლოოდ შთანთქავენ რადიკალებს, ხოლო „ვულკანის ამოფრქვევისთვის" ხელის შეშლის შემთხვევაში ეს სრულიად გამორიცხული იქნებოდა. საერთოდ, მართვადი ქაოსი უმართავ ქაოსს ბევრად სჯობს, ერთადერთი პრობლემა კი ისაა, რომ მისი მართვის დაუოკებელი სურვილი შეიძლება სხვასაც გაუჩნდეს.**

## აბა, შენ იცი, ბარაკ!

ჩვენ ვხედავთ, რომ **დღეს, ისევე როგორც 33 წლის წინ, საელჩოებში შევარდნას წინ „საინფორმაციო ბომბის" აფეთქება უძღოდა, რასაც მორწმუნეების უკიდურესი გაღიზიანება მოჰყვა.** ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, რომ 1979-ში ბევრი რამ „თავისით", შეცდომებისა და მათი თანხვედრის გამო მოხდა, მაგრამ დღევანდელ სიტუაციასთან მიმართებაში მიზანმიმართული პროვოკაციის ვერსია გაცილებით ხშირად გამოიყენება.

**პროვოკაციის მიზანი, სავარაუდოდ, გარკვეული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ფონის შექმნა იყო.** წარმოვიდგინოთ, რომ ამერიკელი მაყურებლის წინაშე ორი ეკრანი დგას, მარჯვენაზე მიტ რომნი ობამას წარუმატებელ საგარეო პოლიტიკას აკრიტიკებს, ხოლო მარცხენა ეკრანზე ამ დროს, თითქოსდა თქმულის საილუსტრაციოდ, უჩვენებენ კადრებს დამწვარი საელჩოებითა და ამერიკელი დიპლომატების ცხედრებით. **ყველაზე საშიში კი ისაა, რომ პროცესი შეიძლება გაგრძელდეს და საქმე, როგორც 1979-ში, მძევლების აყვანამდე ან მასშტაბურ ტერორისტულ აქტამდე მივიდეს. ერთგვარი პრელუდიის როლი ამისთვის გასული კვირის აქციებმა შეასრულეს.**

იმის მტკიცება, რომ ყოველივეს ორგანიზება ობამას მოწინააღმდეგეებმა მოახდინეს (ისევე, როგორც რუსეთ-საქართველოს ომის 2008-ში, რომელმაც ჯონ მაკკეინი კინაღამ გააპრეზიდენტა), შეერთებული შტატების რეალობაში გამორიცხულია, ამომრჩეველი ამას უკიდურეს კონსპიროლოგიად ჩათვლის და შესაბამის რეაგირებას მოახდენს. უტყუარი მტკიცებულებები ასეთ საქმეებში, როგორც წესი, არ არსებობს, და მათი მოპოვება რომც მოხერხდეს, ისინი მზის სინათლეს ვერ იხილავენ, რადგან ასეთი სკანდალი დარტყმის ქვეშ მთელ ელიტას დააყენებს და საზოგადოების თვალში მის დელიგიტიმაციას მოახდენს. ამიტომ, **მიუხედავად იმისა, რომ გამოითქმის უამრავი ეჭვი ამ პროვოკაციის წინასაარჩევნო ხასიათის შესახებ, რომლის მიზანი ობამას „კარტერიზაცია" გახლდათ, ღიად ამ ვერსიაზე არც ერთი სერიოზული ამერიკელი პოლიტიკოსი ან ჟურნალისტი არ ისაუბრებს.** ფაქტი ერთია, **ჯერჯერობით ყოველივე, რაც ხდება, წყალს ობამას ახლოაღმოსავლური პოლიტიკის მოწინააღმდეგეებისა და მისი რესპუბლიკელი ოპონენტების წისქვილზე ასხამს.**

ტაქტიკურმა ასპექტმა ამ შემთხვევაში მთავარი პრობლემა არ უნდა გადაფაროს. **შეერთებულ შტატებმა ვერ შეიმუშავა პოლიტიკა, რომელიც ნორმალურ კალაპოტში მოაქცევს მის ურთიერთობებს არაბულ სამყაროსთან, ვაშინგტონი განუწყვეტლივ, ერთობ ნერვულად მანევრირებს, როგორც გემი აისბერგებს შორის და კრიზისების მუდმივი წარმოქმნა ჯერჯერობით გარდაუვალი ჩანს.** შესაძლოა, ამიტომ ასე განიცდის რეგიონში შექმნილი სიტუაციის გამო ჰენრი კისინჯერი და ერთი მეორის მიყოლებით აქვეყნებს წერილებს, რომლებშიც ამერიკელ პოლიტიკოსებს იდეალისტური და რეალისტური მიდგომების სინთეზისკენ და სრულიად ახალი პოლიტიკის შემუშავებისკენ მიუწოდებს. გამორიცხული არაა, გამოცდილი მოხუცი გრძნობს, მომავალი ამერიკელებს აღმოსავლეთში დიდ განსაცდელს რომ უქადის.

**დიმიტრი მონიავა**



## საელჩოზე თავდასხმას აშშ წინასწარ დაგეგმილად მიიჩნევს

**აშშ-ში მიიჩნევენ, რომ ლიბიაში აშშ-ის საელჩოზე თავდასხმა, შესაძლოა, წინასწარ დაგეგმილი ყოფილიყო.** წყაროს ცნობით, საქმის გამომძიებელ ოფიციალურ პირებს ამის თქმის საფუძველს თავდამსხმელთა პროფესიონალიზმი აძლევს. არსებობს მოსაზრება, რომ ამ შეტევის უკან ჯიჰადის შეიარაღებული დაჯგუფებები დგანან. თავდაპირველად კი, ვარაუდობდნენ, რომ ეს ქმედება სპონტანური რეაქცია იყო იმ პროტესტზე, რომელიც ინტერნეტით გავრცელებულ ანტიისლამურ ფილმს მოჰყვა.



## კოსმოსური შტორმი იწყება, დედამიწას კი მაგნიტური ქარიშხალი ემუქრება

**22 სექტემბრიდან მზეზე დაიწყება შეუქცევადი პროცესები, ერთდროულად მოხდება აფეთქებების სერია და დიდი რაოდენობის გაზი ამოიფრქვევა, რაც მზის გალაქტიკაში და ასევე დედამიწაზეც გამოიწვევს ძლიერ მაგნიტურ ქარიშხალს, — ასეთია ამერიკის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია.** სამეცნიერო სტატიაში „კოსმოსის მუქარა: ეკონომიკური და სოციალური შედეგები" აღწერილია ის მოვლენები, რომლებიც ამ პროცესს მოჰყვება. ამ დღეს პლანეტის მცხოვრებლები დაინახავენ „ჩრდილოეთის ციალს", რასაც დედამიწაზე ელექტროენერგიის გათიშვა მოჰყვება. მწყობრიდან გამოვა სისტემები, ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა მოლოდინად პარალიზებული იქნება. მეცნიერები პროგნოზით, ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია და ის „დომინოს ეფექტის" პრინციპით გაგრძელდება. მეცნიერთა გათვლებით, კოსმოსური შტორმი თავისი შედეგით ბირთვული ომის ან უზარმაზარი ასტეროიდის შეჯახების ტოლფასი იქნება.

მოკლედ

## ESPN-მა საქართველო აშშ-ის დროშით წარმოადგინა

**ამერიკულმა სპორტულმა ტელეარხმა ESPN-მა საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებების შეხვედრის დროს საქართველოს დროშის მაგივრად აშშ-ის დროშა გამოსახა. ტრანსლაციიდან სკრინშოტები რამდენიმე სპორტულ ბლოგზე გამოქვეყნდა. ფაქტთან დაკავშირებით ESPN-ის ოფიციალური ბოდიში აქამდე არ მოუხდია.** ტელეარხის რედაქტორებს, სავარაუდოდ, ქვეყანა საქართველო (ინგ. Georgia) და ამერიკის შტატი ჯორჯია ერთმანეთში აერიათ. საქართველოსა და ჯორჯიის შტატის ერთნაირი დასახელების გამო კაზუსები აქამდეც მომხდარა. მაგალითად, 2009 წელს, ფონდ Heritage Foundation-ის მიერ შედგენილ ეკონომიკურად თავისუფალი ქვეყნების რეიტინგში საქართველოს გვერდს, Google Maps-იდან აღებული ჯორჯიის შტატის რუკა „უმშვენებდა".



არჩევანი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ იყურებოდა. სწორედ ამიტომ იგი დეპუტატიც იყო დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტში და სახალხო დამცველიც. მისი იმედი ხალხს ყოველთვის ჰქონდა. გაჭირვებული ადამიანი როდესაც მიდის უმაღლეს ინსტანციაში სახელმწიფოსთვის რაიმე შემწეობის სათხოვნელად, ყოველთვის უნდა ჰქონდეს ასეთი ადამიანის იმედი. მას უამრავი კარგი საქმე გაუკეთებია და დღესაც, როდესაც ნანასთან ერთად მიწევს სადმე ყოფნა, უცნობი ადამიანები მოდიან და მადლობას უხდიან დახმარებისთვის“.

# საბურთალო ირჩევს ნანა დევდარიანს

**ორ კვირაში საქართველოს მოსახლეობა გადაწყვეტს, ვის მიანდობს ქვეყნისა და, შესაბამისად, საკუთარ ბედს. საბურთალოს მოსახლეობის ინტერესებს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ცნობილი ჟურნალისტი და პუბლიცისტი — ნანა დევდარიანი დაიცავს. თუმცა ეს მომავლის საქმეა, მანამდე კი საბურთალოელებმა უნდა აირჩიონ ადამიანი, რომელმაც თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ნათლად გვიჩვენა, თუ როგორ უნდა ემსახურო შენს სამშობლოს და რაოდენ ძვირფასია ადამიანური ურთიერთობები. ნანა დევდარიანს, მის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ბევრი იცნობს. „საქართველო და მსოფლიომ“ რამდენიმე ცნობილ ადამიანს სთხოვა ჩვენი გაზეთის მუდმივი ავტორის შესახებ მოსაზრების გამოთქმა.**

**მარიამ ცაცანაშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მდგრადი განვითარების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი:**

— ნანა დევდარიანი არის პროფესიონალი და დიდი გამოცდილების მქონე. მას შესწევს უნარი, ადამიანებს უსმინოს და იბრძოლოს მათთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღებისთვის. მებრძოლი და კომუნიკაბელური, საქმიანი და საჭირო ქალბატონია ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის.

**გულბაათ რცხილაძე, პოლიტოლოგი, „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი:**

— ნანა დევდარიანს დიდ პატივს ვცემ. ჩემი კოლეგაა და ბოლომდე იბრძოდა ყოველთვის — ეს იყო 2003 წელს, სხვა დროსაც, როცა საჭირო იყო. მისი პოზიცია და სიტყვები ყოველთვის მართლდება, თუნდაც „ვარდების ხელისუფლების“ მიმართ. პიროვნულად ძალიან კარგი ადამიანია, ძალიან კარგი ჟურნალისტი და, როდესაც მედიასაშუალებების წარმომადგენლები ამა თუ იმ პიროვნებას პოლიტოლოგობას მიაწერენ ხოლმე, მინდა ვუთხრა, რომ მათზე ბევრად კომპეტენტური ადამიანია ქალბატონი ნანა. შეუძლიათ, თამამად მიაწერონ პოლიტოლოგიც. არაჩვეულებრივ პოლიტიკურ ანალიზს აკეთებს და კარგად ხედავს დღევანდელ სიტუაციას.

**გიგა ლორთქიფანიძე, რეჟისორი:**

— ძალიან დადებითი პიროვნებაა. აქვს გამართული ლოგიკა, აზროვნება. ნანა დევდარიანი ჩემი მოწაფე იყო. სამწუხაროა, რეჟისურას რომ არ გაჰყვა. ჩემი აზრით, საინტერესო კარიერა ექნებოდა. ახლა რასაც აკეთებს, იქაც უდავოდ წარმატებული ადამიანია, თუმცა მაინც გული მწყდება. არაჩვეულებრივი პიროვნებაა, ძალიან მიყვარს. თანაც ძალიან საინტერესო ოჯახიდანაა, იცით, ალბათ, ბაბუამისი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იყო. ახლა ავად ვარ და ვერ ვნახულობ, მაგრამ ძალიან მინდა ვნახო და ვესაუბრო საქართველოში განვითარებულ დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციაზე.

**ლალი აფციაური, ადვოკატი:**

— მე პირადად მშურს საბურთალოს ამომრჩევლის, რადგან მათ ძალიან დიდი შანსი მიეცათ, აირჩიონ ღირსეული კანდიდატი და ბოლომდე ჰქონდეთ მისი იმედი. უპირობოდ უნდა იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ნანა დევდარიანი ყოველთვის მათ სასარგებლო საქმეს გააკეთებს და, რასაკვირველია, უნდა აირჩიონ ეს ადამიანი, რომელიც ყოველთვის დაიცავს მათ უფლებებს. საბურთალოს მოსახლეობამ ხმა პირველ ნომერს, ანუ ქალბატონ ნანა დევდარიანს უნდა მისცენ და მჯერა, რომ ეს ასეც იქნება.

**არმაზ სანებლიძე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი:**

— ნანა დევდარიანი უნიკალური პიროვნებაა. მას ძალიან დიდი ხანია ვიცნობ — ჯერ კიდევ საქართველოს ტელევიზიაში ერთად მუშაობის პერიოდიდან. ეს ის პერიოდია, როდესაც დაიწყო ხიდების გადება ძველ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. აი, სწორედ მაშინ საქართველოში, კერძოდ კი თბილისში, ჩამოვიდა მომღერალი ბილი ჯოელი. იმ დროს ძალიან პოპულარული მომღერალი ამერიკაშიც და მთელ მსოფლიოშიც. ჩვენ ნანას დავავალეთ რეპორტაჟის მომზადება მისი თბილისში ყოფნის შესახებ. შემიძლია გითხრათ, რომ ნანა არის საქართველოში და შეიძლება მთელ საბჭოთა კავშირშიც პირველი ჟურნალისტი, რომელმაც ამერიკელ მოქალაქეზე, მომღერალზე ბრწყინვალე რეპორტაჟი მოამზადა. იმდენად პროფესიონალურად იყო გაკეთებული, დღევანდელ სახელმძღვანელოდაც გამოდგება ახალგაზრდა ჟურნალისტებისთვის. თუ ვინმემ დადო აგური ხიდზე ძველსა და ახალ ცხოვრებას შორის, ერთ-ერთი პირველი ქალბატონი ნანაა. აქედან გამომდინარე, ცხადია, როგორია მისი მსოფლმხედველობა.

ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ იყურებოდა. სწორედ ამიტომ, იგი დეპუტატიც იყო დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტში და სახალხო დამცველიც. მისი იმედი ხალხს ყოველთვის ჰქონდა. გაჭირვებული ადამიანი როდესაც მიდის უმაღლეს ინსტანციაში სახელმწიფოსთვის რაიმე შემწეობის სათხოვნელად, ყოველთვის უნდა ჰქონდეს ასეთი ადამიანის იმედი. მას უამრავი კარგი საქმე გაუკეთებია და დღესაც, როდესაც ნანასთან ერთად მიწევს სადმე ყოფნა, უცნობი ადამიანები მოდიან და მადლობას უხდიან დახმარებისთვის.

**თემურ ქორიძე, ზვიად გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭოს განათლების კომიტეტის თავმჯდომარე:**

— ნანა დევდარიანი არის უნიჭიერესი და უჭკვიანესი ადამიანი, უკეთილშობილესი, იშვიათი სიბრძნით სავსე. მას შეიძლება თვალდახუჭული ენდოს ადამიანი. მე პირადად თვალდახუჭული ვანდობდი ჩემი და ჩემი ახლობლების ბედს ქალბატონ ნანას. და, რაც მთავარია, ისეთი ნიუანსებისა და დეტალების მცოდნე, რაც მოაქვს განათლებას და სიბრძნეს. ძალიან მოხარული ვარ, რომ ასეთ ადამიანს ვიცნობ. საბურთალოს მოსახლეობას ძალიან გაუმართლა, რადგან ნანა ისეთი ადამიანია, რომელიც ბოლომდე დაიხარჯება მათი პრობლემების მოგვარებისთვის — იბრძოლებს და მაინც გაიტანს თავისას. საბურთალოს ამომრჩეველს ვეტყოდი, რომ ხმა მისცენ ნანა დევდარიანს, რადგან ეს ის ადამიანია, რომელიც ნამდვილად უნდა იყოს პოლიტიკაში და ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეები აკეთოს.

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, იურისტი:**

— ნანა დევდარიანი არის გამოცდილი პოლიტიკოსი. წარსულში ძალიან მნიშვნელოვან, სერიოზულ თანამდებობებზე ნამუშევარი. იგი იყო სახალხო დამცველი იმ პერიოდში, როცა პრაქტიკულად გამოცდილება არ ჰქონდა სახალხო დამცველის აპარატს. ვფიქრობ, იგი ერთ-ერთი წარმატებული სახალხო დამცველი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მის ბიოგრაფიულ კარიერაში ცესკოს თავმჯდომარეობის პოსტზე მუშაობის პერიოდი „ვარდების რევოლუციას“ ემთხვევა, მისი მოღვაწეობა ბევრად დამაჯერებლად გამოიყურება, ვიდრე მის შემდგომ ცესკოს თავმჯომარეთა მუშაობა, რომელთაც თავი ტოტალური გაყალბებით გამოიჩინეს. იგი არის მოაზროვნე, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, არაჩვეულებრივი ოჯახიდან, რომელიც სათავეს იღებს კათალიკოს-პატრიარქის, დავით დევდარიანის, სახელიდან და ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო პოლიტიკური ფაქტისა და აქტის მემატიანეა ნანა დევდარიანი — ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანი.

მოამზადა
**ლილი მიროტაძემ**




1. არანაირი კომპრომისი სააკაშვილის რეჟიმთან, გაყალბებულ არჩევნებს დავუპირისპირებთ მასობრივ აქციებს;
2. გათავისუფლდებიან უკანონო პატიმრები, გაუქმდება საპროცესო გარიგებების და პრობაციის სისტემა;
3. არა — ნატოს, დაიწყება პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან. ქართველი ჯარისკაცები ავღანეთიდან სამშობლოში დაბრუნდებიან;
4. სახელმწიფო დაიცავს ქართულ ენას ინგლისურის მოძალებისაგან, აიკრძალება სექტების პროზელიტიზმი და ჰომოსექსუალიზმის ზღვარგადასული პროპაგანდა;
5. მოხდება უცხოელების მიერ მიტაცებული ეროვნული სიმდიდრეების ნაციონალიზაცია, მიწის მესაკუთრე იქნება მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, საძოვრებისა და ტყეებისა — სახელმწიფო;
6. ქართული პროდუქცია დაბრუნდება რუსეთის ბაზარზე;
7. მოხდება ბანკების წინაშე არსებული დავალიანებების გაყინვა, გადაიხედება საპროცენტო განაკვეთები და აღსრულების კაბალური წესები;
8. საპენსიო ზღვარი შემცირდება მამაკაცებისთვის 60 წლამდე, ქალებისთვის — 55 წლამდე;
9. 10.000 ნიჭიერ სტუდენტზე გაიცემა 100%-იანი სახელმწიფო გრანტი.

**„სოფლებში მოსახლეობა ხშირად ორ ნაწილადაა გაყოფილი. იმ ნაწილში, რომელშიც ანტენები, „თეფშები“, დაამონტაჟეს, შეხვედრები ლაღად და თავისუფლად მიმდინარეობს. მეორეში, სადაც „გლობალ-ტვ“ ჯერ კიდევ შესული არ არის, ე. წ. სახელისუფლო ტელევიზიების გავლენა აშკარად შეინიშნება. ამიტომაა, რომ სოფლის „ანტენიან“ უბანში მცხოვრები მოსახლეობა დისიდენტებივით გამოიყურება.“**

ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# გურამ ოდიშარია: სააკაშვილი ქვეყანას ფეოდალის თვალით უყურებს

## «სენაკელები 29 სექტემბერს საერთო-სახალხო ერთობის დემონსტრაციაზე თბილისში აპირებენ ჩამოსვლას და, თუ საჭირო იქნება, იმ ღამეს თბილისის ქუჩებში გაათენებენ. ეს იქნება ხმების დასაცავად საყოველთაო მზადყოფნის არნახული დემონსტრაცია»

**„საქართველო და მსოფლიოს“ დღეს სტუმრობს პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე გურამ ოდიშარია — კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი საქართველოს პარლამენტში. ლტოლვილია აფხაზეთიდან. ფესვები კი სამეგრელოშია. ნოსირიდან არიან ოდიშარიები, საოდიშარიოდან — ამ სოფლის ერთი უბნიდან. ცნობილი შემოქმედია. რადიოჟურნალისტობიდან დაიწყო. მუშაობდა საოლქო გაზეთში, საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალ „რიწას“ მთავარი რედაქტორი იყო. აფხაზეთის ომმა ამ თანამდებობაზე მოუსწრო. ჭუბერის უღელტეხილზე გადმოვიდა, სვანეთით.**

**— ეს იყო თქვენი ერთი გოლგოთა. მეორე გოლგოთას ხომ არ ხართ შემდგარი ამ წინასაარჩევნო პერიოდში? პასუხისმგებლობის ჯვრის სიმძიმიდან გამომდინარე გეკითხებით.**

— ორივე თავისებური სიმძიმით ხასიათდება. ჭუბერის უღელტეხილზე განცდილი და გადატანილი ჩემს წიგნში „სოხუმში დაბრუნება“ აღვწერე.

მე კი არა, მთელი საქართველო, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ამ უღელტეხილს, ამ გოლგოთას, მივუყვებით და იმედი მაქვს, რომ ამ არჩევნების შედეგად შევძლებთ გადალახვას. ამისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, წესიერი არჩევნები უნდა ჩავატაროთ ყოველგვარი გაყალბების, ყოველგვარი დაშინების გარეშე, ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები. პირველ ოქტომბერს უნდა დამთავრდეს ეს უღელტეხილი.

**— თქვენი იმედიანი ყოფნა, რას ეფუძნება, ბატონო გურამ? ჩვენ ხომ ვიცით, როგორი ხელისუფლება გვყავს. ძალაუფლების შესანარჩუნებლად ესენი ყველაფერზე არიან წამსვლელნი: ეგღა მაკლია, ჩვენი აშენებული ქვეყანა ამათ ჩავაბაროო, — ბრძანა სააკაშვილმა.**

— სწორედ ეგ სიტყვები ადასტურებს, რომ აუცილებლად უნდა მოვიდეს ახალი ხელისუფლება, ახალი ხედვით. სააკაშვილის ეს სიტყვები მოწმობს, რომ იგი ქვეყანას სახელმწიფოებრივი თვალით კი არ უყურებს, არამედ ფეოდალის თვალით, ისე, როგორც საკუთარ სამფლობელოს, რომელსაც შემდეგ გადააბარებს შვილებს, შვილიშვილებს და ა. შ.

**ყველა ხედავს, რომ საქართველოში ავტორიტარული რეჟიმია დამკვიდრებული. 8-9 წლის წინათ აკიაფებული იმედის შუქი, რომ ახალგაზრდა რეფორმატორები ააშენებდნენ დემოკრატიულ სახელმწიფოს, საბოლოოდ ჩამქრალია.**

უფრო მეტიც. ამ ხელისუფლებამ ცდა არ დააკლო, ახალი თაობისთვის ჩაენერგა, რომ ამ ქვეყანაში, მათ სამშობლოში არიან ვიღაც „მუმიები“, ვიღაც „მღრღნელები“, „ხალხის მტრები“ და კიდევ სხვა, ჩვენი უმაღლესი ხელისუფლის საყვარელი შეურაცხმყოფელი ტერმინების მატარებელი ადამიანები, რომლებიც მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ წაართვან ხალხს „კომუნალური კეთილდღეობა“ — წყალი, გზები, შუქი...

**— რომლის გადასახადი ნაგავზეა მიბმული.**

— დიახ. **ხელისუფლება ხალხის გაერთიანების ნაცვლად, ხლეჩს და ერთმანეთს უპირისპირებს ჩვენი საზოგადოების წევრებს. საქართველოს აბრალებენ წარსულში დაბრუნების სურვილს, არადა, ასეთები თვითონ არიან — საბჭოთა ავტორიტარიზმის უპირველესი აპოლოგეტები და განმახორციელებლები.**

საკუთარი თავის წინააღმდეგ დღეს თვითონ სააკაშვილი მუშაობს...

**— როგორც ჩანს, ვიღაცამ უკარნახა, რომ ასე არვარგაო და გამოსვლის ტონი მკვეთრად შეცვალა, საზოგადოების გაერთიანებაზე ალაპარაკდა.**

— რაც შესანიშნავი მაგალითია, მეტიც, მწვერვალია ფარისევლობის, თანაც დროებითია, რადგან მისი ბუნება ქედმაღლობაა, სხვისი ლანძღვა-გინება, დამცირების მცდელობა.

**— ე.ი. „სააკაშვილი სააკაშვილის წინააღმდეგ“ ჩვენი საზოგადოების იმედიან განწყობილებას ქმნის?**

— ერთ-ერთი საფუძველია. მისი ბაქიბუქობა ვერ ჭრის. მისი აშენებული „პოტიომკინის“ სოფლების ფასადების მიღმა უამრავი პრობლემა იმალება. მაგალითად, საქართველოს მიწების გაყიდვა. **უცხოელებზე სხვისდება ჩვენი მიწები. ჩვენ კი ისიც არ ვიცით, რამდენად გაიყიდა, სად მიდის ეს ფული, რას ხმარდება, ვის ჯიბეში ილექება...** მაშინ, როცა ხალხი მშიერი და გალატაკებული ჰყავს, უამრავი პრობლემით დამძიმებული, ჩამოჰყავს ვიღაც მომღერალი, მილიონებს უხდის და ბათუმის ხუთი-ექვსი ახალი შენობის ფონზე საქართველოს კეთილდღეობის ილუზორულ სურათს ხატავს.

ხალხს ეს სიცრუე, ეს სიყალბე გაშიფრული აქვს.

**— „სააკაშვილის ფეოდალიზმის“ სენი სენაკის ადგილობრივ ხელისუფალთ შეყრილი აქვთ?**

— ეს სენი გადამდებია. კონფორმიზმია მისი წყარო, ხოლო ხელისუფლებაში კონფორმისტები არიან. ამიტომაა, რომ სამეგრელოში დაჭაობებული ცხოვრებაა. არაფერი არ შეცვლილა სენაკში. ერთი შენობაც არ არის, აი, რა ავაგეთო, ამის დასატრაბახებლად.

ამიტომ ადგილობრივ ხელისუფლებას ხალხის დაშინებაზე აქვს აქცენტი გადატანილი. მისი ამ სამარცხვინო მოქმედების მეთოდები და ხერხები ზუსტად ისეთია, როგორც დანარჩენ საქართველოში და ამიტომ არ გავიმეორებ. არის ფაქტები სამსახურიდან დათხოვნის, დევნის.

თქვენი გაზეთის მკითხველების ყურადღებას მივაქცევ ერთ დამახასიათებელ მომენტს. ჩვენი ზოგიერთი თანამოქალაქე იმდენად ექცევა შექმნილი გარემოების გავლენის ქვეშ, რომ თავს იშინებს.

**— საკუთარ თავს თვითონ იშინებს?**

— დიახ. გურიაში, იმერეთში რომ ვიყავი, ვნახე, რომ შიშის ფაქტორი იქ ნაკლებად ქმედითია, შიში ნაკლებად იგრძნობა. უფრო სიფრთხილეა.

ბიბლიური იგავია:

შავი ჭირი მიდის. გზაში სოფლიდან მომავალ კაცს შეხვდება. ეს კაცი შეეკითხება, რატომ მოდიხარო? ხუთი კაცი უნდა მოვკლაო. და ორივე თავის გზას გააგრძელებს.

გადის დრო და ეს კაცი კვლავ შეხვდება შავ ჭირს და საყვედურით ეტყვის:

— ხუთი კაცის მოკვლას აპირებდი და ხუთასი რატომ მოკალიო?

შავი ჭირი უპასუხებს:

— მე ხუთი კაცი მოვკალი, დანარჩენები შიშმა მოკლაო.

ასეა ჩვენი საქმე.

მაგრამ იმერეთსა და გურიაში, ისევე, როგორც თბილისში, ეს შიში დაძლეულია.

გურიაში მითხრეს:

— აბა, ვინმემ რამე გაბედოს და ნახავს, რა პასუხსაც გავცემთო!

ამაზე ვსაუბრობ ხალხთან შეხვედრების დროს. **დაშინებულ საზოგადოებას არასოდეს არაფერი აუშენებია. აკროპოლისი სენაკთან, ნოქალაქევში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-V საუკუნეში აუგია ლაღ, თავისუფალ, უშიშარ ხალხს, ეგრისის სამეფოს დედაქალაქის გულში.** დღესაც დგას ულამაზესი. გარშემო კი, მთის მწვერვალებზე, ციხესიმაგრეებია წამომართული, მტერთან ბრძოლის ფორპოსტები.

**იბრძოდნენ და აშენებდნენ ჩვენი წინაპრები, იცავდნენ მშობლიურ მიწა-წყალს, რომელიც დღეს ხელისუფლებამ გაუყიდა და ყიდის.** ამაზე უკვე ვილაპარაკეთ.

**— დაშინებული მოსახლეობა, თვითდაშინებული მით უფრო, იძულებული ხდება სწორედ შიშის მიზეზით და არა რწმენის გამო იბრძოლოს შიშის მთესველთა ბანაკის მხარეს. ასე ხომ არ არის სამეგრელოში?**

— ბრძოლით არ იბრძვის. უფრო, შეიძლება, დეპრესიაში იყოს, ნეიტრალური დარჩეს, არ აქტიურობდეს. ხელისუფლება ცდილობს, აამოქმედოს პოლიცია, სხვა ფუნქცია დააკისროს.

**— პოლიტიზებას გულისხმობთ?**

— დიახ. მაგრამ მინდა გითხრათ, რომ მაინც და მაინც დიდ შედეგებს ამ მიმართებით ვერ აღწევს. **მე ველაპარაკე პოლიციის თანამშრომლებს და დავრწმუნდი, რომ მათ აბსოლუტურ უმრავლესობას ერთი სურვილი აქვს, იმუშაონ როგორც პროფესიონალებმა, სხვა მინარევების გარეშე.** ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ მათ ეს ფუნქცია სრულად დაუბრუნდებათ.

სამეგრელოში გვეუბნებიან: აქაური იდეოლოგები გვარწმუნებენ, რომ „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში ჩვენ ჩავბარდებით რუსებს, დაბრუნდებიან კანონიერი ქურდები, აღზევდება კრიმინალი და ა. შ. ამ მარტივი, პრიმიტიული იდეოლოგიით ცდილობენ ადამიანების გადაბირებას.

სოფლებში შეხვედრების დროს გარანტიას ვაძლევთ, რომ ასე არ იქნება.

**— მართლა სჯერათ, რომ „წარსული დაბრუნდება“?!**

— სოფლებში მოსახლეობა ხშირად ორ ნაწილადაა გაყოფილი. იმ ნაწილში, რომელშიც ანტენები, „თეფშები“, დაამონტაჟეს, შეხვედრები ლაღად და თავისუფლად მიმდინარეობს. მეორეში, სადაც „გლობალ-ტვ“ ჯერ კიდევ შესული არ არის, ე. წ. სახელისუფლო ტელევიზიების გავლენა აშკარად შეინიშნება. ამიტომაა, რომ სოფლის „ანტენიან“ უბანში მცხოვრები მოსახლეობა დისიდენტებივით გამოიყურება.

უმრავლესობას აქვს იმედი, რომ ეს არჩევნები იქნება უკანასკნელი, რომელიც ხელისუფლების მიერ შექმნილ ისტერიკულ ფონზე ტარდება.

**— რას გეკითხებიან შეხვედრებზე?**

— ყველაზე ხშირად გვეკითხებიან: ჩვენ აუცილებლად მივალთ არჩევნებზე და მოგცემთ ხმას, მაგრამ დაიცავთ ჩვენს ხმებს?

ნიკარაგუის პრეზიდენტმა არჩევნების შემდეგ ოპონენტებს პირდაპირი ეთერით მიმართა: მე ვიცი, რომ თქვენ მოიგეთ არჩევნები, მაგრამ ხმების დათვლა ჩვენ მოვიგეთო.

ჩვენი ხელისუფლების ავტორიტარიზმი ნიკარაგუისას ენათესავება, ამიტომ არის ეჭვი არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების თაობაზე.

**სენაკელები 29 სექტემბერს საერთო-სახალხო ერთობის დემონსტრაციაზე თბილისში აპირებენ ჩამოსვლას და, თუ საჭირო იქნება, იმ ღამეს თბილისის ქუჩებში გაათენებენ. ეს იქნება ხმების დასაცავად საყოველთაო მზადყოფნის არნახული დემონსტრაცია.**

იდეა შესანიშნავია და მთელი ყურადღება თბილისისკენაა მიპყრობილი.

**— როგორ შეაფასებთ ამ დღეებში ტელეეკრანებზე ნაჩვენებ კლიპს „ასე ჩონგური...“, რომელშიც მიხეილ სააკაშვილის ოჯახის წევრები მეგრულ სიმღერას ასრულებენ?**

— კარგად მღერიან, მაგრამ, ბავშვს რომ არ უხდება ამ სევდიანი სიმღერის შესრულება, მგონი, ყველა დამეთანხმება, ვინც ამ სიმღერის შინაარსს იცნობს. აქ ადამიანის ცხოვრების ისეთი დიდი სევდაა გადმოცემული, რომელიც სიმძაფრით ჰამლეტის მონოლოგს არ ჩამოუვარდება.

ამიტომ მომეჩვენა, რომ ხელოვნურია, ისეთივე ხელოვნური, როგორც ადრე აფხაზეთზე გადაღებული და ნაჩვენები კლიპი, რომელშიც ლელა წურწუმია გლისერით ბრუნდება სოხუმში.

**სიმღერაზე ვაგრძელებთ საუბარს, მეგრულ სიმღერაზე: ფესვებმა გაიღვიძა.**

**სამეგრელოში შემოდგომის წვიმა ნისლიანია. ასეთი ნისლიანი წვიმის მელოდიის მოსმენა, გაყუჩება და ყურის დაგდება ნირვანასავითაა — კოსმოსიდან დაღვრილი მშვიდი მუსიკა.**

**გავიხსენეთ, რომ წვიმიანი ნისლი, როგორც რამ სითბოთი სულის ალმვსები, შესანიშნავად არის გადმოცემული ალექსანდრე საჯაიას პოემაში „უტუ მიქავა“:**

ეს ნისლია ლაკადური,
კოლხიდური კი არა,
მოიარა მელისქური,
ურთა გადაიარა...

**— მეგრულად წვიმა ჭოროფაა, სიყვარული — ოროფა. ხედავთ, რა საოცარი შესიტყვებაა? — მეუბნება ბატონი გურამი. ჭოროფის დროს სამეგრელოს სიყვარულით იჟღინთები და ნისლი გფარავს უმტკიცესად ნებისმიერი აბჯრისა.**

**შემოდგომა, წვიმა, ნისლი — სიმშვიდე და გაყუჩება მხოლოდ მონატრებაა, სურვილი, რადგან საქართველოში დრო დგას ახალი ქარიშხლებისთვის სიცოცხლის გაწირვის (გალაკტიონის მიხედვით).**

**გურამ ოდიშარია ამ ბრძოლაშია ჩართული.**

ესაუბრა **არმაზ სანებლიძე**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სანამ რუსეთის ფაქტორი არსებობს კავკასიაში, ისინი ჩვენ ვერ შეგვეხებიან. უნდა შეიგნოს ტვინგაყინულმა ზოგიერთმა ექსპერტმა თუ პოლიტიკოსმა, რომ რუსეთის გარეშე საქართველოს გადარჩენა არ უწერია. რომ არა რუსეთი, მაშინ საქართველოში მართლა ლეკიანობა იქნებოდა, რაზეც ასე აპელირებდა სააკაშვილი. რუსეთი არის ფარი საქართველოსთვის.“**



# გულბაათ რცხილაძე: მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება მუდმივად ფარულ, ანტირუსულ თამაშებს თამაშობს

**არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფმა ერთობლივი ნაშრომი გამოსცა. ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემულ ბროშურაში, სახელწოდებით — „ვარდების რევოლუცია. შედეგები“, ქვეყანაში „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ეტაპია განხილული. ბროშურის ავტორები არიან: ჟურნალისტი, ყოფილი ომბუდსმენი ნანა დევდარიანი; ეკონომისტი, პროფესორი იოსებ არჩვაძე; პროფესორი ლევან ოსიძე; პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი, „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე და პოლიტოლოგი გიორგი ვეკუა. ნაშრომის მიზნებსა და ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე ბროშურის ერთ-ერთი ავტორი, პოლიტოლოგი გულბაათ რცხილაძე გვესაუბრება.**

— „ვარდების რევოლუციის“ შედეგებზე საუბარი, ვფიქრობ, სწორედ ახლა სავსებით მართებულია, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, თუ ვინ გაიმარჯვებს საპარლამენტო არჩევენებში, 1 ოქტომბერს „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ეტაპი სრულდება. იცვლება პოლიტიკური კონფიგურაცია. კრიტიკული ანალიზის მეთოდის საშუალებით ბროშურაში განხილულია ის შედეგები, რომლებიც ქვეყანას „ვარდების რევოლუციამ“ მოუტანა და რაც გავლენას მოახდენს ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე.

ნაშრომი ერთ მთლიან ტექსტს წარმოადგენს, თუმცა დაყოფილია თემატურად. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის მეცნიერული კვლევა, ბროშურა პოპულარული ენით არის დაწერილი და ფართო საზოგადოებისთვისაა განკუთვნილი, რათა საზოგადოებამ დასკვნები თავად გამოიტანოს.

**— ბროშურაში განხილულია ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, საგარეო ურთიერთობები, განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე მოვლენები, ბიზნესში არსებული სიტუაცია, დემოკრატიის პრობლემები... მთლიანობაში რა სურათი მიიღეთ?**

— ვინაიდან ჩვენი მთავარი მიზანი იყო, გამოგვეყო ძირითადი მომენტები მეორეხარისხოვანისგან, მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ **„ვარდების რევოლუცია“ ნეგატიურად არის შეფასებული, რადგან სახელმწიფოსა თუ ხალხისთვის უარყოფითი მომენტები უფრო მეტი იყო, ვიდრე დადებითი.** ცალკეული პარამეტრებით, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი საქართველო, ჩვენ შევადარეთ როგორც რევოლუციამდელ საქართველოს, ასევე ჩვენს მეზობელ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს — რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს და ა. შ. როგორც აღმოჩნდა, **სხვადასხვა ეკონომიკური თუ სოციალური მაჩვენებლით, საქართველო მეზობელ ქვეყნებს ჩამორჩება.** მაშინ, როცა ზოგიერთ შემთხვევაში, „ვარდების რევოლუციამდე“ საქართველო რეგიონში ლიდერობდა.

**ბროშურაში განხილულია „ელიტარული კორუფციისა“ და კლანური მმართველობის საკითხებიც, რაც გამოიხატება კარტელურ გარიგებებში, იმპორტის მონოპოლიზაციასა და ადგილობრივი წარმოების დაბრკოლებაში, ეს კი ფასების ხელოვნურ ზრდას იწვევს.** მაგალითად მოყვანილია, საქონლის დაკვლაზე მონოპოლიის დაწესების შედეგად, როგორ მოხდა ხორცის უეცარი გაძვირება 2010 წელს. ხოლო, მსოფლიოში საკვებ პროდუქტებზე ფასების შემცირების მიუხედავად, ფასები საქართველოში, პირიქით, გაიზარდა.

**ბროშურაში ასევე განხილულია დემოკრატიის პრობლემები. უნდა გავიგოთ, რომ პროდასავლურობა არ ნიშნავს დემოკრატიას. შეიძლება პროდასავლური არ იყო, მაგრამ უკეთესი დემოკრატი იყო.** ის, რომ ვიღაცას ემორჩილები და ფეხქვეშ ეგები, არ ნიშნავს თავისუფლებას. ან რა დემოკრატიაზეა საუბარი, როცა სასამართლო არ არის დამოუკიდებელი? სასამართლო პროცესის მოგება ბიზნესმენისთვის ან რიგითი მოქალაქისთვის სახელმწიფოს წინააღმდეგ ფაქტობრივად შეუძლებელია. **ეს არის ტოტალიტარული სახელმწიფო. საზოგადოება დათრგუნულია, ხალხს აშინებენ.** სოფლებში ხალხს სისულელეებს ეუბნებიან, რომ, თურმე არჩევნებზე ხუთიანს თუ არ შემოხაზავენ, ამას კალამი დააფიქსირებს.

**ქვეყანაში პოლიციური რეჟიმი მოქმედებს. ასეთი სისტემა კი არ შეიძლება ძლიერი სახელმწიფოს ნიმუშად ჩაითვალოს. მსოფლიოში არც ერთი პოლიციური სახელმწიფო ძლიერი არ ყოფილა.** მაგალითად, ყველამ კარგად დავინახეთ, რა მოხდა ეგვიპტეში, რომელიც მუბარაქის პერიოდში კლასიკური პოლიციური სახელმწიფოს ნიმუშად იყო აღიარებული. ამ სისტემამ, მართალია, დათრგუნა საზოგადოება, მაგრამ 30 წლის შემდეგ მაინც გამოირკვა, რომ თურმე სახელმწიფო თიხის ფეხებზე დგას. ასევეა პაკისტანშიც, სადაც სამხედრო-პოლიციური რეჟიმი მოქმედებს. თუმცა იქ სამხედროები მაინც არიან და ომი მაინც შეუძლია იმ ხალხს. ჩვენთან, ელემენტარულად, სამხედრო კასტა არ არსებობს, რაც თუნდაც ლაფანყურის მოვლენებმაც ცხადყო. რა საჭირო იყო 20 კაცის წინააღმდეგ მთელი შინაგან საქმეთა სამინისტროს, ჯარისა და სპეცრაზმის მობილიზება? თან, პირველივე შეტაკებაში სამი კაცი დავკარგეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ **სისტემა ძირგამომპალია. ეს არ არის ძლიერი სახელმწიფო. ყველაფერი ხალხის დასათრგუნად არის მიმართული და არა გარეშე მტრის დასამარცხებლად.**

**— ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციიდან გარკვეული დრო უკვე გავიდა, თუმცა ბუნდოვანი კითხვები აღნიშნული საკითხის ირგვლივ მაინც რჩება. როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?**

— ვფიქრობ, ინციდენტი ამოწურული ჯერაც არ არის. ამ საქმის ირგვლივ ისეთი ფაქტები და მიზეზები არსებობს, რომ, როგორც ჩანს, **ხელისუფლება რაღაცას მალავს. მას ან შეცდომა მოუვიდა, ან ამ გზით რაღაც კვალის წაშლა სურდა.** თუ ის შეიარაღებული პირები რუსეთის მოწინააღმდეგეები იყვნენ და ხელისუფლება აცხადებს, რომ რუსეთი მისი მტერია, მაშინ ალოგიკურია, — რატომ დახოცა რუსეთის მტრები?

დღეს ბევრი ვერსია ვრცელდება, თითქოს მოხდა შეცდომა, გაუგებრობა ან ეს იყო პროვოკაცია. ყველაფერს გამოძიება სჭირდება. ჩვენთან კი რატომღაც პოლიტოლოგები აქტიურობენ და ისეთი დარწმუნებით საუბრობენ, მიკვირს, ყველაფერი როგორ იციან.

ყველაფერი იმან განაპირობა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება მუდმივად ფარულ, ანტირუსულ თამაშებს თამაშობს. ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის, როცა შეიარაღებულმა ჯგუფმა ჩვენი საზღვარი გადმოკვეთა? ეს ყველამ იცის, რომ სულ ასე ხდება.

**— ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ საზღვარზე გადმოვა ნებისმიერი დაჯგუფება, თუ მოისურვებს?**

— თუ რუსეთის მხრიდან არ შეხვდა წინააღმდეგობა, ნებისმიერი გადმოვა. ამის გამო, რუსეთს არაერთხელ დაუდანაშაულებია ჩვენი ხელისუფლება ტერორისტების ხელშეწყობაში. ასეთი ფაქტები რომ თავიდანვე აღეკვეთა ხელისუფლებას, ახლა ასეთი ვითარება არ იქნებოდა. როგორც ჯერ კიდევ ცხონებული ზურაბ ჟვანია ამბობდა, ანტიტერორისტული მიზნებით, ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ რუსეთთან.

**— ჩერქეზებმა და ქისტებმა დაიფიცეს, რომ მიხეილ სააკაშვილს ფიზიკურად გაუსწორდებიან. მოსალოდნელია თუ არა ჩრდილოკავკასიელების მხრიდან ქართველების მიმართ შურისძიება?**

— **სანამ რუსეთის ფაქტორი არსებობს კავკასიაში, ისინი ჩვენ ვერ შეგვეხებიან. უნდა შეიგნოს ტვინგაყინულმა ზოგიერთმა ექსპერტმა თუ პოლიტიკოსმა, რომ რუსეთის გარეშე საქართველოს გადარჩენა არ უწერია. რომ არა რუსეთი, მაშინ საქართველოში მართლა ლეკიანობა იქნებოდა, რაზეც ასე აპელირებდა სააკაშვილი. რუსეთი არის ფარი საქართველოსთვის.**

**— თუმცა რატომ დაიცავს რუსეთი საქართველოს ინტერესებს, როცა არცთუ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს?**

— დღეს ხომ ვითომ ჩვენი მტერია რუსეთი, მაგრამ რუსეთის ფაქტორის წყალობით უკვე დაცულები ვართ. ამ შემთხვევაში საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებს ემთხვევა რუსეთის ინტერესები. **მე, როგორც ქართველს, არც რუსებთან მაქვს პრობლემა და არც ქისტებთან, რომლებსაც საქართველოს მტრობა და ქართველი ხალხის სიძულვილი არ ამოძრავებთ. მათ განცხადებაშიც ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ქართველ ხალხთან პრობლემა და პრეტენზია არ აქვთ და, სააკაშვილს თუ მოუწყობენ ტერაქტს, საერთოდ არ მაინტერესებს.**

## «თუ ქისტებს ხელისუფლებაზე შურისძიება სურთ, ეს მათი უფლებაა»

თუ ქისტებს ხელისუფლებაზე შურისძიება სურთ, ეს მათი უფლებაა. განსხვავებით ზოგიერთი ქართველისგან, რომელსაც ხელისუფლებამ შვილებიც დაუხოცა, მთელი ნათესაობა დაუჭირა და მაინც ჩუმად არის, ამ ხალხმა მუქარა მაინც გაბედა.

**— სულ რაღაც ორიოდე კვირაში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება. ოპოზიცია აცხადებს, რომ არჩევნების გაყალბებას არ შეეგუება. ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ უკან დახევას არც ისინი აპირებენ. ვხედავთ, რომ ჯერჯერობით ორივე მხარე საკუთარი მხარდამჭერების სიმრავლის დემონსტრირებას ახდენს. როგორ წარმოგიდგენიათ მოვლენების განვითარება?**

— ახლახან რუსულ-ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური თანამშრომლობის“ ეგიდით სასტუმრო „ბეტსიში“ აღნიშნულ თემაზე ჩავატარეთ სემინარი. **ბიძინა ივანიშვილს უნდა ახსოვდეს, რომ, რამდენიც უნდა აკეთოს აქცენტი ამერიკელებსა თუ ევროპელებზე, მისი ძირითადი დასაყრდენი მაინც სოციალურად უკმაყოფილო ქართველი ხალხია. ეს ხალხი მზად არის ქუჩაში გამოსასვლელად.** როგორ განვითარდება მოვლენები, ცალსახად რთული სათქმელია. ცხადია, ხელისუფლება ადმინისტრაციულ რესურსს აქტიურად გამოიყენებს. ამის გარეშე მას არჩევნების მოგების შანსი არ აქვს. **თუ ივანიშვილი მოუწოდებს, ხალხის დიდი ნაწილი გამოვა და ეცდება საკუთარი ხმა დაიცვას.**

**— ეცდება ხელისუფლება არჩევნების გაყალბებას?**

— ეცდება კი არა, ამისკენ მიჰყავს ყველაფერი. ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ რეალობა თავის სასარგებლოდ დაამახინჯოს და აქ უკვე გადამწყვეტი იქნება, რას იზამს ივანიშვილი. ის დათანხმდება შედეგებს, როგორც ეს ხდებოდა ახლო წარსულში, თუ სამართლიანობისთვის ბოლომდე იბრძოლებს.

**— თუ არ დათმობს ივანიშვილი, რაიმე საშიშ პროვოკაციას შეიძლება ველოდოთ ხელისუფლების მხრიდან?**

— რა თქმა უნდა, სისხლისღვრაც მოსალოდნელია. მაგრამ ყველაფერს უნდა გავუძლოთ. პირველ რიგში, ის ხალხი გამობრძანდეს და გამოასწოროს შეცდომა, რომელიც „მიშა, მიშას“ იძახდა. სხვა გზა არ არსებობს.

**— მართალია, ხელისუფლების მაღალ რეიტინგს ბევრი სკეპტიკურად უყურებს, „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობაზე, ხელისუფლების ბევრი მხარდამჭერი გამოვიდა.**

— „ნაციონალებს“, რა თქმა უნდა, ჰყავთ თავისი მომხრეები. ესენი არიან ადმინისტრაციულ ორგანოებში, პოლიციაში მომუშავე ადამიანები, მათი ოჯახის წევრები, რომლებსაც ვიზუალურად შეუძლიათ ხალხმრავლობის ეფექტი შექმნან, მაგრამ დაკვირვებული თვალი კარგად ამჩნევს, სად არის ხელოვნურობა, რაც მათ შეკრებებს აშკარად ეტყობა. მარტო ხალხმრავლობაში არ არის საქმე. ამით მხოლოდ მცირეხნიანი ეფექტი შეიძლება მოახდინო. თუმცა, ალბათ, ბევრი იქ მისული ადამიანი, ხელისუფლებას მაინც არ მისცემს ხმას.

**— როგორი იქნება უცხოელების როლი საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში? ერთის მხრივ, უცხოელები აცხადებენ, რომ ყურადღებით დააკვირდებიან არჩევნების მიმდინარეობას და გაყალბებას არ დაუშვებენ; მეორე მხრივ კი, ამერიკელი სენატორების, მათ შორის მაკკეინის, ასევე შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, კარლ ბილდტისა, თუ გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისრის, შტეფან ფიულეს, გამონათქვამები მიანიშნებს თუ არა ხელისუფლების მხარდაჭერაზე?**

— ესენი არიან ნეოკონსერვატიული იდეოლოგიის მქონე ადამიანები, რომლებიც სააკაშვილს მხარს აქტიურად უჭერენ. ისინი უდავოდ გავლენიანი ხალხია, მაგრამ ვფიქრობ, **საქართველოში საერთოდ არ უნდა განიხილებოდეს, თუ რას იტყვის მაკკეინი ან ვიღაც სენატორი. ხალხი თავის ბედს თავად უნდა წყვეტდეს.** მითუმეტს უინტერესოა, რას იტყვის კარლ ბილდტი, სწორედ მისი დაფინანსებულია NDI გამოკითხვები. ბილდტი ცნობილია, როგორც ევროპის ყველაზე ულტრამემარჯვენე ექსტრემისტი-ინტელექტუალი. ამ ადამიანებმა საქართველო ექსპერიმენტების პოლიგონად აქციეს, ამიტომ, ბუნებრივია, რომ აქ წარმოების, სოფლის მეურნეობის განვითარებით ისინი დაინტერსებულები არ არიან.

**— და ბოლოს, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმდინარე მღელვარება როგორ შეიძლება ახლო მომავალში ჩვენს ქვეყანაზე აისახოს?**

— ეს პრობლემა ძალიან სერიოზულია. არაბულ სამყაროში კონფიგურაციის ცვლილებამ შეიძლება საქართველოზეც იმოქმედოს. თუ ირანთან დაპირისპირების შემთხვევაში საქართველო რომელიმე ბანაკში აღმოჩნდება, ის შეიძლება დასავლეთმა ჩაითრიოს თავის ავანტიურაში და ირანის წინააღმდეგ გამოიყენოს, რაც რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გადაიზრდება. საქართველო კი ახალ ომს ვეღარ გაუძლებს.

ესაუბრა **შორენა ციკქარაშვილი**

**ამერიკასა და ევროპაში, სადაც მართლა დემოკრატიული ფასეულობებია, მოქალაქე, უბრალოდ, ვერ წარმოიდგენს, ვინმემ პირდაპირ ეთერში დახვრეტასა და შუბლში ტყვიის დახლაზე გაბედოს საუბარი. ეს იმდენად შეუთავსებელია მათ პრინციპებთან, რომ დასავლური საზოგადოების ფსიქოლოგია თეორიულადაც კი არ უშვებს მსგავს რამეს.**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ქეთი ბექაური: ხელისუფლებას, რომელიც პირდაპირ გეუბნება, კეფაში ტყვიას დაგახლიო, თავი არ უნდა დაუხარო!

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი ქეთი ბექაური.**

**— ქალბატონო ქეთი, „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთმა ყველაზე „წარმატებულმა“ ტრუბადურმა და თავგადაკლულმა მქადაგებელმა, მიხეილ თავხელიძემ, გასულ კვირას პირდაპირ ეთერში მოურიდებლად განაცხადა, კლასი, რომელსაც ქვეყნის წარსულში დაბრუნება სურს, უნდა გაქრესო. გაქრობაში, არც მეტი, არც ნაკლები, კატინის პოლონელი ოფიცრებივით კეფაში ტყვიის დახლა იგულისხმა. თქვენ, როგორც ადვოკატი და უფლებადამცველი, რა ლოგიკასა და პათოსს ხედავთ ამ განცხადებაში?**

— სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს ის შემთხვევაა, როცა არანაირი განმარტება და განვრცობა ფაქტს არ სჭირდება, ექსპერტად და ჟურნალისტად წოდებულმა თავხელიძემ, რომლისგანაც მსგავსი განცხადებები გასაკვირი ნამდვილად არ არის, პირდაპირ თქვა, ვინც ჩვენკენ არაა, უნდა განადგურდესო. ასახსნელი აქ არაფერია, **ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის, რა ხელისუფლებაც გვყავს და რას უნდა ველოდოთ იმ მოფაშისტო ელემენტებისგან, რომლებიც უხვად არიან ამ ხელისუფლებაში...**

**— თქვენი აზრით, თავხელიძემ ხელისუფლების პოზიცია გაახმოვანა?**

— ცხადია, მსგავსი იდეები მარტო მის თავში არ იხარშება და ვიღაც-ვიღაცებთან შეთანხმების გარეშე არ ამბობს ეს ადამიანი ასეთ რამეებს. ხელისუფლების რუპორობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ, რასაც ოფიციალური პირები ვერ ამბობენ, შენ უნდა ილაპარაკო. ამ მხრივ კი თავხელიძე იდეალური ვარიანტია, იმიტომ, რომ ჭკუა არ უშლის — ოღონდ უბრძანონ, მზადაა, ყველაფერზე ისაუბროს... სხვათა შორის, ასეთი **რუპორები ხელისუფლებას მრავლად ჰყავს იმავე გაბიანების, ბოკერიების, წიკლაურებისა და დარჩიაშვილების სახით, მაგრამ თავხელიძემ მაინც ყველას გადააჭარბა;** იმას, რაც მან თქვა, ალბათ, ჩემ მიერ ჩამოთვლილთაგან „ნაცმოძრაობის“ ვერც ერთი იდეოლოგი ვერ აიღებდა საკუთარ თავზე, ამიტომაა იგი ხელისუფლებისთვის, როგორც მეხოტბე და მესაყვირე, მნიშვნელოვანი, რაც ბუნებრივია.

**— ჭეშმარიტად დემოკრატიულ სახელმწიფოში რა რეაგირება ექნებოდა ხელისუფლებას მსგავს განცხადებაზე?**

— ჯერ ერთი, ჭეშმარიტად დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლებას ასე აშკარად და დაუფარავად რუპორები არ ჰყავს და მეორეც, თუ ჰყავს, პირდაპირ ნაჯახის პრინციპით არ მოქმედებენ. რაც შეეხება საზოგადოებას, მაგალითად, **ამერიკასა და ევროპაში, სადაც მართლა დემოკრატიული ფასეულობებია, მოქალაქე, უბრალოდ, ვერ წარმოიდგენს, ვინმემ პირდაპირ ეთერში დახვრეტასა და შუბლში ტყვიის დახლაზე გაბედოს საუბარი.** ეს **იმდენად შეუთავსებელია მათ პრინციპებთან, რომ დასავლური საზოგადოების ფსიქოლოგია თეორიულადაც კი არ უშვებს მსგავს რამეს.** ჩვენთან ეს არ იწვევს გაკვირვებას და ბუნებრივია, ვინაიდან სააკაშვილის პოლიტიკამ ქვეყანა უკვე იქამდე მიიყვანა, რომ დღესდღეობით საქართველო და დემოკრატია ფაქტობრივად საპირისპირო ცნებებია...

**— თუკი თავხელიძის განცხადება ხელისუფლების პოზიციის გახმოვანება იყო, გამოდის, რომ მმართველი გუნდი ოპონენტებს ფიზიკური ლიკვიდაციით ემუქრება. ასეთ პირობებში რას უნდა ველოდოთ არჩევნებისგან?**

— მერე ვინ გითხრათ, რომ მე მაქვს ამ არჩევნების დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარების იმედი? მსგავსი ილუზია საღად მოაზროვნე ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს ამ ხელისუფლების პირობებში. აქ ახლა გაყალბების ისეთი მექანიზმებია ამუშავებული, რომ, რაც ადრინდელ არჩევნებში დარღვევები ვიხილეთ, ამასთან შედარებით მონაგონი იქნება. **ესენი ცოცხალი თავით არ წავლენ, არა მარტო იმიტომ, რომ ძალაუფლება არ ეთმობათ, მათ იციან, რომ ხელისუფლებიდან წასვლა მათთვის ნიშნავს უმძიმეს განაჩენს, ვინაიდან ამდენ გაყალბებას, ამდენ სისხლისღვრას, უკანონო დაპატიმრებებსა და საზოგადოების ტერორს ხალხი არ აპატიებს.** ამიტომაა დღეს ეს ხელისუფლება ათმაგად საშიში, მას ახლა, ყველაფერთან ერთად, თვითგადარჩენის ინსტიქტიც ამოძრავებს, რაც ყველაზე მეტ ბიძგს აძლევს უკომპრომისობისა და დაუნდობლობისთვის.

**— გაყალბების მექანიზმებზე ბევრი საუბრობს. იქნებ დააკონკრეტოთ, მაინც რა მექანიზმებზეა საუბარი?**

— დავიწყოთ იმით, რომ, **როცა ხელისუფლებაში გეყოლება გოგორიშვილები, მაჭავარიანები და ბარამიძეები, რომელ დემოკრატიულ არჩევნებზეა საუბარი?! ამ ადამიანებს „ნაცმოძრაობის“ რიგებში ისტორიულად აქვთ გამყალბებლის ფუნქცია დაკისრებული.** ეს არის ჩვენი მწარე რეალობა და მე, უბრალოდ, საზოგადოებას ვერ ვაკადრებ იმას, რომ სიმართლე არ ვთქვა, — არჩევნები უკვე ამთავითვე გაყალბებულია. გაყალბებულია იმავე მამუკა კაციტაძის მიერ ჩატარებული ე. წ. კარდაკარის პრინციპით, რომლის მიზანიც, პირველ რიგში, იყო სწორედ სიების გაბერვა. სხვა კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო, ემიგრანტებს რას უშვებიან და როგორ ცდილობენ მათ იზოლირებას საარჩევნო პროცესიდან, უკვე ცნობილია. მოკლედ, ხელისუფლება უცხოეთშიც კი არ ასვენებს თავის მოქალაქეებს და იქაც ზუსტად ისეთივე წნეხში ამყოფებს ამომრჩეველს, როგორც ამას აქ, საქართველოში აკეთებს. ასეთ პირობებში, ცხადია, არჩევნების ობიექტურობის იმედი არ გვექნება, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: ეს არ ნიშნავს, რომ ხალხმა ფარხმალი უნდა დაყაროს. **ვინც რეალისტური თვალით უყურებს ამ ყველაფერს და აცნობიერებს, რა რეჟიმთან გვაქვს საქმე, კარგად იცის, რომ წინ გველის საკმაოდ ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც ან ჩვენი გამარჯვებით დასრულდება, ან დამარცხება ნიშნავს, რომ საქართველო კვლავ რჩება ანტისახელმწიფოებრივი, დამანგრეველი ძალების ხელში, რაც საბოლოოდ გაქრობასა და განადგურებას უქადის ჩვენს ქვეყანას.**

**— მამუკა კაციტაძე და „კარდაკარის“ პრინციპი ახსენეთ. თქვენი აზრით, ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისია ხელისუფლების ერთ-ერთი გაყალბების მექანიზმია?**

— მეტსაც გეტყვით, ეს კომისია საგულდაგულოდ შეიქმნა იმისთვის, რომ სიები გაბერილიყო, რაც თავისთავად უკვე ქმნის გაყალბების ნიადაგს. კაციტაძემ ეს მშვენივრად იცოდა. ამიტომ დღეს იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ კაცმა თავის საქმე გააკეთა, სანაცვლოდ კი მოხვდა პარტიულ სიაში. თუ ხელისუფლება გაიმარჯვებს, დარწმუნებული ვარ, პარლამენტშიც შევა და ეყოლება უმრავლესობას ისეთივე ოპოზიციონერად, როგორებიც არიან, მაგალითად, „ქრისტიან-დემოკრატები“. სწორედ ამისთვის გაუწია მან „ნაცმოძრაობას“ სამსახური, რასაც მმართველი გუნდიც, ალბათ, სათანადოდ დაუფასებს.

**— დასაწყისში თქვით, რომ არჩევნები ამთავითვე გაყალბებულია. რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ, თუ ეს არჩევნები მართლა დარღვევებისა და ტოტალური გაყალბების ფონზე ჩაივლის?**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ: არჩევნების გაყალბება გარდაუვალია, იმიტომ, რომ სხვანაირად „ნაციონალურ მოძრაობას“ შანსი არ აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეიძლება გამოსავლის პოვნა. **არსებობს პროტესტის მშვიდობიანი ფორმები, მათ შორის ქუჩის აქციები, და საზოგადოებამ ეს უფლება, რაც მას კანონით გააჩნია, უნდა გამოიყენოს.** საერთოდ, მე მიმაჩნია, რომ აქამდე ჩვენი საზოგადოება თავის კონსტიტუციურ უფლებებს ბოლომდე არ ან ვერ იყენებდა. დღეს არის სწორედ ის დრო და ის ზღვარი, როცა თითოეულმა მოქალაქემ ეს ბარიერი უნდა გადალახოს.

**— ქუჩის აქციები ახსენეთ და, რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, ცხადია, რომ ხელისუფლება მზადაა ყველა ნაბიჯისთვის, რაც ძალაუფლების შესანარჩუნებლად დასჭირდება. იმავე თავხელიძის განცხადებაც, კლასი უნდა განადგურდესო, მოწმობს, რომ მმართველი გუნდი ძალის გამოყენებასაც არ მოერიდება, თუ აუცილებლობამ მოითხოვა. რამდენად მზადაა დღეს ჩვენი საზოგადოება და ოპოზიციური სპექტრი ასეთ რეჟიმთან ბოლომდე დასაპირისპირებლად?**

— ოპოზიცია ამ შემთხვევაში ორ ნაწილად შეიძლება გაიმიჯნოს: ერთი, რომელიც, ფაქტობრივად, ხელისუფლების ყურმოჭრილი მონაა და მთელი თავისი მოღვაწეობით არსებული რეჟიმის ლეგიტიმაციას ემსახურება, მაგალითად, „ქრისტიან-დემოკრატები“; და მეორე, რომელიც რეალურად საფრთხეს უქმნის „ნაციონალური მოძრაობის“ დარჩენას ხელისუფლების სათავეში. ასეთი პოლიტიკური ძალა დღეს, საბედნიეროდ, არსებობს და მე არ ვგულისხმობ მარტო კოალიციას, მხედველობაში მაქვს ამ რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა სუბიექტი; საბოლოო ჯამში, მთავარი მაინც სხვა რამეა, — **გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს ხალხი და სწორედ ხალხმა უნდა უკარნახოს პოლიტიკოსებს, ვინც პროცესების სათავეში არიან, თუ როგორ და რა მიმართულებით წარიმართოს ეს ყველაფერი.**

რაც შეეხება საზოგადოების მზადყოფნას, ამდენი უბედურებისა და ტრაგედიის შემდეგ, რაც სააკაშვილის აღვირახსნილმა რეჟიმმა დაატეხა ამ რვა წლის განმავლობაში ქვეყანას, ქართველი ხალხი თუ კიდევ არაა მზად ბრძოლისთვის, მაშინ მართლა არ ვყოფილვართ უკეთესი ხელისუფლების ღირსი. ბრძოლაში არ ვგულისხმობ იმას, რომ მაინცდამაინც ხმლითა და მახვილით დაუპირისპირდე ვინმეს, საუბარია ელემენტარულ რამეზე — გამოხვიდე და გააპროტესტო შენ მიმართ განხორციელებული უსამართლობა; ოღონდ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი ფორმით, კონსტიტუციურ ჩარჩოებში განხორციელებული და მერწმუნეთ, ამას შედეგი აუცილებლად მოჰყვება. მით უფრო, **საერთაშორისო საზოგადოება დღეს ძალიან დიდი ყურადღებით აკვირდება აქ მიმდინარე პროცესებს, რაც იმას ნიშნავს, რომ, ძალის გამოყენებაზე როცაა საუბარი, ხელისუფლება ამ მხრივაც მაქსიმალურად შეზღუდული იქნება.**

**— არჩევნებამდე ათი დღე დარჩა, გაყალბების გარდაუვალობაზე კი საუბრობთ, მაგრამ რას ურჩევთ ამომრჩეველთა იმ ნაწილს, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია, ვის მისცეს ხმა ან საერთოდ წავიდეს თუ არა არჩევნებზე? ოფიციალური მონაცემებით, მათი რიცხვი არცთუ ისე მცირეა.**

— ვის მისცემს ხმას, თითოეულმა ამომრჩეველმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს და ამ მხრივ რჩევას ნამდვილად ვერ მივცემ ვერავის. რაც შეეხება წასვლა-არწასვლას არჩევნებზე, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ჩემი აზრით, გაყალბება გარდაუვალია, მაგრამ საკითხს ასე უნდა მივუდგეთ: ბოიკოტი არის გამოსავალი? **ხელისუფლება, რომელიც პირდაპირ გეუბნება, კეფაში ტყვიას დაგახლიო, თავს თუ დაუხრი, წარმოგიდგენიათ, რას იზამს? მართლა დაუვლის კარდაკარ იმ ადამიანებს, ვინც თვალში არ მოსდის და თავხელიძისნაირი ტვინგახურებულების ხელით სისრულეში მოიყვანს იმას, რაზეც ეს კაცი საუბრობდა ამასწინათ პირდაპირ ეთერში.** აქ ლაპარაკია საყოველთაო რეპრესიებსა და მოქალაქეების დევნაზე პოლიტიკური ნიშნით, რაც აუცილებლად მოხდება „ნაციონალური მოძრაობის“ დარჩენის შემთხვევაში. ასე რომ, თუ გვინდა, ამ მოსალოდნელ უბედურებას გადავრჩეთ, არჩევნებში მონაწილეობის მიღება არის უალტერნატივო გამოსავალი. ვიმეორებ, იმის მიუხედავად, რომ გაყალბება რეალურად გარდაუვალია...

**— გულწრფელად რომ ვთქვათ, თქვენი აზრით, საბოლოო ჯამში რა იქნება ამ არჩევნების მაქსიმალური შედეგი?**

— გააჩნია, რა შემთხვევას ვგულისხმობთ. თუ ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვევა სათანადოდ, თუ ოპოზიციაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდება და საზოგადოებაც დაირაზმება ბოლომდე საბრძოლველად, თუ კომპრომისზე, გარიგებაზე არ წავლენ რეჟიმთან პოლიტიკური ლიდერები და, რაც მთავარია, შეძლებენ საზოგადოებაში არსებული ანტისახელისუფლო მუხტის სწორად გამოყენებას, ჩათვალეთ, რომ 1 ოქტომბერს შედგება სააკაშვილისა და მისი გარემოცვის პოლიტიკური პარაკლისი. ეს იქნება პროცესი, რომელსაც ვერანაირი ძალისგამოყენება ვერ შეაჩერებს. რასაც ერთი მიშა სჩადის, მეორე მიშა კი ახმოვანებს, უკან მიუბრუნდებათ ბუმერანგივით...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## «მთავარია, საზოგადოება დაირაზმოს და 1 ოქტომბერს შედგება სააკაშვილის პოლიტიკური პარაკლისი»

ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲐ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲬᲔᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲮᲔᲓᲕᲐᲠᲔ ᲛᲔᲫᲐᲕᲔᲑᲘ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘᲗ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲠᲣᲨᲝᲑᲓᲜᲔᲜᲝ. ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ — ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ ᲘᲪᲐᲕᲓᲔᲡ, ᲛᲐᲛᲐᲗᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲚᲣᲛᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲬᲧᲝᲑᲓᲔᲡ, ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲨᲘ ᲓᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲛᲓᲔ ᲒᲐᲠᲧᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲔᲡ, ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲡ ᲨᲔᲕᲐᲓᲐᲠᲝᲗ.“



### მამა დავითი:

# ᲗᲣ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲪᲓᲔᲑᲐ, ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲛ ᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲛᲮᲘᲚᲝᲡ

## ᲐᲡᲔᲗ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲑᲠᲫᲝᲓᲔᲡ!

*წმინდა იუსტინე (პოპოვიჩი)*

**წმინდა სინოდის განჩინების მიუხედავად, წინასაარჩევნო პერიოდში ზოგიერთი სასულიერო პირი პოლიტიკურ შეხედულებებს საჯაროდ გამოხატავს და სასურველი კანდიდატის მხარდაჭერისკენ მრევლსაც მოუწოდებს. როგორ უნდა იქცეოდეს ღირსეული სასულიერო პირი და როგორი უნდა იყოს ეკლესიისა და ხელისუფლების ურთიერთობა, „საქართველო და მსოფლიოს“ თბილისის წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲛᲐᲛᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲘ (ᲥᲕᲚᲘᲕᲘᲫᲔ) ესაუბრება.**

**— მამაო, მიუხედავად იმისა, რომ, წმინდა სინოდის განჩინების თანახმად, სასულიერო პირებს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა აეკრძალათ, ბევრი მათგანი კვლავ ღიად გამოხატავს საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებს და საეკლესიო ქადაგებისას საარჩევნო აგიტაციასაც არ ერიდება. მაგალითად, ახლახან გავრცელდა დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ აბრაამის ქადაგების ვიდეოკადრები. რამდენად მართებულია სასულიერო პირის მხრიდან ასეთი საქციელი?**

— წმინდა სინოდის განჩინების თანახმად, სასულიერო პირები პოლიტიკაში არ უნდა ერეოდნენ. ეს ნამდვილად სწორი გადაწყვეტილებაა, ვინაიდან ეკლესიის მოვალეობაა ერის შეკრება და არა გაყოფა. მრევლში შეიძლება ზოგიერთი „ნაციონალური მოძრაობის“, ზოგიერთი „ქართული ოცნების“, ზოგიერთი კი სხვა პარტიის მხარდამჭერი იყოს და, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲕᲡ, ᲔᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲠᲔᲕᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲐᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲛᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲛᲑᲘᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲐᲓᲐᲒᲝᲡ.

საქართველოს ისტორიაში ბევრი მაგალითი გვაქვს, როცა ეკლესია ერეოდა პოლიტიკაში და მეფე ყველა მნიშვნელოვან საკითხს ეკლესიასთან ერთად წყვეტდა. მაგალითად, გიორგი ჭყონდიდელი არამარტო დავით აღმაშენებლის სულიერი მამა იყო, არამედ ის ქვეყნის პოლიტიკას წარმართავდა. როცა ბასიანის ბრძოლიდან 4 წლის შემდეგ, თამარ მეფესთან სარდლები მივიდნენ და სთხოვეს, უქმად ყოფნით დავიღალეთ, გვაკურთხე და იერუსალიმს ჩაგაბარებთო, თამარმა უპასუხა, ამ საკითხს მარტო ვერ გადავწყვეტ, ეპისკოპოსებს უნდა ვკითხოო. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება კი, მოგეხსენებათ, დავით აღმაშენებლის ინიციატივით მოიწვიეს. ეკლესიის ფუნქცია ყოველთვის იყო მართლმადიდებელი მეფის გარშემო ერის გაერთიანება.

**— უნდა ემორჩილებოდეს თუ არა ეკლესია და საზოგადოება ხელისუფალს?**

— ეკლესიის დამოკიდებულებას ხელისუფლების მიმართ ძალიან კარგად განმარტავს წმინდა იუსტინე (პოპოვიჩი), რომელიც ამბობს „ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡᲒᲐᲜ, ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲘᲔᲠᲐᲠᲥᲘᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲘᲔᲠᲐᲠᲥᲘᲐᲪ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲝᲓᲔᲗ ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲐᲛᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲦᲕᲗᲘᲕᲛᲝᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲛᲪᲕᲔᲚᲡ. ᲡᲮᲕᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲥᲐᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲐ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲗᲐ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲜᲐᲛ ᲒᲕᲛᲐᲠᲗᲔᲑᲡ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲠᲘᲕ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲡ ᲘᲪᲐᲕᲔᲜ; ᲡᲐᲜᲐᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ; ᲡᲐᲜᲐᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘ ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲯᲔᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ ᲣᲙᲧᲘᲐ... ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲦᲕᲗᲝ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡ ᲛᲓᲔᲕᲜᲔᲚᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲧᲣᲠᲘᲡᲒᲓᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ. ᲐᲡᲔᲗ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲑᲠᲫᲝᲓᲔᲡ“.

ყველა წმინდა მამა, ყველა მოწამე ხომ სწორედ ხელისუფალთ აწამეს, ვინაიდან ისინი ხელისუფლებას არ ემორჩილებოდნენ. გავიხსენოთ წმინდა გიორგი, წმინდა ბარბარე, წმინდა მარინე...

როდესაც მეფეს რაღაც შეეშლებოდა, ეკლესია ყოველთვის მკაცრად ამხელდა. გაიხსენეთ, გრიგოლ ხანძთელი როგორ მოექცა აშოტ კურაპალატს. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲖᲔ ᲘᲤᲘᲥᲠᲝᲡ, ᲮᲝᲚᲝ, ᲗᲣ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲪᲓᲔᲑᲐ, ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲛ ᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲛᲮᲘᲚᲝᲡ.

**— ანუ, სასულიერო პირმა საჯაროდ უნდა ამხილოს ხელისუფლება?**

— აუცილებლად. ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲨᲔᲐᲮᲡᲔᲜᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔ; ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲡᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ — ᲑᲣᲓᲐᲑᲐᲠᲘ, ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲙᲘ ᲙᲐᲖᲘᲜᲝ ᲐᲐᲨᲔᲜᲝ; ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲫᲐᲕᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲖᲘᲜᲝ ᲘᲧᲝᲡ... ᲔᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲛ, ᲗᲣ ᲐᲠ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ, ᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ ᲔᲙᲐᲠᲒᲔᲑᲐ.

**«ᲤᲘᲚᲛᲘ «ᲘᲡᲚᲐᲛᲘᲡ ᲣᲪᲝᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐ» ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲐᲪ ᲐᲛ ᲤᲘᲚᲛᲡ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ, ᲘᲜᲡᲞᲘᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲛ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲖᲔ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲙᲝᲡᲛᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲖᲛᲘ, ᲔᲙᲣᲛᲔᲜᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲛᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲘᲥᲐᲓᲐᲒᲝᲜ»**

ძალადობა არ შეიძლება. მღვდელმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა უთხრას მრევლს, ვის მისცეს ხმა. ქრისტე არ ძალადობდა ადამიანებზე და სასულიერო პირმა როგორ უნდა იძალადოს მრევლზე და აიძულოს, ხმა თავის სასურველ კანდიდატს მისცეს? ღმერთმა ადამიანი თავისუფალ არსებად გააჩინა, მაგრამ ის პასუხს აგებს ნებისმიერ, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. მამათმავლების აღლუმების მომწყობებსა და ეკლესიის დამანგრევლებს რომ აირჩევ და მხარს დაუჭერ, ბუნებრივია, ღვთის წინაშე პასუხს აგებ.

ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲪᲐ ᲣᲖᲜᲔᲝᲓ ᲘᲥᲪᲔᲝᲓᲐ, ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲛᲐᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲮᲔᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘᲪ, ᲛᲔᲤᲘᲡ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘᲗ ᲨᲔᲬᲣᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲛᲔᲤᲔᲛ ᲨᲔᲘᲜᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ, ᲗᲐᲕᲘᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲡᲬᲘᲠᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲘᲛᲐᲕᲔ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲛ ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲠᲐᲪᲮᲐ.

**— რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ვიდეოკადრები, რომელშიც ნათლად ჩანს, ხობისა და ფოთის მიტროპოლიტი, მეუფე გრიგოლი, ჟურნალისტს ფიზიკურ შეურაცხყოფას რომ აყენებს. რამდენად აქვს სასულიერო პირს ასეთი აგრესიის გამოხატვის უფლება, ის ხომ მაგალითის მიმცემი უნდა იყოს ხალხისთვის?**

— მე არ მინახავს ეს კადრები, ამიტომ გამიჭირდება კონკრეტულად აღნიშნულ ფაქტზე საუბარი. ყველაფერს გამოკვლევა სჭირდება — რა და როგორ მოხდა, მაგრამ ჩემი პოზიცია ნებისმიერ დასმულ კითხვაზე ასეთი იქნება: ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲒᲔᲑᲐ. ასეთი ფაქტები კი თავად ეკლესიისთვის იქნება საზიანო. ეკლესია დედაა, დედა კი, რაც უნდა ცუდი შვილი ჰყავდეს, ყველას გულში იკრავს. ვფიქრობ, ეკლესიაში ვინც არ უნდა მოვიდეს და რაც არ უნდა უთხრას მღვდელს, ეს უკანასკნელი მაინც ყველას უნდა მოეფეროს. ᲕᲘᲦᲐᲪᲐᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲨᲔᲔᲨᲐᲚᲝᲡ, ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲛᲝᲘᲥᲪᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲛᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲛᲓᲐᲑᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲓᲐᲜ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲐᲓ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲒᲐᲣᲨᲕᲐᲡ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲣᲦᲐᲚᲐᲢᲘᲐ ᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲝᲑᲘᲡ, ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲝᲖᲔ ᲘᲓᲒᲐ.

**— კულუარული ინფორმაციით, არჩევნების შემდეგ ხელისუფლება ახალ პატრიარქს ამზადებს. სახელდება ორი კანდიდატურა: ჭყონდიდის ეპისკოპოსი, მეუფე პეტრე და ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ?**

— დაახლოებით ათი წლის წინათ საპატრიარქოში შევხვდით ერთ-ერთ მღვდელს, რომელსაც ცილი დასწამეს, თითქოს მის ძმას პატრიარქობა სურდა. მაშინ პატრიარქმა დაგვამშვიდა და იერუსალიმის პატრიარქ დიოდოროსის მაგალითი მოიყვანა, მის დროსაც მრავალს სურდა პატრიარქობა და ათასგვარ ხრიკებსაც მიმართავდნენ, მაგრამ ყველა გარდაიცვალა და დიოდოროსი დარჩაო. ამიტომ არ მიაქციოთ ყურადღება ასეთ საუბრებს, ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲕᲘᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲝ.

ასე რომ, იმაზე მსჯელობა, ვის უნდა პატრიარქობა, არასერიოზული მგონია. თავად უფალი წყვეტს, ვინ უნდა გახდეს პატრიარქი. ჩვენ კი უნდა ვილოცოთ, რათა ჩვენმა პატრიარქმა კიდევ დიდხანს მართოს ეკლესია, ვინაიდან, ვფიქრობ, არასდროს საქართველოს ასე არ დასჭირვებია პატრიარქის პიროვნება, როგორც დღეს... უწმინდესი არის ქვეყნის დედაბოძი. ᲧᲕᲔᲚᲐ, ᲛᲢᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ, ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲥᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲔᲠᲝᲡ. ᲛᲔᲢᲡᲐᲪ ᲒᲔᲢᲧᲕᲘᲗ, ᲣᲠᲬᲛᲣᲜᲝ ᲮᲐᲚᲮᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ, ᲘᲡ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲐ.

**— რამდენიმე დღის წინ, ბაგრატის ტაძრის კურთხევის შემდეგ, პატრიარქმა ოპოზიციაც და ხელისუფლებაც ფოთის და ხობის ეპისკოპოს მეუფე გრიგოლთან დაპატიჟა, რომელსაც ახლახან მომხდარი სკანდალური ფაქტი უკავშირდება. ამან საზოგადოების გარკვეული ნაწილის გაოცება და აღშფოთება გამოიწვია...**

— პატრიარქი ყოველთვის ცდილობს, ეკლესია თავის ფუნქციებს დაუბრუნოს. ეკლესიაში ერთი არასწორად გადადგმული ნაბიჯის გამო შეიძლება ყველაფერი კატასტროფულად დამთავრდეს. პატრიარქმა იცის, რა უნდა გააკეთოს.

**— მეუფე კალისტრატემ, რომელიც ხშირად ადარებს მიხეილ სააკაშვილს დავით აღმაშენებელს, ბაგრატის ტაძრის კურთხევის დღეს პრეზიდენტი ჯვრითა და აღმაშენებლის მედლით დააჯილდოვა. რამდენად მართებულია მიხეილ სააკაშვილის დავით აღმაშენებელთან შედარება?**

— დავით აღმაშენებელი ერის სულიერი მამა იყო და, თუ მიხეილ სააკაშვილის საქმეები აღმაშენებლის საქმეებს ემთხვევა, როცა დავითის დროს პირველ ადგილზე სარწმუნოება და ზნეობრიობა იყო, მაშინ შეიძლება შევადაროთ. ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲬᲔᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲮᲔᲓᲕᲐᲠᲔ ᲛᲔᲫᲐᲕᲔᲑᲘ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘᲗ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲠᲣᲨᲝᲑᲓᲜᲔᲜᲝ. ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ — ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ ᲘᲪᲐᲕᲓᲔᲡ, ᲛᲐᲛᲐᲗᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲚᲣᲛᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲬᲧᲝᲑᲓᲔᲡ, ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲨᲘ ᲓᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲛᲓᲔ ᲒᲐᲠᲧᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲔᲡ. ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲡ ᲨᲔᲕᲐᲓᲐᲠᲝᲗ.

**— მსოფლიო მღელვარებამ მოიცვა, ფილმმა „ისლამის უცოდველობა“ მუსლიმანების აღშფოთება გამოიწვია. არის ეს ყველაფერი რელიგიის შეურაცხყოფა თუ ეს ხელოვნებაა და ამაში ეკლესია არ უნდა ჩაერიოს?**

— დავით აღმაშენებელი იჯდა და მუსლიმან ხოჯებსა და მონოფიზიტებს ეკამათებოდა, უმტკიცებდა მათი სარწმუნოების მცდარობას და მართლმადიდებლობის ჭეშმარიტებას ქადაგებდა, მაგრამ შეურაცხყოფა არავისთვის მიუყენებია. ეს ფილმი, „ისლამის უცოდველობა“, არ არის ხელოვნება, ეს არის შეურაცხყოფა. თუ გინდა, ეს ადამიანები მოაქციო და სწორ გზაზე დააყენო, ეს სიყვარულით უნდა გააკეთო, აუხსნა მას სარწმუნოების არსი. საერთოდ, ვფიქრობ, ეს შემთხვევა ინსპირირიებული იყო, რათა არეულობა გამოეწვია.

**— ვის მიერ იყო ინსპირირებული?**

— ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲘᲡᲚᲐᲛᲘᲡ ᲣᲪᲝᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐ“ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲐᲪ ᲐᲛ ᲤᲘᲚᲛᲡ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ, ᲘᲜᲡᲞᲘᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲛ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲖᲔ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲙᲝᲡᲛᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲖᲛᲘ, ᲔᲙᲣᲛᲔᲜᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲛᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲘᲥᲐᲓᲐᲒᲝᲜ. ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲐᲜᲔᲑᲛᲐ ᲛᲣᲰᲐᲛᲔᲓᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲠᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲔᲡ, ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲔᲡ.

**— ტელეკომპანია „კავკასიის“ ინციდენტის შემდეგ დაჭერილი ბიჭების პროცესებს ესწრებოდით. ამ პროცესებში აქტიურად მონაწილეობდა საპატრიარქოც, რატომ ვერ მოხერხდა მათი გათავისუფლება?**

— იმიტომ, რომ ისინი რამდენიმე ადამიანის პირადი პატიმრები არიან.

**— ვის გულისხმობთ, ვისი პირადი პატიმრები არიან?**

— არიან ადამიანები, რომლებსაც ხელეწიფებათ ადამიანების როგორც დაჭერა, ისე გამოშვება. ეს ბიჭები ზნეობრიობასა და ტრადიციებს იცავდნენ, ზოგიერთებს კი ეს არ მოეწონათ. თავად ნინო ჯანგირაშვილმაც განაცხადა, ეს ბიჭები დამნაშავეები არ არიან, გადაცემის მსვლელობის დროს ჩვეულებრივი კამათი მიმდინარეობდაო, მაგრამ ეს არ გაითვალისწინეს. სასამართლო პროცესი 2 თვე გრძელდებოდა. ბრალდების მხარემ სასამართლოზე 6-საათიანი ვითომ სამხილებელი ფირი წარმოადგინა, რომელზეც ამ ბიჭების მხრიდან ვინმეს მიმართ არათუ ხელით შეხება, გინებაც კი არ არის დაფიქსირებული. ამის მიუხედავად, ისინი დღემდე საპატიმროში რჩებიან. ეს ბიჭები რელიგიური პატიმრები არიან.

ესაუბრა ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲪᲘᲕᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

19 — 25 სექტემბერი, 2012 წელი. №35 (173)



გრანი ქავთარია

## ძალიან მოკლედ შემოვიფარგლები: თანდაყოლილი მსუბუქი აზროვნება აქვს სააკაშვილს

საზოგადოება
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ძველი რომის ისტორიის გაკვეთილები სააკაშვილისთვის

**სააკაშვილის ცნობილი საავტორო პროექტი „ჩარეცხილები“ განსაკუთრებით მწვავედ უნივერსიტეტის პროფესურას შეეხო, რომელიც ცნობილი მეცნიერების განდევნით დასრულდა. ცნობილია, რომ 2006 წელს ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლების დიდი რეპრესიები დაიწყო. თავის დროზე ამ თემას ფართოდ აშუქებდა პრესა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ძალა აღმართს ხნავს და სააკაშვილის შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა. მართალია, მეცნიერებმა უნივერსიტეტი დატოვეს, მაგრამ პროფესია — არა. მეცნიერი მეცნიერად რჩება არა მარტო დროსა და სივრცეში, არამედ ისტორიაშიც, ისტორიის ჩარეცხვა კი შეუძლებელია. ისტორიკოსი (ძველი რომის სპეციალისტი) გრანი ქავთარია ერთ-ერთი მათგანია, ვინც 2006 წელს უნივერსიტეტი დატოვა. მას შემდეგ ბატონმა გრანიმ რამდენიმე წიგნი გამოსცა, აქტიურად თანამშრომლობს პრესასთან და დღეს „საქართველო და მსოფლიოს“ სტუმარია.**

## გრანი ქავთარია: ნერონსა და ჩვენს პრეზიდენტს შორის მთელი რიგი თვალშისაცემი მსგავსებაა



## ნერონსაც იგივე გატაცება ჰქონდა — უყვარდა პუბლიკა, ტაში და ოვაციები... ნერონი აბსოლუტური გიჟი გახლდათ...



**— ბატონო გრანი, ძველი რომის მმართველებიდან კონკრეტულად ვის გაგონებთ სააკაშვილი და რატომ?**

— კარგი შეკითხვაა. რა თქმა უნდა, ნერონს! სამწუხაროდ, ნერონსა და ჩვენს პრეზიდენტს შორის მართლაც მთელი რიგი თვალშისაცემი მსგავსებაა; ჩადის სააკაშვილი რომელიღაც რაიონში და მას ტაშით, ოვაციებით, შეძახილებით „მიშა! მიშა!“ ხვდება ეგზალტირებული საზოგადოება. ამ სცენებს ჩვენ ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც ვუყურებდით ხოლმე მთელი ამ ხნის მანძილზე. **საარჩევნო პერიოდში კი ლამის ყოველ საათში თუ არა, დღეში სამ-ოთხჯერ მაინც გვაჩვენებენ პრეზიდენტის ტრიუმფალურ სვლებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მისით აღფრთოვანებული ადამიანების ოვაციებს. ნერონსაც იგივე გატაცება ჰქონდა — უყვარდა პუბლიკა, ტაში და ოვაციები.** იგი გახლდათ უდიდესი მსახიობი და შესანიშნავი მომღერალი, უბრწყინვალესი განათლების მქონე, განსაკუთრებით უყვარდა ხელოვნება და შესანიშნავადაც ერკვეოდა ამ სფეროში, მაგრამ... მაგრამ ნერონი აბსოლუტური გიჟი გახლდათ და ეს ფაქტი ისტორიამ, რა ხანია, დაადასტურა.

**— სხვათაშორის, სააკაშვილის მოსვლის დღიდან საქართველოში დიდი გალა-კონცერტების ჩატარება წესად იქცა და ამისთვის უზარმაზარი თანხები, მილიონები, იხარჯება ბიუჯეტიდან. ხალხი და მათ შორის ე.წ. ჩარეცხილი ინტელიგენციაც გადაულახავი ყოფითი პრობლემებით (კვება, კომუნალური და სხვა გადსახადები) იმდენად დაბეჩავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ მთელი ამ წლების მანძილზე მხოლოდ თვითგადარჩენაზე ფიქრობს. ძველ რომში განათლებულ, ინტელიგენტ ადამიანებს პატივს სცემდნენ, რამდენადაც ვიცი...**

— პირიქით, ძველ რომში ინტელიგენტური პროფესიები, მაგალითად — ექიმი, მასწავლებელი, მსახიობი, მომღერალი, მოცეკვავე, მხატვარი, მოქანდაკე, სამარცხვინო იყო. ერთადერთი და საამაყო მხოლოდ ხმალი იყო და, შესაბამისად, დაფასებულები და დიდ პატივში მხოლოდ მეომრები იყვნენ.

**— არადა, ძველ რომს, თავისი ხელოვნებითა და ზოგადად კულტურით, ერთ-ერთი საპატიო ადგილი აქვს კაცობრიობის ისტორიაში. თუ მხოლოდ ხმალი იყო პატივის ღირსი, კულტურაში ასეთ დიდ სიმაღლეებს როგორ მიაღწიეს?**

— ჰორაციუსს უთქვამს: დაპყრობილმა საბერძნეთმა დაიპყრო დამპყრობელი რომი(!), რა თქმა უნდა, კულტურის თვალსაზრისით. ვის უნდა ეკეთებინა ხელოვნება? ბერძნებს! ერთ ფაქტს მოვიყვან ისტორიიდან: მეორე საუკუნის შუა ხანებში რომი საბერძნეთს იპყრობს. ბერძენი მსახიობები რომში ჩადიან და ხელისუფლებას სთავაზობენ — სცენაზე ტრაგედიას წარმოგიდგენთო. მოგეხსენებათ, ევრიპიდეს, ესქილეს ტრაგედიები ცნობილი იყო ძველ საბერძნეთში. წარსდგნენ ბერძენი მსახიობები რომაელების წინაშე, სცენაზე ტრაგედიას თამაშობენ და წარმოდგენის მსვლელობის დროს რომაელებს ჩაეძინათ. ადის სცენაზე რომაელი, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, კულტურის მინისტრი და ეუბნება ბერძენ, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, რეჟისორს — ახლავე შეწყვიტეთ ეს მაიმუნობა და კრივი გამართეთ! რა უნდა ექნათ ბერძენ მსახიობებს?! ცხადია, გამართეს კრივი. ჩაძინებულ რომაელებს გამოეღვიძათ და ისეთი აღფრთოვანებულები იყვნენ, რომ დარბაზი ლამის დაინგრა ტაშით.

აი, ასე დაიწყო ბარბაროსი რომაელების პირველი ზიარება ბერძნულ კულტურასთან, მაგრამ შემდეგ მოხდა მათთან გათანაბრება. რომაელები დიდი ბერძნული კულტურის ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ და მოგვიანებით რომში სავალდებულოდ ითვლებოდა ბერძნული ენის ცოდნა. საერთოდ, ლათინურზე უკეთესად რომაელებმა ბერძნული ენა იცოდნენ, მხედველობაში მაქვს ძვ.წ.აღ. II საუკუნე, თორემ მანამდე რომაელები ბარბაროსები იყვნენ. ძვ.წ.აღ. I საუკუნეში კი რომაელებისთვის საბერძნეთი, ათენი და განსაკუთრებით ალექსანდრია მეცნიერების, ხელოვნებისა და საერთოდ კულტურის ცენტრებს წარმოადგენდა. რომაელებს ბერძენი მასწავლებლები ჰყავდათ შინ.

**— პატრიციებს?**

— პატრიციებსაც და პლებეებსაც. პლებეები დაბალი ფენის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ III საუკუნიდან დაიწყო მათი გათანაბრება პატრიციებთან და რომის სენატში ორჯერ მეტი პლებეი იყო, ვიდრე — პატრიცი. მაგალითად, დიდი რეფორმატორები, ძმები გრაკჰუსები, პლებეები იყვნენ. V საუკუნეში კი შეიქმნა სახალხო ტრიბუნის თანამდებობა, რომელიც პლებეების ინტერესებს იცავდა. სახალხო ტრიბუნი აუცილებლად პლებეი უნდა ყოფილიყო, დიდი უფლებები ჰქონდა და მას შეეძლო სენატის მიერ დამტკიცებული კანონის შეჩერება. მართალია, იერარქიით ყველაზე მაღალი თანამდებობის პირი კონსული გახლდათ, მაგრამ სახალხო ტრიბუნს კონსულის გამოცემულ ბრძანებაზე ვეტოს დადების უფლება ჰქონდა. იყო შემთხვევები, როდესაც პატრიციები პლებეების ფენაში გადადიოდნენ, რათა ტრიბუნები გამხდარიყვნენ.

**— გამოდის, გარკვეულ პერიოდში რომში დემოკრატია მართლაც ყვაოდა და დღევანდელი ცივილიზებული მსოფლიო ბევრ სიკეთეს სწორედ რომაელებს უნდა უმადლოდეს. საინტერესოა, როგორ დაადგნენ რომაელები დემოკრატიის გზას, რამ განაპირობა ასეთი არჩევანი?**

— ძვ.წ.აღ. 509 წელს რომში მეფეთა ხანა დამთავრდა და უკანასკნელი მეფე, ტარკვინიუს ამაყი, სამარცხვინოდ გააძევეს რომიდან. ამ გადაწყვეტილებას, დღევანდელი გადასახედიდან, ცოტა არ იყოს, ღიმილისმომგვრელი ისტორია უძღვის წინ.

ტარკვინიუს ამაყის მეფობის დროს მოხდა ასეთი ამბავი: ქეიფობდნენ რომაელი ახალგაზრდები, მათ შორის იყო ტარკვინიუს ამაყის შვილიც, მთლად პატარა ბიჭი არა, ცოლშვილიანი კაცი გახლდათ. როდესაც ახალგაზრდები კარგად შეთვრნენ, ლაპარაკი დაიწყეს — ჩვენ შორის ვისი ცოლია ყველაზე კარგიო. ყველამ თავისი ცოლის ქება დაიწყო, ვერ შეთანხმდნენ, გადაწყვიტეს კომისიის შექმნა და სამი კაცი შეარჩიეს. კომისიას უნდა ჩამოეარა და შეემოწმებინა, ვისი ცოლი რას აკეთებდა. საქმე ის გახლდათ, რომ უკვე შუაღამე იყო და, ალბათ, ამიტომაც ჩათვალეს მნიშვნელოვნად შემოწმება. ჩამოიარა კომისიამ და აღმოჩნდა, რომ ზოგიერთის ცოლს ეძინა, ზოგიერთის ცოლი სახლში არ დახვდათ, ზოგიერთის ცოლი კი სხვა კაცთან აღმოჩნდა. მხოლოდ ერთადერთის ცოლი ნახეს შინ, რომელიც მონა ქალების გარემოცვაში იჯდა და რაღაცას აქსოვინებდა მათ. კომისიამ დაადგინა, რომ ყველაზე კარგი ცოლი სწორედ ის იყო. დაბრუნდნენ თანამოქეიფეებთან და გამოუცხადეს — ყველაზე კარგი ცოლი არის ლუკრეცია კოლადინი. **ტარკვინიუს ამაყის შვილმა შეურაცხყოფად მიიჩნია, რომ მისი ცოლი არ აღმოჩნდა ყველაზე კარგი, შურისძიება გადაწყვიტა და ძალა იხმარა ლუკრეციაზე. შეურაცხყოფილმა ლუკრეციამ თავი მოიკლა და მეუღლეს წერილი დაუტოვა — შენი ერთგული ვიყავი, მაგრამ ტარკვინიუს უმცროსმა ძალა იხმარა და ამის გამო თავს ვიკლავო. როგორც ისტორიკოსი წერს — ამ ფაქტმა დიდი მღელვარება გამოიწვია რომში და მთელი ქალაქი ფეხზე დადგა. ტარკვინიუს ამაყი და მთელი მისი ოჯახი რომიდან განდევნეს.** ეს მოხდა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, 509 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ამის შემდეგ დამყარდა რომში დემოკრატია, ანუ ხალხის მმართველობა, რომი კი რესპუბლიკა გახდა.

**— ძალიან საგულისხმო ეპიზოდია, უმსგავსო საქციელისთვის მთელი სამეფო კარი განდევნეს ამაყმა რომაელებმა. მოდით, ისევ დღევადელობას დავუბრუნდეთ: როგორც ისტორიკოსს, მსოფლიო პოლიტიკის მესაჭეთა შორის ვინ გეგულებათ ძლიერ, დიდ პოლიტიკოსად?**

— ძნელია ასეთი პიროვნების გამოყოფა. ამერიკა ცდილობს მსოფლიო ბატონობას, მაგრამ გამოკვეთილი ძლიერი პოლიტიკოსი არ ჰყავს, ყოველ შემთხვევაში, ასეთი არ ჩანს.

**— და ბოლოს, კონკრეტულად ჩვენს პრეზიდენტზე რა აზრისა ხართ?**

— ძალიან მოკლედ შემოვიფარგლები: თანდაყოლილი მსუბუქი აზროვნება აქვს სააკაშვილს.

ესაუბრა **ეკა კახიანი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ზვიად გამსახურდია თავის გახმაურებულ ნაშრომში „დილემა კაცობრიობის წინაშე“ საუბრობს ერის გადარჩენაზე. იგი აღწერს იმ დილემას, რომლის წინაშეც არა მარტო ქართველი ერი, არამედ ცივილიზაცია დგას უკვე... ზვიად გამსახურდიამ დაგვანახა ეს დილემა, რომელიც ოცდამეერთე საუკუნის დილემაა და რომლის გადაწყვეტაც ჩვენ შეიძლება შევძლოთ, თუ საქართველოს, ქართველ ერს ექნება მძლავრი ერთიანი იდეოლოგია და მისი განხორციელების მექანიზმები.“**



## იოსებ ღუდუშაური:

# ერები, რომლებიც დასავლური დემოკრატიის გზას დაადგნენ, გადაშენების პირას არიან

## «დადგა იმის დრო, რომ მართლმადიდებელმა ერმა ქრისტეს აშკარა მტრები მისი მოყვარეებისგან გაარჩიოს და ქრისტეს მიმდევარნი კვლავ ბარაბაში არ გაცვალოს ისე, როგორც ეს ზვიად გამსახურდიას შემთხვევაში მოხდა!»

**საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიოს“ თავის მოსაზრებებს უზიარებს საქართველოს ემიგრაციული მთავრობის აღმასრულებელი მდივანი დევნილობაში, იოსებ ღუდუშაური.**

**— ბატონო იოსებ, ჩვენ ვიცით, რომ ეროვნული ხელისუფლების თბილისიდან განდევნის შემდეგ, სამხედრო ხუნტის მიმართ დაუმორჩილებლობას სათავეში სწორედ „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზაციები ედგნენ. ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ კი მათი აქტიურობა კანონიერების აღდგენის ნიშნით საერთოდ აღარ შეინიშნებოდა. ახლაც ვერ ვიტყვით, რომ ეს ორგანიზაციები რაიმეთი ახსენებდნენ თავს საზოგადოებას.**

— დაუმორჩილებლობას სათავეში ედგა არა ეროვნული ხელისუფლება, არამედ მისი შემქმნელი „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზაციები, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის კოორდინაციითა და ხელმძღვანელობით. მაგრამ ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ ამ ორგანიზაციებმა შეწყვიტეს ფუნქციონირება. რა თქმა უნდა, მათი აქტიურობა საგრძნობლად შემცირდა, რაც გამოიწვია, პირველ რიგში, პრეზიდენტის გარდაცვალებამ და რასაც მოჰყვა აღმასრულებელი კანონიერი მთავრობის მუშაობის შეფერხების სიტუაციაში ვაკუუმის შექმნა და აქედან გამომდინარე იმ ურთიერთკავშირის უქონლობა, რომელიც უძლეველს ხდიდა დაუმორჩილებლობის მოძრაობას. ამას დაუმატეთ შევარდნაძის ხუნტისა და მისი ჩამნაცვლებელი „ნაცების“ მხრიდან უსასტიკესი დევნა-რეპრესიები. იყო დიდი გულგატეხილობის პერიოდიც, რომელსაც მოჰყვა ჩვენი მოძრაობის საგრძნობი დასუსტება. ადგილი ჰქონდა, აგრეთვე, ცალკეული წევრების გადაბირებას ან საკუთარი ინიციატივით ხუნტის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, რაც კატეგორიულად აკრძალა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ. **პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართვა უკანონო არჩევნების მიმართ ბოიკოტის გამოცხადების შესახებ დღესაც ძალაშია და განახლებულია იგი ემიგრაციული მთავრობის პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 6 ივნისის ხელმოწერით.**

**— თუ შეგიძლიათ, რამდენიმე წინადადებით ჩვენს მკითხველს გააცნოთ ეროვნული მოძრაობის არსისა და დანიშნულების თქვენეული ხედვა?**

— 80-90 წლებში აზობოქრებული ეროვნულ-სარწმუნოებრივი ხასიათის სახალხო მოძრაობის მთავარი მიზანი იყო საქართველოსთვის დამოუკიდებლობის მოპოვება და დამოუკიდებელი საქართველოს მართლმადიდებელ ქვეყნად ქცევა. **ეროვნულ-სარწმუნოებრივმა მოძრაობამ შექმნა ლეგიტიმური ხელისუფლება, როგორც ინსტრუმენტი, რომელიც აუცილებელი იყო საქართველოსთვის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის მიერ შექმნილმა ხელისუფლებამ ჩაატარა რეფერენდუმი და მიიღო დამოუკიდებლობის აქტი, ამით ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის პირველი ეტაპის ამოცანა შესრულდა.**

**— როგორ ფიქრობთ, მართლმადიდებლობასთან მიმართებაში რა ორგანიზაციებია ევროსაბჭო, გაერო და ნატო და რატომ არიან ისინი დღეს, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით, საქართველოს ბედით ასე ძლიერ დაინტერესებულნი? რატომ მოხდა, რომ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობის საკითხში ყველა გაერთიანდა; გახსოვთ, ალბათ, ე. შევარდნაძეს მილოცვა მილოცვაზე მისდიოდა ზვიადის დამხობისთვის, ამერიკიდან დაწყებული, ვაცლავ ჰაველით დამთავრებული; ხედავთ თუ არა ამაში არამარტო ეროვნული ხელისუფლების, არამედ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მასონურ-გლობალისტურ შეთქმულებას?**

— დიახ, ტერიტორია „საქართველოს“ ბედით დაინტერესება დიდია, მაგრამ ქართველი ერის ბედით დაინტერესება — ნულოვანი! სამაგიეროდ, ინტერესდებიან ე.წ. ადამიანის უფლებებით, რაც დღეს სოდომ-გომორული გახრწნილების დაცვისა და განვრცობის სინონიმად გადააქციეს. თქვენ მიერ ჩამოთვლილი **პოლიტიკურ-სამხედრო დაწესებულებები წარმოადგენენ იმ იარაღებს, რომლებითაც ბატონობენ და მსოფლიოს იპყრობენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი და თრგუნავენ ავტოქტონური მოსახლეობის უფლებას, იყვნენ საკუთარი სამშობლოს ბატონ-პატრონები.** ამ დაგეგმარებასა და სვლა-გეზში არ ჩაჯდა ზვიად გამსახურდიას ლეგიტიმური ხელისუფლება, რომლის ეროვნულ-სარწმუნოებრივი პოლიტიკაც შეფასდა „დინების საწინააღმდეგო ცურვად“ და განაჩენიც ამის გამო გამოუტანეს.

**— რისი იმედი გაქვთ, ბატონო იოსებ? რით შეგიძლიათ დაგვაიმედოთ?**

— **ზვიად გამსახურდია თავის გახმაურებულ ნაშრომში „დილემა კაცობრიობის წინაშე“ საუბრობს ერის გადარჩენაზე, იგი აღწერს იმ დილემას, რომლის წინაშეც არა მარტო ქართველი ერი, არამედ ცივილიზაცია დგას უკვე.** გადარჩენა დამოკიდებულია საზოგადოების არჩევანზე. რა არჩევანია ეს? ერები, რომლებიც დასავლური დემოკრატიის გზას დაადგნენ, აშკარაა, რომ გადაშენების პირას არიან. ამის მაგალითები ჩვენ უკვე გვაქვს გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების სახით, სადაც ხდება ავტოქტონური ერების გადაშენება. ესე იგი დღევანდელი დემოკრატია მოგვევლინა, როგორც ერების მკვლელი და ზუსტად ერების განადგურების საშიშროების წინაშე დგას მსოფლიო. **ზვიად გამსახურდიამ დაგვანახა ეს დილემა, რომელიც ოცდამეერთე საუკუნის დილემაა და რომლის გადაწყვეტაც ჩვენ შეიძლება შევძლოთ, თუ საქართველოს, ქართველ ერს ექნება მძლავრი ერთიანი იდეოლოგია და მისი განხორციელების მექანიზმები.**

ეს ის იდეოლოგიაა, რომელიც სახელმწიფოებრიობასა და სულიერებას, ანუ სახელმწიფოსა და ეკლესიას გააერთიანებს და ეს გაერთიანება იქნება ჰარმონიული, როდესაც ეკლესია ეხმარება სახელმწიფოს და სახელმწიფო კიდევ, თავის მხრივ, ცდილობს, იყოს ეკლესიის წიაღში და დაეხმაროს ეკლესიას მისი მისიის აღსრულებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ სულიერი გადარჩენის გარეშე არ არსებობს ერის ფიზიკური გადარჩენა!

**— გთხოვთ, განგვიმარტოთ: რომელი ეკლესიისა და სახელმწიფოს ჰარმონიულ ურთიერთობაზე საუბრობთ, როდესაც ამ უკანასკნელის წინაშე და საერთოდ ქართველი ერის წინაშე საშინელი დანაშაული აქვთ ჩადენილი დღევანდელი ეკლესიის სამღვდელო იერარქებს?**

— როდესაც ვსაუბრობთ ეკლესიაზე, მხედველობაში გვაქვს სული წმიდით განბრძობილი სამოციქულო ეკლესიის კანონების („დიდი სჯულის კანონი“) პატივისმცემელი და აღმსარებელი სასულიერო ხელისუფლება და არა ტაძრებში შეპარული მგელმტაცებლები, რომლებიც არა მარტო ეკუმენისტურ ერესთა ერესს ნერგავდნენ ერში, დევნიდნენ ანტიეკუმენისტ სამღვდელოებას, სიხარულით ხვდებოდნენ გლდანის ეკლესიის დარბევას და მართალი მღვდლების დაპატიმრებას, არამედ იარაღი შეატანინეს მასში მოძალადეებს, კრიმინალებს, მოღალატეებს ღვთისთვის სათნო ეროვნული ხელისუფლების დასამხობად და მართლმადიდებელი პრეზიდენტის მოსაკლავად.

**„დღესაც მტერმა, პირველ რიგში, ჩვენს ეკლესიას დაუმიზნა, შემოგზავნა სამღვდელოების რიგებში მართლმადიდებლობის მტრები, ცხვრის ქურქში გახვეული მგლები, რომელთაც დააკნინეს და თითქმის გაანადგურეს მართლმადიდებლური რწმენა. მტრის სადაზვერვო სამსახურების აგენტების ადგილი ეკლესიაში არ არის. ჩვენი ეკლესია უნდა განიწმინდოს მათგან, რათა ერი არ დაიღუპოს. აუცილებელია ახალი რუის-ურბნისი... ზოგიერთი სამღვდელო პირი ავტომატით ხელში იბრძოდა პუტჩისტებთან ერთად. რამდენიმე პატიოსანი სამღვდელო პირი კი, რომელთაც არ უღალატეს კანონიერ ხელისუფლებას და ლოცვითა და ქადაგებით ამხნევებდნენ უზენაესი საბჭოს შენობაში გამომწყვდეულ მის წარმომადგენლებს...“** — გულისტკივილით წერდა თავის დროზე ზვიად გამსახურდია.

**— საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებით, საქართველოს პატრიარქსა და სინოდს უდიდესი რეიტინგი აქვს მოსახლეობაში. მაშ, ვინ უნდა გვიყვარდეს, ვის უნდა დავუჯეროთ და გავყვეთ? სამღვდელოება ჯერ შევარდნაძის ხუნტას ასხამდა ხოტბას, შემდეგ ამ ანტიქრისტეს მოციქულ „ნაცებს“ და ახლა კი ვილაცის ქისით გვპირდებიან ივერიის გაბრწყინებას. რით ჯობია ერთი ქისის პატრონი მეორეს? სად არის აქ ზნეობრივი და სულიერი ორიენტირები?**

— „სიყვარულიც სწორად უნდა გვესმოდეს და არ უნდა გავაიგივოთ არც ღვთის სიყვარული სამშობლოსა და საკუთარი თავის სიყვარულთან და არც ღვთის მტრების სიყვარული სამშობლოსა და პირადი მტრების სიყვარულთან. ხილულ-უხილავი სამყაროს უფალი ღმერთი — ქრისტე გვეუბნება, რომ „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი“ (და არა ჩემნი) და „აკურთხევდით მაწყევართა თქვენთა“ (და არა ჩემთა)!“ — ბრძანა ემიგრაციული ხელისუფლების წარმომადგენლების მოძღვარმა, მამა გიორგი სხილაძემ, რომელიც ამჟამად პარიზში მოღვაწეობს. **იქნებ დადგა იმის დრო, რომ მართლმადიდებელმა ერმა ქრისტეს აშკარა მტრები მისი მოყვარეებისგან გაარჩიოს და ქრისტეს მიმდევარნი კვლავ ბარაბაში არ გაცვალოს ისე, როგორც ეს ზვიად გამსახურდიას შემთხვევაში მოხდა!**

ერთ-ერთი, რასაც უფალი თავის მოწაფეებს საყვედურობს, არის ღმერთის მიმართ უნდობლობა ამქვეყნიური ყოფის საკითხებში, ხელისუფლება იქნება თუ სხვა რამ, რაც აუცილებელია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების სათნოდ მოწესრიგებისთვის. აქ საუბარია იმაზე, რომ უფალი უნდა იყოს ჩვენი ღმერთი, მხოლოდ მას უნდა მივენდოთ და არა ვილაცის მილიარდებისა თუ „ოცნების“ იმედად ხან ერთი ბარაბას გზას დავადგეთ და ხან — მეორესი. მხოლოდ ის უნდა მართავდეს ჩვენს ცხოვრებას, ხოლო ეროვნული ხელისუფლების აღდგენა ჩვენი რწმენაში გაძლიერების შედეგი იქნება.

ინტერვიუს კი მათეს სახარებიდან უფლის სიტყვებით დავამთავრებ.

**„ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ურწმუნოებისა თქუენისათვის ამენ გეტყვი თქუენ: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაი, ვითარცა მარცუალი მდოგვისაი, ჰრქუათ მთასა ამას: მიიცვალე ამიერ იქით, და მიიცვალოს, და არარაი შეუძლებელ იყოს თქუენ მიერ“** (სახარება მათესი).

რწმენას სასწაულები შეუძლია!

ღმერთმა გაგვაძლიეროს უფლის რწმენაში.

ესაუბრა
**სიმონ ხალხოსანი**

**დამკვირვებლების (ჩამოსული თუ ოპოზიციის) მიერ გადაღებულ ფოტო-ვიდეო კადრებს, თუ რამდენი ამომრჩეველი შევიდა უბანზე და რამდენი ბიულეტენი ამოვიდა დღის ბოლოს ურნიდან, უეჭველად დიდზე დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მაინც სულ სხვაა ცოცხალი მოწმე, ამ მოწმის მიერ აღმოჩენილი გაყალბება და ატეხილი სკანდალი ევროპა-ამერიკასა თუ საქართველოში. ოპოზიციის მიერ გადაღებული მასალა კი, ადვილი შესაძლებელია, ცენტრალურმა კომისიამ არ მიიჩნიოს ყურადსაღებად და, როგორც ადრე იყო, სიმართლის დასადგენად სასამართლოში გადაამისამართოს.**

ვერსია

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ქართულ ოცნებას» შეუძლია გააჩეროს «სომხური კარუსელი»*!




**ამომრჩეველთა სარწმუნო სიები არც ამჯერად, 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის, საქართველოში „დემოკრატიის“ გამარჯვებიდან ცხრა წლის შემდეგ გაგვაჩნია. კაციტაძის კომისიის მიერ დაზუსტებული კი — ემიგრანტებისა და საქართველოში დარჩენილების ერთმანეთისგან არგამიჯნული, მკვდარი სულებითა და მიწერილი ხალხით გაძეძგილი — მხოლოდ ხელისუფლებას და მასთან „დაპირისპირებულ“ „ქრისტიან-დემოკრატებსა“ და „მემარჯვენეებს“ აკმაყოფილებთ.**

სიებით გამოწვეულ პრობლემას აღრმავებს ამომრჩეველთა ხმების სხვადასხვა მეთოდით გაყალბება, რომელთაგან ყველაზე ცნობილია ე.წ. **სომხური კარუსელი.** დარწმუნებული ვარ, მაჭავარიან-გოგორიშვილები პოპულარობაში პირველობას არ დაუთმობენ სომხებს და წმინდა „ქართული კარუსელებით“ და „ეშმაკის ბორბლებითაც“ გაგვაოცებენ!

**მართალია, ყველანაირ „კარუსელს“ ეძებნება „ანტიკარუსელი“ და მასზე აქტიურად მუშაობს „ქართული ოცნება“, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ გადამწყვეტი მაინც ხმების დათვლაა, „ნაცმოძრაობასთან“ გამკლავება ძალიან გაჭირდება.** ვგულისხმობ იმ დიდ უპირატესობას, რომელიც „ნაცმოძრაობას“ აქვს საარჩევნო კომისიებში, სადაც მათ წევრებს სატელიტი ოპოზიციური პარტიების წევრები და ე. წ. დამოუკიდებელი წევრების კვოტით კომისიებში შეყვანილი სკოლის მანდატურები, „ნაცმოძრაობის“ აქტივისტი მასწავლებლები, შაშკინ-ნოდია-ლომაიას შერჩეული სკოლის დირექტორები და სხვა, მსგავსი კატეგორიის ხალხი ემატება.

**თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ, კაციტაძის კომისიის მიხედვით, საქართველოდან გასულია მხოლოდ 310000 (!) ამომრჩეველი, ხოლო დანარჩენი ემიგრანტები** (სავარაუდოდ, 700-800 ათასი!) **შეტანილია საერთო სიაში, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ გამყალბებლების მთავარი აქცენტი სწორედ ამ კონტინგენტზე გაკეთდება.** ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რუსეთში, სადაც ერთ მილიონამდე(!) საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს, საარჩევნო უბნები საერთოდ არ იხსნება, არც ერთი! კანადაში კი უბნის არგახსნას ხელისუფლება იქ საქართველოს მოქალაქეთა სიმცირით ხსნის — „სულ 300-400 ადამიანი თუ ცხოვრობსო“ (სინამდვილეში, რამდენიმე ათასია), მაშინ, როცა, კანონით, მხოლოდ 20(!) ამომრჩევლის დარეგისტრირების შემთხვევაშიც კი უნდა გაიხსნას საარჩევნო უბანი. **ალოგიკურობასა და კანონის** (თანაც არა მარტო ამ კანონის!) **დარღვევას, სამწუხაროდ, არც „ობიექტური“ უცხოელი დამკვირვებლები და დიპლომატიური მისიები** („მეგობარი“ ქვეყნებიდან, ცხადია!) **ეხმაურებიან.**

ოპოზიციის მოთხოვნა იყო — ქვეყნიდან გასული ყოველი(!) ამომრჩევლის გვარის გასწვრივ გაკეთებულიყო სათანადო აღნიშვნა განურჩევლად იმისა, გასვლა წერილობითაა დადასტურებული თუ ოჯახის წევრების ან მეზობლების სიტყვიერი განცხადებით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ხარატიშვილ-კაციტაძის კომისია ამ მოთხოვნას არ შეასრულებს და მხოლოდ 310000 ემიგრანტით (წერილობით დადასტურებული) შემოიფარგლება.

**უცხოეთში გასულების გარდა, ხელისუფლება დიდ იმედებს უეჭველად ამყარებს არჩევნებზე არმისულ კონტინგენტზე.** რაც უნდა მაღალი იყოს აქტივობა არჩევნებზე, მაინც **ყოველთვის რჩება 15-20%(!) ისეთი კატეგორია, რომელიც სხვადასხვა მიზეზით თუ მოსაზრებით არ მიდის არჩევნებზე, საარჩევნო კომისიას კი შეუძლია** (ისევე, როგორც ეს მან გააკეთა 2008-ში ზოგ რეგიონებში) **100%-იანი(!) აქტივობა დააფიქსიროს.** მე თქვენ გეტყვით და ხელი აუკანკალდება, ან შუბლის ძარღვი შეუტოკდება.

**რაც შეეხება მკვდარი სულებისა და სხვადასხვა ადგილას მიწერილი გაურკვეველი წარმომავლობის ამომრჩევლების რაოდენობას, მიუხედავად მათი საკმაო ოდენობით გამოვლენისა, იგი, ზემოთ ნახსენებ ორ კონტიგენტთან შედარებით მცირეა და არსებით გავლენას არჩევნებზე ვერ მოახდენს.**

გამომდინარე იქედან, რომ აღარავითარი ჩასწორება-გასწორებები, არჩევნების დღის შეცვლა ემიგრანტებისთვის და საარჩევნო კომისიების მართლაც პარიტეტულ საწყისებზე შედგენა უკვე დაგვიანებულია (დროც რომ იყოს, მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, მაინც ვერაფერს გავხდებოდით ამ ხელისუფლებასთან, გამორიცხულია!), ამიტომ **„ანტიკარუსელების“ ზომებთან ერთად აუცილებელია კიდევ ერთი, ადვილად შესასრულებელი ნაბიჯის განხორციელება, მას არც ხარჯები სჭირდება და არც დიდი დრო.**

არჩევნების გაყალბებისა და ხელისუფლების ხრიკების მაქსიმალურად თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, მოვითხოვოთ მისგან და საერთაშორისო დამკვირვებლებისგან შემდეგი რამ:

**არჩევნებამდე** — **ანბანური პრინციპით შედგენილ სიასთან ერთად გამოქვეყნდეს** (დაიდოს ინტერნეტში) **იგივე სია მისამართების მიხედვით** (პირადობის მოწმობის ნომრის მიუთითებლად), **რათა ნებისმიერმა მსურველმა ადვილად(!) შეძლოს როგორც საკუთარი თავის, ისე მეზობლების სიაში და საქართველოშიც ყოფნა-არყოფნის გადამოწმება**; ასევე, — როგორც მის მისამართზე, ისე არარსებულ(!) მისამართებზე მიწერილების გამოვლენა (კომპიუტერული მარტივი პროგრამით ამომრჩეველთა ამგვარი დაჯგუფება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს);

**არჩევნების შემდეგ** — **2-3 დღეში** (საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე!) **ისევ დაიდოს იგივე სია** (მისამართების პრინციპზე დამყარებული) **თითოეული ამომრჩევლის გვარის გასწვრივ** (ცალკე გრაფაში) **გაკეთებული სიტყვიერი(!) აღნიშვნით** — **გამოცხადდა ეს პიროვნება საარჩევნო უბანზე თუ არა.** მაგ., **გამოცხადდა** — მწვანე ფერში, და **არ გამოცხადდა** — წითლად (მხოლოდ + ან – ნიშნებით აღნიშვნა გაცილებით მეტი შეცდომის დაშვების წყაროა და „ჟულიკობის“ შემთხვევაში კი – თავის მართლების, აქაოდა, მექანიკური შეცდომა მოგვივიდაო). ამით ამომრჩეველი შეძლებს (რაც უმთავრესია!) იმის გადამოწმებას, თუ რომელ კატეგორიაში – არჩევნებში მონაწილეების თუ უბნებზე არგამოცხადებულების კატეგორიაში მოხვდა პირადად იგი (მის მიერ გამოვლენილი მიწერილი თუ ქვეყნიდან გასული პირი). **ამ წინადადების განხორციელება აზრს დაუკარგავს კაციტაძის ვირეშმაკობას — მნიშვნელობა აღარ ექნება 3,6 მილიონ ამომრჩეველს დაითვლიან „კარდაკარ“ თუ 5 მილიონს!**

**ცალკე უნდა გამოიყოს უცხოეთში ჩატარებული არჩევნების შედეგები სახელმწიფოებისა და გვარების მითითებით** (ანალოგიური პრინციპით — დარეგისტრირებულთა და არჩევნებზე გამოცხადებულების აღნიშვნით);

**ნებისმიერი სიის ბოლოში, ცხადია, მითითებული უნდა იყოს ყოველ უბანზე დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა და არჩევნებში მონაწილეთა რიცხობრივი რაოდენობა, პროცენტული მაჩვენებელი.**

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საბოლოო(!) შედეგების გამოცხადებამდე ყველა, ვისაც კომპიუტერი აქვს, უსწრაფესად მოახერხებს გადამოწმებას და დამკვირვებლების ყურადღებიდან გაპარული „კარუსელების“ გამოაშკარავებას.

**დამკვირვებლების** (ჩამოსული თუ ოპოზიციის) **მიერ გადაღებულ ფოტო-ვიდეო კადრებს, თუ რამდენი ამომრჩეველი შევიდა უბანზე და რამდენი ბიულეტენი ამოვიდა დღის ბოლოს ურნიდან, უეჭველად დიდზე დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მაინც სულ სხვაა ცოცხალი მოწმე, ამ მოწმის მიერ აღმოჩენილი გაყალბება და ატეხილი სკანდალი ევროპა-ამერიკასა თუ საქართველოში. ამავე დროს, არა მგონია, უცხოელმა დამკვირვებლებმა უწყვეტი 12-საათიანი დაკვირვება-გადაღება აწარმოონ ყველა, 3600-ზე მეტ, საარჩევნო უბანზე; ოპოზიციის მიერ გადაღებული მასალა კი, ადვილი შესაძლებელია, ცენტრალურმა კომისიამ არ მიიჩნიოს ყურადსაღებად და, როგორც ადრე იყო, სიმართლის დასადგენად სასამართლოში გადაამისამართოს.**

გავიხსენოთ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები, როდესაც ნაირ-ნაირი შარის მოდებით არ მოხერხდა 1200 უბანზე დამონტაჟებული (ხელისუფლების მიერ!) ვიდეოთვალიდან არც ერთი ჩანაწერის ნახვა; **რის ვაი-ვაგლახით მხოლოდ ერთი(!) პროცენტის, 12 ვიდეოჩანაწერის, შემოწმება მოახერხა მაშინდელმა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა რამდენიმე თვის(!) შემდეგ, და მიუხედავად გამოვლენილი გაუგონარი კრიმინალური გაყალბებებისა, არავის არც ჩვენთან და არც დასავლეთში არ მიუქცევია ყურადღება მისთვის, ანუ ჩვენთვის!**

ამიტომ **განსაკუთრებული ძალა მიენიჭება ხელისუფლების მიერ საკუთარი ხელით დადებულ სიებში თავად ამომრჩევლების მიერ აღმოჩენილ და ამ სიებითვე დადასტურებულ გაყალბების შემთხვევებს** (თუ ზომები არ იქნა მიღებული, სავარაუდოდ, ასეულათასობით!), **რასაც სასამართლოში დასაბუთება უკვე აღარ დასჭირდება.** და თუ ამ შემთხვევაშიც კიდევ ერთხელ დახუჭავს თავის დემოკრატიულ თვალებს სანაქებო დასავლეთი (აბა, საქართველოს ხელისუფლება რომ დაიბრმავებს თვალებს, ეჭვი არავის ეპარება), მაშინ ცხადი გახდება ყველაფერი იმათთვისაც კი, ვინც გაყიდული თუ დაკარგული მამულის (აფხაზეთ-სამაჩაბლოსი, ჯერჯერობით!), შებღალული რწმენის (მართლმადიდებლობის სექტებთან გაიგივებით) და ქართული ენის უკანა პლანზე ჩაჩოჩების (ინგლისურის საპატივცემულოდ!) მიუხედავად, დღემდე დასავლეთს მისჩერებია პირდაბჩენილი!

**იაკობ ლეჟავა**

**P.S.** **ერთი წინადადებაც, არჩევნებთან ირიბად დაკავშირებული – „ქართული ოცნების“ 29 სექტემბრის აქციის ირგვლივ. მიტინგზე მისვლა, მიუხედავად დიდი სურვილისა, ბევრისთვის ფიზიკურად არც ისე ადვილია მანძილის, ასაკის, უსახსრობის თუ ოჯახური მოუცლელობის გამო; საჯარო სამსახურებში მყოფთაგან საკმაო ნაწილი, სამსახურიდან დათხოვნით დაშინებული, ერიდება ოპოზიციის მიტინგებზე გამოჩენას, თუმცა სულით და გულით თანაუგრძნობს მას (ნუ დავძრახავთ ყველას ხელაღებით!). ამ ხალხს, საერთო ჯამში, გაცილებით მეტს, მიტინგებზე მიმსვლელებთან შედარებით, უშიშრად(!) და ძალზე ადვილად შეუძლია თავისი პოზიციის დაფიქსირება შემდეგნაირად – მიტინგის ჩატარების საათებში თავიანთი საცხოვრებელი სახლების წინ (ან სადაც იმყოფებიან იმ მომენტში) ქუჩაში გამოსვლით, თუნდაც მხოლოდ ეზოებში ჩასვლით დაახლოებით 15-20 წუთით (ყოველგვარი მსვლელობისა და სიტყვებით გამოსვლის გარეშე!). ამას წინ არაფერი უდგას, ვერც ვერავინ აკრძალავს და შარსაც ვერავინ მოსდებს, ვერც კორპუსის ფასიანი ინფორმატორ-კოორდინატორი (რუსულად — „სტუკაჩი“) გაუბედავს — ქუჩაში რატომ დგახარო. გაბედავს და საკადრის პასუხსაც მიიღებს მეზობლებისგან, თანაც ეს კოორდინატორები, ყველანი, ხომ მიტინგზე იქნებიან მობილიზებულნი, იქ დამსწრე მეზობლებზე ინფორმაციის შესაგროვებლად! ზედმეტია იმის თქმა, რომ ოპოზიციამ ყველაფერი უნდა დააფიქსიროს ფოტო- და ვიდეოკამერებით.**

**ჩემს ამ წინადადებას თბილისის 1,5 მილიონი მოსახლეობიდან ყველა ვერ წაიკითხავს, მაგრამ იმედი მაქვს, „ქართული ოცნების“ პრესსამსახური მაინც გაეცნობა მას და ხალხის თანადგომის მაქსიმალურად გამოსავლენად სათანადო მიმართვა-თხოვნასაც გაავრცელებს ტელევიზიით.**

*** ამომრჩეველს, რომელიც წინასწარ არის შერჩეული, გამზადებულ, შემოხაზულ საარჩევნო ბიულეტენს აძლევენ. ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომ წინასწარ შემოხაზული პარტია „ ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა“. როდესაც ამომრჩეველი წინასწარ შემოხაზული ბიულეტენით საარჩევნო უბანზე შედის, ახალ ბიულეტენს იღებს, კაბინაში შედის ვითომ ხმის მისაცემად, სინამდვილეში კი ცარიელ ბიულეტენს ჯიბეში იდებს და გარეთ გამოაქვს, წინასწარ შემოხატულ 5-ნომრიან ბიულეტენს კი საარჩევნო ყუთში აგდებს. ამის შემდეგ, ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორები ამომრჩევლის მიერ გარეთ გამოტანილ ცარიელ ბიულეტენში 5 ნომერს საგულდაგულოდ შემოხაზავენ და შემდეგ ამომრჩეველს გადასცემენ. ამგვარად, წინასწარ ხუთიანშემოხაზული ბიულეტენები წრეში ტრიალებს.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მან ცერა თითი ზურგისკენ გაიშვირა.
— იქაო, — მითხრა, — ექვსი ამერიკელი კონსულტანტი გვიზის, რომელთაც კომპიუტერებში აქვთ პასუხები ყველა შემთხვევისთვის, რაც კი ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს, და ამით ვხელმძღვანელობთო.
„ვაი, ჩვენს თავს, თუ ასე ხდება-მეთქი“, — გავიფიქრე, მაგრამ დავა არ დამიწყია.**



# ნავაროს «ნავაროტები»

## ანზორ გაბიანი: საქართველო აშშ-დან იმართება, მაგრამ სოციოლოგიაში არც ამერიკელების მართვა, არც მათი დახმარება არ გვჭირდება



NDI
NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE
FOR INTERNATIONAL AFFAIRS

**სოციოლოგიურ მეცნიერებათა პირველ ქართველ დოქტორთან, პროფესორ ანზორ გაბიანთან, ინტერვიუს დაწყებამდე ძველი საბერძნეთის დელფოს მისნებზე ვსაუბრობდით, ორაკულებზე, რომლებიც ღვთაებათა „დასახულ გეგმებს“ შიფრავდნენ და წინასწარმეტყველებდნენ. დელფოს პიფიების გამოკლებით მისნები მამრობითი სქესისანი იყვნენ და საბერძნეთში აღმოსავლეთიდან იყვნენ მისულნი — ასირიიდან, ეგვიპტიდან.**

— ლუის ნავაროს, NDI-ის ხელმძღვანელს, ერთი ხანია, ვგონებ, ასეთ მისნად გვისახავს ჩვენი სახელისუფლო პროპაგანდა: მიგვანიშნებს, რომ, რასაც პატივცემული სოციოლოგი თავისი კვლევის შედეგების სახით შემოგვთავაზებს, პოლიტიკური ძალების სწორედ ასეთ განლაგებას უნდა ველოდოთ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში.

(ბატონ ანზორს ეღიმება, რაც კორპორაციულ-პროფესიული თავშეკავების გარდა თანხმობასაც უნდა ნიშნავდეს).

თქვენი ქართველი კოლეგები ლუის ნავაროს ედავებიან, რომ არ იციან, რა მეთოდით შეისწავლის NDI საზოგადოებრივ აზრს ჩვენს ქვეყანაში. თქვენ რა პოზიციაზე დგახართ, ბატონო ანზორ, ამ შემთხვევაში?

— ზუსტად იმავე პოზიციაზე. საზოგადოებრივი აზრის კვლევა ერთ-ერთი სერიოზული სოციოლოგიური პრობლემაა, რაც ძალიან კარგადაა დამუშავებული და რასაც ძალიან ხშირად მიმართავენ ათასნაირი საკითხების შესწავლის დროს. ამ საქმეს, როგორც წესი, პროფესიონალები ჰკიდებენ ხელს, რადგან, სხვა რომ არაფერი, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, მით უფრო, არჩევნებთან დაკავშირებით, ცოტა არ იყოს, სახიფათოა.

**— იმიტომ, რომ, როგორც ახლა ამბობენ, სენსორულია, მგრძნობიარე?**

— სახიფათო იმ გაგებით, რომ ბოროტად იყენებენ, რათა ზემოქმედება მოახდინონ არჩევნების შედეგებზე. თუ ფეხი დაგიცდება, თუ მიკერძოება გამჟღავნდება, მტრისას!.. მაგრამ **გამართლებულია, თუ პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მოძრაობები ასეთ კვლევას ან თვითონ ჩაატარებენ, ან სხვას ჩაატარებინებენ თავიანთი შიდაპარტიული მოხმარებისთვის, მაგრამ დღეს, კვლევის შედეგებს საზოგადოებრიობას რომ აცნობენ, ეს ყოვლად დაუშვებელი და გაუმართლებელია.**

**— რადგან ეს არის ზემოქმედება!**

— დიახ, ეს არის ზემოქმედება საზოგადოებრივ აზრზე, ელექტორატზე. შეშინებულ და არა მარტო შეშინებულ საზოგადოებას ახასიათებს, რომ ადამიანები ძლიერის მხარეს დგებიან. **დღევანდელ საქართველოში ხალხის დაშინება რომ მიმდინარეობს, საყოველთაოდ ცნობილია.**

**— ხალხის მასებზეა ლაპარაკი?**

— ადამიანების იმ მასაზე, რომელსაც სოციალიზაციის პროცესი ბოლომდე გავლილი არ აქვს. სოციალიზებული ყოველთვის სუსტს დაუჭერს მხარს, ეს ბუნებრივია.

**ადამიანი, რომელიც ყოველ წუთს ხელისუფლებისგან „შეჭმას“ ელოდება, რასაკვირველია, მიეკედლება ძლიერს. ძლიერი ვინ არის? ვისაც საზოგადოებრიობა მხარს უჭერს, ჩვენ შემთხვევაში — ხელისუფლება. ასე იკვრება ის მანკიერი წრე იმათ მიერ, ვინც მიისწრაფვის არცთუ წესიერი გზით გაზარდოს თავისი მომხრეების რაოდენობა.**

**ამას ემსახურება NDI-ც.**

რაც შეეხება ნავაროს გაფეტიშებას:

ახალი თაობა, ანუ ისინი, ვინც ჩვენს ხელისუფლებაში არიან, ბევრ რამეში ვერ ერკვევიან, არ იციან, რა ხდებოდა 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე“ ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ, სოციოლოგიურ მეცნიერებაში.

არ იცის, არ გაუგია, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი სოციოლოგიური კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა. იმ დროს მოსკოვში, ლენინგრადში საყოველთაოდ აღიარებული ძლიერი სამეცნიერო კადრები არსებობდა, უდიდესი სამეცნიერო პოტენციალით. სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესებზე, მაგალითად, მეორე მოხსენებით ყოველთვის რუსი მეცნიერი გამოდიოდა, მაგრამ კათედრა მაინც და მაინც ჩვენთან გაიხსნა, ერთი წლის შემდეგ — მოსკოვსა და ლენინგრადში.

ეს ბევრ რამეზე მიგვანიშნებს.

აქვე გეტყვით, რომ ამ კათედრის გამგემ, ცნობილმა მეცნიერმა ვენორ ქვაჩახიამ დამდო პატივი და თავის მოადგილედ მიმიწვია.

სოციოლოგიის აღიარებისა და აღორძინების შემდეგ ერთ-ერთი პირველი სადოქტორო დისერტაცია 1974 წელს დაიცვა ქართველმა კაცმა. არ დაგიმალავთ, რომ ეს ქართველი თქვენი მონამორჩილი ანზორ გაბიანი ვიყავი. დავიცავი ჯერ საქართველოში, შემდეგ მოსკოვში, BAK-ში — უმაღლეს საატესტაციო კომისიაში. დღეს თუ 5 კაცი შეიკრიბება და მეექვსეს დოქტორის ხარისხს მიანიჭებს, ეს მეცნიერების პროფანაციაა... მაგრამ ამ თემას თუ გავყვებით, შორს წაგვიყვანს.

ამას თავის გამოსაჩენად არ ვამბობ (რაღა დროსია!), არამედ იმის შესახსენებლად, რომ **სოციოლოგია საქართველოში მაღალ დონეზე იყო უკვე მაშინ, როცა ნავაროები ჯერ კიდევ სკოლაშიც არ დადიოდნენ.**

**რისთვის დასჭირდათ ნავარო, როცა საქართველოში გვყავს შესანიშნავი მეცნიერი იაგო კაჭკაჭიშვილი, რომელიც შესაბამის კათედრას ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტში და ამჟამადაც უნივერსიტეტში სოციოლოგიურ მიმართულებას ხელმძღვანელობს.**

მაგრამ ქართველები ხომ გამოვირჩევით ყველაფერ უცხოურის გაფეტიშებით! ამიტომაც შემთხვევითი არ უნდა იყოს ნავაროს მოწვევა, რადგან, როგორც ვიცით, საქართველო ამერიკის შეერთებული შტატებიდან იმართება, მაგრამ სოციოლოგიაში, დამერწმუნეთ, არც ამერიკელების მართვა, არც მათი დახმარება არ გვჭირდება. მაგრამ რახან ნავარო მომხდარი ფაქტია, ამიტომ ის გვითხრან მაინც, რას აკეთებენ, როგორ მუშაობენ. რადგან პირველი მოთხოვნა, რასაც სოციოლოგიური კვლევა უნდა აკმაყოფილებდეს, არის სწორი მეთოდოლოგია და მეთოდიკა. მაგრამ მე პირადად არ გამიგია, რომელ მეთოდიკას იყენებს ნავარო და, მით უფრო, რომელ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე არის აგებული მისი კვლევები.

**— გაშიფრეთ, თუ შეიძლება.**

— მაგალითად, არსად არ ამბობენ, ვინ გამოიკითხა — საბავშვო ბაღელები თუ პენსიონერები, მოსახლეობის რომელი კატეგორია. პირველი შეკითხვა, რომელიც უნდა დაისვას ასეთ კვლევებში, სქესია, შემდეგ — ასაკი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. არაფერს გვეუბნებიან გამოკითხულთა სოციალური მდგომარეობის შესახებ, არ ვიცით, გათვალისწინებულია თუ არა რეგიონების მრავალფეროვნება, რა პრინციპი გაითვალისწინეს ამ შემთხვევაში. გამოკითხულთა განათლების საკითხიც „გასაიდუმლოებულია“...

**თვალში მომხვდა ინფორმაცია, რომ ჩვენი მოქალაქეები სატელეფონო საუბრებით არიან გამოკითხულები. ეს, უნდა გითხრათ, კვლევის აბსოლუტური პროფანაციაა.**

აუცილებელია გამოსაკითხი კონტინგენტის შერჩევა. სოციოლოგიაში ჩემი მუშაობის პერიოდში — უნივერსიტეტში, მეცნიერებათა აკადემიის ცენტრში, გაკეთებული გვაქვს საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობის მოდელი. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ჩვენი თანამემამულეების იძულებითი მიგრაციის გამო. მაგრამ, **თუ გვსურს ჭეშმარიტებასთან მიახლოებული საზოგადოებრივი აზრის დადგენა, მოდელი უნდა შევქმნათ — პირველი ეს უნდა გავაკეთოთ.**

აქვს ასეთი მოდელი ნავაროს? ეჭვი მეპარება.

ამ მოდელის შესაქმნელად იგი უნდა ფლობდეს სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოს მოსახლეობის შესახებ.

ჰქონდა ასეთი მონაცემები? სად და ვისგან მოიპოვა?

როგორია ეროვნული სტრუქტურა?

იცოდა? ვინ მიაწოდა?

ამ შეკითხვებზე პასუხი არსად ჩანს. მაშ, **რა უფლებით, რის საფუძველზე ასკვნიან, რომ კვლევის შედეგები ასახავს საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა აზრს?**

თანაც, **იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას, რომ, თუ სერიოზული სპეციალისტები არ გყავს, ყოველთვის შესაძლებელია გაყალბება.**

ჰყავდა ნავაროს საჭირო დონის სპეციალისტები?

ამაზეც არაფერი ვიცით.

**— შეგნებულად მალავენ? რისი გამჟღავნების ეშინიათ?**

— ვერაფერს გიპასუხებთ. მეთოდიკას დავუბრუნდეთ. ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევის ოთხი მეთოდი არსებობს. ყველას არ ჩამოვთვლი. ერთი მეთოდი არის გამოკითხვა, რომელსაც უამრავი ფორმა აქვს, მათ შორის, ზეპირი და წერილობითი გამოკითხვა. გამოკითხვის ობიექტის თავისებურების გათვალისწინებით, შეარჩევენ ამ ორიდან რომელიმეს.

როგორც სატელევიზიო გადაცემებიდან ჩანს, **ნავარო იყენებს ინტერვიუირების მეთოდს, რომელიც ამ შემთხვევაში უვარგისია, რადგან გამოკითხულები ამ დროს გაშიფრულები არიან. იმ პირობებში, რომლებიც საქართველოშია დღეს ჩამოყალიბებული, ძალიან საეჭვოა, რომ გამოკითხულმა გულწრფელად დააფიქსიროს თავისი პოზიცია.**

**— აბა, რა უნდა გაკეთდეს?**

— ანკეტირება, ანუ გამოკითხულმა ადამიანმა თვითონ უნდა შეავსოს ანკეტა, რაც ბევრი თვალსაზრისით მომგებიანია (მაგალითად, ოპერატიულობის თვალსაზრისით), მაგრამ მთავარი მაინც ანონიმურობის დაცვაა.

რომელი მეთოდით იმუშავა ნავარომ? არ ვიცით. ეტყობა, რაც იცის, იმას აკეთებს, მაგრამ არ ჩანს, რომ მისი კვლევების დონე მეცნიერული ხარისხისაა, ზოგიერთებისთვის სოციოლოგია თამაშად არის გადაქცეული. სახელისუფლო სტრუქტურებში მომუშავე ადამიანები შესაბამისი კვალიფიციურობით არ გამოირჩევიან. მე ასე მგონია, რომ **ჩვენმა „უფროსებმა“ აშშ-დან მოინდომეს, რომ ხელისუფლებას ახლოს არ გაკარებოდნენ ქართველი მეცნიერები და სპეციალისტები, რომელთაც ახსოვდათ კომუნისტური საზოგადოება. მიიჩნიეს, რომ ისინი საბჭოთა იდეოლოგიის მატარებლები არიან, ამიტომაც დაბლოკეს.**

**დაბალი კვალიფიკაციის ადამიანებმა კი ის შედეგი დადეს, რომელიც მმართველ ელიტას აძლევს ხელს.**

ამ რამდენიმე წლის წინათ, უშიშროების საბჭო ახალი ჩამოყალიბებული რომ იყო, ერთი საქმისა გამო ერთ-ერთ ხელმძღვანელთან მივედი. მაშინ ყველა კარი ღია იყო და დღევანდელივით არავინ ემალებოდა მიმსვლელებს, ხალხს. კარგა ხანს ვისაუბრეთ. ჩემი პრეტენზიები რომ მოისმინა, მითხრა:

— ყოველგვარი გაუგებრობისგან ჩვენ დაზღვეულები ვართო.

— რას ნიშნავს, რომ დაზღვეული ხართ? — ვკითხე.

მან ცერა თითი ზურგისკენ გაიშვირა.

— იქაო, — მითხრა, — ექვსი ამერიკელი კონსულტანტი გვიზის, რომელთაც კომპიუტერებში აქვთ პასუხები ყველა შემთხვევისთვის, რაც კი ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს, და ამით ვხელმძღვანელობთო.

„ვაი, ჩვენს თავს, თუ ასე ხდება-მეთქი“, — გავიფიქრე, მაგრამ დავა არ დამიწყია.

**— რა გეხამუშათ?**

— უწინარეს ყოვლისა, ის, რომ **ამერიკიდან ჩამოსული ადამიანი ვერ ფლობს, არ იცის, ვერ ერკვევა საქართველოს სპეციფიკურ ნიუანსებში, ვერ გრძნობს, რადგან მისეული არ არის.**

ეს საკითხი დღესაც დგას: **სხვებზე ზედმეტი იმედის დამყარება, ვიღაც მოვა და ჩვენ მაგიერ გააკეთებს და მოაგვარებს ყველაფერს, არჩევნებშიც მისცემს ხმას, დაგვითვლის კიდეც და თვითონვე გვეტყვის, დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარდა თუ არა 1 ოქტომბრის არჩევნები.**

ნავარო ამ ყველაფრის მოსამზადებელი ეტაპია. თუმცა ისიც არის, რომ, ნავარო კი არა, მაქსიმალურად ობიექტური გამოკითხვის შემთხვევაშიც, შედეგები, მით უფრო, არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, ხშირად არსებითადაც იცვლება ხოლმე.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

„ომის დროს თვითონ საქართველოს მთავრობა გვერეკებოდა თბილისისკენ, კარგად გაცხოვრებთო. მოგვარბენინეს აქ, ამ ქალაქში, და დაგვტოვეს გარეთ, მინდვრად. რომელი პრეზიდენტის დროს დავბრუნდებით აფხაზეთში ან აფხაზეთში დაბრუნებამდე თავშესაფარი არ მინდა?!“

451 გრადუსი ფარენგეიტით

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



თამაზ ჯღამაძე:

# ჩემი ფეხით წავალ აფხაზეთში, ჩვენი ძმები, აფხაზები, მიმიღებენ და თავშესაფარსაც მომცემენ

**აფხაზეთიდან დევნილი თამაზ ჯღამაძე მხოლოდ 59 წლისაა, მაგრამ გაცილებით ხნიერად გამოიყურება. სწორედ ასეთ ადამიანებზე ამბობენ, „ცხოვრებამ დაჟეჟაო“; და მართლაც რომ დაჟეჟა მატერიალურად, მორალურად და ფიზიკურად!**

— დავიბადე სოხუმში, საკმაოდ შეძლებულ ოჯახში, — **იხსენებს წარსულს ბატონი თამაზი.** — ვსწავლობდი პირველ საშუალო სკოლაში. მალე მამაჩემი გალში გადაიყვანეს სამუშაოდ და იქვე მომიწია სკოლის დამთავრება. სწავლა გავაგრძელე სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, შემდეგ კი — სუბტროპიკული ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე. ვმუშაობდი რძის ქარხანაში, მეცხოველეობის საწარმოო გაერთიანებაში. პირველი გალის დასახლების პროფტექნიკურ სასწავლებელში ვასწავლიდი მექანიზაციას. დავოჯახდი, გამიჩნდა ქალ-ვაჟი.

**გორბაჩოვის ე. წ. პერესტროიკის დროს, როცა გაჩაღდა „კოოპერატიული მოძრაობა“, ახალგაზრდა ინჟინერმა გალში ჩამოაყალიბა პატარა საწარმო, რომელიც კერავდა სამუშაო ხელთათმანებს, ქამრებს, პირსახოცებს. წარმოებული პროდუქცია თამაზ ჯღამაძეს რეალიზაციისთვის გაჰქონდა რუსეთში: ვოლგოგრადში, როსტოვში, კრასნოდარში. მოკლედ, ოჯახი მყარად იდგა ფეხზე. მაგრამ, რომ იტყვიან, კაცი ბჭობდაო... აფხაზეთში ხელოვნურად გაჩაღებულმა ძმათა სისხლისმღვრელმა ომმა ყველაფერი ყირაზე დააყენა და ასიათასობით ადამიანის სიცოცხლე და ბედი თავის „ხორცსაკეპში“ გაატარა...**

— 1993 წლის 28 სექტემბერს გალში დიდი არეულობა იყო, — **აგრძელებს თხრობას ბატონი თამაზი.** — პანიკა, ყვირილი, კივილი, ტირილი, ბღავილი... ქალაქში შემოსულმა ჩვენმა სამხედროებმა მოსახლეობას ურჩიეს, მათ გაჰყოლოდა, რადგან აფხაზები ცოცხალს არავის დატოვებენო...

**ჯღამაძეების ოჯახმა თითქმის მთელი თავისი ქონება გალში დატოვა. ღამით ტრასაზე მდგომებს 20-ტონიანი სატვირთო მანქანის გულისხმიერმა მძღოლმა გაუჩერა.**

— ფურგონის კარი რომ გაალო, შევკრთი, — **ყვება ბატონი თამაზი.** — ის გადატენილი იყო ხაბაკ-ხუბაკით დახუნძლული ლტოლვილებით! კიდევ კარგი, ბარგი რომ არ გვქონდა! მძღოლი ენგურის ხიდისკენ არ წასულა, სოფელ ხურჩიდან გავედით ენგურზე და გადავიარეთ იგი. კინაღამ დავიხრჩვით!.. სამი თვე ვიყავით ზუგდიდში, ბაგა-ბაღის შენობაში. მერე თბილისში ჩამოვედით. ჩემი ოჯახი ვოლგოგრადში მცხოვრებ ცოლის ძმასთან დროებით დავაბინავე, მე კი უკან დავბრუნდი. ნაცნობებთან ერთად ვცხოვრობდი პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში, მაგრამ იქ თავდაპირველად ისეთი გაუსაძლისი პირობები იყო, რომ გადავწყვიტე, ბინა მექირავებინა.

**ცხრამეტი წლის მანძილზე თამაზ ჯღამაძემ თბილისსა და რუსთავში 47 ოჯახს ქირა უხადა!**

— როცა ქირა 30-40 ლარს შეადგენდა, უმტკივნეულოდ ვარსებობდი. ახლა კი 150, 200 ან 300 ლარის გადახდის საშუალება არ მაქვს! **თითქმის ოცი წლის განმავლობაში სამოცდაათზე მეტი განცხადება მაქვს შეტანილი ლტოლვილთა სამინისტროში, მერიაში, საკრებულოში თხოვნით, რომ ბინის პრობლემა მომიგვარონ! უშედეგოდ! მათგან მოსული პასუხი ერთმანეთისგან არ განსხვავდება: „მოიცადეთ და მიიღებთ!“...**

**დევნილობისას ბევრი ქარტეხილი დაატყდა თამაზ ჯღამაძეს, მათ შორის მთავარი — დაენგრა ოჯახი, მაგრამ ის ძლიერი პიროვნება აღმოჩნდა და გაჭირვებას შეებრძოლა. ნელ-ნელა აღადგინა საქმიანი კავშირები რუსეთში; ცხოვრება, თითქოს აეწყო, მაგრამ...**

— 1998 წლის ნოემბერში მოსკოვიდან თბილისში ჩამოვედი, — **ამბობს ბატონი თამაზი.** — იქიდან შვილიშვილებს ტკბილეულობა ჩამოვუტანე და, სანამ ქალიშვილთან ზუგდიდში გავემგზავრებოდი, ლილოს ბაზრობაზე წავედი, რომ პატარებისთვის საჩუქრები და ტანსაცმელი მეყიდა. იქ ჩემი მეზობლები და მეგობრები ვნახე. სახელდახელოდ გამიშალეს სუფრა... მათთან დამშვიდობების შემდეგ, ორი ჩანთით დატვირთული, ჩავჯექი მიკროავტობუსში, რომელიც ვაგზალზე მიდიოდა. უცებ შემოვიდა ორი პოლიციელი; ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა: შენ ამა და ამ მოვაჭრეს საქონელი მოპარეო. გარეთ გამომიყვანეს და შემიყვანეს ვაგონში, რომელშიც მაშინ ბაზრობის პოლიცია იყო განთავსებული. მოაბრძანეს „დაზარალებული“, ვიღაც ხანში შესული დედაკაცი, მათი „ნასედკა“, რომელიც ისე იყო შეზარხოშებული, რომ სამოქალაქოსამოსიანი პოლიციელი დაადანაშაულა ქურდობაში; მაგრამ ფორმიანმა მისი შეცდომა „გამოასწორა“ და ჩემზე მიუთითა: აი, ამან მოგპარაო... „ნასედკამ“, რა თქმა უნდა, „ამომიცნო“.

**„ქურდობაში ეჭვმიტანილი“ სასწრაფოდ გააქანეს სამგორის რაიონის პოლიციაში, შეაგდეს „კუტუზკაში“, გაჩხრიკეს და ჯიბიდან 900 დოლარი ამოუღეს. ფულმა არა თუ ჯოჯოხეთი, პოლიციის რაიონული განყოფილებაც „განათა“!..**

— თანამშრომლებს სიხარულისგან სახეები გაუბრწყინდათ, — **სიმწრით ილიმება ბატონი თამაზი.** — მის შემდეგ ის 900 დოლარი აღარც მინახავს, მაგრამ მაგას დავეძებდი?!

**დაკავებული ოთახში შეიყვანეს, მოიტანეს რკინის მილი, მიადეს მუხლების უკან და ჩაჯდომა უბრძანეს; შემდეგ ხელებიც გააყრევინეს და ბორკილები დაადეს. არ ვიცი დღეს ამ ურჯუკობას რა სახელწოდება აქვს, მაგრამ ადამიანის ასეთ პოზას ინკვიზიციის ჯალათები „სრულ კლიტეს“ უწოდებდნენ... რკინის მილი მსხვერპლით ორ მაგიდას შორის მოათავსეს.**

— ოთახში ოთხი პოლიციელი იმყოფებოდა, — **ყვება ბატონი თამაზი,** — ხოლო, როცა „გამამზადეს“, კიდევ სხვებიც შემოცვივდნენ. ვერ გეტყვით, მთვრალები იყვნენ თუ „კაიფში“.

**კაციჭამიების ამ თავყრილობას „თავმჯდომარეობდა“ სამგორის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე, მაიორი სიმონ შარვაძე.**

— ჯერ დაბადების წელი შემეკითხა. რომ გაიგო, 53-ში ვიყავი დაბადებული, სტალინის მკვლელობაში „დამადანაშაულა“. — სტალინი მარტში გარდაიცვალა, მე კი, ივლისში დავიბადე-მეთქი. შარვაძე არ დაიბნა და ახალ „დანაშაულში“ მამხილა: — მაშინ, ბერია მოგიკლავსო...

**მაიორ სიმონ შარვაძისა და მისი სადისტების ნახელავის შედეგად, თამაზ ჯღამაძე „დაჯილდოვდა“ ქალა-ტვინის დახურული ტრავმით, რომელმაც შემდგომში ეპილეფსია გამოიწვია, ასევე, სასწრაფოდ გაუკეთდა ერთი სათესლე ჯირკვლის რეზექცია...**

**პოლიციელთა ეს დანაშაული პრესაში გახმაურდა, დაიწყო გამოძიებაც. შეშინებული კანიბალები პროკურორის კაბინეტში დაზარალებულ ჯღამაძეს პატიებას სთხოვდნენ; მანაც ქრისტიანულად აპატია და საქმე ძიებაში არ გაუშვა. ბატონმა თამაზმა დანამდვილებით იცის, რომ ხუთი ჯალათი დღესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაშია, კერძოდ, „ქალბატონ ხათუნის“ უწყებაში, სადაც, უთუოდ, უმი ხორცის ჭამის საქმეში ზონდერთა ახალ თაობას გეშავენ.**

დღეს თამაზ ჯღამაძე მეორე ჯგუფის ინვალიდია. ავადმყოფობის გამო პენსია ჯერ 80 ლარი დაუნიშნეს, მერე ნაცხელისუფლებამ რატომღაც ეს თანხა 70-მდე შეამცირა. როგორც დევნილი, იღებს დახმარებას 28 ლარის ოდენობით.

— ჯამში 98 ლარი მაქვს, ყოველ სამ თვეში წამლებში 260 ლარამდე მიმდის. ბინა არ გამაჩნია და, ფაქტობრივად, ქუჩაში ვარ!

**გაწამებულ თამაზ ჯღამაძეს „ნაციონალებისგან“ დახმარების ყოველნაირი იმედი გადაეწურა; ამიტომაც მიმართა უცხო ქვეყნების საელჩოებს განცხადებით:** „მოგმართავთ თქვენ, ქართველი დევნილი აფხაზეთიდან — თამაზ ჯღამაძე. 19 წელია, მიწერილი ვარ ქ. თბილისში. გახლავარ 59 წლის პენსიონერი, ავადმყოფობის გამო. არ გამაჩნია თავშესაფარი. რამდენიმეჯერ მივმართე ლტოლვილთა სამინისტროს, მერიას, საკრებულოს, აფხაზეთის მთავრობას, მაგრამ პასუხი ყველგან ერთია: „კი, ბატონო, მიიღებთ აუცილებლად“. 6 თვე ვიჯექი ლტოლვილთა სამინისტროს ეზოში და ვშიმშილობდი. ეპილეფსიით ავადმყოფი კაცი ვიღებ პენსიას — 70 ლარს და ლტოლვილთა დახმარებას — 28 ლარს. მე კი ყოველ მესამე თვეს მჭირდება 180-260 ლარამდე ღირებული წამლები. რამდენი ხანი უნდა ვიცხოვრო ნაქირავებ ან კიდევ ახლობლების ბინაში?! **ომის დროს თვითონ საქართველოს მთავრობა გვერეკებოდა თბილისისკენ, კარგად გაცხოვრებთო. მოგვარბენინეს აქ, ამ ქალაქში, და დაგვტოვეს გარეთ, მინდვრად. რომელი პრეზიდენტის დროს დავბრუნდებით აფხაზეთში ან აფხაზეთში დაბრუნებამდე თავშესაფარი არ მინდა? დიახ, აი ასეა. არჩევნებამდე მე ვტოვებ თბილისს! აქეთ ხომ მოგვარბენინეს აფხაზეთიდან, მე კი თბილისიდან ჩემი ფეხით, წყნარი სიარულით, დინჯად ჩავალ აფხაზეთში, რომელიც ყველა კუთხეს მირჩევნია საქართველოში. იქ კი ნამდვილად ჩვენი ძმები, აფხაზები, მიგვიღებენ, შემოგვეხვევიან და თავშესაფარსაც მოგვცემენ. აი, ეს არის დასაჯერებელი, საქართველოს მთავრობის კი — არაფერი“.**

**გიორგი კორძაძე**



**P.S. „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში მოგიყევით აფხაზეთიდან დევნილ ირინა ერინბას ტრაგიკულ ბედზე. ეთნიკურად აფხაზი ქალი, სოციალურად გაუსაძლისი ცხოვრების გამო, აფხაზეთში ფეხით ჩასვლას და ანქვაბის ხელისუფლებაზე ჩაბარებას აპირებს.**

**ამჯერად უკვე ეთნიკურად ქართველმა, ეპილეფსიით დაავადებულმა, სრულიად იმედგაცრუებულმა დევნილმა, თამაზ ჯღამაძემ, გადაწყვიტა აფხაზეთში ფეხით ჩასვლა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სააკაშვილისა და მისი ნაცხროვის მიერ ცხრა წლის განმავლობაში „აშენებულ და აყვავებულ“ საქართველოში ადამიანურ ცხოვრებას ვერც აფხაზი, ვერც ოსი და ვერც ქართველი ვერ ეღირსება!..**

მოკლედ

## ლიბიის სანაპიროსთან აშშ-ის ორი სამხედრო ხომალდი დგას

**პენტაგონმა ლიბიის სანაპიროსთან შეიყვანა ორი სამხედრო ხომალდი, რომლის ეკიპაჟი 300 სამხედროს შეადგენს.** გემის ეკიპაჟს ჯერჯერობით კონკრეტული ბრძანება არ მიუღია, თუმცა ისინი სრულ მზადყოფნაში არიან და შეერთებული შტატების პრეზიდენტის განკარგულებას ელოდებიან. ორი დღის წინ ლიბიაში აშშ-ის საელჩოზე შეიარაღებული ისლამისტების თავდასხმას ამერიკის ელჩი ქრისტოფერ სტივენსი და საელჩოს სამი თანამშრომელი ემსხვერპლა.

## გერმანია ისლამურ ქვეყნებში საელჩოებს დახურავს

**გერმანიის ხელისუფლება ჩრდილოეთ აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში, ავღანეთსა და პაკისტანში დიპლომატიურ წარმომადგენლობებს დროებით დახურავს.** ამის შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვიცე-კანცლერმა გიდო ვესტერველემ განაცხადა. ვესტერველე შეშფოთებულია ეგვიპტეში, იემენსა და ლიბიაში აშშ-ის წარმომადგენლობებზე თავდასხმით და ამ ქვეყნების ხელისუფლებებს გერმანელი დიპლომატების უსაფრთხოების დაცვის გაძლიერებისკენ მოუწოდა.

ნაც-ჩეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამხრეთ კავკასიის წილი მსოფლიო ეკონომიკაში დაახლოებით 1,4-ჯერ დაბალია, ვიდრე მსოფლიო მოსახლეობაში. ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის ერთ სულზე სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე ფასებით დაახლოებით 30 პროცენტით ნაკლები მთლიანი პროდუქტი იქმნება, ვიდრე მსოფლიოში. ამასთან, აღნიშნული ინდიკატორით აზერბაიჯანი თითქმის უკვე გასულია საშუალო მსოფლიო დონეზე, ხოლო საქართველო და სომხეთი მსოფლიო დონის დაახლოებით 30-30 პროცენტის დონეზე იმყოფება.**

# სტატისტიკური შოკი

**სამხრეთ კავკასიაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თითქმის 3/4 (73,3%) აზერბაიჯანზე მოდის. ამ ქვეყანაში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მარტო 2006–2011 წლებში შეადგინა 41 მილიარდი აშშ დოლარი, მაშინ, როდესაც საქართველოში მხოლოდ 7,3 მილიარდი აშშ დოლარია და სომხეთში – 7,6 მილიარდი აშშ დოლარი.**

## წერილი პირველი

**ეკონომიკის ექსპერტმა, სტატისტიკის სპეციალისტმა, პროფესორმა იოსებ არჩვაძემ საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის მარკით ეს-ესაა გამოაქვეყნა მრავალმხრივ საყურადღებო და ჩვენი მკითხველებისთვის უთუოდ საინტერესო ნაშრომები, რომლებიც ერთ კრებულში გააერთიანა: „თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა", რომელიც ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის მნიშვნელოვანი შენაძენია.**

ავტორის მიერ შესრულებული ანალიზი ეყრდნობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სხვა სტრუქტურების (ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო) მონაცემებს, აგრეთვე, სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის სტატისტიკური სამსახურების, რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, გაეროს განვითარების პროგრამა, ევროსტატი და სხვ.) ოფიციალურ მონაცემებს.

ეს პუბლიკაცია თავად ავტორმა მოგვიმზადა, როგორც ციტატები მისი ნაშრომიდან, და მისი დამსახურებაა, რომ იკითხება, როგორც სერიოზული და საინტერესო სტატია.

აღნიშნულ ეკონომიკურ-სტატისტიკურ ანალიზში წარმოჩენილია საქართველოს ეკონომიკაში დღეისათვის არსებული ვიწრო ადგილები, რომელთა გამოუსწორებლობამ ან დროში გაჭიმულობამ შეიძლება სერიოზული ზიანი მოუტანოს საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. აღნიშნული მასალის გამოქვეყნების ძირითადი მიზანი საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე საზოგადოებისათვის სწორი წარმოდგენის შექმნაა. ცალკეული ინდიკატორების მიხედვით ჩამორჩენის დემონსტრირებამ კი უნდა გაზარდოს საზოგადოებრივი და სახელისუფლო მოტივაცია მათი უმოკლეს ვადებში დაძლევისა და ქვეყნის განვითარებისთვის ახალი დამატებითი იმპულსების ჩამოყალიბებისთვის.

### სამხრეთი კავკასია: 2003-2011 წლები ზოგიერთი დემოგრაფიული და მაკროეკონომიკური ასპექტი

საქართველო სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ბოლო წლებში აგებს დემოგრაფიულად: **მოსახლეობის მატების ტემპი სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებში საქართველოსთან შედარებით უფრო მაღალია, რის გამოც სისტემატურად მცირდება საქართველოს მოსახლეობის წილი ჩვენს რეგიონში. თუ 2003 წელს იგი 27,2 პროცენტი იყო, 2011 წლისთვის 26,4 პროცენტამდე შემცირდა.**

მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის პარალელურად, ხარისხობრივად უარესდება საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობაც. **საქართველოს თავის მეზობლებთან შედარებით გაცილებით ხანდაზმული მოსახლეობა ჰყავს:** ჩვენი მოსახლეობის მედიანური ასაკი ბოლო ოცი წლის მანძილზე გაიზარდა 6 წლით და 37,6 წელს მიაღწია, რაც 8 წლით აღემატება აზერბაიჯანის და 5 წლით – სომხეთის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

**ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე საქართველოს მოსახლეობა ყოველი სამი წლის განმავლობაში თითო წლით ბერდებოდა.**

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება, საშუალო ასაკის ზრდა ამცირებს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი კომპონენტის – ადამიანისეული რესურსის გამოყენების ეფექტიანობის პოტენციალს, შეიცავს ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი, სამხედრო-პოლიტიკური საფრთხეების მზარდ ნეგატიურ კუმულატიურ მუხტს. ექსპერტული შეფასებით, **მოსახლეობის საშუალო ასაკის თითო წლით მატება იწვევს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალის დაახლოებით 2,5 პროცენტით შემცირებას.**

საქართველოს არასახარბიელო დემოგრაფიულ მდგომარეობას კარგად ახასიათებს **დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტი** – საპენსიო ასაკის მოსახლეობის (65 და მეტი წლის) რაოდენობის თანაფარდობა ბავშვების რაოდენობასთან (0–15 წლის). აღნიშნული თანაფარდობა ბოლო ათი წლის მანძილზე, 2000 წლიდან დღემდე, საქართველოში გაიზარდა 2/3-დან 9/10-მდე. ამჟამად **პენსიონერების ერთსა და იმავე რაოდენობაზე საქართველოში აზერბაიჯანთან შედარებით 3-ჯერ, ხოლო სომხეთთან შედარებით 1,8-ჯერ ნაკლები ბავშვი მოდის.**

### მაკროეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი სურათი

**2003 წელს საქართველო სამხრეთ კავკასიაში პირველ ადგილზე იყო ეკონომიკური განვითარებით. მიმდინარე ფასებით მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში იქმნებოდა 919 აშშ დოლარის მთლიანი შიდა პროდუქტი** (სამხრეთ კავკასიის საშუალო მაჩვენებლის 104,3 პროცენტი), **მაშინ, როდესაც სომხეთში — 874 აშშ დოლარის** (99,2 პროცენტი), **ხოლო აზერბაიჯანში — 864 აშშ დოლარის მშპ** (98,0 პროცენტი). 2011 წელს, წინასწარი შეფასებით, სამხრეთ კავკასიაში მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებულმა მშპ-მა შეადგინა 5466 აშშ დოლარი, მათ შორის, სომხეთში – 3048 დოლარი (55,8 პროცენტი), აზერბაიჯანში – 7510 აშშ დოლარი (137,4 პროცენტი), საქართველოში – 3098 აშშ დოლარი (56,7 პროცენტი).

**მთლიანად სამხრეთ კავკასიის ეკონომიკა** (მთლიანი შიდა პროდუქტი) **2011 წელს, 2003 წელთან შედარებით, გაიზარდა 162 პროცენტით.** სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური ზრდის 78 პროცენტი აზერბაიჯანზე მოდიოდა (საქართველოზე — 12 პროცენტი, ხოლო სომხეთზე — 10 პროცენტი). აღნიშნულის შედეგად, **საქართველოს მშპ-ის წილი სამხრეთ კავკასიაში 2003 წლის შემდეგ თითქმის განახევრდა, ხოლო აზერბაიჯანის წილი 1,5-ჯერ გაიზარდა.**

**ამჟამად აზერბაიჯანის ეკონომიკური პოტენციალი თითქმის სამჯერ აღემატება საქართველოსა და სომხეთის ჯამურ პოტენციალს,** მაშინ, როდესაც 2003 წელს მხოლოდ უმნიშვნელოდ (დაახლოებით 7,0 პროცენტით) აღემატებოდა.

მიუხედავად საგრძნობი ეკონომიკური ზრდისა, მსოფლიო ეკონომიკაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წონა საკმაოდ მოკრძალებულია — მთლიანად **სამხრეთ კავკასიაზე მოდის მსოფლიო ეკონომიკის 0,2 პროცენტზე ნაკლები (0,172%).** 2003 წელთან შედარებით მსოფლიო ეკონომიკაში აზერბაიჯანის წილი გაიზარდა 0,065 პროცენტული პუნქტით (0,053%-დან 0,118%-მდე), საქართველოსი — 0,005 პროცენტული პუნქტით (0,026%-დან 0,031%-მდე), ხოლო სომხეთისა — 0,004 პროცენტული პუნქტით (0,019-დან 0,023%-მდე).

**სამხრეთ კავკასიის წილი მსოფლიო ეკონომიკაში დაახლოებით 1,4-ჯერ დაბალია, ვიდრე მსოფლიო მოსახლეობაში. ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის ერთ სულზე სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე ფასებით დაახლოებით 30 პროცენტით ნაკლები მთლიანი პროდუქტი იქმნება, ვიდრე მსოფლიოში.** ამასთან, აღნიშნული ინდიკატორით აზერბაიჯანი თითქმის უკვე გასულია საშუალო მსოფლიო დონეზე, ხოლო საქართველო და სომხეთი მსოფლიო დონის დაახლოებით 30-30 პროცენტის დონეზე იმყოფებიან. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მდგომარეობა რამდენადმე უკეთესია: **მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში იწარმოება მთლიანი პროდუქტის საშუალო მსოფლიო დონის 52 პროცენტი, სომხეთში – 51 პროცენტი, ხოლო აზერბაიჯანში – 130 პროცენტი.**

### სახელმწიფო ბიუჯეტი

მიუხედავად იმისა, რომ **2003 წელს საქართველო სამხრეთ კავკასიაში განვითარების დონით** (მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტით) **პირველ ადგილზე იმყოფებოდა, ეკონომიკის ადმინისტრირების, გადასახადების მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობით იგი აუტსაიდერი იყო — ბიუჯეტის შემოსავლების თანაფარდობა მშპ-სთან საქართველოში შეადგენდა მხოლოდ 16 პროცენტს, მაშინ, როდესაც სომხეთში — 17,8 პროცენტი, ხოლო აზერბაიჯანში 26,8 პროცენტი იყო.**

მომდევნო წლებში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მეზობელი სახელმწიფოებიც აუმჯობესებდნენ ადმინისტრირებას, საქართველოს მიღწევები ამ მხრივ გაცილებით შთამბეჭდავი იყო — **სახელმ-**

საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი
GEORGIAN DEVELOPMENT RESEARCH INSTITUTE

იოსებ არჩვაძე

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა:
განვითარების დონისა და მოწყვლადობის ზოგიერთი ასპექტი

*ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი*



## საქართველოს მშპ-ის წილი სამხრეთ კავკასიაში 2003 წლის შემდეგ თითქმის განახევრდა, ხოლო აზერბაიჯანის წილი 1,5-ჯერ გაიზარდა



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სახელმწიფო ვალის სიდიდე სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში ბოლო წლებში განუხრელად იზრდება და ჯამში 16,6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2003 წლის მაჩვენებელს 11,7 მილიარდი აშშ დოლარით, ანუ 3,4-ჯერ სჭარბობს. სახელმწიფო ვალის მოცულობა სამხრეთ კავკასიის ერთ მცხოვრებზე გაიზარდა 2003 წლის 306 აშშ დოლარიდან 2011 წლის 982 აშშ დოლარამდე. საქართველოს ყოველ მცხოვრებზე სახელმწიფო ვალის სიდიდე 1140 აშშ დოლარი, სომხეთში – 1264 აშშ დოლარი, ხოლო აზერბაიჯანში 802 აშშ დოლარია.

**მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში იწარმოება მთლიანი პროდუქტის საშუალო მსოფლიო დონის 52 პროცენტი, სომხეთში – 51 პროცენტი, ხოლო აზერბაიჯანში – 130 პროცენტი**

**მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, აზერბაიჯანის საბიუჯეტო შემოსავლები აღემატება (1,1%-ით) საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტს**

**მაკროეკონომიკური სტაბილურობის, ეფექტიანობისა და მდგრადობის თვალსაზრისით, მდგომარეობა აზერბაიჯანში 1,4-ჯერ, სომხეთში 1,6-ჯერ, ევროგაერთიანებაში თითქმის 2-ჯერ, ხოლო აშშ-ში დაახლოებით 2,4-ჯერ უკეთესია, ვიდრე საქართველოში**

**საქართველოს განათლების სფეროს ერთი მუშაკის შრომის ანაზღაურების სიდიდე დაახლოებით 31 დოლარით (14,4%-ით) ჩამორჩება სომხეთისას და 174 დოლარით (47,5%-ით) – აზერბაიჯანისას**

◀ **წიფო ბიუჯეტის ადმინისტრირების დონე 2011 წლისთვის, 2003 წელთან შედარებით, გაიზარდა 1,8-ჯერ, მაშინ, როდესაც სომხეთში — მხოლოდ 1,2-ჯერ, ხოლო აზერბაიჯანში — დაახლოებით 1,6-ჯერ.** ამჟამად სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან შეადგენს: საქართველოში — 28,2 პროცენტს, სომხეთში — 21,4 პროცენტს და აზერბაიჯანში — 41,7 პროცენტს.

**სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საშუალო წლიური მატების ტემპი საქართველოში 2004-2011 წლებში 25,4 პროცენტი იყო, სომხეთში – 20,2 პროცენტი, ხოლო აზერბაიჯანში — 39,9 პროცენტი.**

მოსახლეობის ერთ სულზე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 2011 წელს 873 აშშ დოლარია, მაშინ, როდესაც 2003 წელს მხოლოდ 147 დოლარი იყო. **განვლილ პერიოდში მოსახლეობის ერთ სულზე საქართველომ საგრძნობლად გადაუსწრო სომხეთის ანალოგიურ მაჩვენებელს** (2003 წლის -5,5%-დან 2011 წლის +34,0%-მდე), **თუმცა, იმავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩამორჩენა აზერბაიჯანის ანალოგიური მაჩვენებლისგან** (2003 წლის -36,5%-დან 2011 წლის -72,9%-მდე). აზერბაიჯანში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე (3133 აშშ დოლარი) 3,6-ჯერ აღემატება საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს. უფრო მეტიც, **მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, აზერბაიჯანის საბიუჯეტო შემოსავლები აღემატება (1,1%-ით) საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტს.**

მოსახლეობის ერთ სულზე სახელმწიფო ხარჯების მოცულობა საქართველოში შეადგენს სომხეთის ანალოგიური მაჩვენებლის 122%-ს და აზერბაიჯანის მაჩვენებლის 39%-ს.

### პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

**ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამხრეთ კავკასიაში მოზიდულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში საქართველოს წილი 1,7-ჯერ** (2006 წლის 17 პროცენტიდან 2010 წლის 10,7 პროცენტამდე) **შემცირდა.** დღეისათვის **სამხრეთ კავკასიაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თითქმის 3/4 (73,3%) აზერბაიჯანზე მოდის.** ამ ქვეყანაში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მარტო 2006–2011 წლებში შეადგინა 41 მილიარდი აშშ დოლარი, მაშინ, როდესაც საქართველოში – მხოლოდ 7,3 მილიარდი აშშ დოლარია და სომხეთში — 7,6 მილიარდი აშშ დოლარი.

### ინფლაცია

**ფასები სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში ხასიათდებოდა სტაბილური ზრდის ტენდენციით, რის გამოც 2011 წლისთვის 2003 წელთან შედარებით სამომხმარებლო ფასების ინდექსმა შეადგინა: საქართველოში – 179,1%, სომხეთში – 152,6% და აზერბაიჯანში – 209,3%.**

ამჟამად **საქართველოში ფასების ინდექსი მსოფლიო დონის 57 პროცენტს შეადგენს, სომხეთში — 56,5 პროცენტს, ხოლო აზერბაიჯანში — 73,5 პროცენტს.** ბოლო რვა წლის განმავლობაში განსხვავება ფასების ეროვნულ და მსოფლიო დონეებს შორის შემცირდა საქართველოსა და სომხეთში — 1,6-1,6-ჯერ თითოეულში, აზერბაიჯანში — 2,7-ჯერ.

ამასთან, **ფასების ზრდისა და მათი მსოფლიო დონესთან დაახლოების პირობებში სულ უფრო მწვავედ დგება შემოსავლების უკმარისობისა და დაუბალანსებლობის პრობლემები** – საქართველო, მაგალითად, აშშ-ს ჩამორჩება: ფასების დონის მიხედვით – მხოლოდ 1,76-ჯერ (43 პროცენტული პუნქტით), ფასებით ბიგ–მაკზე „მაკდონალდსის" სწრაფი კვების ობიექტებში კიდევ უფრო ნაკლებად — 15 პროცენტული პუნქტით, მაშინ, როდესაც საშუალო ხელფასით ჩამორჩება 8,2-ჯერ, ხოლო საარსებო მინიმუმით – 11,9-ჯერ.

### საგარეო ვაჭრობა

საქართველოს სავაჭრო **ბრუნვის თანაფარდობა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან შეადგენს 64 პროცენტს, რაც თითქმის 1,6-ჯერ აღემატება 2003 წლის დონეს** (2003 წ. – 40,0%). აღნიშნული **ინდიკატორით საქართველო საგრძნობლად უსწრებს სამხრეთ კავკასიის დანარჩენ ქვეყნებს** (სომხეთში საგარეო სავაჭრო ბრუნვის თანაფარდობა ამ ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან შეადგენს 51,1 პროცენტს, ხოლო აზერბაიჯანში — 51,4 პროცენტს). **ამასთან, ექსპორტით იმპორტის გადაფარვა საქართველოში მხოლოდ 30,5 პროცენტია.** სომხეთში აღნიშნული თანაფარდობა საქართველოზე ოდნავ დაბალია (27,8%), ხოლო აზერბაიჯანში, ამ ქვეყნის ექსპორტში ენერგორესურსების განსაკუთრებული როლის გამო, ჯერადად მაღალი (323,6%).

**საგარეო სავაჭრო ბრუნვის ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს საქართველოს მსოფლიო მეურნეობაში ჩართვის მაღალ დონეზე, ხოლო ექსპორტით იმპორტის გადაფარვის ზემოხსენებული დონე — საქართველოს ეკონომიკისა და მოსახლეობის იმპორტზე მაღალ დამოკიდებულებაზე.**

მოსახლეობის ერთ სულზე საგარეო სავაჭრო ბრუნვა შეადგენს: საქართველოში — 1538 აშშ დოლარს, სომხეთში — 1168 აშშ დოლარს, ხოლო აზერბაიჯანში — 3090 აშშ დოლარს.

### სახელმწიფო ვალი

**სახელმწიფო ვალის სიდიდე სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში ბოლო წლებში განუხრელად იზრდება და ჯამში 16,6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2003 წლის მაჩვენებელს 11,7 მილიარდი აშშ დოლარით, ანუ 3,4-ჯერ სჭარბობს.** სახელმწიფო ვალის მოცულობა სამხრეთ კავკასიის ერთ მცხოვრებზე გაიზარდა 2003 წლის 306 აშშ დოლარიდან 2011 წლის 982 აშშ დოლარამდე. **საქართველოს ყოველ მცხოვრებზე სახელმწიფო ვალის სიდიდე 1140 აშშ დოლარი, სომხეთში – 1264 აშშ დოლარი, ხოლო აზერბაიჯანში 802 აშშ დოლარია.**

**2011 წლის საქართველოს სახელმწიფო ვალის სიდიდე (აშშ დოლარებში) მნიშვნელოვნად აღემატებოდა 2003 წელს წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის აბსოლუტურ მოცულობას.**

### უმუშევრობა და დასაქმება

**საქართველოში უმუშევრობის დონე გაცილებით აღემატება სამხრეთ კავკასიის დანარჩენ ქვეყნებში ოფიციალურად დეკლარირებულ დონეებს.** 2011 წლისათვის უმუშევრობამ საქართველოში შეადგინა 15,9 პროცენტი, მაშინ, როცა აზერბაიჯანში ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 6,0 პროცენტია, ხოლო სომხეთში – 10,1 პროცენტი. ამასთან, **2003 წელთან შედარებით უმუშევრობის დონე 2011 წელს სომხეთში ფაქტობრივად არ შეცვლილა, აზერბაიჯანში შემცირდა 1,6-ჯერ (9,7%-დან 6,0%-მდე), საქართველოში კი გაიზარდა 1,3-ჯერ (11,5%-დან 15,1%-მდე).**

დაქირავებით დასაქმების დონე ამჟამად საქართველოში თითქმის იმავე დონეზეა, როგორც 2003 წელს (აბსოლუტური მატება მხოლოდ 1,9%-ია). სომხეთში აღნიშნული მაჩვენებელი 2,3 პროცენტითაა (12,3 ათასით) შემცირებული, ხოლო აზერბაიჯანში, პირიქით, 12,7 პროცენტითაა (156,3 ათასით) მომატებული. ამჟამად **მოსახლეობის თანაბარ რაოდენობაზე დაქირავებით დასაქმებულთა რიცხოვნობით საქართველოს სამხრეთ კავკასიაში ყველაზე უარესი მაჩვენებელი აქვს: მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე საქართველოში დაქირავებით დასაქმებულია 141 კაცი, სომხეთში – 162, ხოლო აზერბაიჯანში – 154 კაცი.**

ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი (**ედი** წარმოადგენს ინფლაციისა და უმუშევრობის დონეთა ჯამს. შესაბამისად, მისი ზრდა ნეგატიური, ხოლო შემცირება პოზიტიური ტენდენციის მაჩვენებელია) **საქართველოში გაცილებით მაღალია, ვიდრე სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებში.** ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ედი-ს საშუალო წლიური მნიშვნელობა შეადგენდა (პროცენტულად): საქართველოში — 21,7-ს, სომხეთში — 13,5-ს, აზერბაიჯანში — 16,0-ს (ცნობისათვის: აშშ-ში — 9,2-ს, ევროგაერთიანებაში — 11,4-ს).

ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსის გათვალისწინებით, **მაკროეკონომიკური სტაბილურობის, ეფექტიანობისა და მდგრადობის თვალსაზრისით, მდგომარეობა აზერბაიჯანში 1,4-ჯერ, სომხეთში 1,6-ჯერ, ევროგაერთიანებაში თითქმის 2-ჯერ, ხოლო აშშ-ში დაახლოებით 2,4-ჯერ უკეთესია, ვიდრე საქართველოში.**

### შრომის ანაზღაურება

**ეკონომიკური ზრდის პარალელურად იზრდება შრომის ანაზღაურებაც. საშუალო ხელფასი საქართველოში ბოლო წლებში გაიზარდა – 2011 წლის მეოთხე კვარტალში მან 761 ლარს მიაღწია** (რაც 2003 წლის მაჩვენებელს 6-ჯერ აღემატება) **და გადალახა 400-დოლარიანი მიჯნა. საშუალო ხელფასის სიდიდით საქართველო უსწრებს სომხეთის ანალოგიურ მაჩვენებელს 1/3-ით, ხოლო აზერბაიჯანის მაჩვენებელს ჩამორჩება 1/10-ით.**

საქართველოში ხელფასების საერთო დონის ზრდის პირობებში არ შეიძლება არ აღინიშნოს ხელფასების დაბალი დონე განათლების სფეროში, სადაც საშუალო ხელფასი საშუალო ეროვნულის მხოლოდ 47,4 პროცენტია. აღნიშნული აზერბაიჯანში 82,0 პროცენტია, სომხეთში – 74,1%. **საქართველოს განათლების სფეროს ერთი მუშაკის შრომის ანაზღაურების სიდიდე დაახლოებით 31 დოლარით (14,4%-ით) ჩამორჩება სომხეთისას და 174 დოლარით (47,5%-ით) – აზერბაიჯანისას.** საქართველოში განათლების სფეროს მუშაკთა შრომის ანაზღაურების ჩამორჩენა საშუალო ქვეყნისმიერ მაჩვენებელთან ჯერადად აღემატება სომხეთისა და აზერბაიჯანის ანალოგიურ მაჩვენებლებს — **თუკი სომხეთში განათლების სფეროს მუშაკთა საშუალო ხელფასი ამ ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასს 77 აშშ დოლარით ჩამორჩება, ხოლო აზერბაიჯანში – 80 აშშ დოლარით, საქართველოში ეს ჩამორჩენა 210 დოლარია.** შესაბამისად, აღნიშნული სხვაობა საქართველოში აზერბაიჯანთან შედარებით — 2,6-ჯერ, ხოლო სომხეთთან შედარებით 2,7-ჯერ უფრო მაღალია.

ამასთან, საქართველოს ამ ინდიკატორით მდგომარეობის დრამატიზმს ხაზს უსვამს ის გარემოება, რომ **თუკი ბოლო წლებში სომხეთსა და აზერბაიჯანში შეინიშნებოდა განათლების სფეროს მუშაკთა შრომის ანაზღაურების ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასთან დაახლოების პროცესი, საქართველოში პირიქით, შეინიშნებოდა დაშორების პროცესი** – საქართველოში ზემოხსენებული თანაფარდობა 2003 წელთან შედარებით 2011 წლისთვის 7 პროცენტული პუნქტით დაეცა — 54,4 პროცენტიდან 47,4 პროცენტამდე.

### საპენსიო უზრუნველყოფა

ბოლო რვა წლის განმავლობაში პენსიები საქართველოში 7-ჯერ და მეტად გაიზარდა (2003 წლის 14 ლარიდან 2011 წლის 100 ლარამდე), თუმცა, საპენსიო უზრუნველყოფა ქვეყანაში კვლავაც ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად რჩება. **საშუალო პენსია საქართველოში ოფიციალური საარსებო მინიმუმის მხოლოდ 70 პროცენტია,** რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება სომხეთისა და აზერბაიჯანის ანალოგიურ მაჩვენებლებს – **სომხეთში საშუალო პენსიის დონე საარსებო მინიმუმის 85 პროცენტია, აზერბაიჯანში კი – 105 პროცენტი. ამასთან, საშუალო პენსია საქართველოში 2,3-ჯერ ნაკლებია აზერბაიჯანის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით და თითქმის 1,3-ჯერ ნაკლები — სომხეთთან შედარებით.**

გაგრძელება შემდეგ ნომერში



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პოზიცია

**ვიცი, რომ ვიწევ ცეცხლს ჩემკენ, „ნაციონალების“ რისხვას; შეიძლება ქუთაისში მკლავებდაჭიმული და მუშტებმოღერებული აკაკი ბობოხიძეც ვიხილო, მაგრამ არ ვშიშობ, რამეთუ ის უცილობელი ახლო მომავალი მამხნევებს, რომელიც მე, 82 წლის კაცს, მათქმევინებს: ისტორიამ მე გამამართლა.**

# რა მოგვიტანა 23-წლიანმა გეოპოლიტიკურმა სიბრმავემ და «ნატო მინდას» გაბმულმა ქაქანმა?

**პრორუსული პოლიტიკა საქართველოს გადარჩენაა, ანუ მისი ტერიტორიული გამთლიანების გასაღებია; რუსეთის უკიდეგანო ბაზრებში შესვლის საშუალებაა; საქართველოს სახალხო მეურნეობის, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობაა; ოცი წლის წინ დაკარგული სარკინიგზო მიმოსვლის — თბილისი-მოსკოვი, წყალტუბო-მოსკოვი, ბათუმი-მოსკოვი, ერევანი-თბილისი-მოსკოვის აღდგენის პერსპექტივაა, რასაც უაღრესად დიდი სამეურნეო-ეკონომიკური, პოლიტიკური, სულიერ-კულტურული დატვირთვა მიეცემა, უწინარეს ყოვლისა, საქართველოსთვის, ასევე მეზობელი ქვეყნებისთვის; უშუალო კონტაქტში შევალთ აფხაზებთან, ოსებთან, სხვა ხალხებთან, რაც ურთიერთუნდობლობასა და დაპირისპირებათა დაძლევის გზაც იქნება... ხოლო რა მოგვიტანა 23-წლიანმა გეოპოლიტიკურმა სიბრმავემ, ანუ ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ დაუოკებელმა ქაჩვამ, „ნატო მინდას“ გაბმულმა ქაქანმა? — მხოლოდ ტრაგედია-უბედურებათა სერიალები.**



ბოლო ორი ათეული წლის „ისტორიულ მონაპოვართა“ საფუძველზე დღეს ქვეყნის კონსტიტუციაში შეიძლება ჩავწეროთ:

**საქართველო** ეროვნება და ტერიტორიებდაკარგული, ასიათასობით დევნილ-ლტოლვილთა, მილიონზე მეტ სამშობლოდან გადახვეწილთა, გაწამებულ უმუშევართა, სავაჭრო-საგადასახადო, პოლიციური, კლანურ-ელიტარულ-კორუფციული, მრავალმილიარდიან ვალებში აცურებული, ამერიკა-დასავლეთის გასაღების ბაზარი და **ნეოკოლონიური რესპუბლიკაა; მისი კანონმდებელ-განმკარგულებლები ვაშინგტონში, სტრასბურგსა და ბრიუსელში სხედან, ხოლო მონამორჩილი აღმასრულებლები, სოროს-ამერიკული დოლარებით მოსყიდულები — თბილისში.**

**რეალობაა ეს** — შემომედავეთ, ოპონენტებო; ვიწვევ ცეცხლს ჩემკენ. სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და პიროვნების სოციალური დაცვისთვის მებრძოლი საზოგადოების დაშლის შემდეგ, ე. შევარდნაძისა და მ. სააკაშვილის ხელისუფლებათა ძალისხმევით, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერ-კულტურული, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პორტრეტი ასე ჩამოყალიბდა:

**სახეზეა** — დეპატრიოტიზაცია, დეჰუმანიზაცია, დექრისტიანიზაცია და იელოვაზაცია; უკიდურესი ამბიციურობა და მისგან გამოკვებილი ყვარყვარექამელეონობა; საყოველთაო ამერიკანიზაცია და ეროვნული გრძნობისა და სიამაყის დაკნინება; ქართველთა ურთიერთგაუცხოება, მათი მასობრივი მიგრაცია სიცოცხლის გადასარჩენად; ეროვნული ეკონომიკის დაკნინება და მასობრივი უმუშევრობა; პესიმიზმის, ხვალინდელი დღის უიმედობა, სასოწარკვეთა და თვითმკვლელობათა გახშირება; ქართული ენის გარყვნა-დაბინძურება და ინგლისური ენის ზეწოლითი აგრესია; შობადობის შემცირება და მოკვდავობის ზრდა; არნახული მორალურ-ზნეობრივი გათახსირება — განსაკუთრებით ახალგაზრდობის; პორნოგრაფია, მეძავეობა და ბორდელიზაცია; ბერბიჭობის მომრავლება და განქორწინებათა ზრდა; ერის ფიზიკური და გონებრივი დაუძლურება; სოციალური ჩაგვრისა და სოციალური სადიზმის აყვავება; სიღატაკე — სიღარიბის სტაბილიზაცია უდიდესი უმრავლესობის ოჯახებში და არნახული ფუფუნება მედროვე შარლატანების, ხარბების, გაუმაძღრების ოჯახებში; ვაიპრივატიზაცია და საერთო სახალხო საზოგადოებრივი საკუთრების ყაჩაღური დატაცება „ახალი ქართველების“ მიერ, რომლებიც ელვისებური სისწრაფით იქცნენ მილიონერ-მილიარდელებად; სალაროებში არსებული ხალხის ფულადი დანაზოგების მიტაცება ე. შევარდნაძის დახმარებით რამდენიმე ყაჩაღის მიერ; ჯართადქცეული საქართველოს პირწმინდად გასუფთავება ლითონისა და ხეტყისაგან; სოციალური და პოლიტიკური ტერორის დანერგვა; ღვთისმშობლის წილხვედრი ქართული მიწების უცხო ტომებზე — ჩინელებზე, ინდუსებზე, ბურებზე, თურქებსა და არაბებზე გაყიდვა, რაც ენით გამოუთქმელ ტრაგიკულ პერსპექტივას გვიმზადებს. თუ გაგიგონიათ, ოპონენტებო, რომ სოციალისტურ საქართველოში უცხო ტომელებზე თუნდაც ერთი გოჯა მიწა გაყიდულიყოს? ამის მაგალითს, რა თქმა უნდა, ვერ მოიტანთ.

**უცხო ტომელთა თანდათანობით მომრავლება საქართველოს კოსმოპოლიტიკურ კონგლომერატად გადააქცევს, სინგაპურის მსგავსად, ოთხი სახელმწიფო ენით.**

საქართველო ეროვნული სახელმწიფო აღარ იქნება და, როგორც ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, რუის-ურბნელი მიტროპოლიტი მეუფე იობი ბრძანებს, ქვეყანას შეიძლება სახელიც კი შეუცვალონ (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №27, 2012).

**ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე დგას დღეს ჩვენი ბედკრული საქართველო და 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა უნდა გვიხსნას საბედისწერო პერსპექტივებისგან.** არჩევნების შედეგად სააკაშვილის ანტიეროვნული და ანტიპატრიოტული ხელისუფლება აუცილებლად უნდა შეიცვალოს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ ქართულ ოპოზიციურ ძალთა ნებას, შეიკრან ერთ მუშტად ლოზუნგით: **„ყველა ერთად — სააკაშვილის რეჟიმის შესაცვლელად“.** სამწუხაროდ, სხვანაირად ვაინაციონალების თარეშისგან თავს ვერ დავიხსნით, მითუმეტეს **სააკაშვილი გვემუქრება კიდეც: „ყველაფერს ვიღონებ არჩევნებში ჩემი პარტიის გამარჯვებისთვისო“** და ეწევა კიდეც საამისოდ საჭირო კანონიერ თუ უკანონო, ზნეობრივ თუ უზნეო ქმედებებს. მისთვის ყველაფერი დასაშვები და გამართლებულია, ხოლო იგივე ქმედებები ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნებისთვის“ დანაშაულად ითვლება.

**რუსეთთან ცხელ ომში დამარცხებული სააკაშვილი ახლა ცდილობს ცივ ომში მაინც დაამარცხოს და აღვირახსნილ, გაუაზრებელ და შედეგებით წინასწარ გაუთვლელ ანტირუსულ ისტერიკას მიმართავს, რაც, პირველ რიგში, თვით საქართველოს, მის მომავალს დიდ ზიანს აყენებს.** საკუთარი ჯიბის ტელევიზიები — „რუსთავი 2“ და „იმედი“, სააკაშვილმა მაქსიმალურად ჩართო ანტირუსული პროპაგანდის სამსახურში, განსაკუთრებით — მათი სარეკლამო დრო და სივრცე. მოვიტან ერთ დამახასიათებელ მაგალითს: **2008 წლის 7-8 აგვისტოს შესაყარზე, სააკაშვილის ცხინვალში შეჭრის დროს, იქ დაიღუპა უფროსი ლეიტენანტი ალექსი ნატროშვილი; ბუნებრივია, მისი მშობელი დედა რუსეთის მისამართით შეურიგებლად იქნება განწყობილი და მტრად მიიჩნევს ყველას, ვინც რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას აპირებს, მათ შორის ბიძინა ივანიშვილს.** მე მივმართავ ალექსის დედას: უპირველესად, მადლობა თქვენ, ჩემთვის შვილის ტოლა ქალბატონო, ღირსეული, პატრიოტი შვილის აღზრდისთვის; მარადიული ხსოვნა და დიდება მის სახელს. ღრმად თანაგიგრძნობთ პირადად თქვენ, ასევე შვილებდაკარგულ ყველა დედას, მამას, ძმებს, დებს, დაღუპულთა პაწიებს — ობლად დარჩენილებს; თვალები ცრემლით ამევსო ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ; ბოლოს მუდარით გთხოვთ, გულდასმით მომისმინოთ:

**2008 წლის აგვისტოში სააკაშვილი პირველი შეიჭრა მძინარე ცხინვალში და პირველსავე შეტაკებაში ამოხოცა იქ მდგარი ცისფერჩაფხუტიანი რუსი მშვიდობისმყოფელები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით რომ ასრულებდნენ თავიანთ მისიას.** რუსეთის ხელისუფლება დახოცილი მშვიდობისმყოფელთა დედების აცრემლებას სააკაშვილის ხელისუფლებას განა აპატიებდა? განზე გადგებოდა და ხელს არ შეუშლიდა სამხედრო ოპერაციის დაგვირგვინებაში? რუსეთი დაუყოვნებლივ შემოიჭრა კიდეც თავისი მძიმე ტექნიკით, როკის გვირაბით და მერე რაც მოხდა, ყველაფერი ცნობილია.

**ეს ჭეშმარიტება, რომ საომარი მოქმედებები ქართულმა მხარემ დაიწყო, დაადგინა კიდეც საერთაშორისო კომისიამ, რომელსაც შვეიცარიელი მოღვაწე ქალბატონი, ჰაიდი ტალიავინი ხელმძღვანელობდა.** კითხვა ისმის: რატომ არ გააპროტესტა და ოფიციალური განცხადებით არ უარყო ტალიავინის კომისიის აღნიშნული დასკვნა მ. სააკაშვილმა? იმიტომ ვერა, რომ ღამეს დღეს ვერ დაარქმევდა და პირიქით. **სააკაშვილმა მხოლოდ ფეხდაბიჯებული ჭიაყელასავით იწყო კლაკვნა და დღესაც იკლაკნება — ნემსის ყუნწში ძვრება და ცდილობს, ხალხს დაავიწყოს ტალიავინიც და მისი კომისიის დასკვნაც.** ასე რომ, ქალბატონო, ცხონებულ ალექსის დაღუპვაში ლომის წილი სააკაშვილის ავანტიურას მიუძღვის და არა რუსეთს. არ გამოვრიცხავ, რუსეთი ისე იყო გაღიზიანებული ქართული მხარის ნატოში გაერთიანების რიტორიკით, რომ ნამდვილად გაიხარა კიდეც, თავისი გაუაზრებელი მოქმედებით სააკაშვილმა საბაბი მისცა აგრესიისა და ახალი ქართული მიწების ოკუპაციისთვის. პრეზიდენტყოფილმა დიმიტრი მედვედევმა ეს რეალობა მოგვიანებით აღიარა კიდეც.

**დღეს, პატივცემულო ქალბატონო, სააკაშვილის ხელისუფლება თქვენი შვილის სახელით სპეკულირებს და თქვენს აზრებს კარუსელივით წარამარა ატრიალებს ტელევიზიების სარეკლამო სივრცეში. „რუსთავი 2“ და „იმედი“ გულისამრევად ეჯიბრებიან ერთმანეთს, ერთ სარეკლამო დროში, რომელი უფრო ბევრჯერ უჩვენებს თქვენს დამწუხრებულ სახეს. მე პროტესტს ვაცხადებ და მოვუწოდებ აღნიშნულ ტელევიზიებს, შეწყვიტონ ეს უსინდისო და შეურაცხმყოფელი ტელესპეკულირება; დიახ, იგი შეურაცხყოფას აყენებს ალექსის ნათელ ხსოვნას.**

დასკვნა ერთია: **აგრესია-ოკუპაციისკენ რუსეთს მნიშვნელოვანწილად თვით სააკაშვილის ხელისუფლების ავანტურისტულმა ქმედებამ უბიძგა. სხვა ლოგიკა გამორიცხულია.**

შემომედავეთ, ოპონენტებო!

დამოუკიდებლობის მიღებიდან დღემდე **საქართველოს ხელისუფალთ ღრმადგააზრებული და მეცნიერულად დასაბუთებული გეოპოლიტიკური კონცეფცია, რომელიც საგარეო პოლიტიკის სწორი ორიენტირი იქნებოდა, არა და არ გააჩნიათ.** ასეთი კონცეფცია ნატოს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს წითელ შუქს აუნთებდა, ქართველ ნატოელებს ენას ჩაუგდებდა; თავიდან ავიცილებდით დაძაბულობათა ესკალაციებს, საომარ კონფლიქტს რუსეთთან, ტერიტორიების და კარგვას და ბევრ სხვა უბედურებას.

**ქართული გეოპოლიტიკური კონცეფციის შემუშავებისას უნდა გამოვიდეთ იმ ჭეშმარიტებიდან, რომ საქართველოს გეოსივრცე სამხრეთ კავკასიაში მდებარეობს, რუსეთ-ირანის სამეზობლოში, და არა ბისკაის ან მექსიკის ყურეში, აშშ-ის მეზობლად.** საქართველო მეტად დიდი ღირებულების გეოპოლიტიკურ სივრცეს ფლობს; იგი ევრაზიის ყელ-კისერია, ისტორიამ ▶

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსეთ-საქართველოს ომის პროვოცირება სწორედ რომ აშშ-ის ნახელავია; ამით ის მრავალმხრივ მოგებული აღმოჩნდა, ხოლო საქართველო და რუსეთი — ორივე წაგებული; რატომ ორივე? — ამას მკითხველი, რომელსაც განსჯის უნარი აქვს, ადვილად დაასკვნის.

◀ ამ მდიდარი და შეუფასებელი სივრცის ბრმად და ქვეყნის საზიანოდ გამოყენება არ გვაპატია და დავისაჯეთ კიდეც. ამაზე ვრცლად შეიძლება ვიმსჯელოთ, პატივცემულო ოპონენტებო!

**ამრიგად, ურყევად ვიდგე პრორუსულ პოზიციაზე და მოვუწოდო მომავალ ხელისუფლებას პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციისკენ, ეს ჩემი ახირება და სუბიექტური ჭირვეულობა კი არ არის, არამედ ობიექტურად ჩამოყალიბებული საქართველოს გეოპოლიტიკური კანონზომიერების სიგნალი, ძახილი და, გნებავთ, ყვილიცაა.**

ეს ყვილი სიგნალს იძლევა და გვეუბნება: საქართველოს ადგილი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, მითუმეტეს ნატოში, არადა არ არის, ისევე, როგორც ფრენაზე მეოცნებე თაგუნიას ადგილი არ იყო ფრინველთა სამყაროში და დასჯილი ქვეყნად ღამურად მოგვევლინა.

თავგახურებულ ქართველ ნატოელებს ვურჩევ: ბატონებო, ამოჭერით სამხრეთ კავკასიიდან დე ფაქტო საქართველოს გეოგრაფიული სივრცე, დე ფაქტო იმიტომ, რომ აფხაზები და ოსები ამოჭრაზე არ დაგეთანხმდებიან, შემოიდეთ ზურგზე და გადაიტანეთ იგი ბისკაის ყურეში, ესპანეთ-საფრანგეთის საზღვრებთან. აი, მაშინ მართლაც შეძვრებით ნატოში და დიდი ხნის ოცნებასაც აისრულებთ. — ოჰო! შეუძლებელს გვთავაზობსო, — იტყვით თქვენ.

**სამხრეთ კავკასიის გეოსივრცე რუსეთისთვის იგივეა, რაც შუა საუკუნეების რაინდისთვის დამცველი ფარი. გამორიცხულია, რომ რუსეთმა ეს ფარი ხელიდან გააგდოს და ნატოს სათარეშოდ დათმოს. როგორც დავინახეთ, არ დათმო და მის შესანარჩუნებლად საქართველოში შემოიჭრა, როცა ამის საბაბი სააკაშვილმა მისცა.**

მ. სააკაშვილი ხანდახან იტყვის ხოლმე, — რუსეთი მალე ჩამოიშლებაო. ელცინის დროინდელი რუსეთი მართლაც იყო დასუსტებული იმდენად, რომ აშშ-ის მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა ვრცელი სტატია გამოაქვეყნა თავხედური და პრეტენზიული სახელწოდებით: „აშშ-ის ამოცანაა, მართოს პოსტსაბჭოური სივრცე“. ამ სტატიის რუსული თარგმანი „ნეზავისიმაია გაზეტას“ 1998 წლის 16 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა და რუსული სამეცნიერო წრეებისა და გენერალიტეტის მკვეთრი გაღიზიანება გამოიწვია. **აშშ მართლაც შეუდგა პოსტსაბჭოური სივრცის მართვას — ბალტიისპირა რესპუბლიკები მართლაც შეათრია ნატოში და იგივე დაუპირა უკრაინასა და საქართველოს. მალე მდგომარეობა შეიცვალა — ელცინი წავიდა. პუტინის რუსეთი კი იმდენად გაძლიერდა, რომ აშშ-ის ახალ პრეზიდენტს, ობამას, ათქმევინა: „ჩვენ ვცნობთ რუსეთის ფედერაციის პრიორიტეტებს პოსტსაბჭოური სივრცის საკითხებში“. დიახ, აშშ-ს ჩაეშალა უკრაინისა და საქართველოს ნატოში ჩაბმის პოლიტიკა.**

მართალია, აშშ დოლარებით მოსყიდული სააკაშვილის ხელისუფალთა დახმარებით ჯერჯერობით მჭადის ცომივით აბურთავებს საწყალ საქართველოს, მაგრამ მის კეცზე დაკვრას, ანუ ნატოში გაბრტყელებას ვერ ეღირსება. **ცბიერებით, გაიძვერობით, მოთაფლული სიტყვებითა და სხვისი ხელით ნარის გლეჯით ცნობილ აშშ-ს ხშირად გაუცურებია მისი დახმარების მომლოდინე ქვეყნები, მათ შორის საქართველო.**

აქ მკითხველს გავახსენებ მ. სააკაშვილის 2008 წლის 12 აგვისტოს სატელეფონო საუბრებს აშშ-ის პრეზიდენტ ბუშ-უმცროსთან. აღელვებული სააკაშვილი საყვედურის ტონით, თანაც შენობით მიმართავდა მას და დახმარებას ითხოვდა; ის კი მშვიდი ტონით აწყნარებდა: „მიშა, იქნება დახმარებაო“. დახმარება გემით მართლაც მიიღო, ოღონდ წყლებისა და პამპერსების სახით: წყალი — მიშას გახურებული თავის გასაგრილებლად, ხოლო პამპერსი — იქ გამოსაყენებლად, სადაც ჯერ არს. აბა, რას ელოდა სააკაშვილი? განა ბუში კრემლის თავზე რაკეტების დაშვებას გაბედავდა?

მეორე მაგალითი: **ზუსტად ერთი წლის წინ, 2011 წლის 30 ივლისს, აშშ-ის სენატმა ერთსულოვნად და კატეგორიულად მოუხმო რუსეთს, გაეყვანა ჯარები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან. მიღებული რეზოლუციით აფრთხილებდნენ მას, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო ზომებს მიიღებდნენ.**

უნდა გენახათ ხბოსავით აკუნტრუშებული ქართველი ნატო-ამერიკანისტების აღტკინება და სიხარული. გავიდა ერთი წელი და როგორია შედეგი? **„საჭირო ზომები“ არ ჩანს, ქაღალდზე შერჩენილი რეზოლუცია კი ისტორიას ჩაბარდა.**

ასეთ დროს მე ამერიკელ სენატორებს ვეტყოდი: ბატონებო, თუ თქვენ გინდათ საქართველოს მართლაც დაეხმაროთ, რუსეთი სინდისის ქენჯნის წინაშე დააყენოთ, მაშინ ჯერ საკუთარი ხელისუფლება აიძულეთ, გაიყვანოს ჯარები ერაყიდან, ავღანეთიდან, სხვა ქვეყნებიდან; ლიკვიდაცია უყოს სამხედრო ბაზებს, მთელ მსოფლიოში რომაა გაფენილი; გააუქმოს ნატოს ბლოკი — მსოფლიო ჟანდარმი აშშ-ის ხელში; დაუბრუნოს კოსოვო სერბეთს; ამის შემდეგ რუსეთს ისღა დარჩება უხმაუროდ დატოვოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები.



საქართველოს მაგალითის ძალად წინ ფინეთის გამოცდილება უდევს. იგი საბჭოთა კავშირთან ორჯერ იყო ომის მდგომარეობაში — მეორეჯერ ფაშისტური გერმანიის მხარეზე და მასთან ერთად დამარცხდა, მწარე გაკვეთილი მიიღო. დამარცხების შემდეგ ფინეთის ხელისუფლებას ანტისაბჭოთა ცივი ომი კი არ წამოუწყია, არამედ გონებას მოუხმო, შეიმუშავა თავისი გეოსივრცის შესატყვისი გეოპოლიტიკური კონცეფცია და ომის დამთავრებიდან სამი წლის შემდეგ, 1948 წელს, პრეზიდენტ პაასიკივის ინიციატივითა და მონდომებით, საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება გააფორმა. ამ ხელშეკრულებამ გამორიცხა ფინეთის მონაწილეობა რომელიმე სამხედრო ბლოკში; შემდეგში იგი არც ნატოს და არც ვარშავის ხელშეკრულების წევრი გამხდარა; სამხედრო ნეიტრალიტეტს დღემდე იცავს და მოგებულიც რჩება.

**ხომ შეიძლება ფინეთის მსგავსად ჩვენც ვუთხრათ უარი სამხედრო ბლოკებს? რუსეთის ხელმძღვანელობამ არაერთხელ განაცხადა: ჩვენ გვინდა საქართველოს სახით მეზობლად გვყავდეს აყვავებული და ნეიტრალური ქვეყანა, მზად ვართ, გავხდეთ მისი ნეიტრალობის გარანტი.**

მეექვსე საუკუნეში ქრისტიანული ბიზანტია მაზდეანურ ირანს ეომებოდა. ჩვენი წინაპრები, ეგრისელები, ბიზანტიის მხარეზე იბრძოდნენ. ეგრისელთა მეფე გუბაზმა ამხილა ის ბიზანტიელი სარდლები, რომლებიც ბრძოლებში პასიურობდნენ და ბიზანტიის იმპერატორს, იუსტინიანე დიდს, შეატყობინა. სარდლებმა ეს იწყინეს და გუმბაზ მეფე მოგვიკლეს. ბუნებრივია, ამან ეგრისელთა განრისხება გამოიწვია და გადაწყვიტეს ბიზანტიისთვის ზურგი შეექციათ, ირანის მხარე დაეჭირათ; ამ აზრზე იდგა ლაზი დიდებული სახელად აიეტი. მას დაუპირისპირდა მეორე ლაზი დიდებული — ფარტაზი. იმის მოტივირებით, რომ ბიზანტია ეგრისის უშუალო მეზობელი იყო და ეგრისელთა მსგავსად ქრისტიანული ქვეყანა, ფარტაზიმ დააჯერა ეგრისელები, ისევ ბიზანტიის მხარე დაეჭირათ და ასეც მოხდა; იმპერატორმა კი მკვლელი სარდლები სასტიკად დასაჯა.

**ჩვენ როგორ მოვიქცეთ დღეს? კვლავაც გავაგრძელოთ პარტნიორობა-ქვეშევრდომობა ამერიკასთან, ცივი ომის ისტერიკა რუსეთის წინააღმდეგ, სწრაფვა საოცნებო ნატოსკენ და ამით ახალი ტერიტორიების დაკარგვა?** აკი, აცხადებს კიდეც სამცხე-ჯავახეთის სომეხი მოსახლეობის ერთ-ერთი თავკაცი აგასი არაბიანი: **როგორც კი საქართველო ნატოს წევრი გახდება, ჩვენ დავიწყებთ ბრძოლას საქართველოდან გამოსაყოფად** (იხ. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, №13, 2012).

ასეთ დროს სამშობლოს ბედ-იღბალზე მოფიქრალმა ქართველმა უნდა თქვას: ჩემმა დიდმა მწერალმა და მოაზროვნემ — კონსტანტინე გამსახურდიამ ჯერ კიდევ 60 წლის წინ გამაფრთხილა:

**„საკმარისია, თვალი გადავავლოთ აშშ-ის არც ისე ხანგრძლივი ისტორიის მთავარ ეტაპებს, რომ დავრწმუნდეთ, ამ სახელმწიფოს მესვეურთა მთელი პრაქტიკა ემსახურებოდა არა მშვიდობისა და ხალხთა სოლიდარობის მაღალ იდეალებს, არამედ — ამერიკის შეერთებული შტატები იყო მუდამ ომისა და შფოთის ინიციატორი“.** („ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი“, თხზ.: ტომი VI, გვ. 720).

უცილობელ ჭეშმარიტებას ბრძანებს კონსტანტინე ბატონი, რამეთუ ციტირებული სიტყვები ისე ჟღერს, რომ დღეს დაწერილს ჰგავს. **რუსეთ-საქართველოს ომის პროვოცირება სწორედ რომ აშშ-ის ნახელავია; ამით ის მრავალმხრივ მოგებული აღმოჩნდა, ხოლო საქართველო და რუსეთი — ორივე წაგებული; რატომ ორივე? — ამას მკითხველი, რომელსაც განსჯის უნარი აქვს, ადვილად დაასკვნის.**

მოტანილი მსჯელობის შემდეგ ჩვეულებრივი მკითხველიც კი გააზრებულად დაასკვნის: ჩემ თვალწინ იუგოსლავიაში, ერაყში, ლიბიასა თუ ავღანეთში სისხლისმნთხეველ აშშ-ნატო-ს უნდა ვეტრფოდე? არა და არა — ეს დანაშაულია! **მე მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ და, მიუხედავად ურთიერთწყენისა, ისევ მართლმადიდებლურ რუსეთთან, უშუალო მეზობელთან უნდა მქონდეს მეგობრობა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა! ჩემს თანამემამულეებსაც, ჩემს ხელისუფალთაც ამისკენ მოვუწოდებ! ეს ისტორიის, საქართველოს გეოპოლიტიკური კანონზომიერების უცილობელი განაჩენია, რომელიც უკუგდებას არ ექვემდებარება.**

ვუახლოვდებით 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს — ძირეული გარდატეხის აუცილებლობას საქართველოს უახლეს ისტორიაში. ასეთ დროს საჭიროა ჭეშმარიტად ეროვნული, ჭეშმარიტად პატრიოტული ძალების გაერთიანება ახალი მოძრაობის დროშის ქვეშ, რომლის სახელწოდება იქნება **„საქართველოს ანტინატოელთა კავშირი“.** ამ კავშირში დარაზმულთა შორის მე მოვიაზრებ: **საქართველოს ერთიან კომუნისტურ პარტიას,** რომელიც დასაბამიდან იყო და არის ნატოს შეურიგებელი მოწინააღმდეგე; **საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას; პარტია „ნეიტრალურ საქართველოს“; ახალი მემარცხენეები — სახალხო პატრიოტულ მოძრაობას, საზოგადოება „ისტორიულ მემკვიდრეობას“, ერეკლე მეორეს საზოგადოებას,** სხვებსა და სხვებს; აგრეთვე, „ქართული ოცნების“ კოალიციის იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს ნატოში გაერთიანებას გადაჭრით ეწინააღმდეგება.

**ჩვენ სრული კანონიერი და მორალური უფლება გვაქვს, ანტინატოელთა კავშირი შევქმნათ; 2008 წლის არჩევნების დროს ჩატარებული გამოკითხვის შედეგები ამის უფლებას ნამდვილად იძლევა.**

მაშინდელ საპარლამენტო არჩევნებში ყუთებთან ამომრჩეველთა მთელი რაოდენობის მხოლოდ 63 პროცენტი გამოცხადდა, მათგან ნატოს წინააღმდეგ ხმა 24 პროცენტმა მისცა. არგამოცხადებულ 47 პროცენტშიაც ხომ იქნებოდნენ ნატოს მოწინააღმდეგეები? ცხადია, კი, — დაადასტურებს მკითხველი. არჩევნების შემდეგ ცესკომ უჩვენა ნატოს მომხრეა 76 პროცენტი, ხოლო წინააღმდეგი — 24 პროცენტი. შემდეგში სააკაშვილის საინფორმაციო საშუალებები ამ ციფრებს ისე მოიხსენიებდნენ, რომ თითქოს იგი მთელი მოსახლეობის ნების გამოხატულება იყო და არა 53 პროცენტის.

სიყალბე-სიცრუეში დახელოვნებულ მ. სააკაშვილს ისედაც ყალბი 76 პროცენტი ეცოტავა და სულ მალე, სტრასბურგში სიტყვით გამოსვლისას, ორსართულიანი სიცრუე დაახეთქა: საქართველოს მთელი მოსახლეობის 80 პროცენტი ნატოში გაერთიანების მომხრეაო.

**ვინ გახლავთ მ. სააკაშვილი? იგი ვირტუოზული ხელოვნებით აღჭურვილი და შენიღბული კოსმოპოლიტი და ქართველი ხალხის ეროვნული მტერია; აბა, რა დავარქვა კაცს, რომელმაც ფაშიზმზე გამარჯვების მემორიალი დამინგრია ქ. ქუთაისში და ამით ირიბულად ჰიტლერს ძეგლი დაუდგა? ი. სტალინის ძეგლები რომ აიღო, სტალინისა, რომლის შვილობასაც მსოფლიოს ნებისმიერი ერი ინატრებდა? რაოდენ მკრეხელობაა, სანაცვლოდ რეიგანის სკამ-ძეგლი რომ დადგა თბილისში და იქვე ბუშის სახელი ქუჩას რომ მიანიჭა!** სწორედ მან, ხმარებიდან ამოიღო ცნება „დიდი სამამულო ომი“ და კვერცხივით შეათქვიფა მეორე მსოფლიო ომში. გამოდის, რომ ფაშიზმზე გამარჯვების დროშა ეგოროვთან ერთად მელიტონ ქანთარიას არ აღუმართავს რაიხსტაგის თავზე; გამოდის, რომ ჩვენ საერთოდ არ გვყოლია საბჭოთა კავშირის გმირი ქართველები. **სააკაშვილი და მისი კარის ვაიისტორიკოსები უსირცხვილოდ მიმართავენ საქართველოს უახლესი ისტორიის ყოვლად ბინძურ ფალსიფიცირებას. დიდ სამამულო ომში ღირსეულ მონაწილეობას ქართველ ხალხს სხვათა ომში მონაწილეობად უთვლიან, ხოლო ავღანეთში ჩვენი ბიჭები სისხლს უაზროდ რომ ღვრიან, ეს თურმე პატრიოტობა და სამშობლოს დაცვაა; სინამდვილეში ცინიზმი და მკრეხელობაა — არა?**

მ. სააკაშვილს აშკარად წყინს ხალხი ახალი დროის საქართველოს აღმაშენებელს რომ არ უწოდებს. ამიტომ ადგა და თვითონ უწოდა თავის თავს დიდი აღმაშენებელი. წელს, 12 მარტს, კახეთში გამოსვლისას, თვითლუსტრაციის კლასიკური ნიმუში გვიჩვენა, როცა განაცხადა: **„მე ჩემს დეკლარაციაში ჩავწერ, რომ ავაშენე კახეთი, ავაშენე თბილისი, დიახ ავაშენე ახალი ბათუმი, ახალი ქუთაისი, მე ავაშენე ახალი მესტია“.** ამას სააკაშვილი ხმის ჩახლეჩამდე ბაქი-ბუქობდა, ჰიტლერულ ილეთებსაც კარგად იყენებდა; აკლდა მხოლოდ მისეული წკიპა ულვაში და შუბლზე ჩამოშლილი ქოჩრის ნაწილი.

**დავით მეფეს არასოდეს უტრაბახია, მთლიანად გაპარტახებული ქვეყანა რომ აღაშენა, აღმაშენებლად იგი ხალხმა და მემატიანე-ისტორიკოსებმა განადიდეს. არც ი. სტალინს უთქვამს: მე ვარ ბელადი, გენიოსი, სოციალიზმის არქიტექტორი; ყველაფერი დამსახურების მიხედვით ხალხებმა უწოდეს.**

**ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად სააკაშვილი და მისი გარემოცვა ხელისუფლებას უნდა ჩამოვაშოროთ. ამას საქართველოს მომავალი მოითხოვს.** საარჩევნო კომპანიის მსვლელობისას ანტინატოელთა კავშირის აქტივისტებმა უნდა მოუწოდონ, რომ არ მისცენ ხმა ნატოს მოტრფიალე მაჟორიტარ კანდიდატებს, „ნაციონალებს“, „ქრისტიან-დემოკრატებს“, „ახალ მემარჯვენეებს“ — ყველა იმათ, რომლებსაც მზე და მთვარე ნატოზე ამოსდით. დღეს ჩვენი მთავარი მოწოდება-ლოზუნგი უნდა იყოს:

**ყველას ხმა — ქართველ ნატოელთა წინააღმდეგ!**
**საქართველოს ორიენტაცია — რუსეთისკენ!**

ვიცი, პატივცემულო მკითხველო, რომ ვიწევ ცეცხლს ჩემკენ, „ნაციონალების“ რისხვას; შეიძლება ქუთაისში მკლავებდაჭიმული და მუშტებმოღერებული აკაკი ბობოხიძეც ვიხილო, მაგრამ არ ვშიშობ, რამეთუ ის უცილობელი ახლო მომავალი მამხნევებს, რომელიც მე, 82 წლის კაცს, მათქმევინებს: ისტორიამ მე გამამართლა.

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,**
**პოლიტოლოგი ქუთაისიდან**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველები იყვნენ ის ერთადერთი არასლავი ერი, ვინც რუსეთის მხარდამხარ იბრძოდა ამ ომში, რომელშიც 12 ქართველი გენერალი (ზოგიერთი წყაროებით, 13) და 50-მდე სხვადასხვა რანგის ოფიცერი მონაწილეობდა.**



# კონფერენცია «1812 წლის სამამულო ომი და ქართველები»

**2012 წლის 12 სექტემბერს თბილისში, სასტუმრო BETSY'S HOTEL-ის საკონფერენციო დარბაზში, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ ჩაატარა კონფერენცია „1812 წლის სამამულო ომი და ქართველები“, რომელშიც მონაწილეობდნენ სამამულო ომის ვეტერანები და საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები – საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები, პუბლიცისტები, ჟურნალისტები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. კონფერენცია მიეძღვნა 1812 წლის სამამულო ომის 200 წლის იუბილესა და ამ ომში საქართველოს სახელოვანი შვილების მონაწილეობას.**



**კონფერენციაზე ყველა გამომსვლელის მოხსენებაში ძალზე მკაფიოდ იქნა წარმოჩენილი ის ისტორიული რეალობა, რომელიც 1812 წლის რუსეთ-საფრანგეთის ომის დროს მსოფლიოში არსებობდა და რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ამ ომში ერთმორწმუნე რუსეთის გამარჯვება არა მხოლოდ რუსეთისთვის, არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონისა და, რაღა თქმა უნდა, საქართველოსთვისაც.**

„დღევანდელი კონფერენცია გაიმართა ორი მიზეზის გამო – პირველი, რომ სოლიდარობა გამოგვეცხადებინა რუსი ხალხისათვის, რომელიც 1812 წლის სამამულო ომის 200 წლისთავს ზეიმობს, და აღგვენიშნა იმ ქართველი გენერლების, მეომრების, ოფიცრების როლი, რომელნიც ამ ომში რუსების მხარდამხარ იბრძოდნენ და გადამწყვეტი არა, მაგრამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ ომში. სწორედ ამ ომში მონაწილე ქართველებსა და მთლიანად ამ ომის თემატიკას ეძღვნება ჟურნალ „იტორიული მემკვიდრეობის“ ბოლო, სპეციალური ნომერი. **ქართველები იყვნენ ის ერთადერთი არასლავი ერი, ვინც რუსეთის მხარდამხარ იბრძოდა ამ ომში, რომელშიც 12 ქართველი გენერალი (ზოგიერთი წყაროებით, 13) და 50-მდე სხვადასხვა რანგის ოფიცერი მონაწილეობდა. ვერ ვიტყვით, რომ მათ გადამწყვეტი, თუმცა არცთუ მცირე როლი შეასრულეს ამ ომში. ეს გამარჯვებაც, ისევე, როგორც დიდ სამამულო ომში, ქართველი ხალხის სისხლითაცაა მოპოვებული და ამიტომაც ჩვენც ვუერთდებით რუსი ხალხის ამ ზეიმს...** თუმცა, ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილისთვის მხოლოდ პეტრე ბაგრატიონის სახელი და ღვაწლია ცნობილი, არა მხოლოდ მისი უდიდესი დამსახურების გამო ამ ომის გამარჯვებაში, არამედ, ალბათ, იმიტომაც, რომ ის სამეფო გვარის წარმომადგენელი იყო და მისი სიცოცხლე ამ ომს შეეწირა“, – **ბრძანა კონფერენციის დასაწყისში „ისტორიული მემკვიდრეობის“ დამფუძნებელმა ტარიელ გაგნიძემ.**

სამამულო ომის ვეტერანებმა – **შოთა ბუაძემ, დავით იაკობაშვილმა** და **ვახტანგ ჯაფარიძემ** – დიდი წუხილი გამოთქვეს რუსეთსა და საქართველოს – ამ ორ მოძმე ერს, შორის დღეს არსებული დაძაბული ურთიერთობის გამო, გაიხსენეს ამ ორი ერის ერთობლივი ბრძოლა გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ და სახელმწიფოს აბსოლუტურად უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სამამულო ომის ვეტერანების მიმართ. ასევე, აღნიშნეს, რომ მიმდინარეობს მიზანმიმართული დამახინჯება ამ ორი ერის ისტორიისა, რაც ძალზე უარყოფითად აისახება მომავალ თაობებზე. **„რომ არა რუსეთის გამარჯვება 1812 წლის ომში, დღეს აღგვილი ვიქნებოდით პირისაგან მიწისა იმ „კეთილი მეზობლის“ მიერ, რომელსაც თურქეთი ჰქვია. ვინც ელემენტარული ისტორია იცის, მან კარგად უწყის, ვინ იყო საქართველოს ისტორიული მტერი... ისტორიული ფაქტების სწორად გაშუქებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მომავალი თაობებისთვის და, საერთოდ, ქართული სახელმწიფოებრიობისათვის...“**

**ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორმა, პოლიტოლოგმა გულბაათ რცხილაძემ** განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიულ მემკვიდრეობას“, რომელმაც ამ დაძაბულ წინაასაარჩევნო პერიოდში მაინც გამონახა დრო ამ ღონისძიების ჩასატარებლად. „ეს ღირსშესანიშნავი თარიღი, რომელიც რუსეთისთვის ზეიმია, არც საქართველოში უნდა იყოს დავიწყებული, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ომში ქართველები მონაწილეობდნენ – იგი ვიწრო ნაციონალურ ჭრილში არ უნდა განვიხილოთ. ჩვენმა მონაწილეებმა სწორად დასვეს საკითხი – **1812 წლის ომი ქართველი ხალხისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ამ ომის წაგების შემთხვევაში ავტომატურად იცვლებოდა სიტუაცია კავკასიაშიც და ოსმალეთი და სპარსეთი ნამდვილად არ ისხდებოდნენ გულხელდაკრეფილნი; ისევ დაიბრუნებდნენ დაკარგულ პოზიციებს კავკასიაში, რაც ქართველებისთვის ძალიან მძიმე შედეგის მომტანი იქნებოდა, თუნდაც, იმიტომ, რომ ქართველები მათ თვალში უკვე მოღალატეები იყვნენ – ისინი გადავიდნენ რუსეთის მხარეზე და ეს მათი მხრიდან დაუსჯელი არ დარჩებოდა.** რაც შეეხება თავად ამ ომს, 1812 წლის ომის დაწყებამდე ევროპაში ომებს რეგლამენტირებული ხასიათი ჰქონდა. ხალხის ფართო მასები არ ებმებოდნენ იმ ომში, რომელთაც ერთმანეთთან აწარმოებდნენ სხვადასხვა ხელმწიფეები, იმპერატორები თუ წვრილ-წვრილი თავადები. მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსათვის კი დამკვიდრდა ომის ისეთი სტილი, როცა არმიები ეტაკებოდნენ ერთმანეთს სადღაც პატარა სოფლებში, რომლებიც ისტორიაში დიდი ბრძოლების სახელწოდებით შევიდა. იგივე ბოროდინო – ეს პატარა სოფელია სმოლენსკთან.

ასეთი სტილი იყო – არმიები ეჯახებოდნენ ერთმანეთს, მოსახლეობა განზე იდგა, მაგრამ სწორედ ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ იცვალა ომმა თავისი ხასიათი და გახდა – სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით – სამამულო ომი. თუნდაც პარტიზანების ბრძოლა ნაპოლეონის ზურგში ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი იყო, რომელმაც ძალზე დაასუსტა ნაპოლეონის უზარმაზარი არმია და მისი დამარცხებაც გარდაუვალი გახდა. ამ ომის პერიოდში ტოტალური ომის ნიშნები გაჩნდა. ძველი რომანტიკული ომების ხანა, როდესაც მარტო სამხედროები არკვევდნენ ურთიერთობას, დამთავრდა.

მაგრამ იბადება კითხვა, რატომ მოხდა ეს მაინცადამაინც რუსეთში, როცა ერთმანეთს ნაპოლეონის საფრანგეთი და ალექსანდრე პირველის რუსეთი შეეტაკნენ? ჩემი აზრით, განსხვავებით იმისგან, როცა ნაპოლეონი შეიჭრებოდა ავსტრიაში და არკვევდა ურთიერთობებს – ეს ავსტრიის იმპერატორი იქნებოდა თუ პრუსიის, რუსეთი იყო სხვა სამყაროს, სხვა ცივილიზაციის წარმომადგენელი – ესაა მართლმადიდებლური სამყარო, ევრაზიული სივრცე. **ნაპოლეონი, მაშინდელი საფრანგეთი და ის სულისკვეთება რაც მაშინ ევროპაში არსებობდა, იყო უცხო სხეული და საფრანგეთის მცდელობა – გაბატონებულიყო მაშინდელ რუსეთზე, დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება შევაფასოთ როგორც გლობალიზაციის პროცესი, მცდელობა ძალადობრივი გლობალიზაციისა – შექმნილიყო უნივერსალური იმპერია გარკვეული მასონური იდეოლოგიით და ამას დამორჩილებოდა ყველა, ვინც ევროპაში მოიაზრებოდა. ალექსანდრე პირველი, ისევე, როგორც მანამდე პავლე და ეკატერინე მეორე, იყო გატაცებული ამ განმანათლებელთა იდეებით.**

**საქართველოსთან მიმართებაში ამ ომში რუსების გამარჯვებისას მხოლოდ ირან-ოსმალეთის ასპექტი არაა გასათვალისწინებელი. ნაპოლეონსაც რომ დაეპყრო კავკასია და არა ირან-ოსმალეთს და მათთვის არ „ეჩუქებინა“ საქართველო, არც ეს იქნებოდა ჩვენთვის დადებითი.** გავაკეთებ პარალელს დიდ სამამულო ომთან, სადაც გერმანიის მხარეზე იბრძოდნენ ქართველები; მაგალითად, ვერმახტის გენერალი შალვა მაღლაკელიძე, რომელსაც გულწრფელად სჯეროდა, რომ ჰიტლერი საქართველოს ბოლშევიკებისგან გაათავისუფლებდა. მას ამის გულწრფელად სწამდა და გარკვეულ დაფასებასაც იმსახურებს. თუმცა, ის ხალხი რომ ცდებოდა, საბოლოო ჯამში ისტორიამ დაამტკიცა...

აქ აღინიშნა, რომ უმადურობა საშინელი გრძნობაა და ქართველებს არ გვახასიათებს. განსაკუთრებით ამ ბოლო 20 წლის განმავლობაში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ, თუ აფხაზებსა და ოსებთან დღეს დაძაბული ურთიერთობა გვაქვს, ეს თურმე რუსეთის წაქეზებაა, რაც აბსოლუტურ სისულელედ მიმაჩნია. **რომელ აფხაზებსა და ოსებზეა ლაპარაკი, როცა ერთმანეთს დავერიეთ უკვე 90-იანი წლებიდან და რუსი გენერალი ბალტინი სამეგრელოში რომ შევიდა, ხალხი ტაშით შეხვდა ზუგდიდში! ეს ფაქტია, მაგრამ დღეს ზოგიერთი ხელმოცარული პოლიტიკოსი და, არა მხოლოდ ისინი, და, იმედია, დღევანდელი ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელნიც მალე ხელმოცარულნი გახდებიან, გამუდმებით იმას გაიძახიან მხოლოდ, რომ ეს იყო აგრესია, დაპყრობა და ანექსია.** ჩვენს თავს თვითონ უნდა მივუდგეთ კრიტიკულად და შემდეგ, თუნდაც, რუსებისადმი უფრო იოლი გახდება რაიმე კრიტიკულის თქმა. იმაში, რაშიც რუსული პოლიტიკა ცდება და შეცდომა მოსდის საქართველოსთან მიმართებაში, ის რუსიც უფრო ყურს დაგვიგდებს და გაითვალისწინებს ჩვენს შენიშვნებსა და სურვილებს...

**ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის მაჟორიტარული დეპუტატობის კანდიდატმა პარტია „თავისუფალი საქართველოდან“, საქართველოს ექს-ომბუდსმენმა, ცესკოს ექს-თავმჯდომარემ, ორი მოწვევის ექს-პარლამენტარმა, თბილისის საკრებულოს ექს-მდივანმა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ დავით V შვილიშვილმა ნანა დევდარიანმა** აღნიშნა, რომ „მაშინ, როცა საქართველოს ისტორიულად უამრავი დამპყრობი და გამანადგურებელი ჰყავდა, ძალიან სამარცხვინოა „ოკუპაციის მუზეუმის“ გახსნა და რუსეთის, როგორც ნომერ პირველი მტრის, წარმოჩენა. ასევე, **ამაზრზენია დღევანდელი ხელისუფლების მცდელობა ისტორიის გადაწერისა და ისტორიული მტრების მოკეთეებად წარმოჩენისა. მაშინ, როცა თურმე სუვოროვის არმიაში ზეპირად სწავლობდნენ ფრანგულ სიტყვებს: „დაყარეთ იარაღი!“, „დაგვნებდით!“, იმდროინდელ ქართულ-სპარსულ სასაუბროებში განსაკუთრებული ხაზგასმით ისწავლებოდა სიტყვები: „არ მცემო“, „არ მომკლა...“**

როგორც უნდა ეცადო ისტორიის შეცვლა და გადაწერა, დრო და საზოგადოება მაინც ყველაფერს თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს... ერთ სუფრაზე ქართველ მწერალს, აკა მორჩილაძეს, სთხოვეს, შეეფასებინა ერეკლე მეორეს ნაბიჯი. მან კი უპასუხა: „როცა მეფე ერეკლე გარდაიცვალა, მიცვალებულის განბანვის დროს საქართველოსთვის ბრძოლაში მიყენებული 80 იარა დაუთვალეს ტანზე, მე კი ჩემი ქვეყნისთვის თითიც არ გამიკაწრავს და მე როგორ შევაფასო ერეკლე მეფის გადაწყვეტილება?!.“

**განსაკუთრებით ემოციური და შთამბეჭდავი იყო ჟურნალისტისა და პუბლიცისტის, დავით მხეიძის, გამოსვლა: იმდროინდელმა ქართველებმა სისხლი ავანსად გავიღეთ ერთმორწმუნე რუსეთისათვის, რომელმაც საქართველოში შემოსვლის შემდეგ „ვალი დაგვიბრუნა“ – ლამის მთელი საუკუნის განმავლობაში, ირან-ოსმალეთთან სამ-სამი ომი**

# ჩვენი თაობა მეტ-ნაკლებად კიდევ ახერხებს, ჩასწვდეს რეალობას, მაგრამ მომავალ თაობას, რომელსაც რუსეთისგან მტრის ხატს უხატავენ, გაუჭირდება სიმართლის გაგება...

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გადაიხადა და ყველაში გაიმარჯვა, რის შედეგადაც საქართველოს ის ტერიტორიები დაუბრუნდა, რაზედაც ქართველ კაცს მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო...**

1812 წლის ომამდე პატარა საქართველო იყო – მთავარი თუ არა, ერთ-ერთი საჯილდაო ქვა რუსეთ-საფრანგეთ-ინგლის-ოსმალეთ-ირანს შორის, ანუ მაშინდელ მთავარ პოლიტიკურ მოთამაშეთა შორის. მას შემდეგ, რაც 1806 წლის 18 დეკემბერს ოსმალეთის სულთანმა რუსეთს ომი გამოუცხადა, სულ მოკლე ხანში, **1807 წლის 4 მაისს, ფინკენშტეინის საიდუმლო ხელშეკრულება გაფორმდა ნაპოლეონსა და სპარსეთს შორის, რომლის ჩვენთვის საინტერესო ერთ-ერთი მუხლით ბონაპარტი აღიარებდა შაჰის უფლებას საქართველოზე და ივალებდა რუსეთის იძულებას, საქართველოდან გასულიყო!..**

შემდეგ ნაპოლეონსა და რუსეთის იმპერატორ ალექსანდრეს შორის მოულოდნელად დადებულმა ტილზიტის ზავმა არა მხოლოდ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთშიც არია სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა... **შემდეგ ნაპოლეონი ინგლისმა ჩაანაცვლა და ახლა ბრიტანეთი ვაჭრობდა საქართველოთი ჩვენს ამომგდებ ირან-ოსმალეთთან!..** თუმცა, ნაპოლეონმაც, ჰიტლერის მსგავსად, რომელმაც დაარღვია მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი, ტილზიტის ზავი არად ჩააგდო და ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა რუსეთს... თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამის პარალელურად, კახეთში 1812 წელს ცნობილი აჯანყება მოხდა; აჯანყება, რომელიც წინასწარვე მარცხისთვის იყო განწირული და ამიტომ ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ მამისეულ სამეფო ტახტზე ასვლის ბოლო სერიოზულ მცდელობას შეიძლება ავანტიურაც ვუწოდოთ. რუსებმა ალკვეთეს ეს ავანტიურა, რაც უაზრო ცრემლად და სისხლად დაუჯდა ქართველ გლეხობას... ბონაპარტი ისე დაამარცხა, საქართველოდან თავისი ერთი ჯარისკაციც არ გაუყვანია!

**ხომ წარმოგიდგენიათ, დაცვის გარეშე დარჩენილ საქართველოში როგორ იხუვლებდა ჩვენი საბოლოოდ ჩაყლაპვის მიზნით ჩვენი ისტორიული „მეგობარი“ ირან-ოსმალეთი და თუ დღეს ისლამის ოკეანეში გათქვეფილები ფიზიკურად მაინც ვიარსებებდით, ვინძლო „მამაო ჩვენოს“ ნაცვლად „შახსეი-ვახსეი“ და „ალაჰ-აკბარ“ გვეყვირა!“**

დავით მხეიძემ თავისი გამოსვლა დაამთავრა ამონარიდით წმიდა ილია მართლის (ილია ჭავჭავაძის) პუბლიცისტური წერილიდან „ასის წლის შემდეგ“, რომელიც 1899 წელს დაწერა – მას შემდეგ, რაც კარგად აწონ-დაწონა რუსულ-ქართული ურთიერთობების ტკბილ-მწარე ისტორია: „ამ ღირსსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დალალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან. დასცხრა ომებისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა, ჩვენზე და ჩვენ ცოლ-შვილებზე; გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისთვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მის თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასგან შორს, მარტოდ მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ვერავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს, 1799 წელს, კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდი რუსეთის მფლობელობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმულნი...”

**ემოციური იყო მწერლისა და პუბლიცისტის – გივი სომხიშვილის,** გამოსვლაც: „საქართველოს ისტორიას არაერთი მძიმე ფურცელი ახსოვს... მე დღეს კაბინეტებში გაზულუქებული ახალგაზრდებისაგან ძალიან ხშირად მომისმენია ერეკლე მეორეს კრიტიკა და მის სუსტ პოლიტიკოსად მოხსენიება – რატომ დადო რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატიო, თუმცა ერეკლეზე კარგი პოლიტიკოსი და ძლიერი მეომარი იშვიათად ჰყოლია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა რომელიმე ერს. **როცა საქართველო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა – აღმოსავლეთ საქართველოში ბატონობდნენ სპარსელები, დასავლეთში კი – ოსმალები, საქართველოს მოსახლეობა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ 680 ათასი კაცი იყო მხოლოდ. მძვინვარებდა ყმათა ყიდვა-გაყიდვა. სწორედ ამ პერიოდში დაიდო რუსეთთან მეგობრობის ტრაქტატი, რომელმაც ქართველი, როგორც ერი, გადაარჩინა, მოხდა დაკარგული მიწების – დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს, შავშეთის, აჭარის, შავიზღვისპირეთის, კლარჯეთის, კოლას, არტაანის, ოლთისის – შემოერთება, რომელიც მერე დავკარგეთ; დაიწყო რუს-ქართველთა ერთობლივი ბრძოლები...** სპარსეთისა და ოსმალეთის კვლავ საქართველოსკენ უჭირავთ თვალი და ამ დროს ევროპაში ძლიერდება საფრანგეთი, რომელიც უკვე გამოსული ბურჟუაზიული რევოლუციის ეიფორიიდან და იქცა დამპყრობლად, ქვეყანას კი ამბიციური ნაპოლეონი მართავს, რომელმაც ვერ გათვალა რუსეთის სიძლიერე და დამარცხდა კიდეც.

**დღეს მსოფლიოს მდგომარეობა სულ სხვაგვარი იქნებოდა, ამ ომში რუსეთს რომ არ გაემარჯვებინა – ჩვენ კი, საერთოდ, ან ვიქნებოდით, ან – არა! ქართველი კაცის ხსენებას გააქრობდა ცალკე სპარსეთი და ცალკე ოსმალეთი და ამიტომაც ხმამაღლა ვიტყვი, რომ 1812 წლის რუსეთ-საფრანგეთის ომი საქართველოსთვისაც სამამულოდ შეიძლება მივიჩნიოთ. ამის გამო მადლიერება უნდა გამოვხატოთ ჩვენი მოძმე ერის მიმართ.**

და დღეს, ვინც ლანძღავს რუსეთს, ეს არის ერთი მუჭა ხროვა ადამიანებისა, რომელთაც ისტორია არ იციან და ყველაფერს ისე ხედავენ, როგორც მათ აძლევთ ხელს. ისტორიაში უარყოფითი მხარეები თითქმის ყველა მოვლენას ახლავს – **ამ უახლოესი ისტორიის მანძილზე ჩვენმა მთავრობამ ხუთგზის დაარბია სამეგრელო – საკუთარი ხალხი! ამ ფონზე „ოკუპაციის მუზეუმის“ გახსნა საქართველოში უკიდურესი უმადურობის გამოხატულებაა.** ყოფილა დარღვევები, დანაშაულებები, შეცდომები, მაგრამ განა რამ უნდა გადასწონოს ის სიკეთე, რაც რუსეთმა ქართველ ერს გაუკეთა... და ის, რაც ხდება დღეს ჩვენს თავს – განადგურებული სოფლის მეურნეობა, დანგრეული ეკონომიკა, შიმშილი, უქმობა – ისევ ჩვენივე ბრალია, ჩვენვე ვეძებდით საკუთარ თავს ჭირად!“

**გაზეთ „ილორის“ მთავარმა რედაქტორმა, პუბლიცისტმა როლანდ ჭალაღანიამ** განსაკუთრებული გულისტკივილი გამოთქვა: „დღეს საქართველოში ახალგაზრდა თაობამ რუსული ენა არ იცის და თავის რუს თანატოლებსაც კი ინგლისურ ენაზე ესაუბრება. სამწუხაროდ, ჩვენი რუსი მეგობრებიც ურიგდებიან იმას, რომ ჩვენს შვილებს შორის ურთიერთობის ენა არა რუსული ან ქართული, არამედ ინგლისურია. აღარც რუსული ლიტერატურის მიმართაა ინტერესი – **როგორ შეიძლება მიიჩნეოდე ინტელექტუალურ ადამიანად და არ გქონდეს წაკითხული რუსი კლასიკოსები – დოსტოევსკი, ტოლსტოი, გოგოლი და სხვა... დღეს ყველას, ვინც რუსეთს არ ვლანძღავთ, რუსეთის აგენტებად გვრაცხავენ – მაშინ ღიად ვაცხადებ, რომ ვარ რუსეთის აგენტი!**

დიდი ხნის განმავლობაში რუსეთში ვცხოვრობდი, უმაღლესი სასწავლებელიც იქ დავამთავრე... რაც შეეხება 1812 წლის ომს, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო რუსი და ქართველი საზოგადოება სინთეზირებული, მაგრამ ქართული სამხედრო ფენომენი უკვე დიდ როლს თამაშობდა რუსეთის ისტორიაში, განსაკუთრებით, პეტრე პირველის დროიდან, როცა ალექსანდრე ბატონიშვილი ტყვედ ჩაიგდეს შვედებმა და დიდძალი გამოსასყიდი ოქრო შემოთვალეს, რასაც საქართველო ფიზიკურად ვერ გასწვდებოდა. პეტრე პირველმა მართლაც დაიწყო ოქროს შეგროვება და გააგზავნა კიდეც, თუმცა ალექსანდრე ბატონიშვილი უკვე გარდაცვლილი იყო...

ისე კი, ჩვენი ხელისუფლება რომ ყოფილიყო, მიცვალებულში ცალკე ფულს გამართმევდა... ამდენად, ამ ომში ქართული მხედრობის სიქარბე სულაც არაა გასაკვირი, რადგანაც ქართველ სამხედროებს უკვე ჰქონდათ დიდი ავტორიტეტი. **ჩვენი თაობა მეტ-ნაკლებად კიდევ ახერხებს, ჩასწვდეს რეალობას, მაგრამ მომავალ თაობას, რომელსაც რუსეთისგან მტრის ხატს უხატავენ, გაუჭირდება სიმართლის გაგება...** ამიტომ მეტი შეხვედრები უნდა იყოს და მეტად უნდა დაეთმოს ტრიბუნა მსგავს მოვლენებს“.

**კონფერენციაზე გამომსვლელმა ისტორიკოსმა და ჟურნალისტმა გიორგი კორძაძემ** ბრძანა: „საერთოდ, ქართველი გენერლების და, განსაკუთრებით, პეტრე ბაგრატიონის როლი ამ ომში დიდია. ფაქტობრივად, მან შესთავაზა ნაპოლეონს ის ომი, რომლისთვისაც იგი მზად არ იყო – სადაც სამხედრო ნაწილებთან ერთად ფართოდ მონაწილეობდნენ პარტიზანები, რომელთაც, ფაქტობრივად, მოშალეს საფრანგეთის ჯარის საერთო მართვა. ბოროდინოზე კი მისი ღვაწლი უდიდესია – ტრიალ მინდორზე შექმნა მარცხენა ფლანგი, რომელსაც დაარქვეს „ბაგრატიონის ფლეშები“, სინამდვილეში იქ არავითარი დიდი გამაგრებები არ ყოფილა, თუმცა 12 საათისთვის ამ „ფლეშებზე“ ნაპოლეონის ჯარის მესამედი დაწვა.

ომის მთავარი მოვლენები სწორედ მარცხენა ფლანგზე იყო განვითარებული. ბაგრატიონის შემდეგ, სამხედრო წოდებით თუ ვიმსჯელებთ, იყო თავადი ლევან მიხეილის ძე იაშვილი, რომელიც ომის დაწყების დროს გენერალ-მაიორი გახლდათ, მაგრამ ომის მსვლელობისას გახდა გენერალ-ლეიტენანტი, ხოლო 1815 წელს – არტილერიის გენერალი, სრული გენერალი – ეს კი ნიშნავდა იმას, რომ ერთი ნაბიჯილა აშორებდა ფელდ-მარშლის წოდებას.

ლიხტენშტეინის წინააღმდეგ სოფელ კლიასტიცასთან (ბელარუსი) ფრანგ მარშალ უდინოს 45 ათასიანი ლეგიონი იბრძოდა, რომელსაც „ჯოჯოხეთის ლეგიონს“ ეძახდნენ. ნაპოლეონი ვარაუდობდა, რომ ლიხტენშტეინი უკან დაიხევდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. გაიმართა 3-დღიანი ბრძოლა, რამაც ძალიან დიდი სახელი მოუხვეჭა გენერალ იაშვილს. ამ ბრძოლის შედეგად რუსებმა 3000 ტყვე ჩაიგდეს ხელთ, მათ შორის – 25 ოფიცერი. როგორც თავად ლიხტენშტეინი აღნიშნავდა, მას ამ ბრძოლაში ყველაზე მეტად უწყობდა ხელს გენერალი იაშვილი, რომელიც სასტიკ ზიანს აყენებდა მოწინააღმდეგეს. გენერალი იაშვილი საოცრად ამხნევებდა თავის მებრძოლებს. სწორედ კლიასნიცასთან 3-დღიანი ბრძოლის შემდეგ მიენიჭა იაშვილს არტილერიის გენერალ-ლეიტენანტის წოდება. იგი დაჯილდოვდა წმიდა ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენითაც. გარდაიცვალა 1836 წელს, დაკრძალულია კიევში, ლიუდობიცკის მონასტერში“.

**კონფერენციის მონაწილემ – საქართველოს ფინანსთა ექს-მინისტრმა დავით იაკობიძემ** – აღნიშნა, რომ 1812 წლისთვის რუსეთში ძალიან მძლავრი ქართული დიასპორა იყო, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამ ორი ერის ურთიერთობაში. სამწუხაროა, რომ დღეს არ არის იმ სიძლიერის დიასპორა, რომელიც ისეთსავე მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ქართველ და რუს ხალხებს შორის ურთიერთობის აღდგენის საქმეში.

**ჟურნალისტმა დარეჯან ანდრიაძემ** თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა 1812 წლის ომის ასახვაზე ქართულ ლიტერატურაში. „1812 წლის ომმა არა ერთხელ პოვა გამოხმაურება ქართულ ლიტერატურაშიც –1814 წელს პეტერბურგში გამოიცა ბაგრატ ბატონიშვილის „ახალი მოთხრობა“, 1912 წელს – თბილისში ზ. ჭიჭინაძის „რუსეთის მამულიშვილების ომი – 1812 წელი“. 1943 წელს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სიმონ ჯანაშიას რედაქტორობით გამოსცა პირველი ქართველი ისტორიკოსი ქალის – თამარ ლომოურის – „პეტრე ბაგრატიონი“. ამ ნაწარმოებებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართველი და რუსი ხალხების ერთობლივი ბრძოლების ისტორიას. ამ თემისთვის გვერდი არ აუვლია საბავშვო მწერლობასაც – 1961 წელს სერიით – „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“ – გამომცემლობა ნაკადულმა გამოსცა ნოდარ ნაკაშიძის „ბოროდინოს გმირი“. ავტორი ამბობს, რომ ამ ომს მასშტაბისა და მოწინააღმდეგის შეუპოვრობის თვალსაზრისით წინამორბედი არ ჰყოლია. თუმცა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ პეტრე ბაგრატიონის საფლავთან ყოველდღე მინდვრის ყვავილების თაიგულით თავდახრილი ბოროდინოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლის მადლიერი სიტყვები, რომლითაც ის იქვე მყოფ ქართველს მიმართავდა: „ის მარტო თქვენი კი არ არის... ჩვენიცაა!..“

**დასასრულ, კონფერენციის ორგანიზატორებმა მონაწილეებსა და სტუმრებს საჩუქრად გადასცეს გამოჩენილი ქართველი და რუსი რეჟისორების ფილმების ვიდეოდისკები: ს. ბონდარჩუკის „ომი და მშვიდობა“ და გ. ჭოხონელიძის „ბაგრატიონი“.**

**საქინფორმი**



ტარიელ გაგნიძე და ნანა დევდარიანი



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თანამედროვე სახელმწიფო საკუთარი სოფლის მეურნეობის განვითარებას მხოლოდ თავისუფალი ბაზრის ამარა არ ტოვებს. იგი აყალიბებს მკაფიო დარგობრივ პრიორიტეტებს და შემდეგ საზოგადოებრივი და კერძო სექტორის პარტნიორობის ფონზე ახორციელებს მის აღსრულებას. ამ სფეროს პრიორიტეტულობას განსაზღვრავს ორი ფაქტორი. პირველი: სოფლის, როგორც ყოფის, შენარჩუნება და მეორე: სასურსათო უშიშროების უზრუნველმყოფელი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება.**

# უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვა უნდა აღიკვეთოს

**საქართველოს აგრარულ სექტორში შექმნილი უმწვავესი კრიზისის დაძლევის აუცილებლობა მოითხოვს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებას, რისთვისაც შესამუშავებელია ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარების რეალური კონცეფცია. ასევე გასააქტიურებელია და უსწრაფესად დასამთავრებელია ევროკავშირთან მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობისა და მიმოსვლის თაობაზე. ეს ავტომატური რეჟიმით გადაწყვეტს რამდენიმე პრობლემას: მიგრაციის; ეკონომიკის სტიმულირების; დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირებისა და გაძლიერების; არსებული დემოგრაფიული ვითარების, მინიმუმ, შენარჩუნებას; ეკონომიკის განვითარებას მინიმალური სოციალური თვითუზრუნველყოფის ჭრილით, ისე, რომ არ იქნეს განიავებული საქართველოს სტრატეგიული რესურსები — მიწა, ტყე, წყალი, სატრანზიტო ფუნქცია.**



საქართველოს აქვს შესაბამისი ბიოგეოკლიმატური პირობები, აგრარული პოტენციალი და სხვა კომპონენტები (მ.შ. გეოპოლიტიკური), რომლებიც აუცილებელია მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფისთვის (საქართველოს 10—12 მლნ ადამიანის გამოკვების ბიორესურსი გააჩნია).

საქართველოს აგრარული პოტენციალის ამოქმედება უნდა გახდეს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი მიზანი, რისთვისაც **აგრომეურნეებმა (გლეხებმა) წარმოებული პროდუქციისთვის უნდა მიიღონ ისეთი ფასი (შემოსავალი), რომელიც უზრუნველყოფს მათი ოჯახების შენახვას ცხოვრების მისაღები დონით და პროდუქციის გაფართოებული აღწარმოებისთვის საჭირო რესურსებით.** ამისთვის **გლეხებს უნდა მოეხსნათ ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, მელიორაციისა და აგროტექზოოვეტმომსახურების, ბაზარზე ფასების ტენდენციების განსაზღვრის, კრედიტის ხელმისაწვდომობის, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის, გადასახადებისა და დაზღვევის საკითხებთან.**

**გლეხკაცი** ძალიან ხშირად, უბრალოდ, აგროპროდუქციის მწარმოებლად მიაჩნიათ. მისი როლი სცილდება ამ ჩარჩოებს. სინამდვილეში ის აუცილებელია სოფლისთვის, უფრო მეტად, **გლეხკაცი სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქნელია.** ამიტომაც, **სასოფლო სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი იდეაა გლეხკაცის მოფრთხილება და საზოგადოების გამოსაკვებად მისი შრომის სტიმულირება (მიწასთან მარადიული ურთიერთობა), ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფა, სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება.**

სოფლის მეურნეობისადმი დიდი ყურადღება ორი ძირითადი მოსაზრებითაა განპირობებული:

• **სურსათით თვითუზრუნველყოფა უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიაა.** მსოფლიო მოსახლეობაში საშუალო ფენის მკვეთრი ზრდა იწვევს საკვებზე მოთხოვნასა და, შესაბამისად, მასზე ფასების განუხრელი ზრდის ტენდენციას. ამიტომ სასურსათო უშიშროება სახელმწიფოს სტრატეგიულ გათვლაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს დაიკავებს;

• **სასოფლო-სამეურნეო წარმოება ეროვნული იდენტურობისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტია.** კულტურულად, სოფელი და ღონიერი გლეხკაცი ერის თვითმყოფადობის (ვინაობისა და რაობის) შენარჩუნების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობასთან მჭიდროდ დაკავშირებული სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის (სოფლის სტატუსი, სოფლად რეალური თვითმმართველობის დამკვიდრება, არჩეული მამასახლისი, ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა) განვითარების საჭიროება. ამიტომ **ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ერთად დასავლეთში მოქმედებს სოფლის განვითარების პოლიტიკა. მისი მიზანია სოფლის მოსახლეობის სოციალური სტატუსის გათანაბრება ქალაქის მოსახლეობასთან, რასაც სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.**

თანამედროვე სახელმწიფო საკუთარი სოფლის მეურნეობის განვითარებას მხოლოდ თავისუფალი ბაზრის ამარა არ ტოვებს. იგი აყალიბებს მკაფიო დარგობრივ პრიორიტეტებს და შემდეგ საზოგადოებრივი და კერძო სექტორის პარტნიორობის ფონზე ახორციელებს მის აღსრულებას. ამ სფეროს პრიორიტეტულობას განსაზღვრავს ორი ფაქტორი. **პირველი: სოფლის, როგორც ყოფის, შენარჩუნება და მეორე: სასურსათო უშიშროების უზრუნველმყოფელი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება.**

ნებისმიერ ქვეყანაში სოფლად მოსახლეობის რეალური დასაქმებისა და შედარებით მოკლე დროში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სათანადო დონის მიღწევა **მხოლოდ სისტემური ცვლილებებითა და კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებითაა შესაძლებელი.** მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი **ადამიანური რესურსების სამეწარმეო აქტივობის ამაღლებაა.** უნდა გვესმოდეს, რომ ქვეყანაში მიმდინარე **ეკონომიკური პროცესების უძირითადესი პროდუქტია ჯანმრთელი, მაღალკვალიფიციური, სოციალურად და გონებრივად განვითარებული ადამიანი,** იგი ქვეყნისთვის არანაკლებ დიდი განძია, ვიდრე ეკოლოგიურად სუფთა გარემო და მსოფლიოში რეალიზებადი პროდუქცია. ამ მიმართულებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ შრომითი რესურსების სამეწარმეო გააქტიურება ყველაზე კარგად **სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განვითარებითაა შესაძლებელი.** საყურადღებოა, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძვლად კოოპერაციულ საწყისებზე დამყარებული სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების გზა აირჩიეს თავის დროზე ევროკავშირის ქვეყნებმა, აშშ-მა, ისრაელმა და განვითარებული ეკონომიკის მქონე ბევრმა სხვამ (მათ შორის ბალტიის ქვეყნებმაც). ეს პროცესი ყველგან **სახელმწიფოს აქტიური მაორიენტირებელი, მაორგანიზებელი როლითა და ხელშეწყობით წარიმართა,** ანუ: ამ ქვეყნებში ფუნქციობდა ჭეშმარიტი აქტიური სახელმწიფოებრიობა და არა ატროფირებული. აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და კოოპერაციის მრავალი წარმატებული მაგალითი გვიჩვენებს, რომ **კოოპერაციული შრომის უკუგების ხარისხი გაცილებით მაღალია ინდივიდუალურ შრომასთან შედარებით.**

საქართველოს უდავოდ შეუძლია, კოოპერაციულ საწყისებზე მოახდინოს სოფლად მოსახლეობის სამეწარმეო აქტივობის მობილიზაცია და არამარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან ტექნიკურ-ტექნოლოგიურად დაკავშირებული დარგების სწრაფი რეაბილიტაციაც და შემდგომი განვითარებაც. **სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას ავტომატურად მოსდევს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოფლის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება.**

ესაა ცნების **„ჯანსაღი საშუალო ფენა“** რეალური შინაარსი.

ჩვენი ქვეყნისთვის საწარმოო ურთიერთობათა ფორმის არჩევა დიდად მნიშვნელოვანია როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ასევე ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის თვალსაზრისით. **საქართველო,** მისი ეთნოკულტურული და ეთნოფსიქოლოგიური მახასიათებლებიდან და არჩეული პოლიტიკური გეზიდან გამომდინარე, **უდავოდ იმსახურებს განვითარებული ქვეყნების რიგში ყოფნას** და მით უფრო სწრაფად შეძლებს ამას, რაც უფრო ინტენსიურად გატარდება დემოკრატიული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები.

ამ რეფორმებიდან უმნიშვნელოვანესია **საქართველოს მრავალდარგოვანი აგრარული სექტორის რეფორმა,** რომელის უპირველესი ამოცანაა **დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობის საწარმოო ბაზის გამსხვილება-გამასივება (კონსოლიდაცია), მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბება და მათი გადამმუშავებელ საწარმოებთან სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობა.** შედეგად, კოოპერაციული ფორმების გამოყენებით, ადგილებზე მივიღებთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ინტეგრირებული სისტემის (ერთიანი ციკლის) შექმნას, სადაც გლეხკაცი (ფერმერი) დაინტერესებული იქნება ერთობლივი საქმიანობის ყველა საფეხურით, საწარმოო პროცესისა და მომარაგების ყველა დეტალით დაწყებული და საბოლოო პროდუქტის რეალიზაციიდან ამონაგებით დამთავრებული, რადგან პრაქტიკულად, **მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი მისი შემოსავლების ზრდა და სოციალური პრობლემების მოგვარება.**

**იმისათვის, რომ თავისუფალმა ბაზარმა შექმნას ის, რასაც ზედმიწევნით კარგად ასრულებს — პროდუქციის სიუხვე — აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან აქტიური პოლიტიკის განხორციელება აგრობიზნესის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.** იგი, პირველყოვლისა, გამოიხატება **სპეციალიზირებული აგროსაკრედიტო სისტემის (ურთიერთდახმარების, სოლიდარული პასუხიმგებლობის, კოოპერაციული ტიპის) შექმნით,** რაც კრედიტს ხელმისაწვდომს გახდის და უზრუნველყოფს **მოსავლის დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებას.** ინფრასტრუქტურის აუცილებელი ნაწილი უნდა გახდეს სასოფლო სამეურნეო ტექნიკის, ქიმიური საშუალებების, საწვავისა და ა.შ. უზრუნველყოფის ორგანიზება, უნდა წახალისდეს ერთგვაროვანი პროდუქციის სფეროში კოოპერირების გამოყენება, მარკეტინგული დახმარება და, ასევე, ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად უნდა იქცეს სასოფლო რაიონებში აგროტექნიკუმების ფართო ქსელის გამოყენება, რომელიც შეძლებს ფერმერების პრაქტიკული ცოდნითა და ჩვევებით აღჭურვას და გამუდმებით მათი გადამზადების გარემოს ფორმირებას.

**სოფლად მისაღები ყოფითი პირობების შექმნა, გასარწყავებისა და დაშრობის სამუშაოების აქტიური წარმართვა (რათა თავიდან იქნას აცილებული ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე მყოფი გაუდაბნოების პროცესი აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში და მეორადი დაჭაობების პროცესი კოლხეთში) და სხვა აუცილებელი ღონისძიებები სოფლის გადარჩენის სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი უნდა გახდეს. ამასთან, გთავაზობთ აგრარული** ▶



**სოფლად მისაღები ყოფითი პირობების შექმნა, გასარწყავებისა და დაშრობის სამუშაოების აქტიური წარმართვა და სხვა აუცილებელი ღონისძიებები სოფლის გადარჩენის სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი უნდა გახდეს**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ტყუილია, რომ საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობას დღეს მრავალმილიარდიანი ინვესტიცია სჭირდება, რადგან აგრარული სექტორი, როგორც დარგი, არ არის მზად მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების მოზიდვისა და საჭირო პროექტების განხორციელებისთვის. იგი გადაუდებლად საჭიროებს დაქუცმაცებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის კონსოლიდაციას და სოფლად კოოპერაციული მოძრაობის სტიმულირებას.

◀ პოლიტიკის სამოქმედო გეგმის აუცილებელ ძირითად ნაწილს, რომელიც ბლოკებადაა წარმოდგენილი: **დანაწევრებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კონსოლიდაცია და პარცელარული მეურნეობის ნეგატიური შედეგების ლიკვიდაციია.**

ეს ბლოკი უნდა მოიცავდეს: **„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კონსოლიდაციის შესახებ“** და **„სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ“** საქართველოს კანონის პროექტების შემუშავებას და საკანონმდებლო ორგანოში დამტკიცებას;

მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, მარკეტინგული და სხვა საწარმოო-სამეურნეო მიმართულების კოოპერატივების ჩამოყალიბებას, მათთვის საწყის ეტაპზე სათანადო შეღავათების შეთავაზების გზით.

**სოფლის მეურნეობის საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება მარკეტინგული მოთხოვნების გათვალისწინებით.** მხედველობაშია:

სარწყავი წყლის რესურსების აღრიცხვა და გამოყენების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება;

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება;

გ) სარგავ-სათესლე და სანაშენე საწარმოთა რეაბილიტაცია;

დ) ზოოვეტმომსახურების გაუმჯობესება (პირუტყვის პრევენციული აცრები და სხვა);

ე) აგრონედლეულის გადამმუშავებელი კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეების აღდგენა-რეაბილიტაცია აგროწარმოების განვითარებისა და გადაადგილების შესაბამისად;

ვ) სასაწყობე, სამაცივრე და სხვა საჭირო სიმძლავრეთა მშენებლობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გრძელვადიანი შენახვისა და რეალიზაციის მიზნით;

ზ) განვითარებულ ქვეყნებში არსებულ უახლეს მანქანათა სისტემების (მათ შორის სამთო მიწათმოქმედებისთვის) გადმოტანისა და ათვისების მიზნით სოფლად ტექმომსახურების თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარება;

თ) წყალმომარაგების, გაზიფიკაციის, საგზაო და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა პრობლემების დარეგულირება.

**სოფლად საქონელმწარმოებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამეწარმეო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით ადგილზე საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ფორმირება,** რაც გულისხმობს:

კარგად ორგანიზებული საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ქსელის ფორმირებას;

ფერმერთა მომზადება-გადამზადებას სამეწარმეო უნარ-ჩვევების გამომუშავების (შესწავლის) მიზნით;

აგრონომიული, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და აგრობიზნესის პროფილის სტუდენტთა სტაჟირება საზღვარგარეთის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებში.

**სოფლად საქონელმწარმოებლებისთვის მიწათმოქმედის სტატუსის მინიჭება და სათანადო რეგისტრაცია:**

„მიწათმოქმედის სტატუსის მინიჭებისა და რეგისტრაციის შესახებ“ შესაბამისი ნორმატიული აქტის მომზადება და პარლამენტში (ან მთავრობაში) დამტკიცება.

**ეკონომიკური მექანიზმის ორიენტირება აგროსასურსათო სექტორის სწრაფ განვითარებაზე, ფასების პარიტეტის დადგენა, ეფექტიანი საგადასახადო, აგროსაკრედიტო და სადაზღვევო სისტემების შექმნა, იმპორტის ჩანაცვლებაზე და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების მაღალი ტემპით განვითარებისთვის:**

**„აგრონედლეულისა და მისი აღწარმოებისთვის საჭირო საქონელზე (მომსახურებაზე) ფასების პარიტეტის დადგენისა და დაცვის შესახებ“** საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება და პარლამენტში დამტკიცება;

**სპეციალიზირებული აგროსაკრედიტო, საგადასახადო და სადაზღვევო სისტემების შესახებ საქართველოს კანონის პროექტების შემუშავება** და პარლამენტში დამტკიცება;

**სოფლის მეურნეობის განვითარების, თემის სამეწარმეო მობილიზაციის, საგირავნო და საგარანტიო ფონდების შექმნა;**

დ) **„აგროსექტორში გამოყენებული მანქანა-მოწყობილობების, აგრეთვე, აგრარული პროდუქციის აღწარმოებისთვის საჭირო სათესლე და სანაშენე საშუალებათა საბაჟო გადასახადისა და დღგ-სგან გათავისუფლების შესახებ“** საქართველოს კანონის პროექტის მომზადება და პარლამენტში დამტკიცება.

**VI. აგრარული ბაზრის დაცვა და ეკონომიკური რეგულირება განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) მოთხოვნათა გათვალისწინებით:**

ვმო-სგან მონიჭებული უფლებების — ანტიდემპინგური გადასახადის, სეზონური ფასებისა და ბაზრის დამცავი ღონისძიებების გამოყენებით (დემპინგური და სწრაფად მზარდი იმპორტის მიმართ, რომელიც ზარალს აყენებს ადგილობრივ მწარმოებელს ან ქმნის ზარალის მიყენების რეალურ საფრთხეს) ბაზრის დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენტებისგან.

**VII. სახელმწიფო დაკვეთების ინსტიტუტის რეალური ამოქმედება ძირითადი სახეობის სურსათზე და პროდუქციის შესყიდვა თანამედროვე ფორმებით:**

საბაზრო მექანიზმების გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის მთელ ჯაჭვში ინტეგრატორის როლს შეასრულებს. პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა უზრუნველყოფს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებას და აგრარულ წარმოებაში მომსახურების სფეროს სრულ ჩართვას;

ბ) ძირითად სასურსათო პროდუქტებზე (მარცვალი, ხორცი, რძე, შაქარი, ზეთი) მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობისა და წონასწორული (სტაბილური) ფასების შენარჩუნების მიზნით, ბაზარზე ინტერვენციის და ჭარბი პროდუქციის ამოღების სახელმწიფო მარეგულირებელი (ნახევრად ადმინისტრაციული და ნახევრად კომერციული) სამსახურის შექმნა (ბაზარზე ჩამრევი სამსახურები. ამ ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სფეროში).

**VIII. აგრარული მიმართულების სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების რეაბილიტაცია. სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და აგრომეცნიერებას შორის გაწყვეტილი კავშირის აღდგენა, ურთიერთმისაღები პირობების შემუშავების საფუძველზე.**

საქართველოს წინაშე დღეს უკვე არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის ობიექტური აუცილებლობის ამოცანები, რეალურად მოითხოვს, როგორც **სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის გადახედვას** (პრიორიტეტული დარგებისა და კულტურების განსაზღვრა. სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისთვის საჭირო პროდუქტების წარმოებას), ასევე თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენას და გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრას. **გასაგებია, რომ დღეს არსებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის მოდერნიზაცია შედარებითი უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობის დაწყება მეტად საჭირო და გარდაუვალი აუცილებლობაა.**



**ათმაგად ტყუილია, რომ სოფლად დასაქმებული უნდა იყოს მხოლოდ 2-3 პროცენტი მოსახლეობისა. სოფლად უნდა იცხოვროს იმდენმა ადამიანმა, რამდენსაც სოფელი სჭირდება თავის სარჩენად და გასახარებლად. დემოკრატიულ განვითარებულ ქვეყნებში ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც თავს ირჩენენ სოფლის მეურნეობით, როგორც წესი, ორჯერ და მეტად აღემატება იმათსას, ვინც უშუალოდ ხნავს, თესავს, სხლავს, თიბავს და პირუტყვს წველის**

**ქართული მიწისა და სოფლის გადარჩენა ჯერ კიდევ შეგვიძლია:**

1. მიწას მივუდგეთ არა მხოლოდ როგორც პროდუქციის წყაროს, არამედ როგორც მოსახლეობის შემნახავსა და გამხარებელს;

2. სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვა უცხოელებზე კონკურენტუნარიანი ქართველების გაჩენამდე უგამონაკლისოდ უნდა აღიკვეთოს (საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებამდე);

3. ყველა საშუალებით (სახელმწიფოს ეს საშუალებები მუდამ აქვს) შევქმნათ იაფი აგრარული კრედიტი, სოფელი უზრუნველვყოთ იაფი სასოფლო-სამეურნეო საწვავით და განვითარებული აგრარული საჯარო მომსახურებით;

4. გზა გავუხსნათ იჯარას (გრძელვადიანისა და გასხვისებადის ჩათვლით);

5. უზრუნველვყოთ რაციონალურ ფარგლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვები;

6. უზრუნველვყოთ იმპორტული (როგორც წესი, ეკოლოგიურად უვარგისი) პროდუქტის რეალური კონტროლი უვნებლობაზე;

7. აღვკვეთოთ იმპორტზე დასპეციალებული მაფიური მონოპოლიზმი;

8. იაფი მელიორაციისა და აგროტექზოოვეტმომსახურების უზრუნველყოფა (რაც სახელმწიფოსათვის დაუძლეველი ამოცანა არ არის);

9. ყველანაირად ხელი შეეწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, ადგილზე გადამმუშვებელი საწარმოების შექმნას და მათ ურთიერთთანამშრომლობას;

10. სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღწარმოებისთვის საჭირო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების პარიტეტის დადგენა და დაცვა;

11. შეღავათიანი საგადასახადო და სადაზღვევო სისტემების ორგანიზება სოფლის მეურნეობაში (რაც სახელმწიფოსთვის, აგრეთვე, სავსებით მისაწვდომია);

12. შევქმნათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების, თემის სამეწარმეო მობილიზაციის, საგირავნო და საგარანტიო ფონდები;

13. აღვადგინოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და აგრომეცნიერებას შორის გაწყვეტილი კავშირი.

14. დავიბრუნებთ და ავითვისებთ როგორც ტრადიციულ, ისე ახალ ბაზრებს.

15. ავაღორძინებთ საქართველოს მთიანეთს, როგორც ჯანსაღ და ქვეყნისთვის აუცილებელ სამეურნეო ზონას, და მის მოსახლეობას, როგორც ერის ყოველმხრივ ქმედუნარიან ნაწილს.

**800 ათასი ჰა სახნავის დამუშავებას მაქსიმუმ 720 მლნ ლარი სჭირდება. ამ თანხის მცირე ნაწილიც (1/10) რომ გაიღოს სახელმწიფომ, სახნავის პრობლემაც გადაწყდება. მრავალწლოვანი ნარგაობის** (ხეხილი, ვაზი, კაკლოვანი და სხვ.) **განახლებისთვის ყოველწლიურად უნდა გაშენდეს 15-20 ათასი ჰა, რასაც 250-300 მლნ ლარი სჭირდება**. აქ სავსებით საკმარისი იქნება სახელმწიფოს კეთილი ნება და საგადასახადო ხელშეწყობის რეჟიმი. მაგალითად, ახალგაზრდა ნარგავები სრულ მსხმოიარობაში შესვლამდე 4 წლით უნდა განთავისუფლდეს მიწისა და წყლის გადასახადისგან; შემცირდეს ან გაუქმდეს დღგ-სა და აქციზის გადასახადი სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელ დიზელის საწვავზე, განთავისუფლდეს აგროტექზოოვეტმომსახურება დღგ-ს გადასახადისგან. ასევე უნდა შემცირდეს მიწისა და წყლის გადასახადი 30%-30%-ით და სხვ. კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებში შემცირდეს დღგ-ს გადასახადი არა ნაკლებ 10%-ით, ასევე, წყლის, ელექტროენერგიისა და გაზის გადასახადი.

**ტყუილია, რომ საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობას დღეს მრავალმილიარდიანი ინვესტიცია სჭირდება, რადგან აგრარული სექტორი, როგორც დარგი, არ არის მზად მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების მოზიდვისა და საჭირო პროექტების განხორციელებისთვის.**

იგი გადაუდებლად საჭიროებს დაქუცმაცებული სასოფლო სამეურნეო მიწის ფონდის კონსოლიდაციას (რადგან უკიდურესად დანაწევრებულ მიწაზე რაიმე პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, მოსავლიანობის ამაღლება და არსებითი ეკონომიკური შედეგის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია) და სოფლად კოოპერაციული მოძრაობის სტიმულირებას.

**ათმაგად ტყუილია, რომ სოფლად დასაქმებული უნდა იყოს მხოლოდ 2-3 პროცენტი მოსახლეობისა. სოფლად უნდა იცხოვროს იმდენმა ადამიანმა, რამდენსაც სოფელი სჭირდება თავის სარჩენად და გასახარებლად. დემოკრატიულ განვითარებულ ქვეყნებში ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც თავს ირჩენენ სოფლის მეურნეობით, როგორც წესი, ორჯერ და მეტად აღემატება იმათსას, ვინც უშუალოდ ხნავს, თესავს, სხლავს, თიბავს და პირუტყვს წველის.**

თქმულიდან გამომდინარეობს, რომ

**— საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაიცნობიეროს, რომ სასურსათო უშიშროება ქვეყნის უპირველეს სტრატეგიულ მიზანთა რიგში შედის;**

**— ხელისუფლებამ უნდა გაიცნობიეროს, რომ ერთადერთი სუბიექტი, რომელსაც ამ ამოცანის გადაჭრა ძალუძს, არის თვით სახელმწიფო;**

**— ხელისუფლებამ უნდა ისწავლოს სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური სუბიექტის, ფუნქციონირების ურთულესი ტექნოლოგია, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრულყოფის საქმეში, ისე სოფლის მოსახლეობის სოციალური, ტექნიკური და კულტურული დონის სრულყოფის საქმეში.**

**მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნა აღიარებულ უნდა იქნეს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ამოცანად და საერთო ეროვნული ზრუნვის საგნად. მხოლოდ ასე გადარჩება ქართული სოფელი, რომლის გარეშეც საქართველოს განვითარების პერსპექტივა წარმოუდგენელია.**

საქართველოს სოფლის აღორძინება უნდა მოხდეს ჩვენივე ძალებით და გადამთიელებზე იმედის დამყარება, მათი მოპატიჟება „გადასარჩენად“ შეურაცხმყოფელი და ამასთანავე ფუჭი მცდელობა იქნება. დინამიკური სოფლის მეურნეობა უცხოელთა ჩამოსახლებით კი არა, მოქნილი სამოქმედო გეგმით (სტრატეგიით) იქნება შესაძლებელი. სწორი აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, გლეხკაცს — ქართული მიწის მთავარ მეურვეს **(ადგილის კაცი, მკვიდრი მიწათმოქმედი — ილია ჭავჭავაძე)** — შეუძლია არა მარტო ქვეყნის გამოკვება საკუთარი წარმოების პროდუქციით, არამედ სახელმწიფოს ძლიერების საძირკვლის ჩაყრაც.

**პაატა კოღუაშვილი,**
**ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი,**
**სტუ სრული პროფესორი**



**საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაიცნობიეროს, რომ სასურსათო უშიშროება ქვეყნის უპირველეს სტრატეგიულ მიზანთა რიგში შედის**

ღია წერილი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უშუალოდ სამხედრო ძალების მმართველობაში დარჩენილია მხოლოდ ერთადერთი თანამდებობის პირი — ეს არის საქართველოს პრეზიდენტი — სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, რომელსაც არ გააჩნია დებულება, მართვის ორგანო. დღემდე არავინ იცის, ვინ უსახავდა სამხედრო ძალების შემადგენელ სტრუქტურებს ამოცანებს 2008 წლის აგვისტოში, ვინ გეგმავდა ოპერაციებს, ვინ იყო მაშინ სამხედრო ძალების გენერალური შტაბის უფროსი და რატომ არ იყო ჩამოყალიბებული ჯარების მართვის მთავარი ორგანო მშვიდობიანობისა და ომის დროს — გენერალური შტაბი. ამას ხომ კონსტიტუცია მოითხოვდა.**

# რას ეტყვის პრეზიდენტი ხალხს? რით იმართლებს თავს?

**შეესაბამება თუ არა საქართველოს კონსტიტუციის 50-ე, 73-ე და მე-100 მუხლების მოთხოვნები ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს? მე ვთვლი, რომ ამ მუხლების ჩამოყალიბებისას სამხედრო და ქართული ენის სპეციალისტები არ მონაწილეობდნენ, ან თუ მონაწილეობდნენ, მაშინ მათი აზრი არ იყო გათვალისწინებული. არ იყო გათვალისწინებული არც 1991 წლის კონსტიტუციის 121-ე მუხლის მოთხოვნაც და არც მეზობელი ქვეყნების გამოცდილება.**



ალექსანდრე ტოლსტოი



**კონსტიტუციის თანახმად, საომარი მდგომარეობის გამოცხადებიდან სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცებამდე შეიძლება გავიდეს 144 საათი, ანუ 6 დღე-ღამე**

და აი რატომ:

საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი

**„ზ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს ეს გადაწყვეტილებები პარლამენტში დასამტკიცებლად“.**

თავისთავად ისმება კითხვა:

რისთვის სჭირდება პრეზიდენტს 48 საათი თავისი გადაწყვეტილებების პარლამენტში წარსადგენად?

— თუ ეს დრო საჭიროა იმისათვის, რომ ზუსტად დადგინდეს აგრესიის ფაქტი, მაშინ ჯერ დარწმუნდეს ამაში და მერე გამოაცხადოს საომარი მდგომარეობა;

— თუ ეს დრო საჭიროა თავდასხმის მოსაგერიებლად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმარებისთვის, მაშინ რას აკეთებდნენ აქამდე სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები? მათ ასეთი ვითარებისათვის მოდელირებული ვარიანტები ხომ ადრე უნდა ჰქონოდათ დამუშავებული?

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ასეთ შემთხვევაში აუცილებლად დაგაინტერესებდათ ჩვენი უშუალო მეზობლების მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით.

და აი როგორ წყდება ეს საკითხი მეზობელი ქვეყნების კონსტიტუციების თანახმად პრეზიდენტების მიერ საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში:

**აზერბაიჯანის კონსტიტუცია:**

„...ბრძანების ხელმოწერიდან **24 საათის** განმავლობაში დასამტკიცებლად წარუდგენს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისს“ (მ. 111).

**თურქეთის კონსტიტუცია:**

„ეს გადაწყვეტილება **იმავე დღეს** დასამტკიცებლად წარედგინება დიდ ეროვნულ კრებას“ (მ. 122).

**რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია:**

„...და ამის თაობაზე **დაუყოვნებლივ** ატყობინებს ფედერაციის საბჭოს და სახელმწიფო სათათბიროს“ (მ. 87).

**სომხეთის კონსტიტუცია:**

„...თავისი უფლებით **დაუყოვნებლივ მოიწვევა** ეროვნული კრების სპეციალური სხდომა“ (მ. 55).

ე.ი. გამოდის, რომ **ჩვენ ყველა მეზობელ ქვეყანას ძალიან სახიფათოდ ჩამოვრჩებით ჯარის, მოსახლეობისა და ეკონომიკის გადაყვანაში მშვიდობიანიდან საომარ მდგომარეობაში, და თითქოს ჩვენთვის დროის ფაქტორს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.**

ასეთი მიდგომა დროის საკითხისადმი დანაშაულის ტოფასია.

განვაგრძოთ მსჯელობა და ახლა განვიხილოთ კონსტიტუციის 50-ე მუხლი, სადაც წერია, რომ:

**„3: ...საომარი მდგომარეობა უნდა გაუქმდეს, თუ პარლამენტი შეკრებიდან 48 საათში არ დაამტკიცებს საომარი მდგომარეობის გამოცხადების (გაგრძელების) შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულებას...“**

დავუშვათ, რომ პრეზიდენტმა 48 საათის განმავლობაში წარუდგინა ჯერ კიდევ უფლებამოსილ საკანონმდებლო ორგანოს თავისი გადაწყვეტილება საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ და პარლამენტმაც შეკრებიდან 48 საათის განმავლობაში დაამტკიცა პრეზიდენტის ეს ბრძანებულება.

ქვეყანა ჩაერთო ომში. საჭიროა სასწრაფოდ სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, რომელიც კონსტიტუციით დაეკისრა სამხედრო ძალებს (მ. 98, პ. 2), მაგრამ მისი გამოყენება (საბრძოლო მოქმედებებში ჩართვა) არც თუ ისე იოლია, ვინაიდან, კონსტიტუციის მე-100 მუხლის თანახმად:

**„1. სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი და 48 საათის განმავლობაში შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად...“**

ე. ი. სამხედრო ძალების გამოყენებისათვის საჭირო ხდება ახალი პროცედურის წამოწყება, რაც კიდევ უფრო ართულებს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

1995 წელს, პირველი ვარიანტის კონსტიტუციის თანახმად, მე-100 მუხლი ასე იკითხებოდა:

**„1. საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია სამხედრო ძალთა გამოყენება საგანგებო მდგომარეობის დროს ან საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად“.**

სხვა ქვეყნებში საომარი მდგომარეობის გამოცხადება ამავე დროს ნიშნავს შეიარაღებული ძალების გამოყენებასაც, მაგრამ ჩვენთან არა. თუ ეს ასე არ არის, მაშინ რატომ გახდა საჭირო მე-100 მუხლის ასეთი რედაქციით ჩამოყალიბება?

**გამოდის, რომ, კონსტიტუციის თანახმად, საომარი მდგომარეობის გამოცხადებიდან სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცებამდე შეიძლება გავიდეს 144 საათი, ანუ 6 დღე-ღამე.** ამაში არ შედის ის დრო, რომელიც დასჭირდება პარლამენტს სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების დასამტკიცებლად.

**განა ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დაასკვნა — საქართველოს კონსტიტუცია ხელს უშლის ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას?!**

ისევ განვაგრძოთ მსჯელობა და დავუშვათ, რომ პარლამენტმა ისევ დაამტკიცა პრეზიდენტის გადაწყვეტილება სამხედრო ძალების გამოყენების თაობაზე. ახლა საჭიროა, დავადგინოთ, თუ როგორ არიან მომზადებულნი სამხედრო ძალები ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

ყველამ კარგად ვიცით, რომ სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი არის საქართველოს პრეზიდენტი, მაგრამ დღემდე არავინ იცის, თუ სად არის განლაგებული სამხედრო ძალების მმართველობა — გენერალური შტაბი; გააჩნია თუ არა სამხედრო ძალებს დებულება, მკაფიო და კონკრეტული ორგანიზაციული სტრუქტურა?

ალმოჩნდება, რომ **უშუალოდ სამხედრო ძალების მმართველობაში დარჩენილია მხოლოდ ერთადერთი თანამდებობის პირი — ეს არის საქართველოს პრეზიდენტი — სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, რომელსაც არ გააჩნია დებულება, მართვის ორგანო.** დღემდე არავინ იცის, ვინ უსახავდა სამხედრო ძალების შემადგენელ სტრუქტურებს ამოცანებს 2008 წლის აგვისტოში, ვინ გეგმავდა ოპერაციებს, ვინ იყო მაშინ სამხედრო ძალების გენერალური შტაბის უფროსი და რატომ არ იყო ჩამოყალიბებული ჯარების მართვის მთავარი ორგანო მშვიდობიანობისა და ომის დროს — გენერალური შტაბი. ამას ხომ კონსტიტუცია მოითხოვდა.

**მაშინაც და დღესაც პრაქტიკულად ამ არარსებული, გრამატიკულად დაუმთავრებელი წინადადებებით ჩამოყალიბებულ სტრუქტურას აკისრია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.**

ცნობისათვის:

კანონში „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ ასეა ჩამოყალიბებული სამხედრო ძალების შემადგენლობა:

მ. 8, პ, „1. საქართველოს სამხედრო ძალები შედგება საქართველოს შეიარაღებული ძალებისაგან, ხოლო საომარი მოქმედებების დროს — აგრეთვე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისაგან — საქართველოს სასაზღვრო პოლიციისაგან.

2. საქართველოს შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარებისაგან“.

როგორც ვხედავთ ეს შედგება არ შედგებაში გადაიზარდა — შეიარაღებულ ძალებს სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები გამოაკლდა და დარჩა საჰაერო სივრცე და ტერიტორიული წყლები დაუცველი.

არადა, შვეიცარიას, რომელიც 1815 წლიდან იცავს მუდმივ ნეიტრალიტეტს, ჰყავს სამხედრო-საჰაე- ▶

მსოფლიო

## ბერლინში აშშ-ის საკონსულოდან თანამშრომლები გაიყვანეს

**ბერლინში აშშ-ის საკონსულოდან თანამშრომლების ევაკუაცია მას შემდეგ განხორციელდა, რაც დიპლომატიური მისიის ერთ-ერთმა თანამშრომელმა საეჭვო ამანათი აღმოაჩინა.** აშშ-ის საელჩოში მიტანილ კონვერტს უცნაური სუნი ჰქონდა, საკონსულოს სამ თანამშრომელს კი მოულოდნელად სუნთქვის პრობლემები შეექმნათ. შემთხვევის ადგილას საგანგებო სიტუაციების სამსახურის 50 თანამშრომელი მუშაობდა.



## აშშ-ის საელჩოს აღება იემენშიც სცადეს

**იემენის დედაქალაქ სანაში მუსლიმანმა დემონსტრანტებმა, რომლებიც აშშ-ში გადაღებულ ანტიისლამისტურ ფილმს აპროტესტებდნენ, აშშ-ის საელჩოს აღება სცადეს.** ადგილობრივმა პოლიციამ ჰაერში ცეცხლი გახსნა, რათა საელჩოს შენობის ეზოდან დემონსტრანტები გამოეყვანა. დემონსტრანტებმა საელჩოს რამდენიმე მანქანას ცეცხლი წაუკიდეს. დაღუპულია ერთი ადამიანი. მასობრივი არეულობები მოხდა ტუნისშიც, სადაც რამდენიმე საათიანი საპროტესტო აქციის შემდეგ დემონსტრანტებმა აშშ-ის საელჩოში შეჭრა სცადეს.

ღია წერილი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## კონსტიტუციის 26-ე მუხლი უკრძალავს უმაღლეს მთავარსარდალს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას, 72-ე მუხლი კი პრეზიდენტს უკრძალავს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობის დაკავებას.

◀ რო ძალები, ხოლო შვედეთს, რომელიც 1814 წლიდან ომებში არ მონაწილეობს, ჰყავს სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები.

მათ დღესაც არავინ ემუქრება, მაგრამ მაინც ფრთხილად არიან.

ახლა განვიხილოთ კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-3' პუნქტის ის ვარიანტი, როდესაც პარლამენტი არ დაამტკიცებს საომარი მდგომარეობის გამოცხადების (გაგრძელების) შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულებას.

მაგრამ მანამდე:

პრეზიდენტი დაარწმუნეს, რომ ქვეყანაზე მოხდა შეიარაღებული თავდასხმა და ამის საფუძველზე იგი აცხადებს საომარ მდგომარეობას. მისი ეს გადაწყვეტილება უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა, მაგრამ კანონი „საომარი მდგომარეობის შესახებ“ არ უცდის ამ გადაწყვეტილების დამტკიცებას პარლამენტის მიერ და იწყებს მოქმედებას:

— მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით პრეზიდენტი აფრთხილებს მოსახლეობას საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ;

— გამოიცემა დეკრეტები, რომლებიც ზღუდავენ ადამიანების უფლებებსა და თავისუფლებებს. დეკრეტის ტექსტი გადაიცემა საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით ხელმოწერიდან ერთი დღის განმავლობაში, ყოველ ორ საათში ერთხელ მაინც;

— საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში აღინიშნება ასეთი გადაწყვეტილების მიღების მოტივი და მოქმედების ვადა;

— საომარი მდგომარეობის გამოცხადებისა და გაუქმების შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტრო დაუყოვნებლივ ატყობინებს გაეროს გენერალურ მდივანს;

— და ტარდება კანონით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

ახლა რა ხდება კანონს მიღმა:

— იწყება პანიკა, მოსახლეობა შოკშია;

— მშობლები ეძებენ შვილებს, შვილები — მშობლებს, ნათესავები — ახლობლებს და ა.შ.;

— ცარიელდება სკოლები, სასწავლო დაწესებულებები, სამსახურები;

— ცარიელდება მაღაზიები, საწყობები. ზოგან იძარცვება;

— თავშესაფრები და სარდაფები შევსებულია მოქალაქეებით;

— მძაფრდება კრიმინოგენური სიტუაცია;

— დარტყმის თავიდან ასაცილებლად მოსახლეობა გარბის ქალაქიდან;

— ბევრი ვერ უძლებს სტრესულ მდგომარეობას და კარგავს ჯანმრთელობას, ზოგიც სიცოცხლეს;

— და კიდევ მრავალი სხვა.

**ახლა განვიხილოთ, თუ რა ხდება მეზობელ ქვეყნებში ჩვენთან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, პირველ რიგში კი — რუსეთში.**

იმისათვის, რომ კარგად გავაცნობიეროთ, თუ რას მოიმოქმედებს რუსეთის ხელისუფლება, ამისათვის საჭიროა კარგად გვქონდეს შესწავლილი ამ ქვეყნის კონსტიტუცია და სამხედრო საკანონმდებლო აქტები და დოკუმენტები.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ:

**„რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ აგრესიის ან აგრესიის უშუალო საფრთხის შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ ადგილებში აცხადებს საომარ მდგომარეობას და ამის თაობაზე დაუყოვნებლივ ატყობინებს ფედერაციის საბჭოს და სახელმწიფო სათათბიროს“ (მ. 87, პ. 2).**

ამ მუხლით სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენთან საომარი მდგომარეობის გამოცხადება რუსეთმა მიიღოს როგორც მის წინააღმდეგ „აგრესიის უშუალო საფრთხე“ და მერე ვინ იცის, რას მოიმოქმედებს.

ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გულხელდაკრეფილი არ იჯდება და სავსებით შესაძლებელია, არ დაუცადოს „აგრესიის უშუალო საფრთხეს“ და დაიწყოს პრევენციული მოქმედებები. ჩვენი კონსტიტუცია მას აძლევს თავის მართლების საშუალებას.

**გულგრილები არ დარჩებიან ჩვენთან შექმნილი მდგომარეობით არც დანარჩენი მეზობლები, მათაც ხომ გარკვეული ინტერესი გააჩნიათ ჩვენი ქვეყნის მიმართ. აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქეები ხომ ასიათასობით ცხოვრობენ საქართველოში. განზე არ დარჩება თურქეთიც.**



**დღემდე არავინ იცის, ვინ უსახავდა სამხედრო ძალების შემადგენელ სტრუქტურებს ამოცანებს 2008 წლის აგვისტოში, ვინ გეგმავდა ოპერაციებს, ვინ იყო მაშინ სამხედრო ძალების გენერალური შტაბის უფროსი და რატომ არ იყო ჩამოყალიბებული ჯარების მართვის მთავარი ორგანო მშვიდობიანობისა და ომის დროს — გენერალური შტაბი**

ახლა განვიხილოთ, თუ რა ხდება ისევ ჩვენთან.

როგორც იქნა, პრეზიდენტმა შეიტანა თავისი გადაწყვეტილება საკანონმდებლო ორგანოში საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ და ჯერ კიდევ უფლებამოსილმა პარლამენტმა შეკრებიდან 48 საათის განმავლობაში მსჯელობისას არ დაამტკიცა პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება და გააუქმა საომარი მდგომარეობა.

მერე?

**რას ეტყვის პრეზიდენტი ხალხს?**

**რით იმართლებს თავს?**

**ვინ აუნაზღაურებს მოსახლეობას დანაკარგებს?**

ხომ დაგვცინებს მსოფლიო, გაერო და ეუთო, რომ ჩვენ მხოლოდ 96 საათის შემდეგ დავადგინეთ, რომ ქვეყანაზე შეიარაღებული თავდასხმა არ მომხდარა.

კონსტიტუციაში არსებული ამ ჩანაწერით ძალიან მძიმე და უხერხულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს პრეზიდენტი. ფაქტობრივად, გამოდის, რომ დათხოვნილმა, მაგრამ უფლებამოსილმა პარლამენტმა მას უნდობლობა გამოუცხადა.

ჩემთვის გაუგებარია, კონსტიტუციაში შეტანილი ეს ჩანაწერი მხოლოდ დათხოვნილ პარლამენტს ეხება თუ მოქმედ საკანონმდებლო ორგანოსაც.

შეიძლება ზოგიერთ მკითხველს მოეჩვენოს, რომ ყველაფერი ეს ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, **მაგრამ გავიხსენოთ 1997 წელი, როდესაც, დაუზუსტებელი საგანგაშო ინფორმაციის მიწოდებით, მადრიდში მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა დაგეგმილიდან 5 საათით ადრე, სასწრაფოდ დატოვა სამიტი და სამშობლოში გამოემგზავრა. მან სიტყვით გამოსვლაზეც კი უარი განაცხადა.**

აქ კი მას სრული სიმშვიდე დახვდა.

შეიძლება თუ არა ასეთი რამ კიდევ განმეორდეს?

**ბატონო გია!**

**ბატონო გურამ!**

თქვენთან კიდევ მაქვს ერთი კითხვა:

**არღვევენ თუ არა სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლები საქართველოს კონსტიტუციის 26-ე და 72-ე მუხლებს?**

კონსტიტუციის 73-ე მუხლის თანახმად, **„4. პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი...“**

პრეზიდენტს ირჩევს მოსახლეობა, ხოლო მას სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობაზე ნიშნავს კონსტიტუცია.

ძირითადი კანონის 26-ე მუხლის თანახმად,

**„5. პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას“.**

ხოლო 72-ე მუხლის თანახმად,

**„საქართველოს პრეზიდენტს უფლება არ აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა...“**

სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობა ნამდვილად არ არის პარტიული.

რა გამოდის?

კონსტიტუციის 26-ე მუხლი უკრძალავს უმაღლეს მთავარსარდალს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას, 72-ე მუხლი კი პრეზიდენტს უკრძალავს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობის დაკავებას.

სადაა გამოსავალი?

ან რამდენად კორექტულად მიგაჩნიათ თავდაცვის სამინისტროს მმართველობისთვის და მისი სხვა სტრუქტურებისთვის, გარდა შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობისთვის, პოლიტიკური გაერთიანების წევრობის, წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ შეკრების უფლების მინიჭება (მ. 25), მაშინ, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელ შემადგენლობას ამის უფლება ჩამორთმეული აქვს?

იურიდიული კონსულტაციებისთვის დიდ მადლობას ვუხდი ბატონ ნავოლის ქობულიას.

**პატივისცემით,**

**ალექსანდრე ტოლსტოი**

**კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერით, ძალიან მძიმე და უხერხულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს პრეზიდენტი. ფაქტობრივად, გამოდის, რომ დათხოვნილმა, მაგრამ უფლებამოსილმა პარლამენტმა მას უნდობლობა გამოუცხადა**

## თბილისის უკანასკნელი ტრუბადური!..

**წელიწადი გასულა, რაც გიზო ნიშნიანიძე დააკლდა საქართველოს, მაგრამ პირველ რიგში თბილისს, ვერის უბანს, სადაც 31 წლის წინ მიგვიწვია პაემანზე და ის „პაემანი ვერაზე“ დღესაც გრძელდება...**

ერთი გაზეთის რედაქციაში შემოვიდა, რედაქტორს ხუმრობა გაშვებით შესჩივლა — მიდიან და მიდიან ჩემი ძმაკაცები, პროფესიონალ ნეკროლოგისტად ვიქეციო, და მაგიდაზე ფურცელი დაუდო...

თბილისის პირველი ტრუბადური თუ ხარფუხელი იოსებ გრიშაშვილი იყო, ვინც მთელი შემოქმედება თბილისს მიუძღვნა, მეორე — ვერელი გიზო ნიშნიანიძე!

მაშ რატომ უკანასკნელიც?

სადღაა თბილისი — უბანი უბანს აღარა ჰგავს და ქალაქი ქალაქს! მაშ, ვინ და რაღას უნდა უმღეროს მომავალში?..

მართლაც, „ალაგებულ სცენას ჰგავს შენი ქალაქი, დღეს აქ სხვა სპექტაკლი გადის“...

კიდევ კარგი, რომ ვერ მოესწარ, შენს საყვარელ ვერაზე გეი-პარადს!..

ჰოი, ბედის ირონიავ, სწორედ ფილარმონიიდან, შენი ვარსკვლავიდან დაიწყეს ეს „სპექტაკლი“ — მრცხვენია უკვე ჩემი ქალაქელობისაც და ვერელობისაც, ბატონო გიზო!..

თუმცა იქნებ მოხდეს სასწაული და ჩვენს შთამომავლებს შენმა „პაემანმაც“ შეურხიოს მიძინებული გენეტიკური კოდი და თბილისმა მეტ-ნაკლებად მაინც დაიბრუნოს შენი თაობის ქალაქის ის რაინდული სული და კოლორიტი, რომელსაც სიცილით, იუმორით, მაგრამ მაინც აშკარად მისტიროდი და მეც, სიცილთან ერთად, ხშირად ჯავრის გორგალიც მეჩხირება ხოლმე ყელში ამ დიდი სითბოთი და სიყვარულით გაჯერებული წიგნის კითხვისას. წიგნის, რომელიც, გარკვეულ წილად თბილისის ისტორიაც არის, მისი დასაბამიდან დღემდე და ერთნაირად ძვირფასია, თბილისელისთვის თუ არათბილისელისთვის, ქართველისთვის თუ არაქართველისთვის.

**დათო მხეიძე**

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას**

თქვენი გაზეთის მკითხველისათვის ვაზუსტებ, რომ წინა ნომერში გასულ ინტერვიუში შემთხვევა, რომელიც მიეწერება **გ. გვაზავას** — აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ტექნიკური მიზეზების გამო მიეწერა **გ. ბარამიას** — აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს.

**პატივისცემით**
**სერგი საჯაია**

მოკლედ

## ევროკავშირი უსაფრთხოების დაცვას ითხოვს

**ევროკავშირი ლიბიის მთავრობას მოუწოდებს, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, ქვეყანაში მომუშავე დიპლომატებისა და უცხოელების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. „მოვუწოდებ ლიბიას, გაჭიანურების გარეშე მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაიცვას ყველა დიპლომატი და უცხოელი, რომლებიც ლიბიაში მუშაობენ. ღრმად ვარ შეწუხებული ბენღაზში აშშ-ის საელჩოზე თავდასხმის გამო“,** — აღნიშნა ევროკავშირის წარმომადგენელმა საგარეო ურთიერთობის საკითხებში — ქეთრინ ეშტონმა.

## ფილმის «ისლამის უცოდველობა» ერთ-ერთი შემქმნელი დაკითხვაზე დაიბარეს

**ფილმის „ისლამის უცოდველობა“ გადამღები ჯგუფის აქტიური მონაწილე ნაკულა ბასილი კალიფორნიის შტატში დაკითხვაზე დაიბარეს.** ამის მიზეზი გახდა ის, რომ მან თაღლითობისთვის გასამართლების შემდეგ მისთვის მიცემული გამოსაცდელი ვადა დაარღვია. დასავლური მედიის ინფორმაციით, არსებობს ეჭვი, რომ ქრისტიანი-კოპტების ორგანიზაციის წევრი ნაკულა ანტიმუსლიმანური ფილმის შემქმნელებს საორგანიზაციო მხარდაჭერას უწევდა. ნაკულას ბორკილები არ ადევს და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან „ნებაყოფლობით“ თანამშრომლობს.

კომენტარით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა ამერიკელებს გააცნეს იაპონიასთან ომში სსრკ-ის ჩართვის გეგმები, დათანხმდნენ პეტრო-პავლოვსკსა და კამჩატკაზე და ხაბაროვსკის რაიონში მეტეოროლოგიური სადგურის განლაგებაზე, რომელიც ამერიკელების პერსონალით იქნებოდა დაკომპლექტებული.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-34 (139-172)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

### მყუდროება ქარიშხლის წინ

**მაშ, ასე: სტალინის მშვიდმა რეაქციამ ტრუმენის ინფორმაციაზე, რომ ამერიკამ წარმატებით გამოსცადა ატომური ბომბი, დააბნია აშშ-ის პრეზიდენტი და ინგლისის პრემიერ-მინისტრი.**

სტალინი კარგად იყო გარკვეული ამერიკელების ამ პროექტში და სიმშვიდეც ამიტომ შეინარჩუნა. საჭიროდ ჩათვალა მხოლოდ, შეეხსენებინათ კურჩატოვისთვის, რათა დაეჩქარებინა საბჭოთა ზეიარაღის შექმნის სამუშაოები.

ატომური ბომბის გამოცდის შედეგების შესახებ დაწვრილებითი მოხსენება ტრუმენმა კონფერენციის მუშაობის მეოთხე დღეს მიიღო, 1945 წლის 21 ივლისს. გაეცნო და განაცხადა, რომ ეს მას „სრულიად განსხვავებულ მდგომარეობას უქმნიდა კონფერენციაზე“. აშშ-ის პრეზიდენტი აღფრთოვანებული იყო. კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავდა: „იგი უფრო თავდაჯერებული ჩანდა, უფრო მეტად მოწადინებული დისკუსიებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, სტალინის ზოგიერთ განცხადებაზე საკამათოდ“.

და მაინც, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ძალისმიერი პოლიტიკის განხორციელება უაზრო იქნებოდა. ჯერ ერთი, სტალინმა აჩვენა, რომ მაგარი ნერვები აქვს და არ აპირებს, უარი თქვას თავის პრინციპებზე. მეორე, საბჭოთა ჯარები, რომელთაც გაათავისუფლეს აღმოსავლეთ ევროპა და, ნაწილობრივ, ცენტრალური ევროპაც, ჯერ ისევ მათ ტერიტორიაზე რჩებოდა. მესამე, ჯერ კიდევ გრძელდებოდა აშშ-იაპონიის ომი.

ახლა ტრუმენს უკვე აღარ სურდა საბჭოთა კავშირის ჩართვა იაპონიასთან ომში, რადგან თავისი ატომური ბომბების იმედი ჰქონდა. მაგრამ აშშ გენერლები და ადმირალები არ იზიარებდნენ თავიანთი პრეზიდენტის თავდაჯერებას, უწინარესად, იმიტომ, რომ „ზებომი“ ჯერ არ იყო გამოყენებული საომარ ოპერაციებში. იგი შეიძლება არ გამომდგარიყო ისეთი ეფექტიანი, როგორსაც ელოდნენ.

სსრ კავშირი იაპონიასთან ომში რომ არ ჩაბმულიყო, ტოკიოს შეეძლო თავისი უზარმაზარი კვანტუნის არმია, რომელიც საბჭოთა კავშირის საზღვრებთან იყო თავმოყრილი გადაესროლა იაპონიის კუნძულებზე, რომლებიც მძლავრი ფორტიფიკაციითა და ცოცხალი ძალით ისედაც უაღრესად იყო გამაგრებული, დაეძრა. ეს კი ამერიკის ცოცხალი ძალების დიდ დანაკარგს გამოიწვევდა. ამასთან, საეჭვო იყო, რომ მხოლოდ ბომბარდირებით აიძულებდნენ ამ, თავიდან ბოლომდე მილიტარიზებულ, ქვეყანას დათანხმებულიყო უსიტყვო კაპიტულაციაზე. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ საჭირო გახდებოდა ატომური ბომბების გარკვეული რაოდენობის დამზადება.

სამხედროებმა ტრუმენს რიგი რთული შეკითხვებისა დაუსვეს: როგორ უნდა გამკლავებოდნენ ათასობით თვითმფრინავს, რომლებსაც თავგანწირული მფრინავები — „კამიკაძეები“ მართავდნენ? როგორ უნდა შეეტიათ ქვეყნის სიღრმეში განლაგებული სიმაგრეებისთვის ასეთი შემთხვევისთვის აუცილებელი ხომალდების დიდი კალიბრის ქვემეხების მხარდაჭერის გარეშე? რა უნდა იმოქმედოს იაპონიაში შეჭრილმა არმიამ, თუ იაპონელები პარტიზანულ ომზე გადავლენ? ამ შემთხვევაში გენერალი მარკარტური, რომელიც ამერიკელების სარდალი იყო წყნარ ოკეანეში სამხედრო მოქმედებათა თეატრში, ვარაუდობდა, რომ ომი ათ წელიწადს მაინც გაგრძელდებოდა და უარს ამბობდა, მიახლოებით მაინც დაესახელებინა აშშ-ის დანაკარგების ოდენობა.

იაპონიასთან ომში სსრკ-ის ჩართვა ამერიკისთვის აუცილებელი იყო, ტრუმენს ამ აუცილებლობისთვის არ შეიძლება ანგარიში არ გაეწია პოტსდამის კონფერენციაზე.

**აშშ-ის პრეზიდენტი დაიბნა: რა უნდა გაეკეთებინა? ატომური ბომბით შანტაჟის მცდელობა ჩაუვარდა — დარტყმა მიზანს ასცდა. ტრუმენმა, რომელიც „ზეიარაღის“ მფლობელი იყო, უპირატესობის რეალიზაცია ვერ შეძლო, მაგრამ კარტების წინასწარ გახსნაც არ შეეძლო. ამიტომ გასცა განკარგულება, რომ იაპონია „ზეიარაღით“ არავითარ შემთხვევაში არ დაებომბათ, სანამ იგი პოტსდამს არ დატოვებდა. მას სურდა, რაც შეიძლება შორს ყოფილიყო რუსებისგან და მათი შეკითხვებისგან, როცა პირველი ბომბი დაეცემოდა იაპონიას“. ასე წერდა მისი ქალიშვილი მარგარეტი წიგნში, რომელიც მამის პოლიტიკურ ბიოგრაფიას მიუძღვნა.**

**ტრუმენმა ამჯერად ვერ შეძლო „ატომური უპირატესობის“ რეალიზება.** მაგრამ მისი პოზიციები ერთგვარად გამაგრდა მას შემდეგ, რაც პოტსდამის კონფერენციის დროს ინგლისში ჩატარებული არჩევნების შედეგად მოულოდნელად დამარცხდნენ კონსერვატორები. ჩერჩილი იძულებული გახდა, გადამდგარიყო პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან და ბერლინში აღარ დაბრუნებულიყო. იგი შეცვალა კლიმენტ ეტლიმ, ჩერჩილზე გაცილებით ნაკლებ წონიანმა ფიგურამ, მასზე ნაკლებად გამოცდილმა და აშშ პოლიტიკაზე გაცილებით მეტად დამოკიდებულმა მოღვაწემ.

ეტლის არ გააჩნდა ჩერჩილისეული დამოუკიდებლობა, გონიერება, ჟინი, რაც საშუალებას აძლევდა, ამერიკელებისგან განსხვავებული პოზიცია დაეკავებინა ზოგიერთ საკითხში. ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობებს სტალინი ვეღარ გამოიყენებდა მათი პრაქტიკულად არარსებობის გამო. აუცილებელი გახდა კომპრომისების უფრო ხშირად მიღწევა.

ტრუმენიც ამ გზას დაადგა და დღის წესრიგის უმწვავეს საკითხებზე მხარი დაუჭირა კომპრომისულ გადაწყვეტილებებს. სტალინის მტკიცე პოლიტიკის წყალობით, შეთანხმდნენ, რომ ტრუმენის მოთხოვნა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საშინაო საქმეებში აშშ-ის ჩარევის შესახებ, ასევე, დუნაისა და რეინზე ნაოსნობის „ინტერნაციონალიზაციის“ შესახებ უარყოფილ იქნებოდა.



**საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა ამერიკელებს გააცნეს იაპონიასთან ომში სსრკ-ის ჩართვის გეგმები, დათანხმდნენ კამჩატკაზე პეტროპავლოვსკისა და და ხაბაროვსკის რაიონში მეტეოროლოგიური სადგურის განლაგებაზე, რომელიც ამერიკელების პერსონალით იქნებოდა დაკომპლექტებული.**

31 ივლისს სტალინმა შეძლო დაერწმუნებინა თავისი პარტნიორები, ეღიარებინათ პოლონეთის დასავლეთი საზღვარი ოდერსა და ნეისეზე. სანაცვლოდ საბჭოთა კავშირი დათანხმდა გერმანიისგან სეპარაციის მიღების ზონალურ პრინციპს. ამასთან ერთად, **სტალინმა შეძლო დაერწმუნებინა ტრუმენი, დაემყარებინა დიპლომატიური ურთიერთობა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან — ფინეთთან, რომელიც იმ პერიოდში (1948 წლამდე) სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო იყო; ბულგარეთთან, უნგრეთთან და რუმინეთთან. ამრიგად, საერთაშორისო სტატუსი ენიჭებოდა სოციალისტურ ქვეყნებს, რომლებსაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ საბჭოთა კავშირთან და მასთან ერთად ქმნიდნენ ერთიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეს.**

სტალინმა პოტსდამში, რა თქმა უნდა, ვერ მიაღწია ყველა დასახულ მიზანს. კერძოდ, ვერ დაითანხმა პარტნიორები შავის ზღვის სრუტეების რეჟიმის გადახედვაზე, ▶

**სტალინი, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ ჩვენს პუბლიკაციებში, დაინტერესებული იყო მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარებით აშშ-თან. ეს აუცილებლად საჭირო იყო ქვეყნის სამეურნეო პოტენციალის აღსადგენად, რომელსაც ომმა უდიდესი ზარალი მიაყენა. უზარმაზარი არმიის შენახვა, შეიარაღების გაძლიერება, ატომური და სარაკეტო პროექტების დასრულებაც არნახულ ხარჯებს მოითხოვდა. ასეთი ვითარება ტრუმენისთვისაც საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. ამიტომ მისი პოლიტიკის დედააზრი საბჭოთა კავშირთან მიმართებაში საკუთარი ატომური ჰეგემონიის განმტკიცებასთან ერთად, სსრკ-ის ეკონომიკის მაქსიმალური დასუსტება იყო.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

არსებული რეჟიმი საბჭოთა კავშირს ხელს არ აძლევდა. მაგრამ მოლაპარაკებათა საერთო შედეგი, საბჭოთა კავშირისთვის, რა თქმა უნდა, დადებითი იყო. „კონფერენციას, ვგონებ, შეიძლება წარმატებული ვუწოდოთ", — განაცხადა კონფერენციის დახურვისას სტალინმა.

ტრუმენი კი, რომელმაც ვერ შეძლო საკითხების „ამერიკულად" გადაწყვეტა, გაღიზიანებული ჩანდა. თავისი ახლობლების წრეში კი იფიცებოდა, „არასოდეს არ დაიჭერდა საქმეს რუსებთან. ალბათ, ამიტომ იყო, როცა კონფერენციის თავმჯდომარის რანგში სხდომები დახურულად გამოაცხადა და პირფერულად დაამატა, იმედი აქვს, რომ მისი მონაწილეები კვლავაც შეხვდებიან ერთმანეთს, სტალინმა თავშეკავებით ჩაილაპარაკა: „ღმერთმა ქნას".

მაგრამ, როგორც ცნობილია, ტრუმენი და სტალინი ერთმანეთს აღარ შეხვედრიან, თუმცა საამისოდ კეთილსასურველი ვითარება არაერთხელ ჩამოყალიბდა: სწორედ აშშ-ის ინტერესების გამო ჩაება სსრკ იაპონიასთან ომში, დაისახა ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური თანამშრომლობის რეალური პერსპექტივა, რისკენაც ყოველთვის მოუწოდებდა სტალინი. მაგრამ ტრუმენმა არ მოისურვა, შეხვედროდა საბჭოთა ლიდერს, სავარაუდია იმიტომ, რომ მასთან ურთიერთობისას თავის უპირატესობას ვერ გრძნობდა.

აი, რას იხსენებდა ანდრეი გრომიკო პოტსდამში ტრუმენის შესახებ: „მან მოიკრიბა მთელი თავისი თავდაჭერილობა, რათა მღელვარება არ გაემჟღავნებინა... ზოგჯერ გეგონებოდა, რომ სადაცაა გაიღიმებდა, მაგრამ ასე მხოლოდ ჩანდა... მეჩვენებოდა, რომ პრეზიდენტი საგანგებოდ იბღინძებოდა. ეტყობა, აქ თავის როლს თამაშობდა ის ვითარება, რომ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ამ დონეზე შეხვედრების გამოცდილება, თანაც — სტალინის მონაწილეობით". სტალინის შესახებ კი წერს: „მას მშვიდად და თანაბრად უჭირავს თავი".

პოტსდამის კონფერენციიდან ცოტა ხანში ატომური ბომბის ჯოჯოხეთურ ცეცხლში დაიწვა ჰიროსიმა და Nაგასაკი — ქალაქები, რომლებშიც სამხედრო ობიექტები პრაქტიკულად არ იყო.

სტალინი, რა თქმა უნდა, ხვდებოდა, რომ ეს საბჭოთა კავშირის დაშინების აქტი უფრო იყო, ვიდრე ომის აუცილებლობით გამოწვეული სამხედრო ოპერაცია.

Aამერიკელებმა იაპონელები დააშინეს. ამისთვის ჰიროსიმას დაბომბვაც საკმარისი იყო, რა აუცილებლობა იყო დამატებით ნაგასაკის დაბომბვა? ბუნებრივად ჩნდება ასეთი შეკითხვა.

ამის თაობაზე ამერიკელი მკვლევარი ჯონ ვარბურგი წერს: **„პირველი... ურანის ბომბი იყო. მისი იმედი ჰქონდათ, მაგრამ მის დასამზადებლად ურანის მთელი მარაგი დაეხარჯა შტატებს. მეორე ბომბი, რომელიც ნაგასაკიზე ჩამოაგდეს, პლუტონის იყო, რომლის გამოცდით უნდა დაედგინათ, რამდენად სანდო იყო. ასეთი ბომბების დასამზადებლად საჭირო მარაგი საკმარისად გააჩნდათ. ამის გასარკვევად დაახლოებით 100 000 იაპონელი დახოცეს ნაგასაკიში, მათთან ერთად — ამერიკელი ჯარისკაცებიც".**

გამორიცხული არ არის, რომ მეორე ატომური ბომბის აფეთქებით აშშ-ის მთავრობამ საბჭოთა კავშირს მიანიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ამ ზეიარაღს ნებისმიერი პოტენციური მტრის წინააღმდეგ გამოიყენებდა,

მიზანს თითქოს მიაღწიეს.

მაგრამ ვერც ამან მოახდინა საჭირო გავლენა სტალინზე.

რატომ?

უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მან კარგად იცოდა, როგორ მიმდინარეობდა აშშ-ში ატომური პროექტის რეალიზება. ამასთან, ხედავდა, რომ ამერიკაში გრძელდებოდა შეიარაღების პოტენციალის ზრდა, რომელიც აშკარად იყო მიმართული სსრკ-ის წინააღმდეგ. დგებოდა ჟამი „ცივი ომისა".

## გლობალისტი ატომური კომბლით ხელში

**1945 წლის აგვისტოში წარმოიქმნა დიპლომატიის ახალი სახეობა, რომელიც ეფუძნებოდა „ზეიარაღის" გამოყენების მუქარას, აშკარად არ გამოითქმოდა, მაგრამ ყველას გასაგებად იგულისხმებოდა.**

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როცა განადგურდა და განიარაღდა ორი, ყველაზე მეტად აგრესიული სახელმწიფო — გერმანია და იაპონია, არავითარი საჭიროება აღარ იყო შეიარაღების გამოდევნების, მით უფრო, მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების დანერგვა-გაფართოებისთვის.

საბჭოთა კავშირში, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა ომში, დაიწყო დემობილიზაცია და დემილიტარიზაცია, რათა, რაც შეიძლება მალე, გაშლილიყო მშვიდობიანი მშენებლობა (პირველი თათბირი ამ საკითხებზე სტალინმა ჯერ კიდევ 1944 წელს გამართა). შეერთებული შტატები კი, რომელმაც ამ ომიდან დიდი მოგება ნახა და რომელიც მონოპოლიურად ფლობდა ატომურ იარაღს, არ ჩქარობდა მის აკრძალვას, პირიქით, ზრდიდა თავის ატომურ პოტენციალს. **თუ 1946 წელს მას 9 ატომური ბომბი ჰქონდა, ერთი წლის თავზე უკვე 56 გააჩნდა, 1950 წელს — 298 და კიდევ ერთი წლის შემდეგ — 832.**

**1945 წლის 3 ნოემბერს, როცა აშშ-ს არ გააჩნდა მძლავრი „ატომური კომბალი", ამერიკას უკვე ჰქონდა ოცი საბჭოთა ქალაქის ატომური დაბომბვის დეტალური გეგმა.** შტაბების უფროსების გაერთიანებულ კომიტეტთან არსებული გაერთიანებული სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო დოკუმენტში პირდაპირ ეწერა, რომ ასეთი ოპერაცია ნავარაუდევია **არა მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, როცა საბჭოთა კავშირი თავს დაესხმება აშშ-ს, არამედ მაშინაც განხორციელდება, როცა „მოწინააღმდეგე ქვეყნის სამრეწველო და სამეცნიერო განვითარების დონე შესაძლებლობას მისცემს, თავს დაესხას აშშ-ს ან თავი დაიცვას ჩვენი თავდასხმისგან".**



**ეს კი ნიშნავდა არაპროვოცირებულ აგრესიას სსრკ-ის წინააღმდეგ, თუ იგი სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო თვალსაზრისით ამერიკის კონკურენტი გახდებოდა.**

გასაგებია, რომ ასეთი პროექტები უცებ არ წარმოიქმნება. ისინი ზესახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ნაგასაკის შემდეგ ტრუმენი ხარობდა, როგორც ტრიუმფატორი, როგორც მსოფლიოს მომავალი ჰეგემონი.

1945 წლის 16 აგვისტოს სტალინმა ტრუმენს შესთავაზა, „საბჭოთა ჯარების წინაშე იაპონიის შეიარაღებული ძალების ჩაბარების რაიონში ჩაერთოთ კუნძულ ჰოკაიდოს ჩრდილოეთი ნაწილი". ამას, როგორც ნათქვამი იყო, „განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსეთის საზოგადოებრივი აზრისათვის. როგორც ცნობილია, 1919-1921 წლებში იაპონიას სრულად ოკუპირებული ჰქონდა საბჭოთა შორეული აღმოსავლეთი. რუსეთის საზოგადოებრივი აზრი სერიოზულად განაწყენდება, თუ რუსეთის ჯარებს არ ექნება ოკუპაციის რაიონი იაპონიის ტერიტორიის რომელიმე ნაწილში".

სტალინის მიმართვა ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა: „ძალიან მინდა, რომ ზემოთ გადმოცემული ჩემი სურვილი გათვალისწინებულ იქნას".

ამ სურვილში განსაკუთრებული არაფერი იყო. იგი უნდა დამატებოდა 1945 წლის 15 აგვისტოს საერთო ბრძანება №1-ს, რომელიც შედგენილი იყო „შეერთებული შტატების, ჩინეთის რესპუბლიკის, გაერთიანებული სამეფოსა და ბრიტანეთის იმპერიისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით".

ტრუმენმა მაშინვე უარი თქვა, შეესრულებინა ეს თხოვნა. უფრო მეტიც, წინადადება წამოაყენა, კურილიის ერთ-ერთ კუნძულზე ამერიკული ბაზის შექმნის შესახებ, „სასურველია, ცენტრალურ ჯგუფში, სამხედრო და კომერციული მიზნებისთვის".

სტალინის პასუხი, რომელიც მან 1945 წლის 22 აგვისტოს გასცა, მკაცრი და მკვახე იყო:

„მივიღე თქვენი 18 აგვისტოს წერილი.

1. თქვენი წერილის აზრი გავიგე იმგვარად, რომ უარს ამბობთ, დააკმაყოფილოთ საბჭოთა კავშირის თხოვნა კუნძულ ჰოკაიდოს ჩრდილოეთი ნაწილის ჩართვაზე იაპონიის შეიარაღებული ძალების საბჭოთა ჯარებისთვის ჩაბარების რაიონში. უნდა გითხრათ, რომ არც მე, არც ჩემი კოლეგები თქვენგან ასეთ პასუხს არ ველოდით.

2. რაც შეეხება თქვენს მოთხოვნას, იქონიოთ მუდმივი საავიაციო ბაზა კურილიის ერთ-ერთ კუნძულზე, რომელიც, სამი სახელმწიფოს ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებით, საბჭოთა კავშირის მფლობელობაში უნდა გადავიდეს, ამასთან დაკავშირებით ჩემს მოვალეობად ვთვლი, განვაცხადო შემდეგი:

ჯერ ერთი, უნდა შეგახსენოთ, რომ ასეთი ღონისძიება გათვალისწინებული არ არის სამი სახელმწიფოს არც ყირიმის, არც ბერლინის გადაწყვეტილებით და არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს იქ მიღებული გადაწყვეტილებებიდან.

მეორე. ასეთი ხასიათის მოთხოვნებს ჩვეულებრივ წაუყენებენ ან დამარცხებულ სახელმწიფოს, ან ისეთ მოკავშირე სახელმწიფოს, რომელსაც არ შეუძლია დაიცვას თავისი ტერიტორიის ესა თუ ის ნაწილი და ამის გამო თანხმაა თავის მოკავშირეს მისცეს შესაბამისი ბაზა. არა მგონია, რომ საბჭოთა კავშირი შეიძლება მივაკუთვნოთ ასეთი სახელმწიფოების რიგს.

მესამე. რადგან თქვენს წერილში მითითებული არ არის მუდმივი ბაზის გამოყოფის არავითარი მოტივი, გულახდილად უნდა გითხრათ, რომ არც მე, არც ჩემს კოლეგებს არ გვესმის, რა ვითარების გამო შეიძლებოდა გაჩენილიყო ამგვარი მოთხოვნა საბჭოთა კავშირის მიმართ".

**ცხადია, რომ სტალინისთვისაც და ტრუმენისთვისაც აშკარა და გასაგები იყო ასეთი მოთხოვნის ჭეშმარიტი საფუძველი: აშშ-ს ხელთ ჰქონდა ატომური იარაღი და ამ უპირატესობის მაქსიმალურ გამოყენებას ცდილობდა სსრკ-ზე ზემოქმედების მიზნით.**

**ბოლომდე მართლები რომ ვიყოთ, აუცილებელია დავაზუსტოთ: ტრუმენი კი არ მოითხოვდა კურილიის ერთ-ერთ კუნძულზე ამერიკის ბაზის შექმნას, არამედ გამოთქვამდა აშშ-ის მთავრობის შესაბამის სურვილს. მიუხედავად ამისა, სტალინმა შესაძლებლად მიიჩნია უზუსტობის დაშვება, რითაც მიანიშნა, რომ მასთან მოლაპარაკების წარმოება ძალის პოზიციიდან დაუშვებელია. მით უფრო, რომ იაპონიასთან ომში საბჭოთა ჯარებმა დაამტკიცეს საკუთარი უმაღლესი ბრძოლისუნარიანობა.**

ამის შემდეგ სტალინმა და ტრუმენმა რამდენიმე წერილი გაცვალეს, რომლებშიც უფრო და უფრო გარკვეულად იგრძნობოდა დაძაბულობის ზრდა ორ ქვეყანას შორის.

## სტალინმა ამერიკას თანამშრომლობა შესთავაზა

მაგრამ დათბობის ნიშანიც გამოჩნდა. 11 ოქტომბერს პრეზიდენტმა ტრუმენმა სტალინს გაუგზავნა წერილი, რომლის მეგობრულ ჟესტად აღქმა სავსებით შესაძლებელი იყო:

**„პატივცემულო პრემიერო სტალინ.**

**პრეზიდენტ რუზველტის ერთ-ერთი სანუკვარი ოცნება იყო, აქ, ვაშინგტონში, კაპიტოლიუმში ჰქონოდა სურათი თქვენი, ბ-ნი ჩერჩილისა და საკუთრივ მისი გამოსახულებით, როგორც ნიშანი ისტორიულად მნიშვნელოვანი შეხვედრებისა თეირანსა და იალტაში. მან განიხილა ეს პროექტი მხატვარ ბ-ნ დუგლას შანდორთან, რომელიც, როგორც მას მიაჩნდა, სხვებზე მეტად დაჯილდოებულია ამგვარი სურათის შესრულების ნიჭით.**

**...მსურს, შეგეკითხოთ, თუ გაიღებდით თქვენი ძვირფასი დროის გარკვეულ ოდენობას და დართავდით ნებას ბ-ნ შანდორს, რათა ჩამოსულიყო მოსკოვში ამ სურათის დასახატად".**

თუმცა მალე ამ წერილს სხვა ტონში დაწერილი ბარათი მოჰყვა, და საერთოდ ორი ქვეყნის მთავრობათა ურთიერთობა გაფუჭდა ცალკეული კონფლიქტების მიზეზით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამერიკელები მოსინჯავდნენ საბჭოთა პოზიციის სიმტკიცეს საერთაშორისო ურთიერთობის ამა თუ იმ საკითხში, საბჭოთა მხარე კი ნაბიჯითაც უკან არ იხევდა.

**სტალინი, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ ჩვენს პუბლიკაციებში, დაინტერესებული იყო მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარებით აშშ-თან. ეს აუცილებლად საჭირო იყო ქვეყნის სამეურნეო პოტენციალის აღსადგენად, რომელსაც ომმა უდიდესი ზარალი მიაყენა. უზარმაზარი არმიის შენახვა, შეიარაღების გაძლიერება, ატომური და სარაკეტო პროექტების დასრულებაც არნახულ ხარჯებს მოითხოვდა. ასეთი ვითარება ტრუმენისთვისაც საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. ამიტომ მისი პოლიტიკის დედააზრი საბჭოთა კავშირთან მიმართებაში, საკუთარი ატომური ჰეგემონიის განმტკიცებასთან ერთად, სსრკ-ის ეკონომიკის მაქსიმალური დასუსტება იყო.**

ალბათ, ესეც იყო იმის მიზეზი, რომ მხოლოდ ორი თვის შემდეგ, 1945 წლის 23 დეკემბერს, უპასუხა სტალინმა ტრუმენის წინადადებას ამერიკელი მხატვრის წინაშე პოზირების თაობაზე.

წერილი მეგობრული ხასიათისა იყო:

**„ვსარგებლობ შემთხვევით, რათა გიპასუხოთ წერილზე, რომელიც ამასწინათ თქვენგან მივიღე, მხატვარ შანდორის მოსკოვში ჩამოსვლასთან დაკავშირებით.**

**მე დიდხანს არ ვიმყოფებოდი მოსკოვში და უახლოეს მომავალში, სამწუხაროდ, გამიჭირდება დროის გამოყოფა ბ-ნ შანდორისთვის მრავალი მოვალეობის შესრულების გამო. რა თქმა უნდა, მზად ვარ, გავუგზავნო მას ჩემი პორტრეტი, თუ თქვენ ამას ამ შემთხვევისთვის შესაფერისად მიიჩნევთ".**

ამასთან ერთად, წერილში გამოთქმული იყო სტალინის გულწრფელი სურვილი ტრუმენთან თანამშრომლობის თაობაზე: **„სავსებით გეთანხმებით, რომ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ხალხი უნდა ისწრაფოდნენ მშვიდობის აღდგენისა და შენარჩუნებისათვის და ხელმძღვანელობდნენ იმით, რომ ჩვენი ორივე ქვეყნის საერთო ინტერესები ჩვენ შორის ცალკეულ განსხვავებულობაზე მაღლა დგას".**

სტალინმა ხაზი გაუსვა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირზე საბჭოთა დელეგაცია წავიდა კომპრომისებზე და რომ მომავალში ასეთ **„საქმიანობას დიდი მნიშვნელობა ექნება სათანადო ურთიერთგაგების დასამყარებლად ჩვენს ქვეყნებს შორის ომიდან მშვიდობაზე ამ გარდამავალ პერიოდში".**

**მაგრამ ტრუმენმა ამ წერილს არ უპასუხა. მათი მიმოწერა დამთავრდა. ეს კი ნიშნავდა, რომ აშშ ომიდან მშვიდობაზე გადასვლას არ აპირებდა.**

**მისი მიზანი „ცივი ომი" იყო.**

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

საქართველო და მსოფლიო
ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მართალია, აშშ მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქტების უდიდესი ექსპორტიორია, მაგრამ სავალუტო კოლაფსის შემთხვევაში მწარმოებლები გაყინავენ სხვადასხვა საწარმოსთვის პროდუქტის მიწოდებას, მომხმარებლები კი დოლარის გარდა სხვა ვალუტაში ვერ მოახდენენ ანგარიშსწორებას. დროთა განმავლობაში სოფლად მცხოვრები ადამიანებისთვის ვალუტაზე ვაჭრობას ბარტერი ჩაანაცვლებს, მაგრამ ამერიკის ქალაქებში მცხოვრები ადამიანების უმეტესობა სურსათის დეფიციტს საკუთარ თავზე იგრძნობს უახლოეს 24 საათში.**

# ძალთა განლაგება მესამე მსოფლიო ომის მიჯნაზე



**მესამე მსოფლიო ომში მთავარი დაპირისპირებული მხარეები წარმოდგენილნი იქნებიან იმ კონგლომერატების სახით, რომლებიც შედგებიან გაერთიანებული ტრანსნაციონალური კორპორაციებისგან, ნაციონალური სახელმწიფოებისგან, საერთაშორისო ფინანსური, პოლიტიკური და სხვა ინსტიტუტებისგან. სწორედ ისინი ქმნიან კოალიციურ ბლოკებს.**



**პირველი კონგლომერატი დასავლურია.** მასში განმსაზღვრელ როლს აშშ ასრულებს. მისი მოკავშირეები არიან — ევროკავშირი, იაპონია, სამხრეთ კორეა, ავსტრალია, ინდოეთი, სპარსეთის ყურის მთელი რიგი ქვეყნებისა, კავკასია, ცენტრალური აზია და აფრიკა. ამავე კონგლომერატში შედიან საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც ერთობლივად ახდენენ გავლენას ნაციონალურ სახელმწიფოებზე.

**მეორე კონგლომერატი აზიურია.** მთავარ როლს მასში ჩინეთი ასრულებს და სწორედ ის აყალიბებს თავისი მოკავშირეების რიგებს, რომლებსაც უკვე შეიძლება მივაკუთვნოთ ჩრდილოეთ კორეა, ირანი, პაკისტანი, მიანმე, ვენესუელა, ბოლივია და მთელი რიგი აფრიკული რეჟიმები.

თავად კონგლომერატებს შორის არის წინააღმდეგობები, მაგრამ ისინი მეორეხარისხოვანია იმ საბაზო კონფლიქტებთან შედარებით, რომლებიც ჩამოყალიბდა ერთმანეთთან დაკავშირებული კრიზისების წყალობით. დასაშვებია მეორეხარისხოვანი მოთამაშეების გადასვლა ერთი კონგლომერატიდან მეორეში. შეურყეველი რჩება მხოლოდ კონგლომერატის ბირთვის პოზიციები.

**დასავლური კონგლომერატის მიზანია, შეინარჩუნოს მსოფლიოში ჰეგემონის პოზიცია.**

**აღმოსავლური კონგლომერატის მიზანია, მოიპოვოს მსოფლიოში ჰეგემონის პოზიცია.**

კონგლომერატებს შორის დაპირისპირება არ უნდა იქნეს აღქმული ნაციონალურ სახელმწიფოებს შორის ბრძოლად. აშშ, და საერთოდ, ნებისმიერი ჰეგემონი, მუდამ იყო და არის ინსტრუმენტი იმ ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების ხელში, რომლებიც იყენებდნენ მას საკუთარი მიზნების მისაღწევად. ყველამ მშვენივრად იცის, რომ როტშილდები, როკფელერები და სხვანი მსოფლიო ოლიგარქთა რიგებიდან ხან აშშ-ს, ხან საბჭოთა კავშირსა და ხან გერმანიას იყენებს საკუთარი მიზნებისთვის. როდესაც მორიგი ინსტრუმენტი ეფექტურობას კარგავს, იწყება ახალი ინსტრუმენტების ფორმირება. ამ დროს მცდარია ფიქრი, რომ გლობალური ოლიგარქია, მსოფლიოს ბატონები, თავად არ დგანან დიდი რისკების წინაშე ამ ბრძოლაში. საკმარისია, გავიხსენოთ ფუგერების საბანკო სისტემა, რომელსაც საკრედიტო კაბალაში ჰყავდა ევროპელი მონარქების უმეტესობა XV-XVI საუკუნეში, მაგრამ ამან ვერ იხსნა გაკოტრებისგან.

**არსებობს ორი ჯგუფი, რომელიც უკვე აწარმოებს ბრძოლას ერთმანეთთან და არის ორი ლიდერი, რომლებიც სათავეში უდგანან კონგლომერატებს. ეს ლიდერები არიან, ერთის მხრივ, აშშ და, მეორე მხრივ, ჩინეთი**

ამიტომ, არსებობს ორი ჯგუფი, რომელიც უკვე აწარმოებს ბრძოლას ერთმანეთთან და არის ორი ლიდერი, რომლებიც სათავეში უდგანან კონგლომერატებს. ეს ლიდერები არიან, ერთის მხრივ, აშშ და, მეორე მხრივ, ჩინეთი.

სხვა დანარჩენი მოთამაშე მათთან შედარებით შუალედურ ან დამხმარე როლს ასრულებს.

**ევროპა ახლა აშკარად კრიზისშია ჩაფლული. ევროზონის კრიზისს ემატება მართვის, ეთნიკური, რასობრივი და სხვა კრიზისები, რაც ევროპას საშუალებას არ აძლევს, ბრძოლაში კონსოლიდირებული პოზიციით ჩაერთოს.**

რუსეთს შუალედური პოზიცია უკავია და ეს ძალიან ჰგავს სსრკ-ის მანევრირებას მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. **რუსეთი ფლობს ორ კრიტიკულად მნიშვნელოვან ფაქტორს: ბირთვულ ძალებს, რომელთაც შეუძლიათ, ომის მიმართულება ნებისმიერ წუთს შეცვალონ ნებისმიერი მიმართულებით და რესურსებს, რომლებიც მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენენ ნებისმიერი კონგლომერატისთვის. ამიტომ რუსეთის პოზიცია გადამწყვეტია ბრძოლის პრინციპული შედეგისთვის.**

ისლამური სამყარო გამოცოცხლდა და პოლიტიკური მოდერნიზაციის გზაზე დადგა. არაბულ გაზაფხულს აქვს ღრმა შიდა ფაქტორები, რაც აშშ-ის, ჩინეთისა და რუსეთის თამაშებში ურთიერთქმედებით ქმნიან ცვლილებების იმ მდიდარ და დრამატულ პალიტრას, რაც ახლა უკვე სახეზეა მაღრიბში, ახლო და შუა აღმოსავლეთში. საერთო ჯამში, ისლამური სამყარო სათამაშო ბანქოს ქაღალდს უფრო ჰგავს, ვიდრე მოთამაშეს, მაგრამ მის გულშიც გამოკრისტალდა უკვე რამდენიმე გავლენის ცენტრი, რომელსაც რეგიონულ ჰეგემონობაზე აქვს პრეტენზია.

ინდოეთი თვითკმარი ქვეყანაა, მაგრამ არ ფლობს რესურსების იმ ბაზას, რომელიც უფლებას მისცემდა, დასავლურ ან აზიურ კონგლომერატთან თანაბარი შესაძლებლობებით ეწარმოებინა გლობალური თამაში. დღეს ის პირველი კონგლომერატისაკენ იხრება, რადგან დიდადაა დამოკიდებული დასავლეთზე ტექნოლოგიურადაც, ეკონომიკურადაც და სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისითაც, ამიტომ სრულუფლებიან მოთამაშედ ის ვერ გამოდგება.

hvylya.org

# აშშ-ის დაზვერვის გადამდგარი გენერალი: სამხედრო მდგომარეობა მოსალოდნელია და გამართლებულიც იქნება

**გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა განაცხადა, რომ ამერიკის ეკონომიკა წუთი-წუთზე ჩამოინგრევა და, როდესაც ეს მოხდება, ამერიკაში პროდუქტების მწვავე დეფიციტი, შესაბამისად, მათ მოსაპოვებლად გამეფებული ყველგან შეღწევადი ძალადობა გახდება მთავარი მიზეზი იმისათვის, რომ ქვეყანაში ოფიციალურად გამოცხადდეს საომარი მდგომარეობა.**



„უკიდურესად გულახდილი ვიქნები: ამერიკაში, შესაძლოა, ისეთი სიტუაცია შეიქმნას, რომ საომარი მდგომარეობა მართლაც გამართლებული იქნეს და ამგვარი მდგომარეობა დადგება, თუ ქვეყანაში ეკონომიკური კოლაფსი მოხდება“, — განაცხადა ბოიკინმა, რომელიც თავის დროზე ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დირექტორის მოადგილე გახლდათ სპეცოპერაციების განხრით.

„ჩვენი ეკონომიკის კაშხალი სადაცაა დაინგრევა და ვფიქრობ, რომ, როდესაც ეს მოხდება, დაიწყება ძალიან მნიშვნელოვანი შეფერხებები სურსათით მომარაგების მხრივ. უნდა ველოდოთ ბუნტებსა და სამოქალაქო ამბოხებებს, რამაც საბოლოო ჯამში, შესაძლოა, გაამართლოს საომარო მდგომარეობის შემოღება“.

**მართალია, აშშ მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქტების უდიდესი ექსპორტიორია, მაგრამ სავალუტო კოლაფსის შემთხვევაში მწარმოებლები გაყინავენ სხვადასხვა საწარმოსთვის პროდუქტის მიწოდებას, მომხმარებლები კი დოლარის გარდა სხვა ვალუტაში ვერ მოახდენენ ანგარიშსწორებას. დროთა განმავლობაში სოფლად მცხოვრები ადამიანებისთვის ვალუტაზე ვაჭრობას ბარტერი ჩაანაცვლებს, მაგრამ ამერიკის ქალაქებში მცხოვრები ადამიანების უმეტესობა სურსათის დეფიციტს საკუთარ თავზე იგრძნობს უახლოეს 24 საათში.**

ვინც პატარა ქალაქებში ცხოვრობს, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდება, მაგრამ ბოიკინი ლოცულობს, რომ ამერიკას ეს დღე არ დაუდგეს და სურსათის მიწოდების პრობლემა რეალობად არ იქცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი თქმით, ეს იქნება ყველაზე დიდი უბედურება.

**სურსათის ნაკლებობის ბოლოდროინდელი მაგალითებია 2002 წლის არგენტინა და მისი ვალუტის სწრაფი დევალვაცია, კუბა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ზიმბაბვე მისი ვალუტის კოლაფსის პერიოდში.**

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს ზიმბაბვეს მსგავსი სიძლიერის ინფლაცია არ ელის, ყველა ხალხი განიცდის ვაჭრობაში კავშირების დარღვევის კრიზისს საკუთარი ვალუტის დევალვაციისაგან და ეს რამდენიმე კვირიდან რამდენიმე თვემდე პერიოდს მოიცავს ხოლმე. ასეთ პერიოდებში საკვები ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქციაა მანამ, ვიდრე ხელისუფლება ახალ ვალუტას არ შემოიღებს ვაჭრობის აღსადგენად.

თუ ადამიანები შეძლებენ რამით იკვებონ, გადაიტანენ ამ პერიოდს, მაგრამ თუ საჭმელი არაფერია, ისინი ომს დაიწყებენ და ეს ყველაზე მეტად აღარდებს ბოიკინს. იგი აფრთხილებს აშშ-ის მოქალაქეებს, მოემზადონ ამ ყველაფრისთვის, თავად კი სამი თვის მარაგი უკვე სახლში აქვს.

mixednews.ru

**2008 წლის კრიზისის შემდეგ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ საიდუმლოდ განახორციელა 16 ტრილიონი დოლარის ემიტირება და თავისი ბანკებისთვის დარიგება, მათ კი ეს თანხები უკვე გასცეს თავიანთი ბანკირების ბონუსების სახით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ოპერაციას კრედიტირება ეწოდა, უკან ერთი ცენტიც არ დაბრუნებულა, მით უფრო, რომ „სესხები“ ნულპროცენტიანი იყო.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მოგვეცით ახალი ნატო

**საბჭოთა ბლოკის დაშლის შემდეგ ნატოს წევრმა ერთმა ევროპულმა ქვეყანამ არ მოინდომა თავდაცვისათვის პოლიტიკური და ფინანსური სახსრების გაღება. არადა, ეს აუცილებელი იქნებოდა აშშ-ის მონაწილეობის გარეშე. ამრიგად, ნატოს ყველა სტრატეგიული კონცეფცია თანმიმდევრულად ჩამოყალიბდა აშშ-ის ინიციატივების შესაბამისად და ემსახურებოდა მისი ინტერესების დაცვას ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში. ვაშინგტონი ცდილობდა, არ დაეშვა ახალი ალიანსის შექმნა, რომელიც მისთვის საფრთხედ იქცეოდა, მიეღო საზღაური ნატოში ინვესტიციებიდან საგარეო ოპერაციებზე მისი ძალების პერეორიენტირების გზით და მიეღო შესაძლებლობა, გამოეყენებინა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საყრდენი წერტილები ევროპაში.**



ამერიკის თავდაცვის პოლიტიკა, რომელიც პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ უკანასკნელ სტრატეგიულ სივრცეში განსაზღვრა, მიანიშნებს უსაფრთხოების სფეროში ამერიკის ინტერესების სიმძიმის ცენტრების გადანაცვლებაზე აზია-წყნარი ოკეანის რეგიონისკენ და აშშ-ის ინვესტიციების შემცირებას ევროპის თავდაცვისა და უშიშროების სფეროში.

შეიარაღების შეჯიბრი, ზოგიერთი სახელმწიფოს მზარდი სწრაფვა ძლევამოსილებისკენ, ბირთვული იარაღის გავრცელება და არასტაბილურობა ევროკავშირის გეოგრაფიულ შემოგარენში არის მთავარი რისკები ევროპის მოქალაქეთათვის. ევროკავშირის არასაკმარისი პოლიტიკური წონა აშშ-თან, რუსეთთან და ჩინეთთან მიმართებაში განგაშს იწვევს უმწვავეს კრიზისულ საკითხებში. ევროპელები სერიოზულ კრიზისში ჩათრევის საფრთხის წინაშე დგანან და გლობალური მასშტაბის გეოპოლიტიკური გაერთიანებების დაპირისპირებათა შედეგად არ აქვთ საშუალება, გადაწყვეტილების მიღებაში დამოუკიდებლობა შეინარჩუნონ.

**ევროპის ერთიანი თავდაცვითი პოლიტიკის კონცეფციაში, რომელზეც უკვე ლამის თხუთმეტი წელია მუშაობენ, ორი მთავარი მინუსი იკვეთება: ის არაა მიმართული ევროპის ტერიტორიის დაცვისკენ და სინამდვილეში ნატო/ევროკავშირის უმაქნისი დუბლიორია იმაში, რაც საგარეო ოპერაციებს შეეხება. საჭიროა ამ კონცეფციის ჩარჩოების გარღვევა და ნამდვილი ევროპული თავდაცვითი პოლიტიკა, რომელიც ევროპის კავშირს მისცემს საშუალებას თავისი ტერიტორიისა და მსოფლიოში გეოსტრატეგიული დამოუკიდებლობის დაცვისათვის.**

ერთ-ერთი უპირველესი ნაბიჯი უნდა იყოს ჩრდილოატლანტიური შეთანხმების გადახედვა. სწორედ ის უდევს საფუძვლად სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაცია ნატოს. მიზანი უნდა იყოს ტრანსატლანტიკური კავშირების ადაპტაცია ახალ სტრატეგიულ რეალიებში ევროპელების პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად საკუთარ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის მათთვისვე გადაცემით.

ნატოში შემავალი ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოები თვლიან, რომ მათი საერთო თავდაცვა ხორციელდება ნატოს ფარგლებში ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების მეხუთე მუხლის შესაბამისად. მაგრამ ევროკავშირი ვეღარ დაამყარებს თავის თავდაცვას არსებულ მყიფე სისტემაზე, რომელშიც შედის ნაციონალური თავდაცვითი პოლიტიკები, ევროპული თავდაცვის პოლიტიკა კრიზისების მოგვარების შეზღუდული შესაძლებლობებით, და ნატო, რომელსაც ფაქტობრივად აშშ აკონტროლებს. ამ ახალი ურთიერთობების განსაზღვრისთვის ევროკავშირს ახალი თავდაცვითი სტრატეგიის შემუშავება მოუწევს ყველა რისკებისა და საფრთხეების გათვალისწინებით. გარდა ამისა, აუცილებელი იქნება თავდაცვითი ურთიერთობების დამყარება მეზობლებთან, პირველ რიგში — რუსეთთან, რომელიც თავადაც სთავაზობს ევროპას ამას, და ხმელთაშუაზღვისპირეთთან.

**ევროპის დამოუკიდებელი თავდაცვითი პოლიტიკა უნდა დამყარდეს იმ მთავარ ამოცანებზე, რომლებიც ჯერ კიდევ კანდიდატმა ოლანდმა დაასახელა 2012 წლის მარტში: ყველა ევროპელ პარტნიორთან კავშირების განვითარება; ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ყველა შესაძლებლობის შესწავლა სამხედრო სტრუქტურების რაციონალიზაციისთვის; ევროპული ტექნოლოგიური და სამრეწველო ბაზების კონსოლიდაცია.** ეს აბსოლუტურად არ ჰგავს ახლანდელ თავდაცვით მოდელებს, რომლებიც ყველა თავდაცვითი საშუალების გამაერთიანებელი მყარი ბირთვის არსებობას გულისხმობს. ამგვარი მოდელები მომავალში საკმარისი აღარ იქნება.

ევროპული სახელმწიფოს უსაფრთხოება მისი ყველა წევრის საქმე უნდა იყოს.

**ფრანსუა რივერი,**
*სამხედრო-საჰაერო ძალების გენერალი, ყოფილი სამხედრო ექსპერტი ევროკომისიაში, სოციალისტური პარტიის დეპუტატი.*
**Le Monde**

# «ალ ქაიდა» მუსლიმანებს აფრთხილებს

**„ალ ქაიდამ“ აშშ ისლამის წინააღმდეგ ომის წარმოებაში დაადანაშაულა. „მზად იყავით ჰოლოკოსტისთვის“, — გააფრთხილა ამერიკელი მუსლიმანები „ალ ქაიდას“ წარმომადგენელმა აშშ-ში ადამ გადანმა.** 2011 წელს ადამ გადანი მსოფლიოს 10 ყველაზე საშიშ ტერორისტად ითვლებოდა, რის გამოც იძებნებოდა კიდეც. ინტერნეტში გავრცელებულ მის ინტერვიუში ნათქვამი იყო, რომ ნიუ იორკსა და ლოს-ანჯელესში მუსლიმანებს მალე გაუსწორდებოდნენ. „ისლამის, როგორც პოლიტიკური სისტემის, მიმართ ამერიკის წინააღმდეგობა ცხადია. დღეს მუსლიმანები იემენში იღუპებიან, ხვალ კი მათ მოკვლას ნიუ იორკსა და ლოს-ანჯელესში დაიწყებენ. მზად იყავით ჰოლოკოსტისთვის“, — აღნიშნავს ინტერვიუში ადამ გადანი.



# ქაიროში აშშ-ის საელჩოს თავზე «ალ ქაიდას» დროშა აღმართეს

**ეგვიპტეში, ქაიროში მდებარე აშშ-ის საელჩოს მუსლიმანები დაესხნენ თავს. უცხოური მედიის ცნობით, თავდასხმა მაშინ მოხდა, როდესაც მუსლიმანები საპროტესტო აქციას ატარებდნენ.** მათ აშშ-ის საელჩოს შენობის შტურმით აღება სცადეს. საპროტესტო აქციის მონაწილეები ანტიისლამურ ფილმს აპროტესტებდნენ. თავდამსხმელები დიპლომატიური მისიის კედელზე ავიდნენ, საიდანაც აშშ-ის დროშა ჩამოხსნეს და მის მაგივრად „ალ ქაიდას“ დროშა აღმართეს. პოლიციამ აქციის მონაწილეების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა და რამდენიმე გამაფრთხილებელი გასროლა განახორციელა. ამასთან, ეგვიპტურმა მოძრაობამ „ძმები მუსლიმანები“ თავის მომხრეებს მოუწოდა, უახლოეს ხანებში ფილმი მშვიდობიანი მარშით გააპროტესტონ.

# ლიბიაში აშშ-ის ელჩი მოკლეს

**ლიბიის ქალაქ ბენღაზიში აშშ-ის ელჩი, კრისტოფერ სტივენსი, მოკლეს. ელჩის გარდა საელჩოს კიდევ სამი თანამშრომელი დაიღუპა.** არსებული ინფორმაციით, ეგზალტირებული ადამიანები, პროტესტის ნიშნად, ლიბიაში აშშ-ის საკონსულოს მოყვარული ამერიკელი კინემატოგრაფისტების მიერ გადაღებული ფილმის ინტერნეტში გავრცელების გამო მიაწყდნენ. მათი აზრით, ფილმი ისლამს შეურაცხყოფას აყენებს.

# აშშ-ის ფედერალურმა სისტემამ 16 ტრილიონი დოლარი დაბეჭდა და ბანკებს დაურიგა



**ეს წარმოუდგენელი ამბავი 1913 წლის შემდეგ პირველი ოფიციალური აუდიტის მსვლელობისას გამოაშკარავდა. ერთი წლის განმავლობაში ფედერალური სარეზერვო სისტემის ჯადოქარმა-ბანკირებმა დახატეს და მეგობრებს დაურიგეს 16 ტრილიონი დოლარი. აუდიტი სახელმწიფო საანგარიშო ბიურომ ჩაატარა, მისი შედეგები კი დასავლეთის ოფიციალურმა პრესამ მიჩქმალა.**

მაინც რას აღნიშნავს ეს წარმოუდგენელი სიდიდის ციფრები და ვინ დგას გიგანტური ოპერაციების უკან? ფედერალური სარეზერვო სისტემა აშშ-ის სახელმწიფო ბანკის როლს ასრულებს. ის ბეჭდავს ლამაზ, მწვანე ქაღალდებს, რომლებიც მსოფლიო ვალუტად საღდება. მაგრამ ფედერალური სარეზერვო სისტემა არ ეკუთვნის ამერიკის ხელისუფლებას ან ამერიკელ ხალხს. ეს არის კერძო ორგანიზაცია, რომელმაც აღნიშნული ფუნქციები საკუთარ თავზე აიღო შორეულ 1913 წელს კუნძულ ჯეკილზე წამყვანი პოლიტიკოსებისა და ბანკირების საიდუმლო შეთქმულების შედეგად. მას შემდეგ ფედერალური სარეზერვო სისტემის უკან მდგარი ბანკები აურაცხელ ქონებას აგროვებენ — მათ მიერ გაცემულ ყოველ დოლარს პროცენტები მოაქვს.

ამერიკელი ანარქისტები ვერ იტანენ ფედერალურ სარეზერვო სისტემას. ზოგიერთმა მათგანმა ის სამყაროს ყველა ბოროტების წყაროდაც კი გამოაცხადა. ახლახან გარდაცვლილმა იუსტას მალინზმა ორმოცდაათიან წლებში დაწერა წიგნი სახელწოდებით „ფედერალური სარეზერვო სისტემის საიდუმლოებები“, რომელიც დაწვეს, გაანადგურეს, აკრძალეს, მაგრამ მაინც გაიყიდა მილიონობით ეგზემპლარი. მას შემდეგ ფედერალური სარეზერვო სისტემის შესახებ ლაპარაკი ამერიკაში ითვლება საუკეთესო საშუალებად საკუთარი კარიერის დასამარებისთვის.

მაგრამ რამდენიმე წლის წინ სენატორმა რონ პოლმა, რომელიც ლამის პრეზიდენტობის კანდიდატი გახდა, კვლავ ააფრიალა ფედერალურ სარეზერვო სისტემასთან ბრძოლის დროშა და ამ კორპორაციის ღია აუდიტი მოითხოვა. მას სხვებმაც დაუჭირეს მხარი და **კონგრესმა აიძულა ფედერალური სარეზერვო სისტემა, გაეხსნა თავისი საბუღალტრო წიგნები, მიუხედავად ბანკირების, პირველ რიგში, ბენ ბერნანკესა და ალენ გრინსპანის პროტესტებისა. 1913 წლის შემდეგ პირველი აუდიტი შედგა. მისი შედეგები ოფიციალურად გამოქვეყნდა და მიიჩქმალა მსოფლიოში ყველაზე თავისუფალი ამერიკული პრესის მიერ.**

აუდიტის შედეგების თანახმად, **2008 წლის კრიზისის შემდეგ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ საიდუმლოდ განახორციელა 16 ტრილიონი დოლარის ემიტირება და თავისი ბანკებისთვის დარიგება, მათ კი ეს თანხები უკვე გასცეს თავიანთი ბანკირების ბონუსების სახით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ოპერაციას კრედიტირება ეწოდა, უკან ერთი ცენტიც არ დაბრუნებულა, მით უფრო, რომ „სესხები“ ნულპროცენტიანი იყო.**

შედარებისთვის: აშშ-ის საერთო შიდა პროდუქტის მოცულობა შეადგენს 14 ტრილიონ დოლარს, ამერიკის სახელმწიფო ვალი — 14 ტრილიონ დოლარს, ამერიკის წლიური ბიუჯეტი — სამნახევარ ტრილიონ დოლარს. მიუხედავად იმისა, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა თავს სახელმწიფო ორგანიზაციად ასაღებს, არც კონგრესი და არც პრეზიდენტი არ იყო საქმის კურსში, რომ ეს თანხები ურიგდებოდათ ბანკებს მაშინ, როდესაც ხალხს იპოთეკის გადაუხდელობის გამო საკუთარი სახლებიდან ყრიან და მოსახლეობა ღატაკდება.

ფული ერგოთ: გოლდმან ზაქსს — 814 მილიარდი, მერილ ლანჩს — 2 ტრილიონი, სიტიგრუპს — ორნახევარი ტრილიონი, მორგან სტენლის — 2 ტრილიონი, ამერიკის ბანკს — 1,3 ტრილიონი, სკოტლანდის სამეფო ბანკს და გერმანიის ბანკს — 500-500 მილიარდი.

**როდესაც კრიზისმა იფეთქა, აშშ-ის კონგრესმა დიდი ხნის კამათის შემდეგ გამოყო 800 მილიარდი დოლარი დაზარალებული ბანკების გამოსასყიდად.**

**ამერიკაში სიმდიდრე ყველაზე უსამართლოდაა გადანაწილებული. როგორც სენატორი სანდერსი წერს თავის საიტზე, 400 ყველაზე მდიდარი ამერიკელი უფრო მდიდარია, ვიდრე 150 მილიონი ამერიკელი, სუპერმარკეტების სისტემა „WAL-MART“-ის ექვსი მემკვიდრე კი უფრო მდიდარია, ვიდრე მთელი ამერიკის მოსახლეობის 30%. ამერიკაში მოსახლეობის 1% ფლობს მთელი სიმდიდრის 40%-ს, ქვედა 60% კი უფრო ღარიბია, ვიდრე სიმდიდრის შკალის ზედა 2%.**

**kp.ru**

# ეროვნული სულით, ეროვნული რომანტიზმით განმსჭვალული

# ალექსი მაჭავარიანი — 99

**23 სექტემბერს ქართული საკონცერტო სივრცე კვლავ დაეთმობა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, ალექსი მაჭავარიანის, შესანიშნავ მუსიკას, კომპოზიტორისა, რომელსაც არასდროს აკლდა არც ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები და არც საერთაშორისო აღიარება. თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში შესრულდება სიუიტა ბალეტიდან „ვეფხისტყაოსანი“, საფორტეპიანო კონცერტი და მესამე სიმფონია. ალექსი მაჭავარიანის ქმნილებებს საზოგადოებას თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად წარუდგენს მისი ვაჟი, დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი, საფორტეპიანო კონცერტში კი სოლისტად წარსდგება ცნობილი პიანისტი კატია სკანავი. აღნიშნული კონცერტი კომპოზიტორის დაბადების დღეს ეძღვნება, 23 სექტემბერს ალექსი მაჭავარიანს 99 წელი შეუსრულდებოდა.**



ალექსი და ვახტანგ მაჭავარიანები

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი ალექსი მაჭავარიანი იყო საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრკ სახელმწიფო პრემიისა და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი, მრავალგზის ორდენოსანი და სხვადასხვა საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი (მილანის „ლა სკალასთან“ არსებული „ბრაიდენზეს“ გალერეის „ოქროს მედალი“ ბალეტ „ოტელოს“ მუსიკისთვის და პიკასოს პრემია (აშშ) ბალეტ „ვეფხისტყაოსნისთვის“).

**ალექსი მაჭავარიანი დაიბადა გორში 1913 წლის 23 სექტემბერს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია კომპოზიციის განხრით. დიმიტრი შოსტაკოვიჩის რეკომენდაციით მიენიჭა პროფესორის წოდება. 1962-1968 წლებში იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე.**

ალექსი მაჭავარიანს შედევრთა რანგის არაერთი მუსიკალური ქმნილება ეკუთვნის, რომლებმაც კომპოზიტორს საყოველთაო აღიარება მოუტანა (ბალეტი „ოტელო“, სიმფონიები, სავიოლინო კონცერტი, რომანსები, „დოლური“ სოლო ვიოლინოსთვის, საფორტეპიანო პიესა „ხორუმი“ და ა.შ.) 1985 წელს კომპოზიტორის კიდევ ერთი შემოქმედებითი წარმატება უკავშირდება ბალეტ „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც დაიდგა პეტერბურგის მარიას თეატრში და გასტროლებით გააცნო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის აუდიტორიას.

**ალექსი მაჭავარიანის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მრავალჟანრული და ვრცელია, მოიცავს მუსიკალურ-თეატრალურ** (ოპერები, ბალეტები, მუსიკალური კომედია), **სიმფონიურ და ვოკალურ-სიმფონიურ** (7 სიმფონია, ორატორია, ინსტრუმენტული კონცერტები, სიმფონიური პოემები, საორკესტრო პიესები), **საგუნდო, კამერულ-ინსტრუმენტულ, კამერულ-ვოკალურ, სათეატრო და კინომუსიკის ჟანრებს.**

**ალექსი მაჭავარიანის ქმნილებები წარმატებით ჟღერდა გერმანიის, საფრანგეთის, აშშ-ის, კანადის, ნიდერლანდების, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ესპანეთის, ფინეთის, ჩეხეთის, უნგრეთის, იუგოსლავიის, სლოვაკეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ავსტრიის, ბრაზილიის, არგენტინის, ნორვეგიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ცნობილ საკონცერტო დარბაზებში.**

მისი ნაწარმოებები გრამფირფიტების სახით გამოცემულია აშშ-ში (სტუდია „კოლუმბიას“ მიერ გამოცემულია სავიოლინო კონცერტი), **რუსეთსა და გერმანიაში.**

სამწუხაროდ, ალექსი მაჭავარიანის შემოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს დღემდე არ იცნობს ჩვენი საზოგადოება. სცენურ ხორცშესხმას ელის კომპოზიტორის რამდენიმე მუსიკალურ-თეატრალური თხზულება: ოპერა „მედეა“ (ვახტანგ მაჭავარიანის ლიბრეტოს მიხედვით), ოპერა „ჰამლეტი“ და ბალეტი „ჭირვეულის მორჯულება“. დღემდე შეუსრულებელია მისი სიმებიანი კვარტეტი №6 და საფორტეპიანო სონატა №3. თუმცა, მოგეხსენებათ, ივნისში შედგა ბალეტ-პოემა „ფიროსმანის“ საკონცერტო პრემიერა, ოდნავ ადრე შესრულდა მეექვსე სიმფონიაც. ასე რომ, **მუსიკისმოყვარულთ წინ კიდევ ელით ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებების მრავალი პრემიერა, მით უფრო, რომ 2013 წელს კომპოზიტორის დაბადებიდან 100 წელი სრულდება.**

გამოჩენილი კომპოზიტორის შემოქმედებას ეძღვნებოდა სტატიები, რეცენზიები, მის ოპუსებს ქებათა ქება არ მოკლებია. წინამდებარე სტატიაში კი წარმოგიდგენთ რამდენიმე ამონარიდს ალექსი მაჭავარიანის ჩანაწერებიდან, რომლებიც შეეხება საკონცერტო პროგრამაში შეტანილ ქმნილებებს.

**23 სექტემბერს პირველ საკონცერტო ნომრად წარმოდგენილი იქნება I სიუიტა ბალეტიდან „ვეფხისტყაოსანი“,** რომლის შეასახებაც ალექსი მაჭავარიანი 1974 წელს წერდა: **„1973 წლის მიწურულს ჩემს რვეულში „მუსიკა და დრო“ შევიტანე ჩანაწერი: როგორც იქნა დამთავრდა „ვეფხისტყაოსანი“... დიდება შენდა, ღმერთო!**

ამ ნაწარმოებზე დიდხანს ვმუშაობდი, დაკვირვებით, დინჯად. თანამედროვე მუსიკიდან მე ვისარგებლე დოდეკაფონიისა თუ სერიული სისტემების არა რომელიმე ჩამოყალიბებული კანონებით, ხერხებითა და კონსტრუქციებით, არამედ მხოლოდ მათი შინაგანი სააზროვნო ბუნებით.

„ვეფხისტყაოსანში“, ბევრი ფიქრისა და აწონ-დაწონის შემდგომ, მივედი იმ დასკვნამდე, რომ უნდა გამოვიდე მუსიკის ენაზე აზროვნების ზოგადი არსიდან, რომლის მთავარი ნიშანია აბსტრაგირებული აზროვნება, რომ იგი დაჯილდოებულია საოცარი ზოგადობის უნარით, არ ეგების დაქუცმაცებულობა, საგნობრივი მსჯელობა, პერსონაჟთა განვითარებისა თუ ბუნების აღწერის იმგვარი ფორმები, ბრწყინვალედ რომ ხელეწიფება ლიტერატურას. ამიტომაც „ვეფხისტყაოსანის“ ორი მთავარი სფერო – სიყვარული და მეგობრობა ერთ მთელში წარმოვადგინე, როგორც მუსიკალურ ხატებათა ჯამი. მათი დაპირისპირება შეუძლებელია, რადგან ორივე ერთი ემოციური და ეთიკური მუხტის მატარებელია. ამის სტიმული მომცა თვით რუსთაველის ტექსტმა...“

„...რაინდობა ჩემთვის თვისებაა, რომელიც ადამიანის ზნეობისთვის ჰაერივით აუცილებელ პირობად მიმაჩნია. ამან უნდა იხსნას მეოცე საუკუნის ადამიანი. ეს არის ის განსაკუთრებული ნიშანი, ჩვენმა დიდებულმა წინაპრებმა რომ გვიანდერძეს. ამ საკითხის უდიდეს მნიშვნელობაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა აკაკი შანიძის მეცნიერულმა ნაშრომებმა, მიძღვნილმა შოთა რუსთაველის პოემისადმი. ისინი კი ორმოცზე მეტია. მათ უდიდესი დახმარება გამიწიეს ბალეტზე მუშაობისას“, — წერდა ალექსი მაჭავარიანი.

კეთილგანწყობილი კრიტიკა არ მოჰკლებია არც ალექსი მაჭავარიანის მესამე სიმფონიას, ერთ საგულისხმო გამონათქვამს კი, აქვე გთავაზობთ, რომელიც ცნობილ აზერბაიჯანელ კომპოზიტორს, დირიჟორსა და პიანისტს **ტოფიკ კულიევს** ეკუთვნის: **„უკვე 40 წელია, რაც ალექსი მაჭავარიანს აღფრთოვანებაში მოვყავარ — ამოუწურავი ახალგაზრდული სული, ძიების უნარი, ენერგია. ეს გრძნობა განსაკუთრებით გამიძლიერდა მისი მესამე სიმფონიის მოსმენისას. მას არასოდეს ღალატობს ტალანტი, სამყაროს ოპტიმისტური ხედვა და შემოქმედებითი სისხარტე“.**

თავად ალექსი მაჭავარიანი ასე ხსნიდა სიმფონიის პათოსს 1983 წელს: **„დრამატიზმით და ტრაგიზმით სავსე მესამე და ოპტიმიზმით, სიცოცხლის მოყვარე გრძნობებით გაჟღენთილი მეოთხე „ჭაბუკური სიმფონია“ შექმნილია პარალელურად, მაგრამ სრულიად სხვადასხვა მუსიკალური ენით, ფორმით, შინაარსით და ტექნოლოგიით. „ჭაბუკურ სიმფონიაზე“ მუშაობისას მე გადავენერგდი სიჭაბუკის იმ ხანაში, როდესაც გული საოცრად ფეთქავდა, ახალგაზრდული ტემპერამენტი და მგზნებარება დუღდა და გადმოდიოდა, ხალისი და ჟინი დაუოკებელი ქარიშხალივით ბობოქრობდა, ანუ ახალგაზრდობის დალოცვილ პერიოდში. მესამე სიმფონიაში კი ჩემს წინაშე წამოიჭრა ორი საკითხი – პიროვნებაში წარმოქმნილი წინააღმდეგობანი და თანამედროვეობის ისეთი დიდი პრობლემა, როგორიც არის მშვიდობის შენარჩუნება პლანეტაზე, პროტესტი გამალებული ატომური და ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგ, რომელიც ახასიათებს ჩვენი საუკუნის ამ მონაკვეთს. ვეცადე მეჩვენებინა, რა გიგანტური ენერგია, ნებისყოფა, სულიერ და ფიზიკურ ძალთა მარაგი სჭირდება კაცობრიობას, რათა წინ აღუდგეს ძალადობის ამ ჯოჯოხეთურ მანქანას“...**

**„საფორტეპიანო კონცერტის ავტორი ალექსი მაჭავარიანი ახალგაზრდა და უდავოდ ნიჭიერი მუსიკოსია. მას უყალიბდება საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალურობა, საკუთარი საკომპოზიტორო ხელწერა“,** — ასე გამოეხმაურა ახალგაზრდა კომპოზიტორის თხზულებას **დიმიტრი შოსტაკოვიჩი** 1945 წლის მარტში.

ალექსი მაჭავარიანი კი 1985 წელს წერდა: **„ჩემი საფორტეპიანო და სავიოლინო კონცერტები განმსჭვალულია ეროვნული სულით, უფრო სწორად, ეროვნული რომანტიზმის თვისებით“.**

**ალექსი მაჭავარიანის საფორტეპიანო კონცერტი არაერთხელ აჟღერებულა სხვადასხვა საკონცერტო სივრცეში ქართველი, გერმანელი, ფრანგი, ჩეხი, პოლონელი, რუსი, რუმინელი პიანისტების მიერ. ამჯერად, მას ცნობილი პიანისტი კატია სკანავი შეასრულებს.** კატია სკანავის ხელოვნებას საქართველოშიც კარგად იცნობენ და მას ჩვენთანაც არაერთი თაყვანისმცემელი ჰყავს თბილისში გამართული მშვენიერი კონცერტების მეოხებით. აღსანიშნავია, რომ პიანისტს მრავალწლიანი შემოქმედებითი კონტაქტი აქვს ვახტანგ მაჭავარიანთანაც და არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც, მაგალითისთვის 2002 წელს ამსტერდამის „კონცერტგებაუში“ გამართული წარმატებული კონცერტიც იკმარებს (ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად).

**ბერძნული წარმომავლობის რუსეთში აღზრდილი მუსიკოსი კატია სკანავი უძლიერესი პიანიზმითა და მგრძნობიარე მუსიკალურობით ბავშვობიდანვე ახდენდა უდიდეს შთაბეჭდილებას როგორც აუდიტორიაზე, ისე კრიტიკოსებსა და თანაშემსრულებლებზე.** ვენ კლაიბერნის სახელობის კონკურსის ყოფილი ფინალისტი — კატია სკანავი, როგორც საკონცერტო სოლისტის, ისე კამერული მუსიკოსის ამპლუაში ახლა უკვე ისეთი უმაღლესი დონის მუსიკოსების რჩეული პარტნიორია, როგორებიც არიან იური ბაშმეტი და გიდონ კრემერი. **კატიას აქებენ მდიდარი და ცოცხალი ბგერადი პალიტრის გამო და იმ ვირტუოზულობისთვის, რომელსაც ის ინტუიციურ და გააზრებულ ინტერპრეტაციასთან კავშირში ფლობს.**

კატია სკანავის რეპერტუარი მოიცავს კლასიკას და თანამედროვე მუსიკის სხვადასხვა სტილის თხზულებებს. მას ჩაწერილი აქვს რამდენიმე კომპაქტ-დისკი. მარსელში ცოცხალი შესრულებით ჩაწერა შუმანის, რახმანინოვის და ჩაიკოვსკის ნაწარმოებები, რომლებსაც კრიტიკის მაღალი შეფასება მოჰყვა. ხოლო შოპენის კონცერტის ჩანაწერს ჟურნალმა „გრამოფონმა“ „თვის საუკეთესო კლასიკური ჩანაწერის“ წოდება მიანიჭა. კატია სკანავის ბოლო სტუდიური ჩანაწერია რახმანინოვის პირველი საფორტეპიანო კონცერტი და “რაფსოდია პაგანინის თემაზე”.

**ეწვიეთ კონსერვატორიის დიდ დარბაზს 23 სექტემბერს და კიდევ ერთხელ ისიამოვნეთ ალექსი მაჭავარიანის მშვენიერი მუსიკით.**



კატია სკანავი




ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894